დავით გურამიშვილის პედაგოგიური იდეები, პირველ რიგში, ხალხის განათლების აუცილებლობითაა გამსჭვალული. „დავითიანში“ ნათლად აქვს მოცემული ცოდნისა და ზნეობრიობის განვითარების აუცილებლობა და ამ მხრივ უდიდეს მნიშვნელობას სწორედ ახალგაზრდებზე მუშაობას ანიჭებს. დ. გურამიშვილი თვლიდა, რომ ადამიანმა სწავლა ბავშვობიდანვე უნდა დაიწყოს, რადგან ზნეობრივი მახასიათებლების ჩამოყალიბება და სირთულეების დაძლევა ამ ეტაპზე გაცილებით ადვილია და შედეგ ზნეობრიობითა და განათლებით შეიარაღებულ ადამიანს ხანდაზმულობისას უფრო უადვილდება ცხოვრება. ამასთან, დ. გურამიშვილის აზრით, ცოდნა მხოლოდ მაშინაა სასარგებლო, თუ იგი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ იქნება გამოყენებული. იგი თვლიდა, რომ „ახალგაზრდა, მოწაფე თავიდანვე უნდა გაეცნოს ერის წარსულს, აწმყოს, მომავალს, მის ჭირსა და ღვინს, განიმსჭვალოს მშობელი ხალხის ინტერესებით, ცოდნასთან ერთად შეითვისოს და შეისისხლოს საზოგადოებრივი მოვალეობა და მიზანი ცხოვრებისა.“ ასევე, მნიშვნელოვანია მისი ხედვა სწავლული, ბრძენი, სამაგალითო მასწავლებლისა, რომელსაც არა მხოლოდ მოწაფეების, არამედ მთელი ერის აღზრდის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. დავით გურამიშვილის იდეები გამსჭვალულია ერთიანი საქართველოს ეროვნული იდეებითა და მისწრაფებებით, უპირისპირდება იმ დროისათვის, მისი თქმით, საზოგადოებაში გამეფებულ გონებრივ და მორალურ დაცემულობას, ყოველივე ამის მოგვარების კუთხით კი უმნიშვნელოვანეს და უმთავრეს გზას სწორედ საზოგადოების განათლებაში ხედავს. დ. გურამიშვილის აზრით, სწავლა-განათლება ხელს უწყობს საზოგადოების კულტურისა და

ეკონომიკური ცხოვრების წარმატებასა თუ წინსვლას.

აკაკი წერეთელს მრავალი პუბლიცისტური წერილი და რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოები აქვს შექმნილი მომავალი თაობის აღზრდის თემასთან დაკავშირებით. იგი მიიჩნევდა, რომ სწავლისა და განათლების შინაარსი უნდა გამომდინარეობდეს და ეყრდნობოდეს ხალხის ყოფა - ცხოვრებას და რომ სწავლება აუცილებლად მშობლიურ ენაზე უნდა წარმოებდეს; მიაჩნდა, რომ იმ დროისათვის ქართულ საზოგადოებაში არსებულ სწავლას, სასწავლო მასალის შეთვისებასთან დაკავშირებული პრობლემები სწორედ მშობლიური ენის დევნასთან იყო დაკავშირებული, რადგან ამის გამო მასალის გაგება და შეთვისება გაცილებით რთული ხდებოდა. აკაკისათვის იდეალური პიროვნება, რომელიც უნდა აღზარდოთ არის „პატრიოტი და საზოგადო საქმისთვის აქტიური მებრძოლი მოქალაქე“ [1-269]. „მეჩვენებულ იყოს ის ახალგაზრდა, რომელიც ხედავს საზოგადოებაში ცუდს, მავნებელ რასმე მოვლინებას და არ ამხილებს უშიშრად და დაუფარავად“ – ამბობს ა. წერეთელი [1-269]. იგი ამბობდა, რომ თითოეული ახალგაზრდის მორალურ მოვალეობას წარმოადგენს საკუთარი ცოდნა-გამოცდილების სრულად ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვისადმი მოხმარება და საყვედურით მოიხსენიებს ახალგაზრდათა იმ ნაწილს, რომლებიც საზღვარგარეთ მიღებული განათლების მიუხედავად არ ცდილობენ გამოადგნენ თავიანთ ქვეყანას.

მისი აზრით, განსაკუთრებულია ამ მხრივ ქალის როლი. „საზოგადოებრივ-ეროვნულ სარბიელზე ქალს დიდი მნიშვნელობა აქვს და მათი სათანადოდ სწავლა-განათლებისთვის განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ“ – მიუთითებდა იგი. ეს საჭიროა არა მარტო მხოლოდ ქალებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, რადგან ქალია პირველი აღმზრდელი თავისი შვილისა და იმაზე, თუ როგორ არის ის ამისთვის მომზადებული, დამოკიდებულია ერის მომავალი“. [1-270] იგი, ასევე თვლიდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობები აღიზარდოს ხალხთაშორისი მეგობრობის სულისკვეთებით.

ნიკო ნიკოლაძე, ისევე როგორც აკაკი წერეთელი, მოითხოვდა სწავლას მშობლიურ ენაზე, სასწავლო მასალის მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობას, გონებრივი აღზრდის ზნეობრივისა და შრომით აღზრდასთან შეერთებას და მომავალი თაობის პატრიოტიზმითა და ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდას. იგი თვლიდა, რომ კარგ აღზრდას შეუძლია ბავშვში არსებული ყველა უნარის, ნიჭისა და ინტერესის მაქსიმალური გამოვლენა-განვითარება და ასევე, კარგი აღზრდა ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებას. აღზრდა, მხოლოდ მშობლებისა და მასწავლებლის მოვალეობას როდი წარმოადგენს. მისი თქმით, მასში მთელი საზოგადოება უნდა იყოს ჩართული. შესაბამისად, „სწავლისა და განათლების ბედს და ხასიათს ჩვენ მუდამ სწორედ ისე უნდა ვადევნებდეთ თვალს, როგორც ჩვენ შინაურ, საკუთარ

საქმეებს, როგორც ჩვენი შვილების ბედსა და უბედობას“ [1-271]. ნიკო ნიკოლადის აზრით, სკოლისა და ოჯახის მთავარ მოვალეობას ბავშვთან მიმართებაში ზნეობრივი აღზრდა წარმოადგენს. თუმცა, მისი აზრით, ეს დამოკიდებულია მშობლისა და მასწავლებლის ზნეობრიობასა და მოქალაქეობრივ სახეზე, რადგან სწორედ მათი მაგალითის საფუძველზე უნდა მოხდეს აღნიშნულის ჩამოყალიბება. მასწავლებელი, შედეგის მისაღწევად, სასიკეთო გავლენას უნდა ახდენდეს, არა მხოლოდ მოსწავლეზე, არამედ მშობლებზეც. ნიკო ნიკოლადე თვლიდა, რომ სწავლება სკოლაში არ უნდა იყოს დამყარებული მხოლოდ მეხსიერების ფუნქციონირებაზე, არამედ ასევე აქტიურად უნდა ფუნქციონირებდეს და ვარჯიშდებოდეს წარმოსახვა, აზროვნება და სხვა მნიშვნელოვანი მხარეები ადამიანის მოცემულობისა, რადგან თითოეული ადამიანი, თავისი არსით, მთლიანი, სრულყოფილი ფუნქციონირებისკენ მიისწრაფვის.

ნ. ნიკოლადე სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად იბრძოდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. იგი ისეთი სასწავლო დაწესებულების შექმნას ცდილობდა, რომელის წევრებიც „თავისუფალნი იქნებოდნენ ვიწრო ეგოისტობის მომაკვდინებელი გავლენისაგან და რომელთაც უხელმძღვანელებდნენ ჭეშმარიტად სწავლული ადამიანები და ბოლოს – უნივერსიტეტი, რომელიც შეძლებდა საშუალო განათლების გაცოცხლებასა და დაგვირგვინებას“ [1-273].

იაკობ გოგებაშვილი აქტიური დამცველი იყო ავტონომიისა, ხალხის ქართულ, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა და გლეხების უფლებებისა. მას ყოველთვის სწამდა, რომ ქართველი ერი დიდი პოტენციალის მატარებელი იყო. მისი წერილები, სტატიები თუ მოთხრობები სავსეა დემოკრატიულობით, ჰუმანიზმით, ხალხურობის პრინციპითა და ინტერნაციონალიზმით. „ხალხურობის პრინციპში იაკობ გოგებაშვილი გულისხმობდა სწავლებაში და აღზრდაში მშობლიური ხალხის (რომელიც, მისი აზრით, ქვეყნის ხერხემალსა და ძალ-ღონეს შეადგენდა) სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებათა გათვალისწინებას, საყოველთაო სწავლების განხორციელებას, სწავლებას მშობლიურ ენაზე, სწავლებაში ხალხის სულიერი კულტურის გამოყენებას, სწავლების შინაარსში ხალხის, ერის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფსიქიკური თავისებურებების, წარსულისა და აწმყოს ამსახველი მასალების ჩართვას. მისი აზრით, „ერი თავისებური კოლექტიური პიროვნებაა, ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური, ეროვნული გზით“ [1-294]. იგი მოიხსენიებდა უმინსკის ნააზრევს, რომელიც ამბობდა, რომ ენის გაქრობა ერის გაქრობის გამომწვევია. ი. გოგებაშვილი დედა ენას „ეროვნების ბურჯს“ უწოდებდა, როგორც უპირველეს ეროვნულ მახასიათებელს. იაკობ გოგებაშვილი თვლიდა, რომ ქვეყანასა და ხალხში ბედნიერების მისაღწევად უმთავრეს გზას განათლება, განსაკუთრებით კი საბუნებისმეტყველო ცოდნის გავრცელება წარმოადგენდა.

ი. გოგებაშვილი აღზრდის საკითხს ხედავდა, როგორც უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ მოვლენას, რომელსაც გადამწყვეტი როლი აკისრია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იმის გათვალისწინებით, რომ იგი მომავალ თაობას ერის მომავლად მიიჩნევდა, სკოლაზე ზრუნვა, რომელიც მომავალი თაობის აღზრდას ისახავდა მიზნად, ერის მომავალზე ზრუნვად თვლიდა. სკოლაში, ი. გოგებაშვილი ხედავდა „ახალი ტიპის ქართველის“ მომზადების ადგილს, სადაც მოხდებოდა ისეთი ცოდნითა და ჩვევებით ყმაწვილის შეიარაღება, რაც მას გაუადვილებდა საკუთარი ძალების გამოყენებას, რომელსაც იგი მოახმარდა როგორც საკუთარი, ასევე ხალხის ბედნიერებისა და სასარგებლო სოციალური ცვლილებების განხორციელებას. ამის მიღწევას ახალი ტიპის სკოლას აკისრებდა, რომელიც „საოცარის ოსტატობითა და სიადვილით უმდიდრებს მოწაფეებს გონებას, ნამდვილ კონკრეტულისა და ცოცხალის ცოდნით, ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უვსებს მაღალის ადამიანური გრძნობებით, ანიჭებს მტკიცე ხასიათსა, ზრდის მასში თაოსნობას, უნარსა, თავის თავის იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას და ამზადებს სულითა და ხორციით საღს ადამიანებს, შეუპოვარ მეომართ ბუნებისა და უკუღმართის ცხოვრების წინააღმდეგ“ [1-296]. იგი ხაზს უსვამდა, რომ ამგვარი მომზადება მთელს ერში უნდა მოხდეს და არა მის მცირე, ცალკეულ ნაწილში. ი. გოგებაშვილი თვლიდა, რომ ადამიანი შეიარაღებული უნდა იყოს რეალური ცოდნით, მასში მნიშვნელოვანია, ასევე, ზნეობრიობისა და სიკეთის მაჩვენებელი, რომელსაც თავის მოღვაწეობაში ავლენს ადამიანი.

ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, იგი მტკიცედ აყენებდა სოფლის მეურნეობის კუთხით განათლების მნიშვნელობის საკითხს და ამბობდა: „თუ ქართველი ხალხი თვითონ არ ისწავლის ბუნებრივი სიმდიდრეების მოვლასა და მით სარგებლობას, მათ სხვა ეროვნების მცირე ხალხი იკისრებს და ეს ხელიდან გამოგვაცლის მიწა-წყალს, მიწა-წყლის დაკარგვას კი ერის გაქრობა მოყვებაო“ [1-297].

მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძე სერიოზულ ყურადღებას აქცევდა სწავლების აღმზრდელობით ხასიათს. მას სწავლებისა და აღზრდის შერწყმა-შეხამების გარეშე დაუშვებლად მიაჩნდა სასკოლო მუშაობა. იგი თვლიდა, რომ საკმარისი არ არის ადამიანმა დიდი ცოდნა დააგროვოს, არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ „კარგი კაცობის შემძლებლობა ჰქონდეს“. თვითონ სწავლა და ცოდნა კი, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ აღმზრდელობით დანიშნულებას ემსახურებოდეს [10].

იგი ზნეობრივ აღზრდას, განათლების სისტემაში, ცენტრალურ ადგილს უთმობდა და მიაჩნდა, რომ ჭეშმარიტი განათლება მხოლოდ „განვითარებულ

გონებას და გაწვრთნილი ზნე-ხასიათის“ შერწყმითაა შესაძლებელი. ზნეობრივი აღზრდის არსში კი ილია პატიოსნებისა და სიმართლის, სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვის, თავმდაბლობისა და საზოგადოებრივი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, დისციპლინირებასა და სხვა მსგავსი ტიპის მახასიათებლებს გულისხმობდა. ზნეობრივი აღზრდის ყველაზე უკეთეს საშუალებად ილიას მასწავლებლის პირადი თვისებები და ტაქტი მიაჩნდა. ილია ჭავჭავაძეს ბავშვისა და მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, ასევე აღმზრდელისა თუ გამოჩენილ ადამიანთა ცოცხალი მაგალითი მიაჩნდა ზნეობრივი აღზრდის გადამწყვეტ ფაქტორად. ილია ჭავჭავაძე მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა ასევე მშობლებს, ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის საქმეში.

ილია მოზარდი თაობის სულიერ გასპეტაკებაში გულისხმობდა, აგრეთვე, ესთეტიკურ აღზრდას.

ილიას გული სწყდებდა იმ ფაქტის გამო, რომ უცხოელები, რომლებისთვისაც საქართველო და ქართველები სრულიად უცხო ცნებებია, ჩამოდიან, შრომობენ და წარმატებასაც აღწევენ, მათ შორის მატერიალურს, მაშინ როცა ქართველი ამას ვერ ახერხებს საკუთარ მიწა-წყალზე. იგი ამის მიზეზად უცხოელთა სხვადასხვაგვარი განათლებით შეიარაღებულობას მიიჩნევს, ჩვენგან განსხვავებით [9].

ადამიანთა შორის უსამართლო ურთიერთობების აღმოფხვრას იგი ხედავდა თანდათანობრივი საკანონმდებლო რეფორმის, სწავლა-განათლების გავრცელებითა და პატრიოტიზმის გაღვივებით [4].

ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების საერთო, დიდი ძალისხმევით დიდი ბრძოლისა და ჯაფის შემდეგ, დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ [3].

ილია პრიორიტეტს ანიჭებს ევროპულ ფასეულობებს, როგორც ყველაზე ღირებულ არჩევანს. მისი აზრით, ევროპული ღირებულებების განხორციელების საშუალებით შევძლებთ დაცულ იქნეს მთელი ერი, ოჯახი და თითოეული ადამიანი. მათი ყოველმხრივი კეთილდღეობა, სახელმწიფოს მთავარ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს [8].

ი. ჭავჭავაძე იბრძოდა ქალთა უმაღლესი განათლების უფლებისათვის. იგი ქალის განათლებისა და ოჯახის დედობის საკითხს ურთიერთგადაჯაჭვულად ხედავდა, რადგან თვლიდა რომ ქართველი ქალია იმ მომავალი თაობის უპირველესი ამღზრდელი, რომელსაც ჩვენ იმედის თვალით შევყურებთ, რისთვისაც ვიბრძვით [6].

ილია საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების და ზოგადად მოქალაქის ჩამოყალიბების საკითხს განათლებასა და განსაკუთრებით კი სკოლასთან მჭიდრო კავშირში ხედავდა, იქედან გამომდინარე, რომ იმ დროისათვის ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილს, სამწუხაროდ, დრო და ფინანსური

საშუალება არ გააჩნდა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. ამიტომ, ი. ჭავჭავაძე ეთანხმებოდა რა ცნობილი პედაგოგის, უმინსკის შეხედულებებს – ამბობდა: [5] „საერო სკოლის საგანი ის კი არ არის, რომ ბავშვის თავი, ცოტად თუ ბევრად, გამოჰსჭედოს სხვადასხვა-გვარის ცოდნითა, რომელიც მერე დავიწყებას მიეცემა ხოლმე, ან კიდევ ტექნიკური ცოდნა მიაწოდოს წერა-კითხვისა, არამედ ის არის, რომ სკოლაში ვარჯიშობითა გაიხსნას ბავშვმა ჭკუა და გულისყური, ბუნებრივის ღონისძიებებით გონების თვალი აიხილოს გარე შემორტყმულ ბუნებაზე და საზოგადო დამოკიდებულებაზე, იმოდენად გაიმართოს ნიჭი მართალ და თვითმსჯელობისა, რომ საკუთარის ჭკუით შეეძლოს ცნობიერად იცხოვროს და გონიერად იმოქმედოს“ [5-234, 235].

ილია ჭავჭავაძე ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებისათვის აქტიურად იყენებდა მის პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებსაც.

მისი აზრით, „ქართული ცნობიერების დეგრადაციის ერთ-ერთ უმთავრეს ხელშემწყობ მიზეზად „ერის ისტორიული მეხსიერების მოშლა“ გვევლინება [10].

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი, რომლის ორიგინალურ იდეებზე, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში საუბრობდნენ და აღიარებდნენ უცხოეთში, საქართველოში მოგვიანებით გახდა ფართო მასებისთვის ცნობილი, კონკრეტულად მისი შეხედულებებით ეროვნულ თემატიკაზე.

მ. მამარდაშვილმა აქცენტი ზოგადი, საკაცობრიო კანონზომიერებების და მისი არსის კვლევიდან საკუთრივ ადამიანის ყოფიერებისა და არსებობის ძირითადი განსაზღვრულობების გაგებაზე გადაიტანა, რაც განმსჭვალული იყო დასავლურ ფილოსოფიაში შემოტანილი ახალი ხედვებითა და ორიენტაციებით. დღესდღეისობით, თანამედროვე ფილოსოფია ორიენტირებულია სწორედ აღნიშნულ ხედვაზე.

სოკრატეს მსგავსად, არ ცნობდა რა სხვადასხვაგვარ ავტორიტეტებს, მას ადამიანის უმთავრეს დანიშნულებად სიკეთისა და ჭეშმარიტების ძიება მიაჩნდა. მისთვის ცოდნა არ წარმოადგენდა მზა, უკვე არსებულ სისტემას. იგი ეწინააღმდეგებოდა ცოდნის ავტორიტარიზმისა და იდეოლოგიზმის მარწუხებში გაქვავებას, ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო იდეოლოგიის პრინციპს, რომელიც ყოველთვის მიმართულია იქითკენ, რომ ჩაახშოს ყველა ის აზრი, გრძნობა და ფიქრი, რაც კი არ შეესატყვისება ამა თუ იმ იდეოლოგიას. იგი თვლიდა, რომ სხვებს არ შეუძლიათ განსაზღვრონ და იზრუნონ შენი ბედნიერების შექმნაზე, რადგან მათ არ შეიძლება იცოდნენ თუ რა არის ამა თუ იმ ინდივიდისთვის ბედნიერება. მ. მამარდაშვილი ბედნიერებას, პირველ რიგში, აიგივებდა შინაგან თავისუფლებასთან, რომელსაც მისი გაგებით ახშობს იდეოლოგია. „ზეპირ აზროვნებაში ეგულებოდა მ. მამარდაშვილს აზროვნებაში

ქვეყნის წყობის წამოყენება, უცარი მიხედვით, საგანთა არსში წიაღ-სვლა, ის უმთავრესი, რაც დიდი სულიერი შრომითაა მიღწეული და უეცრად განათებას მოითხოვს და რაც ადამიანის სულის ამაღლებაა, საკუთარი პიროვნების „აგების“ აქტია. ფილოსოფოსს თავის მოვალეობად მიაჩნდა სინათლის ამგვარ გზაზე დაყენებინა ადამიანები არა მარტო აზროვნების აქტებში, არამედ რწმენაში, ცხოვრებაში“ [7-279]. მ. მამარდაშვილი თვლიდა, რომ ადამიანის ცნობიერებისა და ცივილიზაციის დამოკიდებულებასთან მიმართებაში მოსალოდნელი იყო „ანთროპოლოგიური კატასტროფა“, რომელზეც იგი წერდა – „მე მხედველობაში მაქვს ადამიანი, თვით მისი კავშირი ცივილიზაციასთან, რაღაც სასიცოცხლოდ მთავარი რამ, ის რაც ანგრევს არაუკუქცევადი წესით ცხოვრების პროცესის საფუძვლებს და ურთიერთობებს. ეს პროცესი მთელი სვლით მიმდინარეობს. მისი აზრით, მთავარი არა ფიზიკურ კატასტროფებზე და სხვა ტიპის პირობებზე მსჯელობა და ფიქრია, არამედ მ. მამარდაშვილის აზრით, უმთავრესი პრობლემა, საკითხი, სწორედ ისაა, თუ რა ხდება ადამიანში.

მ. მამარდაშვილი თვლიდა, რომ განსაზღვრული სისტემის შექმნა შეუძლებელია, საჭიროა აღნიშნულზე უარის თქმა. თუმცა ეს არ ნიშნავს საერთოდ ონტოლოგიაზე უარის თქმას, მთავარია იგი ხასიათდებოდეს ჩაკეტილ სისტემაზე აგების შეუძლებლობით, სისტემურობის მკაცრი მოთხოვნების უარყოფით. აღნიშნული პრინციპი უკავშირდება როგორც თეორიას, ასევე ცხოვრების ყველა სფეროს, მაგალითად ისეთს, როგორებიცაა: ეკონომიკა, პოლიტიკა, ხელოვნება. აზროვნებაში ამ დროს დაუშვებელია რაიმე მყარი, დასრულებული დებულებებით ოპერირება.

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია მ. მამარდაშვილის შეხედულებები ქართველი ერისა და ეროვნული ცნობიერების შესახებ. აღნიშნული საკითხის შესწავლისას მან, პირველ რიგში, ერთმანეთისაგან გამიჯნა ეთნოსი და ერი. მ. მამარდაშვილის მიხედვით ქართველობა, როგორც ეთნოსი „ბუნების ელემენტია“, რომლის მამოძრავებელ ძალასაც წარმოადგენს კულტურული, სოციალური და სხვა ძალები.

„ქართველების ერთად ჩამოყალიბება ამ სხვადასხვა ძალების მოქმედებით ბუნებრივად მოცემული ეთნიკური მასალის დამუშავებით ხდება. ერი ყალიბდება იმის შედეგად, რომ ინდივიდების გარკვეული რიცხვი ეთნიკურად მოცემული ბუნებრივი რეალობის სახით აღმოჩნდება ერთი ბედისწერის წინაშე და ამ დროიდან მათი გამაერთიანებელი ხდება საერთო „ისტორიის განცდა, გამარჯვებისა და სიკვდილის ცნობიერება, საკუთარი თავის რეალიზაციის წესი“ – ამბობს მ. მამარდაშვილი [7-286]. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ჯერ იბადება ეთნიკური ქართველი, ხოლო შემდეგ ყალიბდება ქართველი, რომელიც ქართველ ერს ეკუთვნის.

მამასადამე, ეთნოსი, მ. მამარდაშვილის მიხედვით, იბადება და ცხოვ-

რობს ბუნებაში, ერი კი ისტორიაში. ქართველობა, როგორც ერი, ისტორიაში ცხოვრობს და არა ეთნოსში. როგორც ავღნიშნეთ, გარკვეული ძალები იწვევენ ეთნოსიდან ერის ჩამოყალიბებას.

მ. მამარდაშვილი თვლის, რომ ქართველობაში ეთნოსიდან ერის ჩამოყალიბება გამოიწვია ქრისტიანულმა რელიგიურმა ძალამ; სწორედ ქრისტიანობამ ჩამოგვყალიბა ერად, რაც განაპირობა ამ ეთნოსის წარმომადგენელი პირების მიერ გარკვეული სულიერი აქტების განხორციელებამ. აღნიშნულ საკითხში, მ. მამარდაშვილი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, თითქმის გადამწყვეტ როლს ანიჭებს იმას, რომ ქართველებმა ქრისტიანობა პირველქმნილი წყაროებიდან, სახარებისეული ქრისტიანობა მიიღეს, რაშიც „მძლავრად ჟღერდა თავისუფლების მოტივი, ისე, როგორც პიროვნული და პირველადი საწყისების მოტივი“ [7-287]. მ. მამარდაშვილის აზრით, სწორედ აღნიშნული გავლენით გახდა ქართველი ერი „მიდრეკილი ევროპისაკენ, განსხვავებით სხვა ერებისგან, რომელთაც ქრისტიანობა ბიზანტიისაგან მიიღეს უკვე გაქვავებული, სქემაში ჩასმული სარწმუნოების სახით“ [7- 287].

მ. მამარდაშვილი წუხს იმის თაობაზე, რომ ქართველმა ერმა, რომელმაც გემო გაუგო კარგად ცხოვრებას, ეკონომიკურ კეთილდღეობას, დაკარგა რაღაც მისთვის ძალიან დამახასიათებელი - კეთილშობილება და მისთვის დამახასიათებელი მრავალი კრიტერიუმი, იგი წუხს, რომ ქართველმა ხალხმა თავის თავში დაკარგა ილიას მიერ შემოთავაზებული გზა.

მ. მამარდაშვილი თვლიდა, რომ ერის ფიზიკურ თვითგადარჩენაზე ორიენტირების გამო, მასში ცოტა თუ მოიძებნება „კომპეტენტური, ნამდვილ გონებრივ სიმწიფემდე მიღწეული ადამიანი“ [7-294], მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი აზრით, ქართველებს მაინც აქვთ შენარჩუნებული „ქართული ღირსება“, რაც თავისუფლებისა და ინდივიდუალობისკენ სწრაფვაში გამოვლინდა.

იგი დიდ როლს აკისრებს ქართულ ინტელიგენციას საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებისა და განვითარება-განახლების საქმეში.

მ. მამარდაშვილის აზრით, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელია დემოკრატიის წიაღში შესვლა, „საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობის გარანტიად მამარდაშვილს ერთ-ერთი იმ პირობის შესრულებაც მიაჩნდა, რომ ქართველები კარგად უნდა გაერკვნენ საკუთარ ისტორიულ დანიშნულებაში და გააცნობიერონ თანამედროვე სამყაროში მოქმედი ისტორიული ძალები და მათი მოქმედების შედეგები, რადგანაც საქართველო „ჩართულია მსოფლიო დინებაში, რომელშიც ჩვენი ბედი ჯერ კიდევ ჩვენთვის მიუწვდომელ დონეზე წყდება“ [7-301].

დასკვნა

ამგვარად, ქართველი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწენი ყველა ეპოქაში

დაკავებულნი იყვნენ ამ ყოველმხრივ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობით და ამით ნაბიჯ-ნაბიჯ თავის წილ ღირებულ აგურს დებდნენ ქვეყნისა და საზოგადოების ღირსეული განვითარების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტორთა ჯგუფი. პედაგოგიკის ისტორია“. თბ., 1998.
2. ავტორთა ჯგუფი. „ფილოსოფიურ-თეორიული მიმოხილვა“. ქვეთავი - „ათონელი მამები, იოანე პეტრიწი და გელათური აზროვნების პრინციპის დაფუძნება“. პროფ. დ. ჯალაღონია. თბ., 2009.
3. ბაქრაძე ა. „ილია ჭავჭავაძე“, თბ., 2006.
4. რატიანი პრ., „რჩეული ნაწარმოებები“, ტ. II, თბ., 1985.
5. ჭავჭავაძე ი. თხზულებები. თბ., 1987.
6. ჭავჭავაძე ი. „პუბლიცისტური წერილები“. ტ. 4, თბ., 1987.
7. ჭელიძე მ., „ქართული ეროვნული ფილოსოფიურ-ისტორიული ასპექტით.“ თბ., 2002.
8. <http://nes-g.org/?p=790>
9. <http://zneoba.ge/271>
10. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.6&d=HASH01f3cd9a33b20197e be21e59.8.2>

*Lika Arveladze, PhD student
Georgian Technical University*

The views of Georgian thinkers about the role of education in the formation and development of the society

Summary

The views of Georgian thinkers about the role of education in the formation and development of the society is briefly discussed in the article. It is shown that since the ancient times, the Georgian thinkers have been appreciating and given great importance to the education in the formation and development of the society. According to the author their views are so profound that they do not lose the value they are worthy of being taken into consideration.

Keywords: *Georgian thinkers, community formation, public figure, Athos school, education, mental development, secular school*

ფილოლოგია

PHILOLOGY

გორში დასტამბული პირველი წიგნი

*მურმან თავდიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

კულტუროლოგიური თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ქვეყნის მიღწევები მწიგნობრობაში. ამ მხრივ საგულისხმოა ბეჭდვითი სიტყვის ვითარება და დასაწყისი ქართლის ისე მნიშვნელოვან ცენტრში, როგორიცაა გორი. XVII-XVIII საუკუნეებში ოსმალეთის პოლიტიკურმა, იდეოლოგიურმა და სამხედრო ზეწოლამ მთლიანად საქართველოზე, განსაკუთრებით კი ქართლზე, უკიდურესად მწვავე ხასიათი მიიღო. ქართლის პოლიტიკური ელიტა აღნიშნულის წინააღმდეგ სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. ერთ-ერთია რელიგიურ-იდეოლოგიური წინააღმდეგობის გაწევა. ამ მიზნით იგი იყენებდა იმ დროს გორში არსებულ კათოლიკურ ძალებს. ამ საერთო ძალისხმევის შედეგია გორში სტამბურად გამოცემული პირველი წიგნი. ეს გახლავთ თომა კემფელის „ქრისტეს მიბაძვა“. ეს თეოლოგიურ-დამრიგებლური შედეგრი ჯერ კიდევ 1720-იან წლებში უნდა ეთარგმნათ, ხოლო მეორედ გადმოაენეს და დაბეჭდეს კიდევ 1889 წელს. ერთ-ერთი პირველი ვარიანტი უთარგმნია გორელ დავით ტულუკაშვილს, მომდევნო – ანსელმო მღებრიშვილს. ისინი ქართველი კათოლიკეები იყვნენ.

საკვანძო სიტყვები: *ბეჭდვითი სიტყვის კულტურა, XVII-XVIII ს-ის ქართლი, თომა კემფელი, „ქრისტეს მიბაძვა“.*

შესავალი

მსოფლიოს კულტურულ აღორძინებაში გუტენბერგის გამოგონებამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა. ამიერიდან ყოველი ქვეყნის წიგნიერების არეალი გაიზარდა, გაფართოვდა. საქართველო აღნიშნულ პროცესს არ უნდა გარიყვოდა. ვახტანგ მეექვსემ რომ 1708 წელს თბილისში სტამბა გამართა, სწორედ აღნიშნულის მოდასტურება. ქალაქი გორი ამ მხრივაც ქართული კულტურის ფარვატერში ჩადგა. ამიტომ ერთობ საინტერესოა, თუ სახელდობრ რომელი წიგნი გამოსცეს იქ პირველად და ისიც, თუ რატომ?

სწორედ აღნიშნულ საკითხებს ეხება წინამდებარე გამოკვლევა.

ძირითადი ნაწილი

ოსმალეთის მიერ ქართველთა გათათრება იწყება 1629 წლიდან და პერიოდულად გრძელდებოდა 1878 წლამდე. სწორედ ამ პერიოდში ძლიერდება რომის მიერ საქართველოსადმი ყურადღება და კულტურული დახმარება, მორალური მხარდაჭერა. 1629 წელს რომში დააარსეს ქართული სტამბა, დაბეჭდეს წიგნები ივერიელთა ენაზე და დაიწყეს განათლებული პირების საქართველოში გაგზავნა. რომშივე გაიხსნა სპეციალური კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელ“, სადაც მოღვაწეობდნენ ქართულის სპეციალისტები და საქართველოს კარგად მცოდნე პირნი. ამ სპეციალურ სასწავლებლებში იწვრთნებოდნენ და შემდგომ საქართველოში სამოღვაწეოდ იგზავნებოდნენ ქართლიდან და მესხეთიდან წარგზავნილი ყმაწვილები. ყოფილა შემთხვევა, როდესაც „მეფის რჩეულ“ პირებსაც მიუციათ რეკომენდაცია ვატიკანის წინაშე ასეთი ყმაწვილებისათვის. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, სულ 27 ქართველ კათოლიკეს მიუღია სწავლა–განათლება „პროპაგანდა ფიდელში“. ამ ორგანიზაციაში ქართველი კათოლიკენი იწვრთნებოდნენ ქართულსა და ლათინურ ენებში, თარგმნის საქმეში, ქრისტიანობის (კათოლიციზმის განხრით) არსში ღრმად ერკვეოდნენ და წერდნენ საეკლესიო შრომებსაც, ადგენდნენ ლექსიკონ–სიტყვარებს, გრამატიკულ წიგნებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დავით ტულუკაშვილი, გორელი კათოლიკე, რომელიც სულხან–საბას რეკომენდაციითა და მეცენატ ზუბალაშვილის დახმარებით წასულა რომში 1724 წელს.

კათოლიკობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა წარმატებით ვრცელდებოდა. მე–18 საუკუნის მთელი მესხეთის ქართველობა ან კათოლიკე გახდა, ან – მაჰმადიანი. თბილისში ჯერ კიდევ 1703 წელს ჩამოყალიბდა კათოლიკეთა გაერთიანება. მაშინდელი საქართველოს მეორე ქალაქ გორში კი 1723 წელს ქართველ კათოლიკეთ დაუარსებიათ ძმობა „სავარდისი“. იყო თუ არა ამ ძმობის წევრი ჭაბუკი დავით ტულუკაშვილი, არ ვიცით, მაგრამ კათოლიკური ძმობის მიერ სულიერად გაწვრთნილი ნამდვილად ჩანს.

მიქელ თამარაშვილის მოწმობით, ამ ახალგაზრდას დიდი ნიჭი და გულმოდგინება გამოუჩენია და დაუყოვნებლივ შესდგომია მთარგმნელობით საქმიანობას. უფროსთა დავალებით მას უნდა ეთარგმნა და შემდეგ ქართულ ენაზე დასასტამბად წარედგინა სხვადასხვა საქრისტიანო თხზულება. მართლაც, ტულუკაშვილმა (ზოგი მეცნიერი, მაგ. შ. ლომსაძე ფიქრობს, რომ იგი პაპაშვილი იყო) უკვე 1733 წელს წარუდგინა სპეციალურ კოლეგიას მის მიერ ლათინურიდან თარგმნილი „საქრისტიანო მოძღვრება“. მაგრამ, როგორც ცნობილი მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე წერს, „პატრი დავითას შრომა მარტო „საქრისტიანო მოძღვრების“ თარგმანით არ გათავებულა... გადარჩა მხოლოდ რამდენიმე წერილი და ერთი ვრცელი თარგმანი „მიბაძვა ქრისტესი“... თუმცა პატრი დავითას მიერ ნაშრომს არ ეღირსა დაბეჭდვა და იგი ერთის მხრით ჩვენი დროისათვის არც გამოდგებოდა... გორში თარგმნა და გორშივე გამოსცა იგივე ნაშრომი ანსელმო მღებრიშვილმა“ (3, 75).

მართალია, გორელ კათოლიკეს, რომში გაწვრთნილ პიროვნებას დავით ტულუკაშვილს, ვერ დაუბეჭდავს თავისი თარგმანი, მაგრამ იგი ხელნაწერებად გავრცელებულა და მოიპოვებოდა როგორც თბილისში, ისე გორში, მესხეთში, ჯავახეთსა და ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ამ წიგნის მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან ზოგს აწერია, რომ ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ნაქონია, ზოგსაც – გორის კათოლიკური ეკლესიის მონაპოვარი და ა.შ. დავით ტულუკაშვილის ნაკალმარი დაცული ყოფილა სამცხე-ჯავახეთის მუზეუმშიც (2, 56).

როგორცა ჩანს, მაინც ისევ გორელ კათოლიკეთა ფრთას უმარჯვია და პირველი წიგნი, რომელიც გორში გამოუციათ – ეს იყო იმავე თომა კემფელის ზემოაღნიშნული თხზულება „ქრისტეს მიბაძვა“, ამჯერად ხელმეორედ თარგმნილი ლათინურიდან გორელი პატრის ანსელმო მღებრიშვილის მიერ. ანსელმო მღებრიშვილმა, რომელმაც „პროპაგანდაში“ მიიღო განათლება და ზუბალაშვილის საფასით ბათუმის კათოლიკური ეკლესია ააგო, „ქრისტეს მიბაძვის“ I-IV ნაწილები სტამბური წესით გამოსცა გორში 1889 წელს. ზაქარია ჭიჭინაძე ამ პიროვნების შესახებ დაწერილ ნარკვევში საგანგებო ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ეს იყო გორში პირველად დასტამბული წიგნი, რომ, გარდა თბილისისა, სხვა ქართულმა ქალაქებმაც უნდა იწყონ კულტურული აღორძინება და ბეჭდონ წიგნებიო. „ეს წიგნი საინტერესოა იმიტაც, რომ იგი დაიბეჭდა ქ. გორს, პირველად გორში. მართალია, სტამბა არის, მაგრამ აქ ქართული წიგნი არავის დაუბეჭდია. ეს პირველი მაგალითი იყო“. შემდეგ ცნობილი მწიგნობარი აქეზებს ქართული კულტურის მესვეურთ, რათა შემდგომშიც მოინდომონ და განაგრძონ ეს სასახელო და საშვილიშვილო წამოწყება.

თბილისის ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულია ანსელმო მღებრიშვილის მიერ თარგმნილი თომა კემფელის ზემოაღნიშნული წიგნი.

მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება, თუ შემოკლებით მოვიყვანთ მთარგმნელის წინასიტყვაობას:

„ეს სახელგანთქმული თხზულება „მიბაძვა ქრისტესი“ ამ ჟამად პირველად დაიბეჭდა ქართულს ენაზედ. მართალია, ზოგიერთთა პატივცემულთა და შრომისმოყვარე პირთა წინათაც უცდიათ ამ წიგნის გადმოღება ქართულად, მაგრამ, რადგანაც მათს შრომაში, სამწუხაროდ, ბევრი იმისთანა ნაკლულევანებანი მოიპოვებიან, რომელნიც არა მცირედს ღირსებას უკარგავენ თხზულებას, ამის გამო მეც კვალად განვიზრახე თარგმნა მისი. ამჟამად დაიბეჭდა ორი პირველი წიგნი, დანარჩენი ორი წიგნი მზად მაქვს, მაგრამ ეხლა ამ წიგნთან ერთად ვერ ვბეჭდავ, რადგან გადასასინჯია...

ამ წიგნის ავტორი არის დიდებული თომა კემფელი, რომელიც ცხოვრობდა მეთხუთმეტე საუკუნეში და რომელიც დასავლეთის წმიდა ეკლესიისაგან შერაცხულია წმინდანად. თომა დაიბადა 1380 წელსა, სოფელს კემპში; მშობელნი მისნი ღარიბი გლეხი-კაცები იყვნენ და ამის გამო საკუთარს ხარჯით მათ არ შეეძლოთ აღეზარდათ თავიანთი ნიჭიერი შვილი. ამიტომ იგი მისცეს ერთს სასწავლებელში, სადაც ღარიბ ბავშვს საზოგადოების ხარჯზედ ზრდიდნენ. როდესაც მაღალნიჭიერმა თომამ სწავლა დაამთავრა, გახდა წევრად იმ მეცნიერთა საზოგადოებისა, რომელსაც განათლებული და გულმზურვალე ბერნი შეადგენდნენ. აქ მიიღო ბერობა და იწყო სასარგებლო მოღვაწეობა. მომეტებულად მწერლობას აქცევდა ყურადღებას და ამ ასპარეზზედ მან გამოიჩინა გასაოცარი ნიჭი, ცოდნა და შეგნება საღმრთო წერილისა. დასწერა ასზედ მეტი სხვადასხვა თხზულებანი, რომელთა შორის ყველაზედ წარჩინებული და დიდებულია „მიბაძვა ქრისტესი“. ერთი ის გარემოება, რომ ეს წიგნი დღეს დედამიწის ზურგზედ მოფენილია, ცხადად აჩვენებს მისი ღირსების სივრცე-სიდიდეს. ჰკითხულობთ ამ წიგნს და მის სიმშვენიერით აღტაცებულმა აღარ იცით, რას მიაქციოთ უმთავრესი ყურადღება – აზრთა სიღრმე-სიუხვეს თუ მაღალ გრძნობათა სიტკბოებას, პოეზიის დიდებულებას თუ ენის სინარნარეს...“ (1,3).

ანსელმომღებრიშვილისავსებითმართალია.თომაკემფელიშუასაუკუნეების მისტიკოს–ფილოსოფოსია. იგი გახლავთ ერაზმ როტერდამელის სკოლის ერთი დიდი წარმომადგენელი, აგნატენბერგის მონასტრის კანონიკი. მან შუასაუკუნეების ლათინურით დაწერა რელიგიური ტრაქტატები. „იმიტაციო ქრისტი“ 1427 წელს არის შექმნილი და ისიც თომა კემფელს მიეწერება, ვინაიდან ეს თეოლოგი ნაშრომებს სახელს არ აწერდა, რადგან ფიქრობდა: მთავარია არა ის, თუ ვინ დაწერა, არამედ ის, თუ რა დაწერა. და ეგ როდი გახლდათ ანაფორიანი ბერის სიჯიუტე. ეს გამომდინარეობდა მისი ფილოსოფიური პლატფორმიდან. პირველი ფრაზა, რომელიც „ქრისტეს მიბაძვიდან“ აქ მომყავს, სწორედ ამგვარ თვალსაზრისს ავითარებს: „ნუ ეძიებ, ვისგან არის თქმული, არამედ შეისმინე,

რაც არს თქმული“. „მიბაძვას“ ბრწყინვალე ენობრივ ქსოვილსა და მხატვრულ პასაჟებთან ერთად ახასიათებს აზრის სიცხოვლე და სინათლე. ამიტომაც არის, რომ წიგნს ხელნაწერებად ავრცელებდნენ. წესად იყო დადებული – ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანს უნდა ჰქონოდა იგი. როდესაც საბეჭდი მანქანები გაჩნდა, „წმინდა წერილის“ შემდეგ მეორე წიგნად ეს თხზულება ისტამბულოდა და თითქმის ყველა ენაზე (და არა მარტო ქრისტიანულ ენებზე) გადათარგმნეს. მეოცე საუკუნემდე 2000-ჯერ მაინც გამოიცა. რუსულად პირველად 1647 წელს უთარგმნიათ, ხოლო ქართულად, თუ უწინარეს არა, 1720-იან წლებში მაინც უნდა თარგმნილიყო.

მკითხველს რომ გარკვეული წარმოდგენა მაინც შეეძქმნეს მღებრიშვილისეულ თარგმანზე, მის ხარისხსა და თვით წიგნის ღირსებაზე, მოვიყვან რამდენიმე ფრაზას (სხვათა შორის, თარგმანის ხელნაწერი წაუკითხავს და სტილი გაუსწორებია ნიკო ლომოურს).

„მრავალნი გაურბიან საცთურს და... შიგ ვარდებიან“.

„სახმილი გამოსცდის რკინასა, საცთურება – კაცსა“.

„ყოველ დროს, როდესაც კაცთა თანა ვიმყოფები, სახლში ვბრუნდები რაიმე ნაკლულოვანებებით“.

„ხშირად ბოროტებას სჩავდივართ, მაგრამ უფრო დიდი სიბოროტე ის არის, რომ თავსაც ვმართლულობთ“.

„კაცი ხედავს პირსა, ღმერთი – გულსა“.

„კაცი ხედავს მოქმედებასა, ღმერთი – აზრსა მოქმედებისასა“.

„იესოს აწ მრავალნი ჰყავს თავისი ზეციურის სასუფეველის მოყვარულნი, მაგრამ მისის ჯვარის მტვირთველნი კი ცოტანი არიან“.

„მრავალსა ჰპოულობს მაცხოვარი ტაბლაზედ თანამეინახეთა, ხოლო მცირედთა თვისთან მემარხულებთა“.

„მრავალნი შეუდგებიან ქრისტეს გატეხვადმდე პურისა, ხოლო მცირედნი შესმადმდე ვნებისა ბარძიმისა“.

„ყოველთვის განმზადებულია ჯვარი და ყოველგან გელის იგი შენ“.

როგორც ვხედავთ, თომა კემფელის ზოგიერთი გამოთქმა აფორიზმის დონეს აღწევს. ყველაფერი ეს კი ისე ამშვენებს ქ. გორში პირველად გამოცემულ წიგნს, როგორც უზარმაზარი თეოლოგი მოაზროვნის თომა კემფელის სახელი – მსოფლიო კულტურის საგანძურს.

დასკვნა

ბეჭდვითი სიტყვის კულტურა მთელ საქართველოში ვრცელდებოდა უკვე 1708 წლიდან. ამის მჭევრმეტყველური ფაქტია გორში დაბეჭდილი პირველი წიგნი, რომელიც მიმართული იყო ქრისტიანობისაგან განმდგარი მრევლის სულიერი გაჯანსაღება-განმტკიცებისაკენ.

ლიტერატურა:

1. კემფელი თომა, მიბამცა ქრისტესი, გორი, 1889.
2. ლომსაძე შოთა, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, თბილისი, 1979.
3. ჭიჭინაძე ზაქარია, უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა, გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა, ტფილისი, 1898.

*Murman Tavdishvili, Professor
Georgian Technical University*

The first printed book in Gori

Summary

From the cultural point of view, achievements in literacy are very important for a particular country. In this regard, situation and beginning of print is noteworthy in such important centers of Kartli, like Gori. In XVII-XVIII centuries, the political, ideological and military pressure from Ottoman Empire became extremely acute in Georgia, especially in Kartli. The political elite of Kartli used different methods against it. One of them is a religious-ideological resistance. For this purpose, they used the Catholic forces existing in Gori. The result of the general effort is the first printed book in Gori. And this book was “Imitation of Christ” by Thomas A Kempis. This theological-pastoral masterpiece has to be translated in the 1720s, but it was translated for the second time and printed in 1889 year. One of the first versions was translated by Davit Tulukashvili from Gori, and the second one by Anselmo Mgebrishvili. They were Georgian Catholics.

Key words: *Print culture, Kartli in XVII-XVIII centuries, “Imitation of Christ” by Thomas A Kempis.*

ლიტერატურა და ხელოვნება – კომუნიკაციის გამორჩეული საშუალება

*გურამ გვენეტაძე, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ანოტაცია

ესთეტიკა ყოველთვის მიუთითებდა ხელოვნებაში იდეალურისა და მატერიალურის შერწყმის აუცილებლობაზე. ამ მხრივ უფრო თვალსაჩინო ნიმუშებს იძლევა სიტყვიერი ხელოვნება, უფრო კი - პოეზია. იდეალური მასალის მატერიალურობა ყველაზე უკეთ სწორედ ამ სფეროში ხდება. ეს ბუნებრივია, რამეთუ კომუნიკაციის ყველაზე ძლიერი სფერო სწორედ მეტყველებაა, ვერბალური კომუნიკაციაა.

ენა სემანტიკურ-ესთეტიკურ ფენომენებს აერთიანებს. ეს მონოლითი უკეთ ვლინდება პოეზიაში, სადაც აზრისა და გრძნობის გადმოცემას უფრო შეკუმშული, მჭიდრო ხასიათი აქვს. პოეზიას პროზასთან შედარებით იმიტომ ენიჭება უპირატესობა, რომ აქ კონდენსირებულია ემოციურსა და რაციონალურის შეკავშირება რიტმის მეოხებით.

ჟირმუნსკის, გაწერელიას, მამარდაშვილის მეტრიკულ ნაშრომებში გამოკვეთილია იდეა, რომ რიტმი ახდენს წესრიგისა და უწესრიგობის დაბალანსებას, რაკილა პოეზიის მკაფიოდ გამოხატული მხატვრული კანონი იმორჩილებს მეტყველების სტიქიას და აძლევს მას მოწესრიგებულ ხასიათს. ამ პრობლემის ყველაზე უკეთ გადაჭრას ახერხებს სემიოტიკა. მამარდაშვილმა პირველმა შენიშნა: ლექსის ორგანიზაციაში მნიშვნელოვანია მისი ცალკეული ნაწილების აზრობრივ-აკუსტიკური ეფექტი, ოღონდ ამ ცალკეულ ნაწილთა შეერთება ქმნის კიდევ ახალ მხატვრულ სინამდვილეს, რომელიც უკვე აღარ დაიყვანება ცალკეულ ნაწილთა მხატვრულ სინამდვილეზე. თუ ცალკეულ ფრაგმენტთა დანიშნულებას რიტმულად შევკრავთ, მივიღებთ მთლიანის ზედანიშნულებას, სუპერდანიშნულებას.

ლექსში ყველაზე მკაცრად ხდება იდეისა და შინაარსის შეჯახება, რაც საბოლოოდ ბადებს ამა თუ იმ ფორმას.

ფორმისა და იდეის უმაღლეს მოთხოვნას ძნელად ემრჩილება მატერიალური მასალა (სიტყვები, ბგერები, სინტაგმები, ფრაზები), ოღონდ თუ ეს სრულყოფილად ანდა სედარებით სრულყოფილად ხდება, ვიღებთ გენიალურ ქმნილებებს („ყორანი“, „მერანი“, „ფარისი“, „ფაუსტი“...).

შეინიშნება საყურადღებო ფაქტი: გარდაქმნებისა და რევოლუციების ეპოქაში, როცა საზოგადოების კულტურის დონე დაბლდება, წინ მოიწევს მატერიალურისა და შინაარსის პრიმატი და უკან იხევს იდეალურისა და მხატვრული ფორმის ელემენტი და პირიქით, წყნარი ცხოვრებისა და კეთილდღეობის

ვითარებაში წინ წამოიწევს მაღალი ფორმა და ესთეტიზმი, ხოლო უკან იხევს უხეში ფორმები და უწესრიგო ელემენტები.

***საკვანძო სიტყვები:** ესთეტიკა, ეთიკა, ხელოვნება, იდეალური, მატერიალური, ხელოვნება.*

შესავალი

ესთეტიკაში საერთო წესად იქცა ხელოვნების განხილვა, როგორც იდეის განხორციელება, ხელოვნების ამა თუ იმ სახეობის მასალაში, როგორც იდეალურისა და მატერიალურის შეერთების განუყოფელი ერთიანობა. კანტი წერდა: „წარმოსახვა (როგორც პროდუქტიული ნიჭიერება) ძალიან ძლიერია სხვა ბუნების შექმნაში იმ მასალისგან, რომელსაც მას ჭეშმარიტი ბუნება აძლევს და წარმოსახვა გადააქცევს ამ მასალას სრულიად სხვა რამედ, სახელდობრ, იმად, რასაც უპირატესობა აქვს ბუნებასთან შედარებით“.¹

ესთეტიკა, როგორც წესი, ზოგადად მიუთითებდა ხელოვნებაში იდეალურისა და მატერიალურის შეერთების აუცილებლობაზე. ამ საკითხს უფრო კონკრეტულად გადავწყვეტთ, თუ ხელოვნების ნაწარმოებს მივაკუთვნებთ ადამიანის მხატვრული მოთხოვნილების სტრუქტურას. მხოლოდ სისტემის – „ადამიანი – მხატვრული ნაწარმოები“ – განხილვას შეუძლია მოგვცეს კონკრეტული შედეგი.

ძირითადი ნაწილი

საკითხი განვიხილოთ პოეზიის მაგალითზე, რამეთუ იგი სხვებზე უფრო თავისუფალია თავისი კომუნიკაციური მიმართებით მატერიალურისადმი. ჰეგელი პოეზიას სწორედ ამ მიზეზით განიხილავდა, როგორც აბსოლუტური სულის ყველაზე სრულ გამოსახვას ხელოვნებაში. სხვა, უფრო „გარეგან“ ხელოვნებებს მეორე პლანზე აყენებდა. ესენია: კულტურა, არქიტექტურა, ფერწერა და ა.შ.

მაშ, ვუჩვენოთ, როგორ ხდება იდეალური შინაარსის „მატერიალიზაცია“ ყველაზე თავისუფალ ფორმაში.

ლიტერატურული ნაწარმოები, როგორც სისტემა, აგებულია სიტყვიერ მასალაზე – ჩვეულებრივ, ვერბალურ კომუნიკაციაზე.

ენა – რამდენადმე განსაკუთრებული მასალაა ხელოვნების სხვა მასალებთან შედარებით. იგი უკვე სემანტიზებულია იმ დროს, როდესაც ხელოვნების სხვა სახეობათა მასალები „უსულოა“ ან მუნჯია (გარდა მუსიკისა).

ამიტომ გავაკეთოთ რამდენიმე წინასწარი შენიშვნა ენის, როგორც კომუნიკაციის ფენომენის, ანუ ლიტერატურის მასალის, შესახებ.

ენა, როგორც ცნობილია, წარმოიქმნა ადამიანებს შორის კომუნიკაციის

¹ კანტი ი., თხზულებები ექვს ტომად, ტ. 5, მ.: გამომც. „აზრი“, 1966, გვ. 77-78.

საჭიროების შედეგად პირველყოფილ ეპოქაში მათი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში.

ენა – ეს არის სემანტიკური და ესთეტიკური მრავალფეროვნების რთულად ორგანიზებული სისტემა. სემანტიკურისა – იმდენად, რამდენადაც ენა ასახავს სინამდვილისა და ადამიანის შინაგან მდგომარეობათა მრავალფეროვნებას (რადგან მხოლოდ განსხვავებისა და მრავალფეროვნების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს და დაფიქსირდეს ეს მოვლენები და მდგომარეობები), ესთეტიკურისა – ვინაიდან თვითონ ენა სტრუქტურულად და პროცესუალურად უნდა ფლობდეს ასახულ მრავალფეროვნებას თავის ჟღერადობაში. ამიტომ, ისევე როგორც თვით ბუნება წარმოადგენს უტილიტარულ და ფუნქციონალურ მოთხოვნილებათა ერთობლიობას, ასევე ენაც ამ ორ ფუნქციას ამოდელირებს მათ განუყოფელ შეხამებაში. იგი თავის ტენდენციაში ატარებს არა მარტო სემანტიკურ, არამედ ესთეტიკურ ინფორმაციას, ენის ესთეტიკური ფუნქცია მის მრავალფეროვნებაში ფონემების (თანხმოვანი და ხმოვანი ბგერების მონაცვლეობა). სიტყვების (აზრობრივ მნიშვნელობათა მრავალფეროვნება) და აგრეთვე სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტილისტური თავისებურებების (უფრო მსხვილი აზრობრივი ერთეულები ენის ესთეტიკურ მხარეებთან შეხამებით) დონეზე.

ენის სემანტიკური და ესთეტიკური ფუნქცია განუყოფლადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და შეადგენს ენის, როგორც ურთიერთობის რთული სისტემისა და კომუნიკაბელურობის მხატვრული ლიტერატურის საფუძვლისა და მასალის ურთიერთშემავსებელ მხარეებს.

მხატვრულ ლიტერატურაში ენის ეს მხარეები გროვდება და კონვერტირებას ახდენს სინამდვილისა და ადამიანის შინაგანი სამყაროს აზრობრივ მნიშვნელობათა უფრო სრულად და აქტიურად ასახვაზე.

პოეტური ტექსტის ორგანიზაციის ზოგადი და პოეტური წესების მთელი ერთობლიობა შეადგენს მხოლოდ მხატვრული ენის ფუნქციონირების შესაძლებლობას ან იდეალურ სქემას, რომლის რეალიზება ხდება მხატვრული შემოქმედების მთელ პრაქტიკაში, ესე იგი, პოეტური სტრუქტურის მატერიალიზაციის სხვადასხვა ვარიანტებში. პოეტური ნაწარმოებების მთელი არსებობა წარმოადგენს მუდმივად არსებულ საშუალებათა ვარიანტების განხორციელებას, რომ არსებული კომუნიკაციის ინვარიანტის საფუძველზე შეიქმნას პოეზიის ენა.

როგორც ჩანს, პოეტიკაში არსებითად დიდი ხანია უკვე დადგენილია კომუნიკაციის ორგანიზების კანონზომიერებანი, რომლის კვლევა ინფორმაციის თეორიაში ხდება რაოდენობრივ ჭრილში (ორიგინალობისა და ბანალურობის თანაფარდობა, წინასწარ სათქმელისა და იმის თანაფარდობა, რაც წინასწარ არ ითქმის).

მ. მამარდაშვილის სამართლიანი შენიშვნის მიხედვით, რიტმი არის

მრავალფეროვნების ერთიანობა, სადაც ერთიანობას და მათგან მიზნულ პრინციპებს წარმოადგენს მეტრული კანონი, ხოლო მრავალფეროვნებას – ენების განსხვავება ხარისხისა და ხანგრძლივობის, სიმაღლისა და მახვილის ძალის მიხედვით, მათი დაჯგუფება სიტყვებად ან სხვადასხვა მოხაზულობათა ფრაზულ ჯგუფებად, აგრეთვე სინტაქსურ გადამშლულობათა ცოცხალი სიმრავლე, და ბოლოს მეტრისა და პოეტური სახეების თანაფარდობა.¹

საბოლოო ჯამში მეტრისა და ენის თავისებურებათა თანაფარდობას მეცნიერები აიგივებენ, როგორც წესრიგისა და უწესრიგობის, ანუ „ქაოსის“ ერთიანობას, რაც შეესაბამება შეტყობინებათა სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის თეორიას.

ყველა ეს დაკვირვება პოეზიის ხანგრძლივი და ნაყოფიერი კვლევის შედეგი – უდავოდ ასახავს პოეტური ტექსტის როგორც ხელოვნების სტრუქტურის საერთო კანონზომიერების, გამოვლენას.

როგორც ლიტერატურისმცოდნეობითი და სემიოტიკური კვლევებითაა დადგენილი, ყოველი მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს გარკვეულ იერარქიულ სისტემას, რომლის მიზანია მხატვრული ინფორმაციის მოვლას შენახვა და გადაცემა გარკვეული წესებისა და ხერხების დახმარებით. ამასთან, წამყვანი და მთავარი არის შინაარსი, რომელიც განისაზღვრება ხან როგორც იდეა, ხან როგორც მხატვრული ნაწარმოების აზრი, ან მნიშვნელობა. თითქმის ყველა მკვლევარს სწამს, რომ იდეა ან აზრი გამოიხატება ხელოვნების ნაწარმოების ყველა ელემენტში ან ყველა მათ ერთობლიობაში.

მაგრამ ამ საერთო დებულების დაკონკრეტებისას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარმოიშობა პრინციპული სიმძნელები იმის ახსნაში, თუ ეს იდეა ან აზრი როგორ „ჩნდება“ ელემენტების მთელი ამ ერთობლიობით. თუმცა ხელოვნების სხვა სახეებთან შედარებით პოეზია თვალნათლივ უჩვენებს მხატვრული სისტემის მრავალ თავისებურებას – მის სტრუქტურულ-სისტემურ მთლიანობას, მისი ქვესისტემების ურთიერთმოქმედების ხასიათს, დროში და სივრცეში მათი ყოფიერების ხერხს, პოეტური სისტემის შეპირობებულობას ადამიანური აღქმის კანონზომიერებებთან და ა. შ.

ამ პრობლემათა კვლევის ერთ-ერთი პროდუქტიული მეთოდი ეს არის სემიოტიკური, რომლებიც სხვადასხვა ვარიანტებით წარმოდგენილია ბოლოდროინდელ მეცნიერულ კვლევებში.

მრავალი უცხოელი თუ ჩვენი სემიოტიკი დიდ ყურადღებას უთმობს სწორედ აღნიშნულ პრობლემებს, მაგრამ, პირველ ყოვლისა, მხატვრული ნაწარმოების მთლიანობის პრობლემას, მისი ქვეტექსტების კავშირს ერთიან აზრობრივ ან შინაარსობრივ სემანტიკებთან.

მაგალითად, ჩეხი სტრუქტურალისტის იან მუკარჟოვსკის აზრით,

¹ მამარდაშვილი მ., „ცნობიერების ტიპოლოგია“, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი, 2003.

„მხატვრულ ნაწარმოებში ძალზე მნიშვნელოვანია აზრობრივი მთლიანობა და წინასწარგანზრახულობა – ეს ის ძალაა, რომელიც აგროვებს ნაწილებს და აზრს აძლევს ნაწარმოებს“.¹

არსებობს ტერმინი „სემანტიკური ენერგია“. თავისი თავისებურებებისა და მისი გაურკვევლობის პირობებში ხელოვნების მაორგანიზებელ პრინციპად მისი აზრობრივი ერთიანობის გამოხატვისაკენ სწრაფვის აღიარება სწორია. ამ თვალსაზრისს საერთოდ იზიარებს ბევრი ჩვენი სპეციალისტიც პოეტიკის სფეროში, ყველაზე მკაფიოდ და ყოველმხრივ იგი გამოხატულია მ. მამარდაშვილის შრომებში.

„ლექსი რთულად აგებული აზრია, – წერს იგი, ყველა ელემენტი – არსის აზრობრივი ელემენტები, წარმოადგენენ გარკვეული შინაარსის აღნიშვნებს... ეს ნიშნავს, რომ შედიან რა ლექსის ერთიანი სტრუქტურის შემადგენლობაში, ენის ნიშნადი ელემენტები აღმოჩნდებიან შებოჭილნი თანაფარდობათა და დაპირისპირებათა რთული სისტემით, რომლებიც შეუძლებელია ჩვეულებრივ ენობრივ კონსტრუქციაში. ეს თითოეულ ელემენტს ცალ-ცალკე და მთელ კონსტრუქციას მთლიანად აძლევს სრულიად განსაკუთრებულ სემანტიკურ დატვირთვას“.²

როგორც მეცნიერმა გვიჩვენა, ორგანიზებულობით იმსჯელება პოეტური ტექსტის ყველა დონე, ფონემებიდან დაწყებული. ასე, მაგალითად, ამ უკანასკნელთა დონეზე მოწესრიგებას ახორციელებს ამ ფონემების განმეორებადობის მეშვეობით ლექსიკურ ერთეულებში, რომლებიც ამის შედეგად იწყებენ ურთიერთობას იქაც კი, სადაც ჩვეულებრივ მეტყველებაში მათ შორის ლექსიკური კავშირი ან დასუსტებულია, ან საერთოდ შეუძლებელია. ამაღლებული აზრობრივი გამომსახველობა შეიძლება შეიძინოს ურთიერთმოქმედებებმაც მორფოლოგიურ-გრამატიკულ დონეზე, ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობებს შორის დამაბულობის შექმნის შედეგად, მაგალითად, გრამატიკული იგივეობისა და ლექსიკური დაუმთხვევლობის პირობებში.

აქედან, პოეტურ ნაწარმოებში, მასში შემავალი თითოეული ლექსიკური ერთეულის სემანტიკური მნიშვნელობის ან აზრის გარდა, ამ ერთეულთა ურთიერთმოქმედების რთული ორგანიზაციის შედეგად სინქრონულ და დისინქრონულ დონეზე წარმოიქმნება ინტეგრირებული ზედანიშნულება, რომელიც შეადგენს პოეტური ნაწარმოების უნიკალურობას, მისი შინაარსის თარგმანებას სხვა ენებზე, მათ შორის, ჩვეულებრივ, პროზაულ ენებზეც.

პოეტური ხელოვნების ნაწარმოების იდეური შინაარსი აღმოცენდება მისი ყველა შინაარსიანი და ფორმალური ელემენტებისგან, რომელიც ნაწარმოების

¹ მუკარჯოვსკი ი., წინასწარგანზრახული და არაწინასწარგანზრახული ხელოვნებაში, –სტრუქტურალიზმი: „მომხრე“ და „წინააღმდეგი“. მ., პროგრესი, 1975, გვ. 167.

² მამარდაშვილი მ., აზრები, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი, 2003.

სისტემაში ხდება სემანტიკურად ნიშნადი, რის წყალობითაც მიიღწევა მისი შინაარსისა და ფორმის ერთიანობა.

მასალის დაქვემდებარება ხელოვნების შინაარსისადმი, მისი „დამოუკიდებლობის“ გადალახვა ხელოვნების თითოეულ სახეობაში წყდება სხვადასხვა-ნაირად – ამ მასალის ხასიათისა და ადამიანზე ზემოქმედების მისი უნარის მიხედვით. მიუხედავად იმ ბუნებრივი და ხელოვნური მასალების განსხვავებებისა, რომლებიც გამოიყენება ხელოვნების სხვადასხვა სახეობებში – სკულპტურაში, ფერწერაში, მუსიკაში და სხვა – ყველა ისინი, როგორც ეს შემდგომში იქნება ნაჩვენები, უნდა იყოს ხელოვნების შინაარსის გამოხატულება და მატარებელი, სხვანაირად დაირღვევა ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი კანონი – შინაარსის და ფორმის შესაბამისობის კანონი.

მაგრამ როგორ ხდება მასალის ორგანიზება ხელოვნებაში და ამ შემთხვევაში – პოეზიაში?

მხატვრულ ნაწარმოებში, როგორც წესი, არ შეიძლება იყოს შინაარსისა და ფორმის აბსოლუტური ერთიანობა, ესე იგი, მასალის სრული და საბოლოო დამორჩილება მისი იდეურ-აზრობრივი ამოცანებისადმი. ჩვენი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ „პოეზიაში ხელოვნების ყოველი მასალა დამძიმებულია გარკვეული მნიშვნელობით, რამეთუ საბოლოოდ არ არის ამოღებული პრაქტიკული სინამდვილიდან და ამიტომ ბოლომდე არ ემორჩილება მხატვრულ კომპოზიციას“.

მ. მამარდაშვილი შინაარსისა და ფორმის ერთიანობის დარღვევის ამ ტენდენციას უკავშირებს მხატვრული ინფორმაციის მატერიალური მატარებლის თვითფასეულობას და მის „გამარჯვებას“ ხელოვნების ნაწარმოების ნიშნურ ასპექტზე და კონკრეტულ სოციალურ აზრზე.

თუ სემანტიკური მნიშვნელობა აღმოცენდება ნიშნების მოწესრიგებული სისტემების საფუძველზე. ესთეტიკური წარმოქმნება ორი ტენდენციის „თამაშის“ საფუძველზე – ჰარმონიულობისა და მისი დარღვევისაკენ სწრაფების საფუძველზე.

ეს პრობლემა ლიტერატურის კრიტიკოსთა მსჯელობის საგანი იყო და არის, რადგან წესრიგისა და უწესრიგობის დიალექტიკური შეერთება დარჩა ლამის ყველაზე მთავარ მოვლენად მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურისათვის.

მეორეც, ერთი ხელოვნურად იზოლირებული დონის ფარგლებში ჩვენ ვაწყდებით ნაწილობრივ მოწესრიგებულობას. ელემენტები შეიძლება მოწესრიგებული იყოს იმდენად, რომ მკითხველში გამოიწვიოს ტექსტის ორგანიზებულობის გრძნობა, და მოუწესრიგებელი იმ ზომით, რომ არ ქრებოდეს ამ წესრიგიანობის დაუსრულებლობის შეგრძნება.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ „პიროვნების მრავალმხრივი ინტერე-

სი საფუძვლად ედება ცნობიერების მრავალმხრივ მიმართულებას და მისი აღქმის მრავალფეროვნებას“.¹

აღქმის ავტომატიზმის დარღვევათა აუცილებლობა ხელოვნებაში (მეცნიერებისა და პროზაული ტექსტებისაგან განსხვავებით) გახდა ხელოვნების თეორეტიკოსთა იმ ვარაუდის საფუძველი, რომ დისჰარმონია ხელოვნებაში წარმოადგენს არა მარტო შემთხვევით ფაქტორს, არამედ ისევე აუცილებელს და სისტემურს, როგორც ჰარმონიულობა.

პოეზიის მაგალითზე ეს გავანალიზოთ შემდეგნაირად: ლექსის რიტმული წყობა წარმოადგენს წესრიგისა და მათ დარღვევათა რთულ თანაფარდობას. ამასთან, თვით ეს დარღვევები – წესრიგის მხოლოდ სხვა ტიპის, ისინი თითქოს სრულყოფილია, მაგრამ უარყოფითი ნიშნით. ინფორმაციის თეორიის თვალსაზრისით, მათი ფუნქციაა მხატვრული ტექსტის სიჭარბის შემცირება, რაც განაპირობებს ინფორმაციუ-ლობის ამაღლებას მრავალფეროვნების გაზრდის ხარჯზე. მხატვრული ნაწარმოების ეს მრავალფეროვნება დამოკიდებულია არა მარტო მასში კოდირებული ავტომატიზაციისა და დეავტომატიზაციის მექანიზმებზე ყველა მის სტრუქტურულ დონეზე, მაგრამ თავისთავად ცხადია, პირველ რიგში, მასში ასახული ცხოვრების შინაარსის მრავალფეროვნებაზე ან დიალექტიკურ სირთულეზე, ვინაიდან ისევე როგორც შეუძლებელია მრავალფეროვანი და მდიდარი შინაარსის ასახვა მხატვრულ საშუალებათა მრავალფეროვნების მხრივ „ღარიბ“ ფორმაში, ასევე ბრტყელსა და უინტერესო შინაარსს საეჭვოა ჰქონდეს უნარი, წარმოშვას მისი ასახვის მაღალმხატვრული ფორმა. შინაარსისა და ფორმის – ეს ასპექტები – ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს, თუმცა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში შეიძლება შეინიშნოს უთანაბრობა მხატვართა ყურადღების დომინირებაში ხელოვნების ხან შინაარსისადმი, ხან ფორმისადმი. ეს დაკავშირებულია სხვადასხვა ეპოქის სხვადასხვა შესაძლებლობებთან შემოქმედებისათვის სათანადო მასალების მიწოდებაში, და აგრეთვე, ამათუ იმ ეპოქაში ხელოვნების აქტუალურ ფუნქციებთან საზოგადოების კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით და ა. შ.

კანტი და ჰეგელი ტყუილად როდი აყენებენ პოეზიას (ესე იგი ლიტერატურას საერთოდ) პირველ ადგილზე ხელოვნების სხვა სახეობებთან შედარებით, სწორედ პოეზიას, მათი დასკვნით, შეეძლო უფრო სრულად გამოეხატა ადამიანის ცხოვრების სულიერი შინაარსი, კანტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამაღლებულიყო იდეებამდე (და ყველაზე მეტად მიახლოებოდა ფილოსოფიას – ჰეგელის აზრით).

ასე, მხატვრულ ლიტერატურაში პოეზია წარმოადგენს მათ ჰარმონიულ შეხამებას, პროზა კი – ძირითადად, სულიერ მოთხოვნილებათა გამოხატვა, ვინაიდან ესთეტიკური ან გამომხატველობითი მომენტი მასში ექვემდებარება

¹ ტალახაძე გ., ფსიქოლოგია, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2011, გვ. 67.

ჩანაფიქრის განხორციელებას, ნაწარმოების იდეა უფრო მეტად, ვიდრე ხელოვნების ნებისმიერ სხვა სახეობაში, ექვემდებარება იმდენად, რომ ზოგჯერ ძნელია მისი შემქნევა და მით უმეტეს გამოყოფა (თუმცა, თავისთავად ცხადია, მუსიკალურ-ესთეტიკური ასპექტის გარეშე ვერ იქნება მხატვრული მეტყველება საერთოდ), ვინაიდან „მეტყველება, როგორც კონკრეტული ადამიანის ფსიქიკური აქტივობა, ხორციელდება ენის საშუალებით“.¹

როგორც ვ. შკლოვსკი წერდა წიგნში „პროზის თეორიის შესახებ“ პოეტურ მეტყველებასთან შედარებით „პროზა – ჩვეულებრივი მეტყველებაა: ეკონომიკური, მსუბუქი, სწორი...“

პოეზიისგან განსხვავებით, რომელშიც შეიმჩნევა აშკარად გამოხატული რიტმი მისი მოულოდნელი დარღვევებით, რომლებიც ახდენს აღქმის დეაქტომატიზირებას „გამამწიფებელი ხერხის“, „პროზაული რიტმის“, სამუშაო რიტმის, „დუბინუშკას“ სახით, ერთი მხრივ, ენაცვლება ბრძანებას „ერთბაშად დანარჩენების“ საჭიროების შემთხვევაში, მეორეს მხრივ, აადვილებს მუშაობას და ახდენს მის ავტომატიზირებას. და მართლაც, მუსიკის ქვეშ სვლა უფრო ადვილია, ვიდრე უიმისოდ, მაგრამ უფრო ადვილია სვლა გაცხოველებული ლაპარაკით, როცა სიარულის აქტი გადის ჩვენი შეგნებიდან. ამრიგად, პროზაული რიტმი მნიშვნელოვანია როგორც მავტომატიზირებელი ფაქტორი“.²

მხატვრული ლიტერატურა ტრადიციულად ითვლება ადამიანის სულიერი სამყაროს გამოხატვისა და მის მიერ გარემომცველი სინამდვილის შემეცნების ყველაზე მკაფიო და ნათელ საშუალებად. ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებულია, რომ ინტელექტუალური სიცხადე – მხატვრული სიტყვის მთავარი ძალაა.

შემოქმედებითი ძიებისას ავტორი ყოველთვის უსვამს ხაზს მხატვრული სიტყვის უნარს ადამიანის შინაგანი სამყაროს ადეკვატურად გამოხატვაში და მზად არის სათანადოდ შეაფასოს ლიტერატურის სახვითი ძალმოსილება.

სხვადასხვა ეპოქაში ლიტერატურის სახვითობა ხან მაღლდება, ხან სუსტდება. ასე მაგალითად, ეპიკურ ლიტერატურასთან შედარებით, რომელიც უფრო მოუთხრობდა, ვიდრე აღწერდა, მაგალითად კაპიტალიზმის ეპოქის ლიტერატურა უფრო სახვითი გახდა. და ეს მაშინ, როდესაც ლიტერატურა ხელოვნების წამყვან სახედ იქცა, ვინაიდან მხოლოდ მას და არა ფერწერას ან სკულპტურას შეეძლოს მოეცეს ბურჟუაზიული ცხოვრების წინააღმდეგობათა რთული სურათი, ეპოქათა ცვლა ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად ევროპასა და ამერიკაში, შემდეგ კი რუსეთში (ტოლსტოი, დოსტოევსკი), მ. ჯავახიშვილი და კ. გამსახურდია საქართველოში.

და ბოლოს, თანამედროვე ეპოქაში, „ერთ-ერთი მიზეზი... ლიტერატურისა

¹ ფსიქოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბ., 2011, გვ. 347.

² ვ. ი. შკოლსკი, პოეზიის შესახებ, მ., საბჭოთა მწერალი, 1983, გვ. 25 (რუსულ ენაზე).

და სახვითი ხელოვნების „გამიჯვნის“ ახლად დაწყებულ პროცესისა შესაძლოა არის ხელოვნების აღმავლობა, რომელიც წარმოადგენს ვიზუალური და სიტყვიერი ხელოვნების ე.ი. კინოს და მედიასაშუალებების სინთეზს.

მაგრამ ესთეტიკურ-ფუნქციურთან შედარებით სულიერის სულ უფრო გაბატონების პირობებში მხატვრულ ლიტერატურაში მაინც არ შეიძლება არ იყოს ესთეტიკურად მნიშვნელოვანი საგნობრიობა, რომელიც სწორედ ამ სულიერების მატარებელი და გამომხატველია.

ასე მაგალითად, თავის დაწვრილებით მონოგრაფიაში „ლიტერატურის მხატვრულობა და პოეტიკა. კ. გეი ეკამათება დიმიტრიევას, რომელმაც გოგოლისეულ სტილს აღმოუჩინა სახვითობა, და გეი სამართლიანად ამტკიცებს: „უდავოა, რომ თხრობის წყობა, სტილისტიკურ საშუალებათა შერჩევა და ბოლოს, პერიოდების რიტმული ინტონაციური აგება – ყოველივე ეს უშუალოდ დაკავშირებულია „სულის მოძრაობის“ გადაცემასთან და ემსახურება გამოსახულებას, მაგრამ ეს უკანასკნელი სულაც არ გულისხმობს, რომ წარმოსახვა არ ეძებს და არ იყენებს სიტყვების რეალურ შინაარსს, კონკრეტულ დეტალებს, კონკრეტულ-გრძნობით იმპულსებს, სიტყვიერ ჩანახატებსა და მონახაზებში, რათა დადგეს მათზე, როგორც ხიდი საყრდენებზე“.¹

როგორც მკვლევარმა მრავალრიცხოვან მაგალითებზე დამაჯერებლად გვიჩვენა, სიტყვას აქვს მტკიცე და ობიექტურად, ისტორიულად შეპირობებული კავშირები მათ მიერ ასახს საგანთან და აქედან „სიტყვა ყველაზე ზოგადად ხმარების დროსაც ინარჩუნებს ინერციას, რომელიც აზროვნების საგნობრივია“.² ამასთან დაკავშირებით, იგი კრიტიკულად ეკიდება ზოგიერთ თეორეტიკოსთა თვალსაზრისს, რომლებიც ლიტერატურის განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევენ მისი გამოსახულებების არასაგნობრიობას. მართლაც, რეალური ყოფიერების მიხედვით, არქიტექტურასთან, თეატრთან, სკულპტურასთან და სხვ. შედარებით, ლიტერატურის გამოსახულებები არასაგნობრივი და არამატერიალურია.

მაგრამ თვით გეიც ამასთანავე, როგორც ჩანს, რამდენადმე ადიდებს ლიტერატურულ გამოსახულებათა მნიშვნელობას, როგორც რაღაც რეალურად არსებულს, მსგავსად რეალური ობიექტისა.

„სიტყვა ხელოვნების მასალად გვევლინება იმიტომ, რომ თუმცა სხვანაირად ვიდრე საღებავები და მარმარილო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მტკიცედ უნარჩუნებს გარე სამყაროს შინაარსს, „ასაგნებს“ და „ანივთებს“ იმას, რაზედაცაა ლაპარაკი, მეტყველების საგანს აყენებს ჩვენს წინაშე“.³

მაგრამ ხომ არ არის საჭირო აქცენტის გადატანა ლიტერატურული გამოსახულების არა მსგავსებაზე, არამედ განსხვავებაზე, ფერწერისა და

¹ ნ.კ. გეი. ლიტერატურის მხატვრულობა, პოეტიკა, სტილი, მ.: „მეცნიერება“, 1975, გვ. 126.

² იქვე, გვ. 92.

³ იქვე, გვ. 100.

სკულპტურისაგან და ხელოვნების სხვა სახეობებისგან, განსაკუთრებით კი სტატიკურებისგან, რომლებსაც არ გააჩნიათ გამომსახველობითი გაშლის ისეთი დინამიკა, როგორც მხატვრულ ლიტერატურას.

მხატვრული ლიტერატურის სამყარო – გამოსახულებების, განსაკუთრებული სულიერი რეალობის სამყაროა, რომელშიც გამოსახულებათა დინამიკა და თანამიმდევრობა გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, მის შეფასებას, ოცნებებს, ფიქრს ცხოვრებაზე, ხალხზე, თავისთავზე, იდეალებზე და სხვა და სხვა.

მხატვრული ლიტერატურის შინაარსი აღმოცენდება სწორედ რეალურად წარმოსადგენი გამოსახულებებიდან, ავტორის აზრებიდან და გრძნობებიდან, რომლებიც გამოხატულია რაღაცის მეშვეობით ან უშუალოდ, და საბოლოოდ ქმნიან რეალური და სასურველი სამყაროს გარკვეულ კონცეფციას.

მხატვრულ ლიტერატურაში ესთეტიკური „ფენა“ წარმოიქმნება ორ ფენაში ან ასპექტში, „ფენებში“. პირველი – ეს არის სიტყვების, წინადადებების და უფრო ხანგრძლივი პერიოდების – მთელ ნაწარმოებამდე კი – კონკრეტული ჟღერადობა. ეს შეადგენს ნაწარმოების ჟღერადი ან გრაფიკულად თვალსაჩინო „მატერიის“ განუმეორებელ – მატერიალურ სტრუქტურას.

*Guram Gvenetadze, assistant-professor
Georgian Technical University*

Literature and Art – the Distinguished Means of Communication

Summary

Aesthetics always pointed to the necessity of merging the ideal and material in art. In this regard, verbal art, specifically poetry can serve as its vivid example. Materiality of ideal material is observed exactly in this sphere. It is natural as the strongest sphere of communication is namely speech, verbal communication.

Language unites semantic and aesthetic phenomena. This monolith is better manifested in poetry where thought and feelings are rendered more succinctly and laconically. In poetry, connection of the emotional and rational is condensed with the help of rhythm; this is what makes poetry advantageous over prose.

In the metric works of Zhirmunsky, Gatserilia, Mamardashvili, is emphasized the idea that rhythm balances order and disorder as the distinctly expressed artistic law of poetry subdues the power of speech and regulates it. This problem is best solved by semiotics. Mamardashvili was the first who noted:

In the organization of a poem, the semantic-acoustic effect of its separate parts

is of utmost importance, but combination of these separate parts creates a new artistic reality which will no longer be reduced to the artistic reality of separate parts. If we rhythmically bind the function of each fragment, we will get the super function of the whole.

Idea and content most strongly clash in a poem what finally “gives birth” to this or that form.

Generally, material hardly submits to the highest demand of the form and idea (words, sounds, syntagmas, and phrases), but if this takes place ideally or relatively ideally, we get a masterpiece (“Raven”, “Merani”, “Parisi”, “Faust”...).

It is noteworthy that in the epoch of transformations and revolutions, when the cultural level of society decreases, priority of the material and content comes to the fore, but the element of the ideal and the artistic form goes backward and vice versa, in conditions of peaceful life and prosperity, the high form and aestheticism come to the fore while rude forms and unsystematic elements go backward.

Keywords: *aesthetics, ethics, art, ideal, material, art.*

არავერბალური კომუნიკაციები

მარიამ შანშიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

კომუნიკაცია არის ურთიერთობა. ურთიერთობაში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ვერბალური კომუნიკაცია, რომელიც ინფორმაციის სიტყვიერი გადაცემის გზაა, თუმცა, ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციის არავერბალურ სახეს, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაიცემა არა მეტყველებით, არამედ სხეულის ენით – სახის გამომეტყველებით, პოზით, ქესტებით, მიმიკებით, თვალის კონტაქტით, ხმის ტემბრით, ტონით და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: არავერბალური კომუნიკაცია, ვერბალური კომუნიკაცია, პოზა, ქესტი, მიმიკა, ინფორმაცია.

შესავალი

კომუნიკაცია არის ურთიერთობა. კაცობრიობის მთელი კულტურა შესაძლოა ერთ დიდ კომუნიკაციად მივიჩნიოთ, რომლის ცენტრიც ადამიანია. პიროვნება კომუნიკაციის წყალობით ყალიბდება, იზოლირებულად ის არაფერს წარმოადგენს. ადამიანი სწორედაც რომ, ფასდება თავისი გავლენის სფეროსა და ავტორიტეტის მიხედვით, ანუ ერთგვარი ძალაუფლებით, რომელსაც თითოეული ჩვენგანი მეტ-ნაკლებად ფლობს და მას ურთიერთობის საშუალებით ამყარებს.

ურთიერთობაში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ვერბალური კომუნიკაცია, რომელიც ინფორმაციის სიტყვიერი გადაცემის გზაა, თუმცა, არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციის არავერბალურ სახეს, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაიცემა არა მეტყველებით, არამედ სხეულის ენით – სახის გამომეტყველებით, პოზით, ქესტებით, მიმიკებით, თვალის კონტაქტით, ხმის ტემბრით, ტონით და სხვა.

ძირითადი ნაწილი

არავერბალური კომუნიკაცია არის კომუნიკაცია სიტყვების გარეშე, ანუ ადამიანის ფიზიკური მახასიათებლებითა და ქცევით.

ურთიერთობისას ინფორმაციის უდიდესი ნაწილი 90% არავერბალურად (სხეული და ხმის ტონი/ტემბრი) გადაიცემა. ასევე არავერბალური კომუნიკაციით გამოიხატება ემოციები, დამოკიდებულება, მოძრაობის მიმართულება, რაც ზოგჯერ ძნელად გამოითქმის სიტყვებით [1].

არავერბალური კომუნიკაცია უფრო ძველია, ვიდრე ვერბალური. ადამიანები მეტყველების დაწყებამდე ურთიერთობისათვის არავერბალურ კომუნი-

კაცის იყენებდნენ. ბავშვებიც ჯერ პირველად სწავლობენ არავერბალურ კომუნიკაციას, შემდეგ ვერბალურს.

ადამიანები ხშირად ცდილობენ რეალური ემოციების დაფარვას. როგორც წესი, ყალბი, არაბუნებრივი ემოცია დროში ძალიან გახანგრძლივებულია, ან პირიქით, შეკვეცილი. გამოცდილი ადამიანისათვის ადვილი დასანახია ადამიანების რეალური ემოცია სხეულის პოზის, ჟესტებისა და სხვა არავერბალური მანიშნებლების მიხედვით [2].

კვლევები აჩვენებს, რომ სამსახურეობრივ გარემოში, ინფორმაციის უდიდესი ნაწილი არავერბალურად გადაიცემა. ამასთანავე, როდესაც თანამშრომლები უფროსზე, ან მენეჯერზე, თუნდაც სხვა თანამშრომელზე, ზოგადად, ან მის კომპეტენტურობას აფასებენ, უმეტეს შემთხვევაში არავერბალურ ინფორმაციაზე მიუთითებენ. მაგ.: „სასიამოვნო ხმა აქვს“, „გამაღიზიანებელი მანერები აქვს“, „მომწონს მისი ხმის ტემბრი“ და ა.შ.

არავერბალური კომუნიკაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგს: სხეულის პოზა, ჟესტები, სახის გამომეტყველება, ხმის მახასიათებლები, ჩაცმულობა და მანძილი, ასევე ფიზიკური გარემო და დრო.

სხეულის პოზით ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეიძლება ადამიანის შესახებ, როგორიცაა მისი სტატუსი, დამოკიდებულება, ემოციები და ა.შ.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალება სახის გამომეტყველებაა. სახის გამომეტყველებაში შედის ღიმილი, თვალებით კონტაქტი და მიმიკები. ადამიანი, მეორე ადამიანის სახის გამომეტყველებით შესაძლებელია მიხვდეს, ესმით და აინტერესებთ თუ არა საკითხი, იციან თუ არა საკითხი (ინფორმაცია) და ა.შ. იგივე ითქმის თვალებით კონტაქტზე, თვალებით კომუნიკაციაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება.

ხმის მახასიათებლებში შედის ხმის ტონი და ტემბრი, ტემბრის კონტროლი უფრო ძნელია, ვიდრე, ტონის. სასურველია ხმის ტონი იყოს გადასაცემი ინფორმაციის შესატყვისი, ძალიან მაღალი ტონი აგრესიულად აღიქმება. ხმის ტონით ადვილი მისახვედრია ადამიანის ემოციური მდგომარეობა, ნაწყენი, გაბრაზებული, დაბნეული, ან ბედნიერი ადამიანის ხმის ტონი მკვეთრად განსხვავებულია ერთმანეთისაგან [3. 232].

ადამიანების შეფასებაზე დიდ გავლენას ახდენს ჩაცმულობა. ჩაცმულობის მიხედვით, დასკვნას აკეთებენ ადამიანების გემოვნებაზე, ენერგიულობაზე, მათ როლზე, გუნება-განწყობაზე, სტატუსზე და ა.შ. ხშირად ჩაცმულობის მიხედვით მსჯელობენ ადამიანების კომპეტენტურობაზე, მიმზიდველობასა და სანდოობაზე. არსებობს გარკვეული მოლოდინი როგორ უნდა იცვამდეს, მაგალითად მენეჯერი, ეს დამოკიდებულია კულტურაზე, ორგანიზაციულ გარემოზე. თუ მენეჯერი მეტ-ნაკლებად არ ჯდება მოსა-

ლოდნელ სტილში, შესაძლებელია მის მიმართ ძალიან დადებითი, ან უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოყალიბდეს. მაგ.: თანამედროვეა და მისაბამია, ან ძველმოდურ და ყურადღების მიქცევა არ ღირს [4. 377].

ადამიანებს შორის მანძილი იცვლება ურთიერთობის ტიპისა და კულტურის მიხედვით, რაც უფრო ახლო ურთიერთობა აქვთ ადამიანებს, მით მცირეა ურთიერთობისას მანძილი. მეგობრები უფრო ახლო მანძილზე ურთიერთობენ, ვიდრე მაგალითად ხელმძღვანელი და ხელქვეითი, ან თუნდაც უცნობი ადამიანები.

ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელია კულტურის ცოდნაც. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლური კულტურა უფრო მცირე მანძილს ირჩევს ურთიერთობისას, ვიდრე ევროპული. როდესაც, ურთიერთობისას ბუნებრივი მანძილი ირღვევა, ადამიანები იწყებენ შფოთვის, უხერხულად გრძნობენ თავს და ცდილობენ მათთვის კომფორტული მანძილის აღდგენას. ფიზიკური გარემო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კომუნიკაციის ეფექტურობას. როგორაა განლაგებული ავეჯი, რა ექსპოზიციებია კედლებზე განთავსებული, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია, თუ ვინ ზის ამ ოთახში, რას საქმიანობენ ისინი და ა.შ. [5].

გარემო გავლენას ახდენს ადამიანებს შორის ურთიერთობაზეც. სწორედ ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა საოფისე გარემოს მოწყობას; კვლევები აჩვენებს, რომ ნათელ, კეთილმოწყობილ ოთახში უფრო პოზიტიურია თანამშრომლებს შორის ურთიერთობა, ვიდრე ბნელ და არაკეთილმოწყობილ გარემოში. საერთოდ, პოზიტიური გარემო ნაკლებად შეიცავს ბარიერებს და ნაკლებად უსვამს ხაზს სტატუსს და განსხვავებებს. დრო მნიშვნელოვანი ფაქტორია კომუნიკაციის პროცესში. კომუნიკაციის ეფექტურობა დამოკიდებულია დროსა და დროის მართვაზე.

დროში შედის პაუზები და საუბრის ტემპი. დროის უდიდესი ნაწილი მიდის შეკითხვების დასმასა და პასუხებში. ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, რა დრო შეიძლება დასჭირდეთ თანამშრომლებს პასუხების გასაცემად ან საკითხის, თუ ინფორმაციის გადასაჭრელად და რა ხანგრძლივობის შეიძლება იყოს პაუზები. ადამიანები განსხვავდებიან ინფორმაციის გადამუშავების სიჩქარის მიხედვით, ამიტომ სხვადასხვა ადამიანს ერთსა და იმავე კითხვაზე პასუხის გასაცემად და ერთი და იმავე ინფორმაციის გადამამუშავებლად შეიძლება მეტ-ნაკლებად განსხვავებული დრო დასჭირდეს [6. 91].

შევთანხმდეთ იმაზე, რომ, იმისათვის, რომ კომუნიკაციის ორმხრივი პროცესი იყოს მაქსიმალურად ეფექტური, საჭიროა როგორც ვერბალური, ისე არავერბალური სიმბოლოების ერთმანეთის შეთავსებით გამოყენება, რადგან სიტყვების საშუალებით ჩამოყალიბებულ ლოგიკურ ინფორმაციას, ადეკვატური ჟესტიკულაცია და ხმის ტემბრი კიდევ უფრო ამყარებს.

არავერბალური კომუნიკაციების მნიშვნელობას არსებული სტატისტიკური მონაცემებიც ამყარებენ. როგორც ვიცით, მეტყველებით ინფორმაციის მხოლოდ 7%-ის გადაცემა ხდება, ხოლო არავერბალური კომუნიკაციისას კი 92%-ის. აქედან ჟესტებს, პოზას და სახის გამომეტყველებას დაახლოებით 55 % უჭირავს, 38 %-ს კი ხმის ინტონაცია და საუბრის ტემპი იკავებს.

მიმაჩნია, რომ არავერბალური კომუნიკაციების მთავარი დადებითი მხარე არის ის, რომ მსოფლიოში არსებობს უამრავი ენა, რომელზეც უამრავი ადამიანი საუბრობს, მაგრამ სხეულის ენა არის ის ერთადერთი ცნება, რომელიც გარკვეული ინდივიდუალური გამონაკლისების ჩათვლით, ყველა ადამიანს აერთიანებს და ეხმარება მათ ერთმანეთისა და საკუთარი „მე-ს“ პოვნაში.

არავისთვის არის საიდუმლო, რომ ადამიანზე პირველი შთაბეჭდილება იქმნება ურთიერთობის პირველივე წამებში. საქმე იმაშია, რომ ადამიანის ტვინი ქმნის, ასე ვთქვათ, საკუთარ აზრს თანამოსაუბრეზე პირველივე წამებიდან.

იქამდე, სანამ ადამიანები გაიცნობენ ერთმანეთს, ტვინი აკეთებს წინასწარ დასკვნებს, ცდილობს რა შეაფასოს ადამიანი, გამოიცნოს მისი ქცევა და წინასწარ დაინახოს, როგორი რეაგირება უნდა მოახდინოს მასზე.

ამის შესახებ ბიზნესის ეფექტურობის ამალგების მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ბერნარდ მარრი წერს.

პრინსტონის უნივერსიტეტის გამოკვლევების შედეგად ფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ ტვინის ამგვარი მუშაობა – გადარჩენის ევოლუციური მექანიზმია. იგი აკეთებს საკუთარ დასკვნას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. გარეგნული იერი, ჟესტები, ქცევა, ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად არის ადამიანი სანდო, უსაფრთხო, ბუნებრივი და ა.შ.

„ამიტომაც, იმისათვის, რომ არ ვავნოთ საკუთარ თავს და არ შევუქმნათ სხვებს ცუდი შთაბეჭდილება ურთიერთობის პირველივე წამებიდან, საჭიროა ვიცნობდეთ ჩვენი სხეულის ენას. განსაკუთრებით ეს ეხება მნიშვნელოვან შეხვედრებს [7. 24].

თუ თქვენ მიხვედით გასაუბრებაზე, ითხოვთ ხელფასის მომატებას, ან ხვდებით ახალ კლიენტებს, ზედმიწევნით ადევნეთ თვალი საკუთარი სხეულის ენას. შეხვედრის შედეგი დამოკიდებული იქნება თქვენი თანამოსაუბრის მიერ თქვენს აღქმაზე“, – ამბობს ბერნარდ მარრი.

მაშ ასე, წარმოგიდგენთ სხეულის ენის მთავარ შეცდომებს, რომლებიც არ უნდა დაუშვათ:

1. ნუ მიეყრდნობით ძალიან სავარძლის საზურგეს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ ზარმაცი და ქედმაღალი ხართ.

2. ზედმეტად წინ გადმოხრილი. ამგვარად თქვენ შეიძლება მოეჩვენოთ თანამოსაუბრეს აგრესიული. ეცადეთ მიიღოთ ნეიტრალური პოზა.

3. ნუ შეწყვეტთ სწრაფად თვალის კონტაქტს. ასეთი ჟესტი აჩვენებს, რომ

თქვენ არ ხართ სანდო ადამიანი, ან ზედმეტად ნერვიულობთ. შეინარჩუნეთ თვალის კონტაქტი, განსაკუთრებით ხელის ჩამორთმევისას.

4. არ მოგივიდეთ ზედმეტი თავის დაკვრა თანხმობის ნიშნად. შეიძლება გამოჩნდეთ, როგორც თოჯინა, რომელიც თავს იქნევს. თუ ეთანხმებით თანამოსაუბრეს, საკმარისია თავის დაკვრა ერთხელ.

5. ხელების მეტისმეტად ქნევა იწვევს აგრესიის შეგრძნებას.

6. გადაჯვარედინებული ხელები – ეს თავდაცვითი პოზიციაა. არ მიიღოთ ასეთი პოზიცია, განსაკუთრებით, როდესაც პასუხობთ კითხვებზე.

7. ნუ გექნებათ ხელები ზურგს უკან, ან ჯიბეებში. შეიძლება გამოჩნდეთ ჯიუტი. ეცადეთ იყოთ ბუნებრივი. ხელები გქონდეთ ჩამოშვებული.

8. ნუ გადაიტანთ მზერას მაღლა, არ მიმოიხედოთ. ეს მეტყველებს იმაზე, რომ რაღაცას ბოლომდე არ ამბობთ, ან იტყუებით.

9. დაჟინებული მზერა აღიქმება როგორც აგრესია, აკონტროლეთ თქვენი მზერა.

10. გაიღიმეთ. გაქვავებული სახე აიძულებს ადამიანებს თავი უხერხულად იგრძნონ. იზადება კითხვა – გსურთ კი საერთოდ აქ ყოფნა. აჩვენეთ გულწრფელი ღიმილი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანს პირველად ხვდებით.

არავერბალური კომუნიკაციის მხოლოდ რამდენიმე სიგნალი შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად და ყველა ქვეყანასა, თუ კულტურაში ერთნაირად მიღებულად, მათ უმრავლესობას კი მრავალი მნიშვნელობა აქვს და ის, რაც ერთ კულტურაში, ერთ ქვეყანაში მიღებულია, შესაძლებელია, სრულიად მიუღებელი და შეურაცხმყოფელიც კი იყოს სხვაგან. ამიტომ სასურველია კულტურის ცოდნაც, იმ ადამიანზე, ვისთანაც გვსურს ურთიერთობის დამყარება.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ არავერბალური კომუნიკაციის „ილეთების“ დაუფლება საკმაოდ დროსა და პრაქტიკას მოითხოვს. მაგრამ თუ თქვენი საქმიანობა ადამიანებთან ურთიერთობას უკავშირდება, საკუთარი სხეულით მანიპულირებაში დახელოვნება, არა მხოლოდ უფრო სასურველს გახდის თქვენთან ურთიერთობას, არამედ, თქვენი მიზნების მიღწევაში და თქვენი საქმიანობის წარმატებაში დაგეხმარებათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://intermedia.ge>. ბოლო ნახვა 01.06.2018 წ. 18:00 სთ
2. <https://idfi.ge/public/upload/pdf/IDFIInternetFreedomReportOctDecGEO2.pdf>. ბოლო ნახვა 02.06.2018წ. 16: 45 წ

3. Г.Г. Почепцов . П.Р. Для Профессионалов. 2000. გვ. 232
4. Dale Carnegie. How to win Friends & Influence People. 2011. გვ 377
5. <http://geonews.ge/geo/news/story/5318-media-tavisufleba-damoukidebloba>
ბოლო ნახვა 02.06.2018 წ. 17:00 სთ.
6. ელიოტ არონსონი. სოციალური ცხოველი. 2014 თბილისი. გვ. 91
7. Allan + Barbara Pease. Body Language. 2004. გვ. 24

*Mariam Shanshiashvili, Doctoral student
Georgian Technival University*

Non-verbal communications

Summary

Communication is a relationship. In the relationship, first of all, verbal communication is a way of verbal communication, but it is of great importance to the non-verbal communication of the information in which the information is transmitted not by speech, but by body language - facial expression, poses, gestures, attachment, eye contact, tone, etc.

Gaining non-verbal communication requires a lot of time and practice, but if your work is related to relationships with people, it's not just the desire to manipulate with your own body, it will not only make you more comfortable with you but also help you achieve your goals.

Keywords: *nonverbal communication, verbal communication, posture, gesture, mim-ic, information.*

ქ უ ზ ნ ა ლ ი ს ტ ი კ ა

JOURNALISM

„გარდიანის“ ეთიკური კოდექსი

*ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში საუბარია იმის შესახებ, რომ ეთიკური კოდექსები კომუნიკაციის მთელ ინდუსტრიაშია გავრცელებული. ეთიკის, ზნეობის, მორალის კანონების და წესების დაცვა აუცილებელია იმისთვისაც, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ანარქიად არ გადაიქცეს, მედიამ კი სრულფასოვნად შეძლოს უშუალო ფუნქციის განხორციელება; ყურადღება გამახვილებულია „გარდიანის“ ეთიკის კოდექსის შესახებ, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ჟურნალისტთა უფლებები, ასევე ის ვალდებულებები და მოვალეობები, რაც მათ ეკისრებათ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს. „გარდიანისთვის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაუფრთხილდეს თავის რეპუტაციას, როგორც პრესის დამოუკიდებელი და მოუსყიდველი ორგანოსი. კარგია იყო გულწრფელი, მაგრამ უკეთესია იყო პატიოსანი - ამ პრინციპის მიხედვით მოქმედებენ გაზეთის ჟურნალისტები. სტატიაში აღნიშნულია ისიც, რომ „გარდიანი“ სრულად ითვალისწინებს კომისიის, რომელიც პრესის მიმართ გამოთქმულ საჩივრებს, რეკომენდაციებს და წინადადებებს განიხილავს. „გარდიანის“ ჟურნალისტებს სრულად აქვთ გათავისებული საკუთარი მისია და ცდილობენ იმუშაონ უმაღლესი პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: ეთიკური კოდექსი, ჟურნალისტთა უფლება- მოვალეობები, მნიშვნელოვანი მისია, რეპუტაცია, უმაღლესი პროფესიული და ეთიკური სტანდარტები, სამართლებრივი და ეთიკური ჩარჩოები.

შესავალი

მას შემდეგ, რაც მედიის წარმომადგენლები დარწმუნდნენ იმაში, რომ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ეთიკური ნორმების უგულვებელყოფა კარგს ვერაფერს მოიტანდა, ისიც გაიაზრეს, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მათი ყველა ქმედების სამართლებრივ და ეთიკურ ჩარჩოებში მოთავსება, აუცილებელია, რომ მოვალეობები და უფლებები ერთმანეთის პარალელურად და შესატყვისად არსებობდეს, შეიქმნა საჭიროება შექმნილიყო ეთიკური კოდექსები, რომლებშიც დეტალურად იქნებოდა გაწერილი ის ვალდებულებები და მოვალეობები, რაც ჟურნალისტს საზოგადოების წინაშე ეკისრებოდა, ასევე განსაზღვრული იქნებოდა მათი უფლებები. ეს ჟურნალისტური ნამუშევრის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულების საწინდარი იქნებოდა, ჟურნალისტები თავიდან აიცილებდნენ ხელის შეშლის შესაძლებლობას და შეძლებდნენ სრულად და ღირსეულად აღესრულებინათ მისია - საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფა. ზოგიერთმა დიდმა გაზეთმაც დაისახა მიზნად შეექმნა საკუთარი ეთიკის კოდექსი, რათა უფრო დაბალანსებული სარწმუნო და მრავალფეროვანი ინფორმაცია მიეწოდებინა აუდიტორიისთვის, არ მიეცათ მკითხველებისთვის დაეჭვებისა და ორაზროვნების საბაზი. საერთოეროვნულმა გაზეთებმა, მათ შორის ისეთმა პოპულარულმა და ავტორიტეტულმა, როგორიცაა „ნიუ-იორკ თაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“, „მონდი“, „ლიბერასიონი“, „ლა კრუა“. „გარდიანი“ და სხვ. შეიმუშავეს ეთიკური კოდექსები, რომლებშიც თავმოყრილი ეთიკური ნორმები და ქცევის წესები ზემოთ დასახელებული გაზეთების თანამშრომლებს უნდა ეღიარებინათ და დაეცვათ. ეს კოდექსები დიდი შრომის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, შეხედულებათა შეჯერების, გამოცდილების გაზიარების შედეგად იქმნებოდა; ზოგი დებულება სრულყოფას და დაზუსტებას საჭიროებდა, ზოგჯერ ახალი ნორმის დამატება იყო საჭირო, საბოლოო სახის მიღების შემდეგ კი სავალდებულო ხდებოდა კონკრეტულ გაზეთში დასაქმებული ადამიანებისთვის. საგაზეთო კოდექსები იქმნებოდა უკვე არსებულის ნორმების გათვალისწინებით, გაზეთის თავისებურებების და მასში დამკვიდრებული მუშაობის წესის შესაბამისად. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ „გარდიანის“ ეთიკის კოდექსზე.

ძირითადი ნაწილი

„გარდიანი“ ერთ-ერთი უმსხვილესი ბრიტანული გაზეთია, დაარსდა მანჩესტერში 1821 წელს და ერქვა „მანჩესტერ გარდიანი“. 1959 წლიდან იწოდება „გარდიანად“. ტირაჟი 161000 ეგზემპლარი. ისევე, როგორც სხვა ავტორიტეტული გაზეთები, „გარდიანიც“ მისდევს განსაზღვრულ ეთიკურ სტანდარტებს, რომელიც დაფიქსირებულია სარედაქციო კოდექსში. კოდექსი ბოლოჯერ განახლდა 2007 წელს და იწყება შემდეგი სიტყვებით: „„გარდიანის“ ყველაზე ფასეული ვალუტა არის ნდობა“.

კოდექსში დიდი ყურადღება ეთმობა ინფორმაციის წყაროებთან ურთიერთობას. მასში აღნიშნულია შემდეგი, დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადამიანები უშიშრად, გაბედულად და სიამოვნებითაც კი იძლევიან ინფორმაციას, თუკი თავად ანონიმური რჩებიან, მაგრამ ასეთი წყაროების გამოყენება გამართლებული უნდა იყოს. ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია წყაროს მიმართ იყო პატიოსანი და სამართლიანი მაშინაც კი, თუ არ შეიძლება მათი დასახელება. ეს დებულება ევროპის ქვეყნებში მოქმედ ეთიკის კოდექსებთან შესაბამისობაშია. ამერიკის პროფესიონალი ჟურნალისტების საზოგადოების ეთიკის კოდექსში ნათქვამია, რომ ინფორმაციის ოფიციალური და არაოფიციალური წყარო ერთნაირად ფასეულია; მედიის წარმომადგენელმა უნდა დაადგინოს წყაროს მოტივაციები ანონიმურობის პირობის მიცემამდე, ნათლად ჩამოაყალიბოს ინფორმაციის მიმწოდებელთან თანამშრომლობის ნებისმიერი პირობა და დაპირებები განუხრელად შეასრულოს.

„გარდიანის“ ეთიკის კოდექსში ცალკე პუნქტი ეხება 16 წლის ასაკამდე მოზარდებთან ურთიერთობას. მათთან ინტერვიუს ჩაწერისას აუცილებელია მშობლების ან მეურვის თანხმობა. მათი ნებართვის გარეშე არც ფოტოების გამოქვეყნებაა ნებადართული. განყოფილების ხელმძღვანელობა საქმის კურსში უნდა იყოს ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერ მასალასთან დაკავშირებით.

„გარდიანის“ ეთიკის კოდექსის შესაბამისად, არავის აქვს უფლება შეიჭრას ადამიანების პირად ცხოვრებაში, გამოამხეუროს პიკანტური დეტალები, დაფარული ფაქტები, თუ ეს არ არის გამართლებული აშკარა საზოგადოებრივი ინტერესით. საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა მაინტიფიცირებელი ინფორმაციის შეტყობინების დროს, როგორცაა ქუჩის დასახელება, საცხოვრებელი სახლის ნომრის მითითება, რათა არაფერი დაემუქროს იმ ადამიანების უსაფრთხოებას, რომლებიც საგაზეთო სტატიების გმირები გახდნენ. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ეთიკის ყველა მოქმედი კოდექსი ითვალისწინებს.

ცალკე მსჯელობის საგანია ის ფაქტი, რამდენად მიზანშეწონილია მასალის გაცნობა კონკრეტული პირებისთვის, რომელთაც სტატიასთან რაიმე კავშირი აქვთ, მის გამოქვეყნებამდე. გამონაკლის შემთხვევებში, „გარდიანის“ კოდექსის თანახმად, ეს შესაძლებელია, მაგრამ

გაზეთის თანამშრომლები არ არიან ვალდებული გაითვალისწინონ შემოთავაზებული წინადადებები და მასალაში შეიტანონ ცვლილებები.

„გარდიანის“ ეთიკური კოდექსი მოითხოვს გაპარული შეცდომების შეძლებისდაგვარად სწრაფად გასწორებას. გაზეთის ჟურნალისტები მოვალენი არიან ღიად და გულწრფელად ითანამშრომლონ ომბუდსმენტთან. გაზეთში არსებობს გასწორებების ყოველდღიური და ყოველკვირეული სვეტი, რომელსაც ყველა ჟურნალისტი უნდა გაეცნოს.

კარგია იყო გულწრფელი, მაგრამ უკეთესია იყო პატიოსანი - ვკითხუ-

ლობთ „გარდიანის“ ეთიკურ კოდექსში. იქვე აღნიშნულია, რომ ოპონენტთა ხმებს აქვს არანაკლები უფლება იყოს მოსმენილი, ვიდრე მეგობრების ხმებს. ვინმეს კრიტიკის ან დადანაშაულებისას აუცილებლად უნდა მიეცეს საშუალება ამ კონკრეტულ პირს უპასუხოს ბრალდებებს.

უბედური შემთხვევების შეტყობინების დროს განსაკუთრებული სიფრთხილის და ტაქტის გამოჩენაა საჭირო იმ ადამიანების და მათ მახლობელთა მიმართ, რომელთაც ეს ტრაგედია უშუალოდ შეეხოთ. ჟურნალისტები და გაზეთის თანამშრომლები ვალდებული არიან გამოავლინონ დელიკატურობა, როცა აშუქებენ სუიციდის ფაქტებს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქ იგულისხმება არა მარტო მოვლენის და დეტალების უშუალო აღწერა, არამედ ფოტოს გამოქვეყნებაც. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საფრთხე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უნებურად არ უზიგონ თვითმკვლელობისკენ სხვა ადამიანებს. ჟურნალისტებს ეს უნდა ახსოვდეს არა მარტო მასალის მიწოდების, არამედ სუიციდის მეთოდების აღწერისას. შესაძლებლობის ფარგლებში, ქიმიურ ნივთიერებებზე ზოგადი სიტყვებით უნდა იყოს საუბარი, არ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული დასახელებები. ასევე არ შეიძლება ახლობელთა გრძნობების იგნორირება. კოდექსის ამ პუნქტში მითითებულია ნდობის ტელეფონის ნომერი ფსიქოლოგიური დახმარებისთვის (მაგ. საქველმოქმედო ორგანიზაციის „სამარიტელი“).

„გარდიანის“ ფურცლებზე იშვიათად ჩნდება ცნობები ამა თუ იმ პირის ეროვნების, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების შესახებ, მხოლოდ მაშინ, როცა ამის აუცილებლობა არსებობს (მაგ. დანაშაული მოხდა რასობრივი სიძულვილის ნიადაგზე).

გაზეთისთვის მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს მაღალი სტანდარტი, გაუფრხილდეს თავის რეპუტაციას, როგორც პრესის დამოუკიდებელი და მოუსყიდველი ორგანოსი. „გარდიანის“ ჟურნალისტებმა სასურველია თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი. რა თქმა უნდა, გაზეთის თანამშრომლებს აქვთ პირადი ცხოვრება, ინტერესები და ჰობი, თვიათი შეხედულებები და რწმენა, მაგრამ ეს მათ პროფესიონალურ საქმიანობას არ უნდა შეეხოს, გაზეთის სახელს ჩრდილი არ უნდა მიადგეს. მკითხველმა ჟურნალისტის პატიოსნებასა და მოუსყიდველობაში ეჭვი არ უნდა შეიტანოს, რაც შეიძლება აღიმკრას „გარდიანის“ თანამშრომლების სხვადასხვა სტრუქტურაში აქტიური მოღვაწეობის, ორგანიზაციების, კომპანიების თუ პოლიტიკური პარტიების მუშაობაში მონაწილეობის გამო. არ უნდა გამოიყენონ სამსახურებრივი მდგომარეობა პირადი კეთილდღეობისთვის, პირადი გამორჩენისთვის. თუკი რომელიმე ავიაკომპანიამ, სასტუმრომ ან დაწესებულებამ საკუთარ თავზე აიღო ჟურნალისტის მგზავრობის და დაბინავების ხარჯები, ეს ფაქტი დაფარული არ უნდა დარჩეს და იმით არის გამართლებული, რომ „გარდიანი“ ყოველთვის

იქნება თავისუფალი ნებისმიერი მასალის გამოქვეყნების ან გადაწყვეტილების მიღებისას. თუ მგზავრობისას ჟურნალისტს თან ახლავს ახლობელი, ნათესავი ან მეგობარი, დამატებით ხარჯებს ან ეს პიროვნება ფარავს ან თავად ჟურნალისტი. „გარდიანის“ თანამშრომლებმა არ უნდა მიიღონ საჩუქრები, მათ გარდა, რისი საფასურიც უმნიშვნელოა (25 ფუნტ სტერლინგამდე). ძვირადღებული საჩუქრები ან უკან უნდა დააბრუნონ, ან უნდა გადასცენ ყოველწლიურ ლატარიას ქველმოქმედების მიზნით. მსგავს პუნქტებს შეიცავს ამერიკელ პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოების ეთიკის კოდექსიც, სადაც მითითებულია შემდეგი: ჟურნალისტებმა სასურველია თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი, მოერიდონ ისეთ საქმიანობას ან ასოციაციებში გაწევრებას, რომელსაც შეუძლია მოახდინოს მისი ღირსების ან ნდობის კომპრომეტირება; უარი თქვას საჩუქრებზე, ჰონორარებზე, უფასო მოგზაურობებსა და სხვა პრივილეგიებზე, თუ ეს ხელს შეუშლის მის პროფესიულ საქმიანობას. მასალის მომზადების დროს გაზეთის თანამშრომლებმა არ უნდა იხელმძღვანელოს კომერციული შეხედულებებით, მათ შორის რეკლამის მიმწოდებელთა ინტერესებით, მათ მიმართ პრივილეგირებული დამოკიდებულება არ უნდა გამოავლინონ.

რაც შეეხება სამართლებრივ ასპექტებს, „გარდიანის“ წარმომადგენლები ვალდებული არიან მუდმივად ეცნობოდნენ საკანონმდებლო დებულებებს, კონკრეტულ საკითხებზე რეპორტაჟების და სტატიების მომზადების პროცესში კონსულტაცია გაიარონ გაზეთის იურიდიული განყოფილების თანამშრომლებთან.

„გარდიანში“ დასაქმებულ ადამიანებს უფლება აქვთ ფლობდნენ აქციებს, მაგრამ ეკრძალებათ დასაქმდნენ საბირჟო საქმიანობით, არ უნდა გამოიყენონ პირადი სარგებლობისთვის ფინანსური ინფორმაცია, რომელიც ხელში ჩაუვარდათ მის გამოქვეყნებამდე, არ უნდა გადასცენ ეს ინფორმაცია სხვა პირს; მათ არ აქვთ უფლება შეისყიდონ, ან გაყიდონ უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით აქციები ან ფასიანი ქაღალდები, რომელთა შესახებ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა ინფორმაცია ან ამას აპირებენ ახლო მომავალში.

„გარდიანის“ ეთიკური კოდექსის თანახმად, ჟურნალისტები უნდა მოერიდონ შეკვეთილი სტატიების წერას კორპორატიული ჟურნალების, კონკრეტული კომპანიების ან ორგანიზაციებისთვის, თუკი ეს შეიძლება ჩაითვალოს მათ მხარდაჭერად. აუცილებელი გამონაკლისის გარდა არ უნდა გადაიხადონ თანხა ინფორმაციისთვის. ინფორმაციით ვაჭრობა მიუღებელია. „გარდიანის“ ხელმძღვანელობა ყოველთვის სრულად უნდა იყოს საქმის კურსში გაზეთში მიმდინარე პროცესების და ჟურნალისტთა საქმიანობის შესახებ. მაგ. თუკი რომელიმე თანამშრომელი მოწმის სახით უნდა გამოცხადდეს სასამართლოში, განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს სახალხო შეკრებებსა

და პოლიტიკურ ფორუმებში, პროფესიული და კომერციული ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ღონისძიებებში; მისცენ ჩვენება რომელიმე ოფიციალურ ორგანოს „გარდიანში“ გამოქვეყნებულ მასალებთან დაკავშირებით, მათ ამის შესახებ უნდა აცნობონ რედაქტორს. გაზეთის ჟურნალისტებმა არ უნდა წერონ ადამიანებზე, რომლებთანაც არიან დაკავშირებული სისხლისმიერი ნათესაობით ან ქორწინებით, ან აქვთ მჭიდრო პირადი, ფინანსური ან რომანტიკული ურთიერთობები.

„გარდიანის“ ეთიკის კოდექსში გადმოღებულია ზოგიერთი დებულება „ვაშინგტონ პოსტის“ ეთიკური კოდექსიდან. მაგ. რეპორტიორებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, რომ დარჩნენ კულისებში და არ გამოვიდნენ სცენაზე, აცნობონ ახალი ამბები და არა „შექმნან“ ის. „გარდიანი“ ასევე სრულად ითვალისწინებს კომისიის, რომელიც პრესის მიმართ გამოთქმულ საჩივრებს განიხილავს, რეკომენდაციებს და წინადადებებს. კომისიის გადაწყვეტილებები, ისევე როგორც სასამართლოსი, რომელიც უშუალოდ შეეხება აღნიშნულ

გაზეთს, დაუყოვნებლივ ქვეყნდება „გარდიანის“ ფურცლებზე.

დასკვნა

ეთიკური კოდექსები კომუნიკაციის მთელ ინდუსტრიაში გავრცელდა. ეთიკის, ზნეობის, მორალის კანონების და წესების დაცვა აუცილებელია იმისთვისაც, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ანარქიად არ გადაიქცეს, მედია კი სრულფასოვნად შეძლოს უშუალო ფუნქციის განხორციელება. „გარდიანის“ ჟურნალისტებს ეს სრულად აქვთ გათავისებული და ცდილობენ იმუშაონ უმაღლესი პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

ლიტერატურა:

1. <https://newsman.tsu.ru/wp/file-792-the-guardian-codex1.doc>.
2. <https://presscouncil.ru./593-the-guardian-putechestvie-po-etiches>.

Ethics Code of “Guardian”

Summary

It is mentioned in this article that ethics codes are spread in the whole industry of communication. Keeping of ethics, moral, the law and the rules is necessary in order not to transform the freedom and independence into anarchy and to enable the media to implement direct functions in high quality. Attention is drawn to the ethics code of the “Guardian”, in which the rights of journalists are described in detail, as well those obligations and responsibilities, which are bound on them during fulfillment of their professional duties. Having and keeping of good reputation is mostly important for the “Guardian”, as an independent and unbribeable body. It’s good to be sincere, but it’s better to be honest. The journalists of this newspaper act according to this principle. The “Guardian” takes the recommendations and proposals of the commission that discusses claims towards the press into account. The journalists of “Guardian” have fully assimilated the own mission and try to work according the highest professional and ethical standards.

Key words: *Ethics code, rights-obligations of journalists, important mission, the highest professional and ethical standards, legal and ethical frameworks.*

გ. ლეონიძის სამეცნიერო პუბლიცისტიკის ბუნებისათვის

*ედიშერ ჩქარეული, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

გიორგი ლეონიძის პუბლიცისტიკიდან ცალკეა გამოსაყოფი მისი მეცნიერული კვლევის შედეგად შექმნილი მთელი რიგი ნარკვევებისა, რომლებიც 1959 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ცალკე წიგნად გამოსცა „გამოკვლევები და წერილების“ სათაურით. ამ წიგნში შეტანილია მეცნიერული კვლევები ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე. ამავე კრებულშია შესული პუბლიცისტის შედარებით პატარა წერილები, სადაც ავტორი ისტორიულ დოკუმენტებსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ მასალაზე დაყრდნობით ცდილობს ნათელი მოჰყვინოს მემკვიდრეობის შედარებით უყურადღებოდ დარჩენილ ზოგიერთ საკითხს.

საკვანძო სიტყვები: კვლევა, მეცნიერული, პუბლიკაცია, ლიტერატურა, ისტორია.

შესავალი

გიორგი ლეონიძეს საზოგადოება, პირველ რიგში, დიდ ქართველ პოეტად მიიჩნევს, თუმცა მეცნიერული მოღვაწეობაც კარგადაა ცნობილი და მისი ნაყოფიერი კვლევითი საქმიანობაც არანაკლებ საინტერესოა მკითხველისათვის. ასევე მნიშვნელოვანია მისი, როგორც რედაქტორ-გამომცემლის ღვაწლი ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებისა, განსაკუთრებით კი ისეთი ძეგლებისა, რომლებიც მანამდე გამოცემული არ იყო და პოეტის დიდი შრომისა და კვლევითი საქმიანობის შედეგად გახდა შესაძლებელი ამ თხზულებათა გამოცემა, რომელთაც თვით გამომცემლის კვალიფიციური და მეცნიერულად კარგად შესწავლილი კვლევებიც ახლავს თან. ლიტერატორის მეცნიერული პუბლიკაციები სძირითადი ნაწილი აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურული ძეგლების შესწავლას შეეხება.

ძირითადი ნაწილი

გიორგი ლეონიძე ბავშვობიდანვე დაინტერესებულა თავისი ქვეყნის ისტორიით, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობით და ყმაწვილკაცობის ასაკში უკვე დიდი მონდომებით მოუკიდია ხელი ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის. ამ კუთხით პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“, რომელიც ახალგაზრდა პუბლიცისტს ჯერ კიდევ 1920 წელს გამოუქვეყნებია. ეს ნაწარმოები პოეტს კარგად შეუსწავლია და სათანადო

კვლევაც დაურთავს. მამუკა ბარათაშვილს აღნიშნული თხზულება მოსკოვში, 1731 წელს დაუწერია როგორც „ლექსის სწავლის წიგნი“, ანუ ეს გახლავთ ქართული ლექსის შინაარსის, აგებულების, ფორმების და ლექსის სხვა კომპონენტების შესწავლის პირველი მცდელობა მამუკა ბარათაშვილის მიერ. გიორგი ლეონიძემ პირველმა შეისწავლა „ჭაშნიკის“ ავტორის ბიოგრაფია და მანვე გახადა ცნობილი მკითხველისთვის. იგი წერს, რომ მამუკა ბარათაშვილის პოეტიკას, ესტეტიკურზე მეტად ისტორიული ღირებულება ჰქონდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველა ლიტერატურული ძეგლი მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მითუმეტეს, თუ ის საუკუნეების წინაა შექმნილი.

1935 წელს გამოვიდა ფეშანგი ხითარიშვილის, იგივე ფაშვიბერტყაძის პოემა „შაჰნავაზიანი“. მკვლევარს, როგორც თვითონ წერს, დიდი ინტერესი ჰქონია ამ ნაწარმოების მიმართ, რომელიც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში ყოფილა დაცული. ეს ხელნაწერი შესწავლილი ჰქონია მარი ბროსეს, მაგრამ რატომღაც, თვითონ ნაწარმოები ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი იყო. გ. ლეონიძე 1928 წელს ამ ხელნაწერის გადაღების მიზნით ჩავიდა ლენინგრადში და ტექსტის ფოტოპირი და თავისი ხელით გადაწერილი თხზულება ჩამოიტანა საქართველოში, რომელიც სათანადო შესწავლისა და დამუშავების შემდეგ მისი და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით დაიბეჭდა. პოემის ლეონიძისეული კვლევა საკმაოდ ვრცელია, რადგან დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ტექსტის შესწავლა-დამუშავების საკითხები და მისი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობის ძირითადი ასპექტები.

ისტორიულ-ლიტერატურული კვლევებიდან საინტერესო და მნიშვნელოვანია გ. ლეონიძის ცნობილი პუბლიკაცია იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“, რომელიც მან 1939 წელს გამოაქვეყნა. ეს საკმაოდ ვრცელი მონოგრაფიაა, სადაც ავტორს განსხვავებული მოსაზრებები აქვს იოსებ ტფილელის ცხოვრებამოღვაწეობის შესახებ და ეს მოსაზრებები, შესაბამისად, ახლებურად აქვს განხილული.

გიორგი ლეონიძე, ამ მონოგრაფიაში დაწვრილებით საუბრობს პოემის და მისი ავტორის შესახებ. განიხილავს იოსებ ტფილელის თბილისის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობის პერიოდს, საუბრობს მისი სხვა ნაწარმოებების შესახებ, რომელთაგან რამოდენიმე ჯერ კიდევ უცნობი იყო და სინანულს გამოთქვამს ამის გამო. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქართული მწიგნობრობის განვითარებისათვის იოსებ ტფილელის მიერ გაწეულ ღვაწლზე, რომელსაც ამ კუთხით ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად სიონის წიგნსაცავიც კი დაუარსებია და დიდი მონდომებით ზრუნავდა მის მოვლა-პატრონობაზე.

XVII-XVIII საუკუნეების ლიტერატურულ მოღვაწეთა შორის გამორჩეულია სულხან-საბა ორბელიანი. თავისი საინტერესო ცხოვრებითა და შემოქმედებით

ის ყოველთვის იქცევდა მკითხველისა თუ მკვლევარის ყურადღებას. გ. ლეონიძემ ჯერ კიდევ 20-იან წლებში მოჰკიდა ხელი საბას მოღვაწეობის შესწავლას და ამ კუთხით დიდი სამუშაო გასწია. 1928 წელს მან გამოსცა საბას „სიბრძნე სიცრუისა“, რომელსაც თან ერთვის საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია, რომელიც პრაქტიკულად პირველი სერიოზული მეცნიერული კვლევაა სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. უნდა ითქვას, რომ პუბლიცისტის აღნიშნული მონოგრაფია შემდგომ გამოცემებსაც აქვს დართული, როგორც საიუბილეო, ასევე რუსული გამოცემების ჩათვლით.

„სიბრძნე სიცრუისა“ შესწავლა და მისი მეცნიერული განხილვა იმ დროისთვის საჭირო და მეტად აქტუალური საკითხი იყო, რადგან ისეთ დიდ და საინტერესო თხზულებას, როგორიც „სიბრძნე სიცრუისა“ აუცილებლად უნდა მისცემოდა აღმზრდელობითი მნიშვნელობის ნაწარმოების ფუნქცია და დატვირთვა. სწავლა-აღზრდის საქმე ყველა დროს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხადაა მიჩნეული. 20-იანი წლების საქართველოში კი, ამ მხრივ, მდგომარეობა კარგი ვერ იქნებოდა. გიორგი ლეონიძემ დროულად მოჰკიდა ხელი ამ თხზულების მეცნიერულად შესწავლის საქმეს და შესანიშნავი გამოცემა შესთავაზა მკითხველს და, რაც მთავარია, მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლებისათვის „სიბრძნე სიცრუისამ“ ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოების ფუნქცია შეიძინა, ამასთანავე, მასობრივი მკითხველის ცნობიერების უკეთ განვითარებასაც შეუწყო ხელი.

რაც შეეხება ხელნაწერს თხზულებისა „მოგზაურობა ევროპაში“, იმდენად სრულყოფილად თვლის გ. ლეონიძე, რომ მას, სხვა, მანადე ცნობილ ხელნაწერებთან შედარებით აშკარა უპირატესობას ანიჭებს და ყველაზე ახლოდ მიიჩნევს ავტორისეულ ტექსტთან. და არც იმას გამორიცხავს, რომ ეს ხელნაწერი იყოს პირველწყარო სხვა უკვე ცნობილი ხელნაწერი ტექსტებისა. მასზე მუშაობისას ისიც დაადგინა, რომ ეს ხელნაწერი ყოფილა საკუთრება ერეკლე მეორის ცნობილი სარდლის დავით ორბელიანისა. გიორგი ლეონიძემ მაშინვე გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ეს ახალი ხელნაწერი იმდენად კარგი იყო, რომ მის საფუძველზე უნდა მომხდარიყო სხვა ხელნაწერების ბუნდოვანი ადგილების შევსება და გასწორება.

„მოგზაურობა ევროპაში“, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, კიდევ იმითაა საინტერესო, რომ ის შეიძლება წმინდა პუბლიცისტური მიმართულებით განვიხილოთ. გიორგი ლეონიძისათვის ეს თხზულება მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლი არაა და იგი გაცილებით დიდი მნიშვნელობის თხზულებაა, ვიდრე ერთი კონკრეტული ლიტერატურული ძეგლი. ამ ნაწარმოებით შეიძლება ითქვას, საბამ საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმდინარეობას, რომ დღიურების სახით წარმოდგენილი თხრობა ნამდვილად უნდა ჩაითვალოს პუბლიცისტურ მიმართულებად. პოეტი „ვნებიან მოარაკეს“ უწოდებს საბას,

რომელსაც მოგზაურობისას მიზნად დაუსახავს მხოლოდ სიმართლის თქმა და ნანახისა და განცდილის რეალური აღწერა.

1935 წელს „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ გამოქვეყნდა გიორგი ლეონიძის ერთი მეტად საინტერესო პუბლიკაცია „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერები“. არქივებსა და ისტორიულ დოკუმენტებზე მუშაობისას მას ყურადღება მიუქცევია პლატონ იოსელიანის მიერ დაწერილი ერთი საინტერესო ცნობისთვის, სადაც იგი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ხელნაწერზე, რომელიც თვითონ პლატონ იოსელიანს მიუერთმევია მეფისნაცვალ ვორონცოვისთვის. ხელნაწერს ილუსტრაციები და თვით პოემის ავტორის პორტრეტიც ერთვოდა ერისკაცის სამოსით. ამ ფაქტის შემდეგ დაუწყია პოეტს ზრუნვა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ხელნაწერის აღმოსაჩენად. და აი, ვორონცოვის არქივში მართლაც იქნა ნანახი ეს ხელნაწერი, რომელსაც პუბლიცისტმა „ზაზა ციციშვილისეული ვეფხისტყაოსანი“ დაარქვა.

გ. ლეონიძე ყურადღებით ეკიდებოდა ხალხურ სიტყვიერებაში გაბნეულ მასალებს. გულდასმით იკვლევდა ხალხის მეხსიერებაში დარჩენილ კონკრეტულ ფაქტებს და სათანადო შესწავლის შემდეგ ხშირ შემთხვევაში იყენებდა თავის სამეცნიერო თუ ესეისტურ პუბლიკაციებში, რითაც მან მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა და გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა ძველ ქართულ ლიტერატურაზე, განსაკუთრებით კი XVII-XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაზე.

ლიტერატურა

1. ლეონიძე გ. გამოკვლევები და წერილები. თბილისი, გამომც., „საბჭოთა მწერალი“, 1959 წ., 435 გვ.

*Edisher Chkareuli, Doctoral student
Georgian Technical University*

For the nature of the scientific publicism of G. Leonidze

Summary

It must be separated a series of essays from publication of Giorgi Leonidze based on the result of his scientific research, which were published in 1959 by the publishing house “Soviet Writer” with title „researches and letters”. This book contains scientific studies about history of Georgian literature. In the same collection there are small letters of the publisher, where the author is trying to clarify some of the issues that remain without attention from chronicler in historical documents and folklore.

Keywords: *research, scientific, publication, literature, history.*

მკონომიკა

ECONOMICS

ბენჩმარკინგი თანამედროვე მენეჯმენტის არქიტექტურაში

*ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბენჩმარკინგის როლი თანამედროვე მენეჯმენტის არქიტექტურაში, რომელიც წარმოადგენს მენეჯმენტის და მარკეტინგის მეთოდების და ტექნოლოგიების შერწყმას; უზრუნველყოფს ბიზნეს-პროცესების და კორპორატიული მენეჯმენტის წარმატებას; მოცემულია ბენჩმარკინგის კონცეფცია, მისი ტიპები, ძირითადი ელემენტები.

განხილულია ბიზნესის ახალი წესებით წარმოება, ცალკეული ტოპ-მენეჯერების, მარკეტოლოგების ინოვაციური კრეატიული იდეებით და თანამედროვე ტექნოლოგიური მეთოდებით კონკურენტუნარიანობის მიღწევა, ბაზარზე ნიშის დამკვიდრებით. ბენჩმარკინგი ასევე აიაფებს და ამარტივებს ბიზნეს პროცესების ეტალონური მოდელების გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: ბენჩმარკინგი, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბიზნეს-პროცესები, სტრატეგია, ეტალონი, კონკურენცია.

შესავალი

ბენჩმარკინგი თანამედროვე ეკონომიკის მიმართულებას. მისი არქიტექტურა წარმოადგენს მენეჯმენტის და მარკეტინგის მეთოდების და ტექნოლოგიების შერწყმას, რომელიც თანამედროვე კომპანიების ბიზნეს-პროცესების საკვანძო

ორიენტირებას უზრუნველყოფს კორპორატიული მენეჯმენტის ეფექტურობის ასამაღლებლად [1].

ბენჩმარკინგი (benchmarking) ეტალონური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის პროცესია, რომლის ამოცანაა ეფექტურად ფუნქციონირების პირობების და მიზეზების გამოვლენა სხვათა პრაქტიკაში საკუთარი საქმიანობის მათი დანერგვის მიზნით [2].

ბენჩმარკინგის მთავარი სტრუქტურული „ტექნოლოგიური რგოლი“ მენეჯმენტის სისტემაში საშუალებას იძლევა ეფექტურად გამოავლინოს ბიზნესი და რისკები, რომელსაც გაითვალისწინებს ფირმა ბიზნეს-სტრატეგიის აგებისას.

შესავალი

ბენჩმარკინგის ცნება პირველად შემოვიდა XX საუკუნის 80-იან წლებიდან რ. კემპის მიერ, რომელმაც დღესაც არ დაკარგა აქტუალობა კორპორატიულ მენეჯმენტში, მისი სიტყვებით: „ბენჩმარკინგი – ეს საუკეთესოს ძიებაა დარგში, რომელსაც მიჰყავს ბიზნესი წარმატებისკენ [3]. ბენჩმარკინგი თანმიმდევრული და უწყვეტი პროცესია. ეს შიდა საკვანძო პროცესების დახვეწაა, რომელიც მოითხოვს საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს, შედარებას და ძიებას, დახვეწას და გაუმჯობესებას.

ბენჩმარკინგი – “Benchmarking“-ის ინგლისური სიტყვის თარგმანია „ქვის სკამი“, რომელიც შემოვიდა ხარისხის მართვისთვის ტოპოგრაფიიდან და გეოდეზიიდან.

ჩვენი აზრით, ბენჩმარკინგი ხელს უწყობს ორგანიზაციის კრიტიკული დამოკიდებულების განვითარებას ბიზნეს-პროცესებისადმი: ააქტიურებს ორგანიზაციაში სწავლის პროცესს და ქმნის მოტივაციას უკეთესი ცვლილებებისკენ, ეძებს ინოვაციურ წყაროებს, ქმნის ახალ ეტალონებს ბიზნეს-პროცესების მაჩვენებლების გაზომვისათვის. სხვა სიტყვებით, ის წარმოადგენს წარმატებულ კომპლექსურ ბიზნეს-გადაწყვეტის ტექნოლოგიურ შესწავლას.

დღეს არ არსებობს ბენჩმარკინგის განხორციელების ერთიანი მეთოდიკა, თუმცა მისი საბაზო პრინციპები ყველგან ერთნაირია. ბენჩმარკინგს ატარებენ, როგორც გარკვეულ ბიზნეს-პროცესების, ასევე საწარმოო პროცესებისთვის დამოუკიდებელი პროექტის სახით.

ბენჩმარკინგის კონცეფციის განვითარების თანმიმდევრობა ასეთია: 1. კონკურენტის პროდუქტის დონესთან შესაბამისობა; 2. კონკურენტის ბიზნეს-პროცესებთან შესაბამისობა; 3. მსოფლიოს საუკეთესო მიღწევებთან შესაბამისობა განურჩევლად დარგისა; 4. სტრატეგიული ბენჩმარკინგი, ინფორმაციის გაცვლით კომპანიებს შორის შემოდის სტრატეგიულ ალიანსში.

არსებობს ბენჩმარკინგის შემდეგი ტიპები: 1. შიდა (ფუნქციონალური) – ორგანიზაციის შიგნით (განყოფილებების) ოპერაციების შედარება; 2. გარე –

სხვადასხვა ორგანიზაციების შედარება; 3. კონკრეტული; 4. არაკონკრეტული – გარე კომპანიების დამოკიდებულების შედარება ერთ ბაზარზე; 5. პრაქტიკული – პრაქტიკული ოპერაციების შედარება სხვადასხვა ორგანიზაციების; 6. ფუნქციონალური; 7. საერთო; 8. სტრატეგიული [1]. ამა თუ იმ სახეობის შერჩევა დამოკიდებულია ფირმის სტრატეგიის რეალიზაციაზე და მისი მენეჯმენტის კომპეტენციაზე.

თანამედროვე მენეჯმენტის არქიტექტურაში, კონკრეტული ბენჩმარკინგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ტოპ-მენეჯერმა გადაწყვიტა შეადაროს თავისი ფირმის მუშაობის მაჩვენებლები ანალოგიური წარმატებული კონკრეტული ფირმის მაჩვენებლებთან. ინფორმაციას კონკურენტების შესახებ აგროვებენ ანალიტიკოსი-მარკეტოლოგები. ზოგჯერ იყენებენ კონკურენტულ დაზვერვის მეთოდსაც, რაც ალბათ მიუღებელია.

ბენჩმარკინგის ჩატარებისას შესაძლებელია ღია ნებაყოფლობითი ინფორმაციის გაცვლა.

სტრატეგიულ ბენჩმარკინგს ატარებენ მაშინ, როდესაც კომპანიის მმართველი გადაწყვეტს დაეუფლოს ახალ ბაზარს, იყოს კონკურენტუნარიანი ან გამოუშვას ახალი პროდუქცია.

ფუნქციონალურ ბენჩმარკინგს მიმართავენ მაშინ, როდესაც ფირმას სურს შეადაროს გარკვეული ფუნქციების ეფექტურობა (ყიდვა-გაყიდვები, პერსონალის მართვა) სხვა კომპანიების ანალოგიურ ფუნქციებთან. ამ სახეობის ბენჩმარკინგს იყენებენ წარმოების საქმიანობის ყველა სფეროში-საწარმოებში, ლოჯისტიკაში, ფინანსებში, პერსონალის მართვაში, მარკეტინგში და ა.შ.

„ბენჩმარკინგი“ ხარისხის მართვაში უწყვეტი მაღალი მაჩვენებლების სისტემური პროცესია.

ფილოსოფიური თვალთახედვით „ბენჩმარკინგი“ ნიშნავს: „უნდა იყო საკმაოდ ჭკვიანი, რომ აღიარო: ყოველთვის არის ვიღაც, ვინც რაღაცით უკეთესია, ვიდრე შენ; ან იყო საკმაოდ ბრძენი, რომ ისწავლო მისგან ყველაფერი, ხოლო შემდეგ დაეწიო და გაასწრო მასწავლებელს“.

ბენჩმარკინგის ძირითადი ელემენტებია: 1. საკუთარი და პარტნიორების მაჩვენებლების დონის განსაზღვრა ბენჩმარკინგის მიხედვით; 2. პროცესების, შედეგების, პრაქტიკის მაჩვენებელთა დონის შედარება; 3. შესწავლა პარტნიორების წარმატების მაგალითზე ბენჩმარკინგის მიხედვით საკუთარი ორგანიზაციების გამოსასწორებლად; 4. სრულყოფა ბენჩმარკინგის უმაღლესი მიზანია.

ბენჩმარკინგი ხელს უწყობს არსებული ბიზნეს-პროცესების აქტივიზებას, ინოვაციური მეთოდების სრულყოფას, ბიზნეს-პროცესების მაჩვენებლების გაზომვას ახალი ეტალონების გამოვლენას.

დღეს არ არსებობს ბენჩმარკინგის განხორციელების ერთიანი მეთოდიკა, მაგრამ მისი საბაზო პრინციპები ყველგან ერთნაირია. გამოყოფენ ბენჩმარკინ-

გის ოთხ ძირითად ნაბიჯს: 1. პრობლემის განსაზღვრა და მაჩვენებლების შერჩევა შედარებისთვის; 2. ობიექტის შერჩევა შედარებისთვის და ინფორმაციის შეგროვება; 3. ინფორმაციების ანალიზი; 4. გადაწყვეტილების მიღება.

პირველი ეტაპის მთავარი ამოცანაა პრობლემის ფორმულირება, რის გადაწყვეტად ორგანიზაცია მიმართავს სხვა კომპანიების ეფექტურ ბიზნეს-გადაწყვეტებს. ბენჩმარკინგისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს: დარგობრივი გამოფენები, კონგრესები, სემინარები, ბაზრობები, კონსულტანტები დარგობრივი ინსტიტუტებიდან; პროფესიონალი ასოციაციები, კონფერენციები, არაფორმალური შეხვედრები; კოლეგებთან კლიენტების გამოკითხვა, დასავლეთის საჯარო კომპანიების საიტები, სადაც განთავსებულია წლიური ანგარიშები და სხვა ინფორმაციები ინვესტორებისათვის. მეორე ეტაპზე უშუალოდ უნდა შეირჩეს ობიექტი შესადარებლად. ბენჩმარკინგის განხორციელების მესამე ეტაპზე ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი. ტოპ-მენეჯერი, პასუხისმგებელია შედარებით კვლევაზე. ის ავლენს მისი კომპანიის ჩამორჩენის მიზეზს ეტალონ-კომპანიებისაგან. ყურადღებას აქცევს პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას, რათა პროდუქტი კონკურენტუნარიანი იყოს, ასევე გამოყენებული უნდა იყოს მაღალ ტექნოლოგიური დანადგარები. ბენჩმარკინგის მეოთხე, ბოლო ეტაპზე, როცა ცნობილია ფირმის ჩამორჩენა ეტალონური კომპანიისაგან, საჭიროა გადაწყვეტის მიღება, თუ როგორ მოხდეს არსებული განსხვავების ლიკვიდაცია, რომ შემდგომში უკეთესი გადაწყვეტა მიიღოს.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, უბრალო ტექნოლოგიური მიღწევების მართვის სისტემების, კონკურენტი-საწარმოს საკადრო პოლიტიკის კოპირება მიუღებელია.

თითოეულ საწარმოს, რომელიც ახორციელებს ბენჩმარკინგს, უნდა ესმოდეს, რომ ინფორმაციის შეგროვებით შეიძლება დაგეგმილი პროექტის, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების უაზრობის დამტკიცება. ხშირად არის სიტუაციები, სადაც არ არის მაღალკვალიფიცირებული ინჟინრები. ეს ყველაფერი ნეგატიურად აისახება საწარმოს და ორგანიზაციის ეფექტურად ფუნქციონირებაზე და მის ბიზნეს-პროცესებზე.

აუცილებელია ასევე აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ბენჩმარკინგში, აუცილებელია დაცული იყოს ბალანსი გადაწყვეტილების ღირებულების და მათ სარგებლის პოტენციალს შორის.

დასკვნა

ამრიგად, კონკურენტის სისტემური გაგება, რომელიც უზრუნველყოფს ბენჩმარკინგს, ეხმარება ზუსტად შეაფასოს კომპანიის საკუთარი პოზიცია და ეფექტურად ურთიერთიმოქმედოს მომხარებელთან, რითაც აღწევს კონკურენტულ ბაზარზე ახალი ნიშის დამკვიდრებას, დიდი მოგების მიღებას,

დასახული მიზნების განხორციელებას და ა.შ. ბიზნესის ახალი წესებით წარმოება ხშირად შედეგია არა მხოლოდ ცალკეული ტოპ-მენეჯერების, მარკეტინგის განყოფილების, არამედ მთლიანი ფირმის. როგორც წესი, ნოვაციები იზადება მრავალი კომპანიის სისტემური ანალიზის შედეგად. ბენჩმარკინგი სისტემური ანალიზის შედეგად, წარმოშობს ახალ პროდუქტიულ სტრატეგიებს ბაზარზე სამეურნეო სუბიექტის მოქცევას, ფირმას ნებას აძლევს სისტემატურად მიიღოს ინოვაციური გადაწყვეტილება რათა მუდმივად მდგრადი კონკურენტუნარიანი იყოს.

ასეთია ბენჩმარკინგის როლი თანამედროვე მენეჯმენტის არქიტექტურაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Гераськина И.Н., Князев Е.А., Евдокимова Я.Ш. Бенчмаркинг для вузов. Учебно-методич пособия. Университетская книга, логос, 2006, 205 с.
2. არჩილ სამადაშვილი. ბიზნესპროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი. თბ. 2018. სტუ., გვ. 126, 130.
3. Анн Х., Багиев Г.Л. Тарасевич В.М., Макетинг: учеб. для вузов, 3-е изд./ под общ.ред. Г.А. Багиева. СПб: Питер, 2005, 718 стр.

*Elisabed Khakhutashvili, Associate Professor
Georgian Technical University*

Benchmarking in the Architecture of the Modern Management

Summary

In the Article is discussed the role of benchmarking in the architecture of modern management, that represents the merge of methods and technologies of management and marketing; provides success of business processes and corporative management. The concept of benchmarking, its types and major elements are given in the Article.

There are discussed the new rules of business production, achieving competitiveness through the innovative creative ideas of particular top-managers and marketers as well as by the modern technological methods, obtaining the market niche. The benchmarking simplifies and cheapens business processes by using etalon models. This is benchmarking in the architecture of modern management.

Keywords: *Benchmarking, Management, Marketing, Business-Processes, Strategy, Etalon, Competition*

ორგანიზაციების უწყვეტი საქმიანობა და რისკების შეფასება

*თამარ ღამბაშიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტ. აკად. დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*დავით ფარესაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ეკონომიკური საქმიანობის შეუფერხებელი მართვა საჭიროებს აღიარებული მეთოდოლოგიის გამოყენებას. ნიშანდობლივია, რომ ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს არა თავისით შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც საგრძნობლად შეიძლება განსხვავდებოდეს საერთაშორისო სტანდარტებისგან, არამედ დაეყრდნოს უკვე არსებულ, ფართოდ აღიარებულ პრაქტიკას. აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა ჩამოყალიბდეს ორგანიზაციის ზომისა და სირთულის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ერთიანი, უნივერსალური და სტანდარტული ბიზნეს უწყვეტობის გეგმა. თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს და შეიმუშავოს საკუთარი მახასიათებლებიდან გამომდინარე, სასურველი მიდგომა. პროექტის სფეროს განსაზღვრა და წინასწარი დაგეგმვა იმის შემდეგ, რაც ორგანიზაცია გამოყოფს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს, გეგმის ავტორებმა თავდაპირველად უნდა გაითვალისწინონ ორგანიზაციაში შემავალი ყველა ის სტრუქტურული ერთეული და პიროვნება, რომლებიც შეიძლება უშუალოდ დაკავშირებული იყოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ჩამოყალიბებასთან.

საკვანძო სიტყვები: შეუფერხებელი მართვა, ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტობა, უწყვეტობის რისკი, კრიზისის მართვა, აღმასრულებელი მენეჯმენტი.

ძირითადი ნაწილი

ბიზნეს უწყვეტობის მართვის საფუძვლები და ზოგადი მიმოხილვა რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ორგანიზაცია, აუცილებელს ხდის შეფასდეს ბიზნეს უწყვეტობის ყველა კომპონენტი.

ეკონომიკური საქმიანობის გეგმის ფარგლებში შედის თანამშრომელთა და პოტენციურად სხვა პიროვნებათა (მ.შ. კლიენტების) ევაკუაციის გეგმაც. ბიზნეს უწყვეტობის გეგმა გულისხმობს ორგანიზაციის უწყვეტ რეჟიმში მუშაობას მოულოდნელი ან უჩვეულო გარემოებების დადგომისას. მოცემული მეთოდოლოგიის მიზანია, დაინერგოს პოლიტიკების, პროცედურებისა და

პროცესების ისეთი ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციაზე რისკის მაქსიმალურ შერბილებას და მინიმალურ ზეგავლენას პოტენციური, დამანგრეველი ან ორგანიზაციისთვის შემაფერხებელი მოვლენის დროს.

ეკონომიკურ საქმიანობას და მათ შორის. ბიზნესს, ესაჭიროება უწყვეტობა და სრულყოფილი დაგეგმვა. ბიზნეს უწყვეტობის დაგეგმვა გულისხმობს სხვადასხვა სახის რისკების შეფასებას, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ორგანიზაციის პროცესებზე და ასევე მოიცავს პოლიტიკის, გეგმებისა და პროცედურების შემუშავებას იმისათვის, რომ მოხდეს ზემოაღნიშნული რისკების მინიმიზება.

მთლიანობაში, უწყვეტობის რისკი, სხვა მოულოდნელობებთან ერთად, კომერციული ბანკების სტრატეგიული რისკების მართვის გეგმის განუყოფელი ნაწილია. თვითონ ბიზნეს უწყვეტობის საკითხი წარმოადგენს ორგანიზაციისთვის რისკების ერთ-ერთ მოტივაციურ სტრატეგიას. ბიზნეს უწყვეტობა მოიცავს სამ ძირითად საკითხს. ესენია:

1. ორგანიზაციის ოპერაციების აღდგენის დაგეგმვა და უზრუნველყოფა, რაც უშუალოდ საოპერაციო გარემოს უკავშირდება;

2. უბედური შემთხვევისგან აღდგენის დაგეგმარება, რაც ორგანიზაციის საინფორმაციო სისტემების აღდგენას გულისხმობს;

3. კრიზისის მართვა, რომელიც ორგანიზაციის გადაწყვეტილებების მიღების უნარს უკავშირდება და მოიცავს ბიზნეს უწყვეტობის ეფექტიან ზედამხედველობას და მართვას.

დამატებით, ბიზნეს უწყვეტობა გულისხმობს ორგანიზაციის საოპერაციო უწყვეტობის შენარჩუნებას შემცირებული ან შეზღუდული ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გამოყენებით, ან ისეთ პირობებში მუშაობას, როდესაც ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომია საოპერაციო რესურსების შედარებით უფრო მცირე რაოდენობა. მთავარია, რომ ორგანიზაციის კრიტიკული პროცესების უწყვეტობა შენარჩუნდეს. აქედან გამომდინარე, ბიზნეს უწყვეტობის გეგმა შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგანიზაციის ოპერაციების ეფექტიან მართვისა და აღდგენისათვის. თუ ოპერაციების უწყვეტობის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, მაშინ ეს ავტომატურად მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნეს პროცესები შეფერხებულად მუშაობს და ორგანიზაცია გადადის მუშაობის საგანგებო რეჟიმზე. ეს უკანასკნელი უკვე გულისხმობს უბედური შემთხვევებისგან აღდგენის გეგმაზე ავტომატურ გადასვლას.

ორგანიზაციის პერსონალის რესურსებთან დაკავშირებული რისკები მოიცავს ორი სახის პოტენციურ ზიანს. პირველი, ეს არის დამქირავებლის პასუხისმგებლობა უსაფრთხოებაზე და მომხმარებლის მხრიდან საწარმოს თანამშრომლების მიმართ პრეტენზიებზე. მეორე, ეს არის გარე რისკები რომლებიც ეხება ცალკეული თანამშრომლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და

უკავშირდება მათ მიერ თავიანთ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას.

ეს რისკები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით:

სტრატეგიული რისკები: ორგანიზაციის გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებული რისკები, კაპიტალის არსებობა, პოლიტიკური გარემოს დინამიკა, კანონმდებლობის ცვლილებები, ბუნებრივი გარემოს ცვლილებები, რეპუტაცია და იმიჯი.

ოპერაციული რისკები: ორგანიზაციის ყოველდღიურ საკითხებთან დაკავშირებული რისკები.

საფინანსო რისკები: ორგანიზაციის ფინანსების მართვა, საკრედიტო საშუალებები, ვალუტის კურსის ცვლილება, პროცენტული განაკვეთის დინამიკა.

საკანონმდებლო შესაბამისობის რისკები: კანონმდებლობასთან შესაბამისობა შრომის დაცვის, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, უსაფრთხოების წესების დაცვის მხრივ.

ქონებრივი რისკები: რისკები, დაკავშირებული შენობა-ნაგებობებთან, შიგთავსთან, საინფორმაციო და პროგრამულ უზრუნველყოფასთან, აღრიცხვის, საბუღალტრო-ფინანსურ დოკუმენტაციასთან, ფასიან ქაღალდებთან, ავტომობილებთან, საკომუნიკაციო საშუალებებთან.

საინფორმაციო რისკები: ინტელექტუალური საკუთრება, ინფორმაციის წყაროები, ინფორმაციის შენახვა და გამოყენება, ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენების თანამედროვე ტექნოლოგიები.

პასუხისმგებლობის რისკები: უხარისხო პროდუქცია, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, მესამე პირთა ინტერესების შელახვა, მომატებულ საფრთხესთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.

ბიზნეს რისკები: წარმოების გაჩერება, მომარაგება, ლოჯისტიკა, კონკურენცია, მარკეტინგი.

ადამიანური რესურსების რისკები: ტრავმა, ჯანმრთელობის გაუარესება, გარდაცვალება, უმუშევრობა, სოციალური ვალდებულებები.

უკანონო ქმედებების რისკები: თაღლითობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ინტელექტუალური საკუთრება, საინფორმაციო უსაფრთხოება

მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს უწყვეტობის დაგეგმვის დროს, პრიორიტეტი ყოველთვის უნდა მიენიჭოთ ადამიანებს. პირველ რიგში, ადამიანების უსაფრთხოება უნდა იყოს უზრუნველყოფილი უწყვეტობის გეგმის ამოქმედებისას. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ზოგადი მიზანია, ორგანიზაციის მასშტაბით ამოქმედდეს ეფექტიანი, მშვიდი და სწრაფი რეაგირების მექანიზმი მოულოდნელი გარემოებების დადგომისას და ასევე, გა უმჯობესდეს კომპანიის შესაძლებლობა, რომ აღადგინოს ყველა საჭირო ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობა დროის მოკლე მონაკვეთში. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის (დაგეგმვის) ოთხი ძირითადი კომპონენტია:

1. პროექტის სფეროს განსაზღვრა და წინასწარი დაგეგმვა;
2. ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზი;
3. უწყვეტობის დაგეგმვა;
4. დამტკიცება, განხორციელება და მოქმედებაში მოყვანა.

ეკონომიკური საქმიანობის შეუფერხებელი მართვა საჭიროებს აღიარებული მეთოდოლოგიის გამოყენებას. ნიშანდობლივია, რომ ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს არა თავისით შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც საგრძნობლად შეიძლება განსხვავდებოდეს საერთაშორისო სტანდარტებისგან, არამედ დაეყრდნოს უკვე არსებულ, ფართოდ აღიარებულ პრაქტიკას. ბიზნეს უწყვეტობის პრინციპების აღიარებული პრაქტიკის გამოყენება გულისხმობს:

1. ორგანიზაციის სრულყოფილ და კარგად გააზრებული ანალიზის ჩატარებას, რომელიც მოიცავს ოპერაციების აღდგენის საკითხსაც კრიზისის მართვის თვალსაზრისით;
2. ბიზნეს უწყვეტობის გუნდის ჩამოყალიბებას აღმასრულებელი დირექტორატის მონაწილეობით;
3. არსებული რესურსების შეფასებასა და მობილიზებას;
4. სამართლებრივ და საკანონმდებლო გარემოს ანალიზს, რომელიც მოიცავს მოთხოვნებს საგანგებო სიტუაციების დადგომის რეაგირების მიმართ.

აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა ჩამოყალიბდეს ორგანიზაციის ზომისა და სირთულის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ერთიანი, უნივერსალური და სტანდარტული ბიზნეს უწყვეტობის გეგმა. თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს და შეიმუშავოს საკუთარი მახასიათებლებიდან გამომდინარე, სასურველი მიდგომა. პროექტის სფეროს განსაზღვრა და წინასწარი დაგეგმვა იმის შემდეგ, რაც ორგანიზაცია გამოყოფს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს, გეგმის ავტორებმა თავდაპირველად უნდა გაითვალისწინონ ორგანიზაციაში შემავალი ყველა ის სტრუქტურული ერთეული და პიროვნება, რომლებიც შეიძლება უშუალოდ დაკავშირებული იყოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ჩამოყალიბებასთან.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ავტორებმა სტრუქტურული ერთეულების და პიროვნებების იდენტიფიცირებასა და შერჩევაში უნდა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

1. ორგანიზაციის კრიტიკულ ბიზნეს პროცესების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების იდენტიფიცირება;
2. კრიტიკული მხარდამჭერი სერვისების გამოვლენა (მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრუქტურული ერთეული. სერვისებში იგულისხმება ზოგადად ფუნქციები და ბიზნეს პროცესები. ორგანიზაციის ანალიზი პოტენციურად სხვა ჯგუფებიც რომლებიც კრიტიკული ბიზნეს პროცესების უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ);

3. აღმასრულებელი მენეჯმენტი და სხვა საკვანძო თანამშრომლები, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობაში.
4. ზემოაღნიშნული პროცესის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, როდესაც ხდება ორგანიზაციისთვის კრიტიკული სტრუქტურული ერთეულების და პიროვნებების იდენტიფიცირება, უფრო ადვილდება თვითონ ბიზნეს უწყვეტობის გუნდის ჩამოყალიბებაც. დამატებით, ზემოაღნიშნული პროცედურები საფუძველს უყრის მთლიანი ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავების პროცესსაც.

ამ ეტაპზე, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ ორგანიზაციამ შეარჩიოს და უზრუნველყოს ეფექტიანი ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდის ჩამოყალიბება. ყველა ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მასშტაბით კრიტიკული ბიზნეს პროცესების განხორციელებას ან კრიტიკული ბიზნეს პროცესების მხარ-დამჭერი ფუნქციების შესრულებას, უნდა შევიდეს ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდში. უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ გუნდი მოიცავდეს ორგანიზაციის ბიზნეს ფუნქციების წარმომადგენლებს და არა მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების მართულების ან უსაფრთხოების თანამშრომლებს.

მრავალი ორგანიზაცია უშვებს უაღრესად სახიფათო შეცდომას, როდესაც ბიზნეს უწყვეტობის მართვის საკითხებს ანდობს მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების და უსაფრთხოების სტრუქტურულ ერთეულებს. ეს ხშირ შემთხვევაში იწვევს იმას, რომ ორგანიზაციის დანარჩენი თანამშრომლები, რომლებიც კრიტიკულ ფუნქციებს ასრულებენ ორ-განიზაციის მასშტაბით, მაგრამ არ არიან დაკავშირებულები საინფორმაციო ტექნოლოგიების და უშიშროების სტრუქტურულ ერთეულებთან, რჩებიან არაინფორმირებულები ბიზნეს უწყვეტობის გეგმის თაობაზე. იმისათვის რომ ზემოაღნიშნული სიტუაცია თავიდან იქნას აცილებული, ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ხელმძღვანელებმა უნდა ჩამოაყალიბონ ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდი შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

1. აღმასრულებელი მენეჯმენტის წარმომადგენლები;
2. კრიტიკულ ბიზნეს პროცესებზე პასუხისმგებელი ყველა სტრუქტურული ერთეულიდან უნდა იყოს წარდგენილი არანაკლებ ერთი წარმომადგენელი;
3. კრიტიკული ბიზნეს პროცესების მხარდამჭერი ერთეულებიდან არანაკლებ ერთი წარმომადგენელი;
4. საინფორმაციო ტექნოლოგიების ფუნქციური ერთეულიდან დამატებითი წარმომადგენლები, რომლებსაც ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ფარგლებში, გააჩნიათ დაფარული საკითხების ცოდნა ტექნიკური თვალსაზრისით;

5. იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც გათვინი-
ბიერებულები არიან კორპორატიულ-იურიდიულ და სახელმეკრულებო
სამართალში.

ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდის შერჩევისას, გადამწყვეტი როლი
ენიჭება გუნდის წევრების ერთმანეთთან ეფექტიან მუშაობას. იქიდან გამომ-
დინარე, რომ ზემოაღნიშნული წარმომადგენლები სავარაუდოდ დიდ მრავალ-
ფეროვნებას შემოიტანენ გუნდის შემადგენლობაში და გუნდის მუშაობის
პროცესში, არ უნდა შეიქმნას ისეთი გარემოება გუნდის შიგნით, რომელიც საფ-
რთხეს შეუქმნის გუნდის ეფექტიან და კონსტრუქციულ რეჟიმში მუშაობას.
შესაბამისად, ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გუნდის გამართულ ფუნქცი-
ონირებას. აქედან გამომდინარე, გუნდის შიგნით არ უნდა მოიყარონ თავი
ისეთმა წევრებმა, რომლებიც კონფლიქტში არიან ერთმანეთთან, ან კონფლიქტი
შემოაქვთ გუნდის მუშაობის პროცესში.

იურიდიული დეპარტამენტის არანაკლებ ერთი თანამშრომლის ჩართუ-
ლობა ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდში არის აუცილებელი, რადგან
კრიზისული მოვლენის დროს უაღრესად მნიშვნელოვანია იურიდიული
საკითხების და სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინება კრიზისული სიტუა-
ციის მართვისას. არა-ორდინალურ პირობებში ქმედებების განხორციელება
ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდის მიერ საჭიროებს სათანადო იურიდიული
საკითხების გათვალისწინებასაც. ბიზნეს უწყვეტობის გუნდის შერჩევის შემ-
დეგ, გადამწყვეტი როლი გუნდის წევრების ერთმანეთთან მუშაობაში გააჩნია
ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ტესტირებას. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს იმას,
რომ კრიზისული სიტუაციის სიმუღირებისას, ხშირად ვლინდება არსებობს თუ
არა კონფლიქტი გუნდის წევრებს შორის რაც პრობლემას შეუქმნის უწყვეტო-
ბის მართვის გუნდის ჰარმონიულ მუშაობას.

ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტობის არაერთი აღიარებული ექსპერტი
მიიჩნევს, რომ აღმასრულებელი მენეჯმენტის როლი ბიზნეს უწყვეტობის
მართვის პრინციპების დამკვიდრებაში ორგანიზაციის მასშტაბით, ყველაზე
კრიტიკული ფაქტორი. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ჩამოყალიბების დროს,
აუცილებელია აღმასრულებელი მენეჯმენტის და სტრატეგიული გუნდის
აქტიური ჩართულობა. ბიზნეს უწყვეტობაზე პასუხისმგებელმა პირებმა მაქსი-
მალურად უნდა იზრუნონ იმაზე, რომ მოხდეს აღმასრულებელი დირექტორა-
ტის აქტიური ჩართვა ბიზნეს უწყვეტობის პროცესებში. იმ შემთხვევაში, თუ
მენეჯმენტის მხრიდან არ არის დაინტერესება ზემოაღნიშნული საკითხის
მიმართ, მაქსიმალურად არგუმენტირებულად უნდა მოხდეს მენეჯმენტისთვის
იმ კრიტიკული როლის ახსნა, რაც მენეჯმენტს აკისრია ბიზნეს უწყვეტობის
მართვის ფარგლებში. დირექტორატის მიდგომა და ქმედებები ამ მიმარ-
თულებით სასურველია იყოს პროაქტიული და განხორციელდეს საკუთარი

ინიციატივით, მაგრამ რიგ ქვეყნებში ასევე არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მენეჯმენტს ავალდებულებს ბიზნეს უწყვეტობის პროცესებში აქტიურ ჩართულობას. ბიზნეს უწყვეტობის გუნდმა ასევე შეიძლება შეახსენოს აღმასრულებელ მენეჯმენტს, რომ არაერთ იურისდიქციაში, ორგანიზაციის დირექტორები უშუალოდ პასუხისმგებლები არიან კანონის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ მოულოდნელი, საგანგებო მოვლენა ორგანიზაციას მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს. შეიძლება მოხდეს დირექტორატის პასუხისმგებლობაში მიცემა იმ შემთხვევაში, თუ დირექტორს დაუმტკიცდა, რომ მან სათანადო ზომები არ მიიღო, რათა აღეკვეთა ბიზნეს უწყვეტობის ჩავარდნასთან დაკავშირებული ზიანი ან ზარალი.

დამატებით, აღმასრულებელ მენეჯმენტს მაქსიმალურად უნდა განემარტოს ისიც, რომ დაუშვებელია ბიზნეს უწყვეტობის მიმართულებით დაგეგმილი ინვესტიციები და ხარჯები განხორციელდეს მენეჯმენტის საკუთარი შეხედულებების საფუძველზე. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის მიმართულებით განხორციელებული ინვესტიციები და შესაბამისი ხარჯები აუცილებლად უნდა იყოს ორგანიზაციის ზომისა და სირთულის შესაბამისი. დამატებით, მენეჯმენტს გააჩნია დიდი პასუხისმგებლობა ორგანიზაციის აქციონერებისა და დაინტერესებული მხარეების მიმართ. აქედან გამომდინარე, როგორც მინიმუმ, სათანადო ბიზნეს უწყვეტობის მექანიზმები აუცილებლად უნდა იყოს დანერგილი ორგანიზაციის მასშტაბით, რაც გულისხმობს მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას ამ მიმართულებით. ბიზნეს უწყვეტობის გუნდის შერჩევის შემდეგ, მოდის უკიდურესად მნიშვნელოვანი პროცესი, რაც ყველა საჭირო რესურსის მობილიზებას გულისხმობს.

პირველ რიგში, ორგანიზაციამ უნდა გამოყოფს სახსრები ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შესამუშავებლად. ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსის გამოყოფა ამ შრომატევადი პროცესისათვის.

მომდევნო ეტაპზე მოდის ბიზნეს საზედამხედველო მოთხოვნები უწყვეტობის გეგმის ტესტირებისთვის, ტრენინგებისა და მხარდაჭერის სახსრების მობილიზება. მოცემულ სტადიაზე, საჭიროა სათანადო აპარატურული და პროგრამული რესურსების გამოყოფა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია კვლავ, ისევე როგორც წინა ეტაპზე, ადამიანისეული კომპონენტი.

და ბოლოს, ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ამოქმედებისას რა სახის რესურსია გამოსაყოფი. გეგმის მასშტაბურობიდან გა გამომდინარე, დიდი სიფრთხილეა საჭირო ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ამოქმედების მიღებასთან დაკავშირებით. უშუალოდ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ამოქმედება, ხშირ შემთხვევაში, უდიდეს რესურსებთან არის დაკავშირებული. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა დაკავშირებულია მნიშვნელოვან რესურსებთან. ეს მოიცავს ყველაფერს დაწყებული უშუა-

ლოდ აპარატურულ და ზოგადად ტექნიკური უზრუნველყოფიდან (მაგალითად დუბლირებული სერვერების არსებობა, დუბლირებული კომუნიკაციების არხები, და სხვ.) დამთავრებული საკანცელარიო პროდუქციით. ორგანიზაციამ უნდა გაიღოს სათანადო სახსრები იმისათვის, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა იყოს ორგანიზაციის ზომისა და სირთულის შესაფერისი. გლობალურად, ფიქსირდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ორგანიზაციის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი ინვესტიციის განხორციელება ბიზნესუწყვეტობის მიმართულებით საჭირო არ არის, თუმცა მერე ხვდება, რომ ეს მცდარი პოზიცია იყო მენეჯმენტის მხრიდან. ის მოსაზრება, რომ ორგანიზაცია ყოველთვის მზად ყოფნაშია ნებისმიერი ინციდენტის ან მოვლენის ხდომილების პირობებში ბიზნესუწყვეტობის გეგმის არსებობის გარეშე, უკეთეს შემთხვევაში მცდა რია, რადგან გარანტია, რომ ორგანიზაცია მუდმივად იარსებებს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ფიქსირდება მნიშვნელოვანი ბუნებრივი ან ადამიანისგან გამოწვეული მოვლენები და კატაკლიზმები.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს სავალდებულო მოთხოვნები ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. არსებობს არაერთი ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ბანკის ბიზნეს უწყვეტობის მართვის საკითხებს. საქართველოში, მსგავსი სახის სავალდებულო მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ ამ ეტაპზე არ არსებობს. თუმცა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა საოპერაციო რისკების დებულების ახალი პროექტი, რომელიც კომერციულ ბანკებს ავალდებულებს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავებას და რეგულარული ტესტირებების ჩატარებას. დამატებით, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არც არსებობდეს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის კონკრეტული მარეგულირებელი მოთხოვნები, პირველ რიგში თვითონ ორგანიზაციების ინტერესში შედის გამართული ბიზნეს უწყვეტობის გეგმის არსებობა რომლის ტესტირებაც რეგულარულად ხორციელდება ორგანიზაციის მასშტაბით.

ლიტერატურა:

1. Thoyts, Rob. Insurance Theory and Practice. Routledge. 1 edition. 2010.
2. Rejda, George E. Principles of Risk Management and Insurance. 12/e. 2013.
3. Фёдоров, Т. А. Страхование: Учебник. 2-е изд. Экономистъ. 2004.
4. Грищенко, Н. Б. Основы страховой деятельности: Учебное пособие. Барнаул: Изд-во Алт. ун-та. 2001.

5. Summary of “Lessons Learned” from Events of September 11 and Implications for Business Continuity, (February 13, 2002), Available-ინტერნეტ-საიტოდან <http://www.sec.gov/divisions/marketreg/lessonslearned.htm>
6. Doughty, K., 2002, Business Continuity: A Business Survival Strategy, ISACA Journal - Volume1, ISACA.
7. Pironti, J. P., 2009, Key Considerations for Business Resiliency, ISACA Journal - Volume3, ISACA.

*Tamar Gambashidze, Associate Professor
Georgian Technical University*

*Asmat Pipia, Acad. Doctor of Business Administration
Georgian Technical University*

*David Paresashvili, Doctoral student
Georgian Technical University*

Continuous activity of organizations and risk assessment

Summary

The unimpeded management of economic activity requires the usage of recognized methodology. It's noteworthy, that an organization should not use the methodology they created themselves, which could have broad deviations from the international standards, but should rely on the existing, widely recognized practice. It is important for the Business Continuity Plan should be developed according to the size and complexity of the organization. Therefore, there is not one universal and standard Business Continuity Plan. Each organization should decide and develop its own approach according to its characteristics. Determining the project field and planning it in advance after the organization allocated the ones responsible for the development of the Business Continuity Plan, the authors of the plan should first bear in mind all the structural units and the people who might have direct connection with the development of Business Continuity Plan.

Key Words: *Unimpeded Management, Continuity of Economic Activity, Risk of Continuity, Crisis Management, Executive Management.*

პოლიტიკის მეცნიერებები

POLICY SCIENCES

რუსეთის ენერგოპოლიტიკის პარადიგმები და დილემები.

ლევან ანთია, დოქტორანტი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე კვლევებში რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს „კონტინენტალური იმპერიის“ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეს. უდავოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ ძირეულად შეცვალა მსოფლიო გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ბოლო დროის მოვლენები გვაჩვენებს იმას, რომ საერთაშორისო კავშირების ძიებაში და დამყარებაში დიდ მეზობელ და არა მეზობელ ქვეყნებთან უქმნის პრობლემებს ისეთ პატარა ქვეყნებს რეგიონში როგორიცაა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, რუსეთი, კონფლიქტები, ენერგორესურსები, გლობალური პოლიტიკა, ტრანზიტი, უსაფრთხოება.

შესავალი

1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლას როდესაც მოყვა ახალი გეოპოლიტიკური რეალობის წარმოშობა კავკასიის რეგიონში, კერძოდ მის სამხრეთ ნაწილში, რის შედეგადაც წარმოიშვა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ახალმა რეალობამ გამოიწვია ამ რეგიონის მიმართ განსაკუთრებული დიდი ყურადღება მეზობელი ქვეყნების მხრიდან, როგორიცაა თურქეთი და ირანი, ასევე ევროკავშირის და აშშ-ს მხრიდანაც და შორეული ქვეყნის ჩინეთის მხრიდან ვინაიდან ეხსნებოდათ გზა ენერგეტიკული რესურსებზე, რაც განაპირობებს ჩინეთის მზარდ ეკონომიკას. კასპიის აუზთან, რომელიც მდიდარია ენერგორესურსებით ანუ კასპიის

ნავთობსაბადოებთან და ბუნებრივ აირთან. რაც თავისთავად აღიზიანებდა რუსეთს და უქმნიდა საფრთხეს მის მიერ წლების განმავლობაში დამყარებულ მონოპოლიას რეგიონში არსებულ ენერგორესურსებზე და სატრანზიტო დერეფნებზე. რუსეთი, დღესაც მიიჩნევს სამხრეთ კავკასიის რეგიონს თავის განუყოფელ ნაწილად, რაც უქმნის რეგიონს პრობლემებს და აფერხებს მის ეკონომიკურ განვითარებას.

ძირითადი ნაწილი

ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ რასაც მოყვა საბჭოთა კავშირის დაშლას სამხრეთ კავკასიის რეგიონი საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა, წარმოიშვა კონფლიქტები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რომელიც სისხლიან ომში გადაიზარდა. საქართველომ თავის მხრივ უარი განაცხადა დსთ-ს კავშირში გაწევრიანებაზე[1] რის შემდგომაც რუსეთის მიერ წაქეზებულმა და შეიარაღებით აღჭურვილმა აფხაზმა სეპარატისტებმა დაიწყეს აქტიური მოქმედებები, რაც გადაიზარდა სისხლიან ომში. შეიძლება ვთქვათ ამ გზით რუსეთმა დასაჯა „ურჩი“ საქართველო. რის შემდგომ საქართველო ხდება დსთ-ს წევრი ქვეყანა[2, გვ. 267] რუსეთი თავის მხრივ ცდილობდა კონფლიქტები გაეღვივებინა სამხრეთ კავკასიაში რაც გამოიხატებოდა მის მხრიდან იარაღით მომარაგება ყველა კონფლიქტის მონაწილეებისთვის და არამარტო იარაღის გადაცემაში გამოიხატებოდა კონფლიქტის გაღვივება არამედ იმაშიც, რომ რუსეთის სამხედრო ოფიცრები უწევდნენ კონსულტაციებს და წვრთნიდნენ სეპარატისტებს და ზოგ შემთხვევაში თავადაც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას. მაგალითად აფხაზ სეპარატისტებს ავიაციითაც კი ეხმარებოდნენ. კონფლიქტების გზით რუსეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა და ინარჩუნებდა კიდევაც თავის გავლენას რეგიონზე რათა რეგიონი არ წავიდეს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გზით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია ფლობს მსოფლიოში უდიდეს ენერგეტიკულ რესურსებს, საკმაოდ სოლიდურ სამრეწველო ბაზას და ინფრასტრუქტურას ენერგეტიკულ სფეროში, აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო ენერგეტიკული პრობლემების განხილვაში ყველაზე დიდი და განვითარებულ ქვეყნებთან, ასევე შედის მსოფლიოში წამყვანი ექსპერტების რიგებში ენერგეტიკული რესურსების სფეროში, რომლების დაინტერესებულები არიან სტაბილურ ენერგეტიკული რესურსების მოპოვება მიწოდებაში ამ ქვეყნების ინტერესები ხშირ შემთხვევაში ვერ მოდიან თანხვედრაში რუსეთის ფედერაციის ინტერესებთან, რომელიც თავის მხრივ ეფექტურად აწარმოებს ზეგავლენას ზოგიერთ ნავთობ და ბუნებრივი აირის მომპოვებელ ქვეყნებზე. ენერგეტიკული ფაქტორი ნათლად არის წარმოჩენილი რუსეთის საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში სხვა ქვეყნების მიმართ. აშკარად გამოკვეთილია რუსეთის

ზეგავლენის ზრდა საგარეო ურთიერთობებში, როგორც რეგიონალურ დონეზე, ასევე გლობალურ დონეზე. აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკული დიპლომატია წარმოჩენილია პრიორიტეტებს შორის, როგორც ერთ-ერთი ზემოქმედების მძლავრი ინსტრუმენტი საგარეო პოლიტიკაში.

ის ყურადღება, რომელიც რუსეთში ეთმობა საგარეო პოლიტიკაში ენერგეტიკულ საკითხებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განისაზღვრება მისი ენერგეტიკული რესურსების პოტენციალიდან გამომდინარე. ენერგეტიკული უსაფრთხოების დოქტრინის შემქმნელების აზრით, ეს არის „რუსეთის ეროვნული განძი“. ცნობილია, რომ რუსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს მსოფლიო ნავთობის მარაგის 13% [3] ქვანახშირის 23%. და ბუნებრივი აირის 45%. ამგვარი რესურსების ექსპორტი შეადგენს რუსეთის ყველა ექსპორტის 54%, რომელიც წარმოადგენს რუსეთის ბიუჯეტის მთავარ წყაროს. აქ ნათლად ჩანს თუ რამხელა დამოკიდებულება გააჩნია რუსეთს ენერგეტიკული რესურსების მიმართ. რუსეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების დოქტრინა ერთ-ერთი პირველი კონცეპტუალური დოკუმენტია, რომელიც ეხება რუსეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და სტაბილურობას, რომელიც გათვლილია როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკაზე. ის იქნა შემუშავებული რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს მიერ, რომლის შექმნაში ასევე მონაწილეობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. 1998 წლის 27 თებერვალს დოკუმენტი იქნა განხილული და მიღებული რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს ეკონომიკური უსაფრთხოების უწყებათაშორისო კომისიის მიერ. დოქტრინა ავითარებს და აყალიბებს რუსეთის ფედერაციის ეროვნული უშიშროების კონცეპციის ძირითად დებულებებს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტრატეგიას ეკონომიკურ და ენერგოუსაფრთხოების საკითხებში. მასში გაწერილია ისეთი გაგება, როგორიც არის ენერგეტიკული უსაფრთხოება, რომელიც გულისხმობს-ქვეყნის(რეგიონის), მისი მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმწიფოსი, ეკონომიკისა და საიმედო ენერგომომარაგება. ენერგეტიკული უსაფრთხოება შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელოვან ინტერესებს, მის მოქალაქეებს და რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტს და მის ტერიტორიულ მთლიანობას. [4] რუსეთის ანალიტიკოსები თვლიან და ურჩევენიათ შემდეგი გეოპოლიტიკური მიდგომა ენერგო რესურსების მიმართ როგორიც არის-საუკეთესო რესურსები რჩება გამოუყენებელი, ვიდრე უცხოური ინვესტიციების შემოყვანით, რომელიც გამოიწვევს ეკონომიკურ უზრუნველყოფას, მაგრამ ასევე გამოიწვევს სხვა სახელმწიფოების პოლიტიკურ ინტერესების გატარებას. ამან შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი. ისინი ასევე არ გამორიცხავენ, ასეთი პროცესების განვითარებას ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ავღანეთში და ჩეჩნეთში, შავი ზღვის საზღვრებიდან მონღოლეთამდე. აქედან

გამომდინარე, ჩვენ გვჯერა, რომ თუ რუსეთი აპირებს გახდეს სანდო მოთამაშე გეოპოლიტიკაში კავკასიაში, მან უნდა შეძლოს წარმოაჩინოს საკუთარი თავი, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო. თუმცა, როგორც თვლიან თავად რუსი ექსპერტები ეს მოითხოვს რუსეთისგან სისუსტის გამოჩენას ამ ეტაპზე აცხადებენ რუსი ექსპერტები. [5, გვ-268,269]. აქ უკვე აშკარად ჩანს რუსეთის მიდგომა თავის მეზობელ ქვეყნების და თავად რუსეთის დამოკიდებულება დემოკრატიული ღირებულებების მიმართ, რუსეთი დემოკრატიულ ფასეულობებს აღიქვამს, როგორც სახელმწიფო სისუსტეს და ეს რა თქმა უნდა, გვაძლევს იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ თავად რუსეთისთვის დემოკრატიული კურსი მიუღებელია და ყველანაირი დემოკრატიული გამოვლინებები მეზობლების მიმართებაში და რაც მეტად საყურადღებოა და შემაშფოთებელიც, ამ ყველაფრის შემდგომ რუსეთი გვევლინება რეგიონში, როგორც მშვიდობისმოყველი ლურჯი ჩაფხუტებით, ხოლო რეალურად რუსეთი დე-ფაქტო გამოდის ამ კონფლიქტების მთავარი მმართველი ორგანო, რომელიც მართავს კონფლიქტებს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. რუსეთი მხარს უჭერს და აღვივებს კავკასიის რეგიონში ქვეყნებში არსებულ სისხლიან კონფლიქტს. აზერბაიჯანის შემთხვევაში ეს არის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი (თუმცა რუსეთის ფედერაცია ორივე მხარეს ამარაგებს იარაღით და ინსტრუქტორებით) და საქართველოში კიდევ რუსების მიერ წაქეზებული და აღჭურვილი აფხაზი და ოსი სეპარატისტები რაც ასევე დამთავრდა სისხლიანი კონფლიქტით, რასაც მოყვა ასობით ათასი ეთნიკური ნიშნით ქართველების განდევნა და ათასობით მოკლულების სახით აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონიდან. ხშირი იყო რუსეთის მხრიდან საქართველოს მოსახლეობისთვის ენერგომომარაგების მიწოდების შეფერხებას, სავაჭრო ურთიერთობების გართულება და პრობლემების შექმნა რუსეთში მყოფ ეთნიკურად ქართველი ხალხისთვის და ა.შ.

1990-იანი წლებიდან რუსეთი ეწინააღმდეგებოდა აზერბაიჯანის გადაწყვეტილებას მოეწვია საერთაშორისო დასავლური კომპანიები კასპიის ზღვაში ნავთობისა და გაზის საბადოების შემდგომი ძიებისა და დასავლეთის მიმართულებით მათი ტრანსპორტირების ახალი საშუალებების განვითარებისათვის. რუსეთი ცდილობდა და ცდილობს აჩვენოს ენერგომომხმარებელ ქვეყნებს, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი არასტაბილურია და ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ უზრუნველყოფს რეგიონის გარეთ გაზისა და ნავთობის უსაფრთხო ტრანსპორტირებას ამ მიზნის მისაღწევად, რუსეთი მხარს უჭერს რეგიონში არსებული სხვა პოტენციური საფრთხეების გააქტიურებასაც. საქართველოს შემთხვევაში ეს რუსეთის მიერ 1990-იანი წლებიდან დაწყებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების ოკუპაცია და მისი თანდათანობითი ანექსიის მცდელობის პროცესია.

დასკვნა

ევროკავშირის ქვეყნებმა საკმაოდ დიდი ინვესტიციები ჩადო კასპიის ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება და მილსადენების მშენებლობის განვითარებაში, რამაც გამოიწვია დასავლეთის პოლიტიკური გავლენის ზრდა რეგიონში. ის ქვეყნები ვინც მონაწილეობდა ამ პროექტის განხორციელებაში და უშუალოდ აშშ-ს ადმინისტრაცია, დიდი ალბათობით აშშ-ს ჩარევის გარეშე ეს პროექტი ვერ განხორციელდებოდა და ეს არის ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ რუსეთისთვის ეს პროექტი წამგებიანი ყოფილიყო, როგორც გეოპოლიტიკური ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ყველა ვარიანტში, გარდა იმისა, რომ რუსეთისთვის ეს პროექტი წარმოადგენდა ეკონომიურ პრობლემას, ასევე ეწინააღმდეგებოდა რუსეთის გეოპოლიტიკას სამხრეთ კავკასიის რეგიონში და საფრთხეს უქმნიდა მის გავლენას მთლიანად კავკასიის რეგიონში. რუსეთი, კასპიის აუზს თვლის მის ნაწილად სადაც მხოლოდ მისი მონოპოლია უნდა ვრცელდებოდეს და დე-ფაქტო განიხილავს თავის ნაწილად, და რუსეთი მიიჩნევს, რომ მისის გვერდით ავლით ნებისმიერი გლობალური პროექტი, რომელიც განხორციელდება ენერგო სფეროში პირდაპირ საფრთხის შემცველია, რომელიც ითხოვს მისი მხრიდან მყისიერ რეაგირებას. როგორც აღნიშნა თავის ნაშრომში პროფესორმა ეპიფანე(ედიშერ) გვენეტაძემ რუსეთს აქვს პოსტ-იმპერიული სინდრომი.[6, გვ-274]

ლიტერატურა:

1. რუსეთი დაუფარავად მოითხოვდა : რეგიონის სამივე სახელმწიფოსი დსთ-ში შეყვანას(1993 წელს რუსეთმა აიძულა აზერბაიჯანი და საქართველო გამხდარიყვნენ დსთ-ს წევრები)
2. ეპიფანე(ედიშერ)გვენეტაძე-საერთაშორისო უშიშროების ასპექტები. თბილისი, 2017. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ გვ-267
3. გამოქვეყნებულია CIA- ს მსოფლიო ფაქტების წიგნი 2013 წ. ასევე British Petroleum გამოქვეყნებულია სტატისტიკური მიმოხილვა მსოფლიო ენერგიის 2014 წ.
4. Доктрина энергетической безопасности России, подготовленная Правительством РФ по поручению Совета Безопасности России, рассматривается на заседании СовБеза и утверждается Президентом России сроком на 5 лет. „რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკა 2020 წლამდე: ენერგეტიკული სტრატეგიის კვლევების ინსტიტუტი 2010.“
5. Нартов Н.А. Геополитика: Учебник. — გამომცემლობა М. ЮНИТИ, 1999. - 359 с.
6. ეპიფანე(ედიშერ)გვენეტაძე-საერთაშორისო უშიშროების ასპექტები. თბილისი, 2017. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ გვ-274

Paradigms and dilemmas of Russian energy politics

Summary

Synopsis. In modern researches, Russian Federation represents the heir of the „continental empire” - the USSR. Beyond any doubt, the dissolution of the USSR caused fundamental changes in geopolitical conditions of the world. The current events demonstrate, that striving to search and establish international connections with big neighboring and non-neighboring countries emerged issues for countries such as Georgia, Azerbaijan and Armenia.

Key words: *geopolitics, Russia, conflicts, energy resources, global policy, transit, security.*

ევროკავშირის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ფორმულირების კონცეპტუალური ასპექტები

თამარ გოგატიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საგარეოპოლიტიკური განზომილების ინსტიტუციონალურ-სამართლებრივი საფუძვლები და მექანიზმები ათვლის წერტილს იღებს ინტეგრაციული გაერთიანების არაფორმალურ ჩარჩოებში. თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის კონცეპტუალიზაციასთან და მისი სტატუსის ამაღლებასთან ერთად მოხდა ევროკავშირის საგარეოპოლიტიკური ორიენტირების კონსოლიდაცია, კონკრეტიზაცია და საგარეოპოლიტიკური დღის წესრიგის გაფართოება. ერთის მხრივ ამან გამოხატულება ჰპოვა ევროკავშირის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში, ხოლო მეორეს მხრივ საიმიგრაციო კონტროლის ახალი რეგულაციების შემოღებაში. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი იყო კრიზისების მშვიდობიანი დარეგულირების პროგრამა.

ევროკავშირის მთავარი იარაღი საერთაშორისო მასშტაბით ყოველთვის იყო და არის დემოკრატიული გარემოსათვის მხარდაჭერა. მის მთავარ მიზნებში შედის სამართლებრივი ინსტიტუტების მშენებლობისათვის ხელის შეწყობა, სამართლიანი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება, მართვის ეფექტური ორგანოების შექმნა. მაგრამ ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს პრაგმატულად, რეალობის ადეკვატურად.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, უსაფრთხოება, მართლმსაჯულება, კონცეპტუალური ასპექტები, საგარეო პოლიტიკა, საიმიგრაციო კონტროლი.

შესავალი.

საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით ევროკავშირის თავისუფალი სივრცის ფორმირების გზაზე უმნიშვნელოვანესი იყო გადაწყვეტილებები ტამპერში 1999 წ. და იმავე წელს ამსტერდამის შეთანხმება, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენდა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის ფორმირება, რომლის შიგნითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ადამიანთა თავისუფალი გადაადგილება იმ ზომებიდან ერთობლიობაში, სადაც გაკონტროლებული იქნებოდა გარე საზღვრები და დაცული იქნებოდა არაკეთილმოსურნე ელემენტებისაგან.

ევროკავშირში, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული თავშესაფარს, მათ შორის პოლიტიკური თავშესაფარს, ბევრი ეძებდა, მაგრამ სწორედ აქ იყო საფრთხე იქ არ

მოხვედრილიყო კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები და ტერორისტები.

თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის ფორმირების დღის წესრიგის პირველ კონკრეტულ ნაბიჯად იქცა ევროპის საბჭოს შეკრება 2000 წლის 19-20 ივნისის სანტა მარია დე ფეირში, პორტუგალიაში.

თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სივრცის ფორმირების თვალსაზრისით სხდომაზე განისაზღვრა ხუთი ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც სავსებით პასუხობდა დროის მოთხოვნებს:

1. ყველა პროექტის რეალიზაციის აუცილებლობა, რომელიც შეეხებოდა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის ფორმირების საკითხებს. (ევროკავშირის შესაბამისი საშინაო პოლიტიკისა და ზომების გათვალისწინებით, რაც საერთაშორისო არენაზე უნდა ასახულიყო);

2. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეფექტიანობის გაზრდა და ამ გზაზე მათთვის დახმარების აღმოჩენა;

3. საგარეო პოლიტიკის საერთო მიზნების მიღწევის გზაზე ევრორეგიონების კოორდინირებული და ურთიერთგაგების პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოება;

4. დასახული მიზნების მიღწევა განსაზღვრული დროის მანძილზე;

5. საგარეოპოლიტიკური ხასიათის შემოთავაზებული ზომებისადმი მხარდაჭერა რამდენიმე წლის მანძილზე, მიუხედავად იმისა, ვინ დაიკავებდა ევროკავშირის თავმჯდომარის პოსტს ექვსი თვის მანძილზე.

ამასთან ერთად სანტა მარია დე ფეირში პირველად მოხდა ევროკავშირის „თავისუფალი სივრცის“ დღის წესრიგის გაფართოება ხუთი პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრის გზით, რომლის ირგვლივაც უნდა მომხდარიყო მომდევნო სამოქმედო გზების დასახვა:

1. მიგრაციული პოლიტიკის საგარეოპოლიტიკური განზომილება;

2. ორგანიზებულ დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლა ევროპოლის როლის გაზრდით, ევროკავშირის პარტნიორ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

3. ფინანსური სფეროში დანაშაულთან ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, კორუფციის, ფულის გათეთრების, ადამიანებით ვაჭრობის, (ტრეფიკინგის) საინფორმაციო-კომპიუტერული და ეკოლოგიური დანაშაულების ჩათვლით;

4. ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა (იმ ქვეყნების სასამართლო ორგანოებისა და პოლიციისათვის დახმარების აღმოჩენა, რომლებიც გვევლინებიან ნარკოტრანზიტისა და ზოგადად ნარკოტიკების წყარო-ქვეყნებად);

5. იმ ქვეყნებისათვის მხარდაჭერა, რომლებიც დაადგნენ სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გზას. ანუ პოლიტიკური რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლის გზას. ამ მხრივ ნიშანდობლივია ევროკავშირის ფართო მხარდაჭერა

საქართველოსათვის დემოკრატიული ინსტიტუტების დაფუძნების გზაზე, მხარდაჭერა ეკონომიკური რეფორმების კუთხით, საგარეო პოლიტიკური მიმართულებით და ა.შ.

ეს საკითხები უმნიშვნელოვანესი იყო „თავისუფალი სივრცის“ ფორმირების გზაზე, მაგრამ სრულებითაც არ იყო ამომწურავი. ეს უფრო პირველი და შეიძლება ითვას წარმატებული მცდელობა იყო თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სივრცის დამკვიდრების გზაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამსტერდამის ხელშეკრულების მე-6 სტატია („კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოს ეფუძნება დემოკრატიის, თავისუფლების და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს“).

ამასთანავე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტია აქცენტების ცვლილებები თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის პრიორიტეტებში. ტამპერში 1999 წ. საუბარი იყო იუსტიციისა და შინაგან საქმეთა საკითხებში ინტეგრაციის შესახებ. სანტა მარია დე ფეირის სამიტმა კი დააზუსტა, რომ საუბარია, პირველ ყოვლისა „საგარეო პოლიტიკის“ მიმართულებებზე. (external policies); „თავისუფალი სივრცის“ გაფართოებაზე დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოების მიმართულებით; სტაბილიზაციისა და ასოცირების შესახებ ხმელთაშუაზღვის რეგიონთან მიმართებით და საერთო სტრატეგიის შემუშავებაზე რუსეთისა და უკრაინის მიმართულებით. აქ მნიშვნელოვნად წამოიწია წინ კრიზისების დარეგულირების მნიშვნელოვანმა ასპექტებმა [15].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპული სახელმწიფოების უმაღლესი დონის შეხვედრების დოკუმენტების შესწავლისას შეიძლება ვიპოვოთ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის დამკვიდრების პროექტის სხვაგვარი განმარტებაც. მაგ. საგარეოპოლიტიკური განზომილება არ არის თვითმიზანი, ეს არაა საგარეო პოლიტიკის შექმნის მცდელობა, რომელიც იზღუდება იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროებით. საგარეო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სივრცის ფორმირებას მთლიანობაში. საყოველთაო მთელის ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად უნდა წარმოჩინდეს იგი.

გარკვეული გაორება ამგვარ პოზიციებში შეიძლება შევნიშნოთ კიდევ. ამიტომაც პირველ ეტაპზე სანტა მარია დე ფეირის სამიტის შემდეგ ევროსაბჭომ ვერ შეძლო წარმატებით შეექმნა საგარეო პოლიტიკური მიმართულების სტრუქტურები. ამიტომაც ევროპარლამენტის 2002 წლის რეზოლუციაში საუბარია სტრატეგიული მიდგომის არასაკმარის ეფექტურობაზე. ჰააგის პროგ-რამაში კი პირდაპირაა აღნიშნული სიტუაციის გამოსწორების აუცილებლობაზე [16].

ამგვარმა პოლიტიკურმა იმპულსებმა ხელი შეუწო 2005 წლის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სივრცის ფორმირების ახალი სტრატეგიების შემუშავებას. მისი სიახლე სამ ახალ მიმართულებას

უკავშირდება. პირველად არაორაზროვნად იქნა გაცხადებული, რომ იუსტიცია და შინაგანი საქმეები პრიორიტეტული უნდა გახდეს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში. მეორეც, სტრატეგიაში ნათლად იყო გამოკვეთილი ის საფრთხეები და გამოწვევები, რომელიც პოტენციურად ემუქრებოდა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცეს. ამის საფუძველს მითუმეტეს იძლეოდა უკვე მომხდარი ტერორისტული აქტები 2001 წ. 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში, 2004 წლის 11 მარტს მადრიდში, 2005 წლის 7 ივლისს ლონდონში. მომდევნო წლებში კი როცა ტერორისტული აქტები განხორციელდა პარიზსა და ბრიუსელში, აშკარად დადასტურდა, რომ „თავისუფალი სივრცის“ ახალი სტრატეგიის შემუშავება აბსოლუტურად სწორი იყო. საფრთხეებს შორის მარტო ტერორიზმი, ცხადია, არ იყო. აქ შედიოდა ორგანიზებული დანაშაული, ფულის გათეთრება და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული სხვა დანაშაული, ნარკოტრეფიკი, ადამიანებით ვაჭრობა, იარაღის უკანონო გადატანა-ვაჭრობა, არალეგალური იმიგრაცია. ევროკომისიის მასალებში ვპოულობთ იმგვარი ტიპის გამოწვევასაც, როგორიცაა სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლა.

აქ უპირველეს ყოვლისა, ძალოვანი სტრუქტურები, პოლიცია და სასამართლო ხელისუფლება იგულისხმება. მესამეც, ეს იყო პრინციპთა მთელი კომპლექსი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ევროკავშირის ორგანოებს „მესამე სამყაროს“ ქვეყნების მიმართ. აქ განსაკუთრებით საყურადღებო იყო:

1. თანამშრომლობის თემატური პრიორიტეტების დამკვიდრება მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებთან მათი გეოგრაფიული მდებარეობისა და ინტეგრაციულ გაერთიანებებში დონის შესაბამისად. მაგალითად თუ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროში თანამშრომლობის ფართო პაკეტი იდო იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ევროკავშირში შესვლის კანდიდატებად მოიაზრებოდნენ, სხვა ქვეყნებთან მიმართებით ყურადღება იყო გამახვილებული ცალკეული პრობლემატური საკითხების მიმართ. მაგ. ლათინური ამერიკის ქვეყნებთან პრიორიტეტი ენიჭებოდა ნარკოზონესსა და ტრეფიკინგის საკითხებს.

2. „მესამე სამყაროს“ ქვეყნების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა არა მარტო მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ჰააგის პროგრამის ფარგლებში ისედაც გულისხმობდა ამ საკითხს, არამედ საზღვრების დაცვის, ტურიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, ნარკოტიკებით ვაჭრობის და ა.შ. სფეროებში, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა განხორციელებულიყო;

3. მჭიდრო კოორდინაცია არა ამრტო უსაფრთხოების, თავისუფლებისა და მართლმსაჯულების სივრცის წევრებთან, არამედ ევროკავშირის სხვა პარტნიორ სახელმწიფოებთან [17].

ამგვარი მჭიდრო კოორდინაციის უზრუნველყოფის აუცილებლობა სხვა

წინამორბედ დოკუმენტებშიც იყო მოცემული, მაგრამ ამჯერად მოხდა მისი დახვეწა.

ევროკავშირის „თავისუფალი სივრცის“ სტრატეგია კიდევ უფრო შორს წავიდა. მან შეიმუშავა ძალზე საინტერესო მეთოდოლოგია, რომლის არსიც იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა განხორციელებულიყო რეგულარული მონიტორინგი იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროებში მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის შესახებ კერძოდ, ყოველი ექვსი თვის განმავლობაში ანგარიშის წარდგენა უნდა მომხდარიყო ევროკავშირის საბჭოს კომისიისა და სამდივნო საბჭოს სამსახურების წინაშე. ამ ანგარიშის მოსმენისა და გაანალიზების შემდეგ, თუ რამდენად ეფექტური იყო თანამშრომლობა პოლიტიკური, ოპერატიული და ტექნიკური თვალსაზრისით ევროსაბჭო გადადიოდა ცალკეული პრიორიტეტული თემების ირგვლივ არსებული ცალკეული ქვეყნებისა თუ რეგიონების შეზღუდული დოკუმენტების (action oriented papers) დამუშავებაზე. მათში განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ინტეგრაციული გაერთიანების მიზნები, უნდა მომხდარიყო ადრე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი და შემუშავებულიყო ახალი ღონისძიებები დასახული მიზნების მისაღწევად.

ინსტიტუციონალური თვალსაზრისით დოკუმენტების შემუშავებაზე პასუხისმგებლობა ევროკომისიისა და სამდივნო საბჭოს წარმომადგენლობას ეკისრებოდა. კიდევ ერთი შედეგი ევროკავშირის საბჭოს წინაშე წარმოდგენილ ექვსთვიან ანგარიშში იყო დაზუსტების, დამატებისა და გადახედვის მექანიზმების ამოქმედება თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სტრატეგიაში.

როგორც ცნობილია, ადრე იყო: multi presidency programmes, აქამად დაემატა – trio programmes. მათში განსხვავებით action oriented papers-გან უფრო თემატური და რეგულარული ხასიათითაა წარმოდგენილი შეთანხმება და მემკვიდრეობითობა ყოველ ექვს თვეში ცვალებად წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლობებში.

თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საგარეო-პოლიტიკური განზომილების სტრატეგიაში, ცხადია, არ იყო დაძლეული მისი გაორებული ბუნება, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. მიუხედავად ამისა, 2005 წ. ევროკავშირის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების დოკუმენტში აშკარად იყო გამოკვეთილი და დახვეწილი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა. ამის ნათელი მაგალითია მესამე ქვეყნებთან ურთიერთობებში უკვე არსებული მექანიზმების, როგორც ინსტრუმენტის გამოყენება იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცეს არ აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მექანიზმები [18].

დასკვნა

საქმე ისაა, რომ თავად ევროკავშირის „თავისუფალი სივრცის“ სტრატეგიაში გაფართოების პროცესის ჩარჩოებში ნახსენებია კეთილმეზობლური პოლიტიკა, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესი, სტრატეგიული პარტნიორობა აშშ-სთან, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საერთო სივრცე რუსეთთან და ა.შ. ევროკავშირის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის გაფართოების გზაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო კრიზისების მშვიდობიანი დარეგულირების საკითხებს. საპროგრამო დოკუმენტებში თავიდან ეს კომპონენტი არ ფიგურირებდა. მერე კი აქტუალური გახდა. ევროკავშირმა მიზნად დაისახა პოსტკონფლიქტურ რეგიონებსა და ქვეყნებში სამართლებრივი სახელმწიფოსა და სასამართლო სისტემის ინსტიტუციების მშენებლობისათვის ხელის შეწყობა, რაც შემდგომში საერთო უსაფრთხოების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

ლიტერატურა:

1. გრიგოლია თ., ევროკავშირის ისტორია, პოლიტიკა და გეოგრაფიული კონტურები, თბ., 2008. გვ. 308.
2. გოგოლაშვილი კ., კაპანაძე ს., ჭყოიძე ვ., აკობია ე., გეგეშიძე ა., ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, თბ., 2006. გვ. 224.
3. Bigo, D. L'immigration à la croisée des chemins sécuritaires / D. Bigo // *Revue européenne des migrations internationales*. – 1998. – Vol. 14, No 1. – P. 179.
4. Billet, C. EC readmission agreements: A prime instrument of the external dimension of the EU's fight against irregular immigration. An assessment after ten years of practice / C. Billet // *European Journal of Migration and Law*. – 2010. – Vol. 12, issue 1. – P. 150.
5. Boswell, C. The „external dimension“ of EU immigration and asylum policy / C. Boswell // *International Affairs*. – 2003. – Vol. 79, issue 3. – P. 780.
6. Bull, H. Civilian power Europe: A contradiction in terms? / H. Bull // *Journal of Common Market Studies*. – 1982. – Vol. 12, No 2. – P. 209.
7. Buzan, B. Rethinking security after the Cold War / B. Buzan // *Cooperation and Conflict*. – 1997. – Vol. 32, No 1. – P. 264.
8. Buzan, B. Slippery? Contradictory? Sociologically untenable? The Copenhagen School replies / B. Buzan, O. Wæver // *Review of International Studies*. – 1997. – Vol. 23, issue 2. – P. 389.
9. Chatwin, C. The effects of EU enlargement on European drug policy / C. Chatwin // *Drugs: Education, Prevention and Policy*. – 2004. – Vol. 11, No 6. – P. 579

10. Christou, G. European Union security logics to the east: The European Neighbourhood Policy and the Eastern Partnership / G. Christou // *European Security*. – 2010. – Vol. 19, No 3. – P. 563.
11. Costello, C. The asylum procedures directive and the proliferation of safe country practices: Deterrence, deflection and the dismantling of international protection? / C. Costello // *European Journal of Migration and Law*. – 2005. – Vol. 7, issue 1. – P. 295.
12. Fassman, H. Patterns and trends of international migration in Western Europe / H. Fassman, R. Münz // *Population and Development Review*. – 1992. – Vol. 18, issue 3. – P. 694.
13. Guild, E. Le visa : l'instrument de mise à distance des indésirables / E. Guild, D. Bigo // *Cultures & Conflits*. – 2003. – No 49. – P. 246.
14. Guiraudon, V. Logiques et pratiques de l'État délégué : les compagnies de transport dans le contrôle migratoire à distance / V. Guiraudon // *Cultures & Conflits*. – 2002. – No 45. – P. 179.
15. Энтин, М. Л. Постлиссабонские тенденции в нормотворчестве ЕС [Электронный ресурс] / М. Л. Энтин. – Систем. требования: Acrobat Reader. – Режим доступа: http://www.mgimo.ru/files/177456/Entin_post-lisbon.pdf
16. Barnard, B. EU to enforce 24-hour shipping security rule [Электронный ресурс] / B. Barnard. – Режим доступа: <http://www.joc.com/container-shipping/eu-enforce-24-hour-rule>
17. Brouwer, E. The EU Passenger Name Record system and human rights: Transferring passenger data or passenger freedom? [Электронный ресурс] / E. Brouwer. – Режим доступа: <http://www.ceps.eu/ceps/download/1976>
18. Chivvis, C. EU civilian crisis management: The record so far [Электронный ресурс] / C. Chivvis. – Систем. требования: Acrobat Reader. – Режим доступа: http://www.rand.org/pubs/monographs/2010/RAND_MG945.pdf
19. Guild, E. The political life of data: The ECJ decision on the PNR agreement between the EU and the US [Электронный ресурс] / E. Guild, E. Brouwer. – Систем. требования: Acrobat Reader. – Режим доступа: <http://www.ceps.eu/files/book/1363.pdf>
20. Hänggi, H. Promoting security sector governance in the EU's neighbourhood [Электронный ресурс] / H. Hänggi, F. Tanner. – Систем. требования: Acrobat Reader. – Режим доступа: <http://www.iss.europa.eu/uploads/media/cp080.pdf>
21. ჭყოძე ვ., ავობია ე., ჭოჭუა ე., გეგეშიძე ა., კაპანაძე ს., გოგოლაშვილი კ., რობაქიძე გ., ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები, თბ., 2007. გვ. 206.

EU Conceptual aspects of freedom, security and justice formulation

Summary

Institutional- legal bases and mechanisms of foreign policy dimension of Freedom, Security and Justice were established in the informal framework of integrative community. Together with conceptualization of Freedom, Security and Justice and with its status enhancement was developed consolidation of the EU foreign policy orientation and specification and expansion of the foreign policy agenda.

These processes were been expressed on the one hand at EU's normative legal acts, and on the other hand at immigration control establishment of new regulations. A significant aspect of the EU foreign policy was the peaceful settlement program of the crisis.

On the international space the EU always supports democratic environment. It is aimed at promoting the construction of legal institutions, forming a fair judicial system and creating effective management bodies. But all the above mentioned processes must be done pragmatically and adequately.

Key words: *European Union, Security, Justice, Conceptual Aspects, Foreign Policy, Immigration Control.*

პოლიტკორექტულობა და დესტრუქცია პოლიტიკურ დისკურსში

სოფიკო ლაბაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პოლიტკორექტულობა – ესაა კულტურულ-ენობრივი გამოვლინება, რომელმაც თავისი აქტუალურობით მოიცვა მთელი მსოფლიო. ლინგვისტური კუთხით მოცემული მოვლენა შეიძლება ენობრივ კატეგორიად ჩაითვალოს. პოლიტკორექტულობის მთავარი ამოცანაა სტერეოტიპების აღმოფხვრა, კრიზისული სიტუაციების თავიდან არიდება, კონსტრუქციული კომუნიკაციის წინაპირობა და კომუნიკაციის ეფექტურობა, მაშინ როცა დესტრუქციული კომუნიკაცია ენის ნეგატიური კატეგორიაა, რომლის მიზანია ანტიფატიკური კომუნიკაცია. პოლიტკორექტულობისა და დესტრუქციული კომუნიკაციის ტენდენცია თანდათანობით მკვიდრდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი შეინიშნება მათი ხშირი გამოყენება პოლიტიკურ კომუნიკაციაში. სტატიაში განხილულია ორი რადიკალურად განსხვავებული ენობრივი კატეგორია და საინტერესოა თუ რას ემსახურება თითოეული მათგანი.

საკვანძო სიტყვები: პოლიტკორექტულობა, დესტრუქციული კომუნიკაცია, ენობრივი აგრესია, ევფემიზმები, კონსტრუქციული და ანტიფატიკური კომუნიკაცია, ინვექტივები.

შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ პოლიტკორექტულობის იდეოლოგია გაჩნდა 70-იან წლებში ამერიკაში. ფართო გავრცელება ჰპოვა მთელ მსოფლიოში და აისახა ინგლისურ ენაში. (ასევეა 1999:3) ბევრი მიიჩნევს, რომ მისი გამოჩენა დაკავშირებულია აფრიკელებისადმი, ნეგატიურ დამოკიდებულებასთან „ინგლისური ენის რასიზმთან“. პოლიტკორექტული ტერმინების გამო ამერიკულად მოსაუბრე ხალხმა დაიწყო თავისი მეტყველების გაკონტროლება, შეურაცხყოფებისა და უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით. ინგლისური ენა, როგორც საერთაშორისო და მსოფლიოს საკომუნიკაციო ენა გამოიყენება სხვადასხვა ეროვნების და რასის მიერ. ამის გამო, პოლიტკორექტულობა გახდა არა მარტო ამერიკული საზოგადოების პრეროგატივა, არამედ სხვა ენების ლინგვისტების კვლევის საგანი. პოლიტკორექტულობა გამოიხატება ახალი ენობრივი საშუალებების მოძებნის სწრაფვაში, ინდივიდთა გრძნობების, უფლებების და ღირსების დაცვაში ჩვეული ლინგვისტური უტაქტობისა და პირდაპირობისგან.

პირითადი ნაწილი

პოლიტკორექტულობის ფენომენი ასოცირდება ქცევის მექანიზმთან სხვადასხვა სიტუაციებში, რომლებიც პირველ რიგში პირდაპირ კავშირშია თანამედროვე დასავლეთ ევროპული კულტურის ტრადიციებთან. ის გავლენას ახდენს განათლების სისტემაზე, რელიგიაზე, მეცნიერებაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში, დომინირებს ინტელექტუალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ის განსაზღვრავს ენობრივ სტანდარტებს და სოციოკულტურულ ქცევას. ტერმინი პოლიტკორექტულობა პირველმა Karen de Crow-მ (ამერიკული ნაციონალური ორგანიზაციის პრეზიდენტი) შემოგვთავაზა..

ლექსიკურ დონეზე პოლიტკორექტულობის კატეგორია წარმოდგენილია ახლებურად გააზრებული ეთნიკური და ნაციონალური უმცირესობების სახელწოდებით (afro-american, Asian-american, native -american), პოლიტიკურად კორექტული ევფემიზმებით, რაც გამორიცხავს ყველა სახის დისკრიმინაციას. პოლიტიკური ევფემიზმი ყოველთვის ევფემიზმია, რომელიც გაურბის შეურაცხყოფას. პოლიტკორექტული ევფემიზმები - ნეიტრალური ან დადებითი ევფემიზმები, რომლებიც ანაცვლებენ სიტყვას ან ფრაზას, უზრუნველყოფენ ადამიანის ღირსებას ან ნებისმიერი უმცირესობის წარმომადგენლისა, რასისა და სქესისა, ასაკის და სოციალური სტატუსის მქონე პირებს. ისინი მაქსიმალურად გვარიდებენ კრიზისულ სიტუაციებს პოლიტიკაში. მათი გამოყენების მთავარი მიზანია თავიდან ავირიდოთ კომუნიკაციური კონფლიქტი. ისინი მოიაზრებიან დადებითი კონოტაციის მქონე სიტყვების სინონიმად, რომელთაც გააჩნიათ მოვლენების ახალი მორალურ-ეთიკური შეფასება. პოლიტკორექტული ემფემიზმები თავის მხრივ შესაძლოა დაყოს ორ ჯგუფად: ევფემიზმები, რომლებიც გამორიცხავენ სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას და ევფემიზმები, რომელთა მიზანია მიჩქმალოს, დაშალოს ნეგატიური ფაქტორები პოლიტიკურ სფეროებში.

პოლიტკორექტულობა გვევლინა ვერბალური აგრესიის ყველაზე დიდ საპირისპირო საშუალებად, რაც რეალიზდება თავაზიანობისა და ზრდილობის სტრატეგიის ჩარჩოებში. თავაზიანობა მოიაზრება ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომუნიკაციურ კატეგორიად და დიდ როლს თამაშობს ჰარმონიული და არაკონფლიქტური ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. ამ გაგებით შეიძლება ითქვას თავაზიანობა და პოლიტკორექტულობა ურთიერთკავშირშია.

პოლიტკორექტულობა - ესაა პოლიტიკური იარაღი, რაც აზრების გაკონტროლებას ემსახურება სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით. თანამედროვე პოლიტიკური კომუნიკაცია აგებულია პოლიტკორექტულობის პრინციპებზე. ვიწრო გაგებით, პოლიტკორექტულობა გაგებულია როგორც იდეოლოგია, ნეიტრალური ტერმინების გამოყენება, თანამედროვე უცხო ენათა ლექსიკონში. პოლიტკორექტულობა გაგებულია როგორც პოლიტიკური, დამაჯერებელი ამერიკული გაგება - ლოზუნგი, რომელიც ახდენს თანამედროვე ამერიკული

პოლიტიკის ლიბერალური მიმართულების დემონსტრირებას და საერთო აქვს ენობრივი კოდის კორექტირებასთან სიმბოლური გამოხატულებით. “დიდი აქტუალური პოლიტიკური ენციკლოპედია განმარტავს პოლიტიკორექტულობას, როგორც „კულტურულ- ქცევით და ენობრივ ტენდენციად“ ,რაც აძლევს ინდივიდს ღირსებას ნეიტრალური, დადებითი ევფემიზმების გამოყენებით. ამრიგად ,პოლიტიკორექტულობას მრავალასპექტიანი გაგება აქვს. ერთი მხრივ ის შეიძლება მოიაზრებოდეს როგორც კულტურულ ქცევითი მოვლენა , რომელიც ცდილობს მიჩქმალოს, დამალოს დისკრიმინაცია და რასობრივი, ასაკობრივი, სქესის ურთიერთობები და მეორე მხრივ - ესაა ენობრივი ასპექტი, რომელიც ეძებს გამოხატვის ახალ საშუალებებს და ენობრივ კორექტირებას . დესტრუქციას გააჩნია ენობრივი ხასიათი და ისაა სემიოტიკური პროცესი , რომელიც ანადგურებს ადამიანური კულტურის ინფორმაციული ნიშნების სტრუქტურულ მთლიანობას.

დესტრუქცია მიეკუთვნება ნეგატიურ კატეგორიას და თავად ტერმინი „დესტრუქციულობა“ მეცნიერებაში დაამკვიდრა გერმანელმა სოციოლოგმა, ფილოსოფოსმა და ფსიქოანალიტიკოსმა ერიხ ფრომმა. აშკარაა რომ, დესტრუქციული იმპულსი დამახასიათებელი ხდება ადამიანური ცივილიზაციისათვის, იკავებს ყველა სოციალურ სფეროს და მათ შორის პოლიტიკურსაც. პოლიტიკურ კომუნიკაციაში დესტრუქციულობა განისაზღვრება როგორც ინფორმაციის „გადატვირთვა“ და ეს ართულებს ადამიანის ადაპტაციის პროცესს ცხოვრების კონკრეტულ სიტუაციაში. პოლიტიკური კომუნიკაციის სუბიექტისთვის დესტრუქცია - ესაა კულტურის კომპონენტი ,რომლის მთავარი მოწოდებაა უარი თქვას არსებულ სიმბოლურ სტრუქტურაზე. პოლიტიკურ ტექსტებში დესტრუქციული ორიენტაციის ნიშანია „გაუცხოების“ მარკერი. დესტრუქცია სოციოკულტურული პროცესების გავრცელების ვექტორია. ერთ-ერთი მათ შორის კი პოლიტიკური კომუნიკაციაა. ენობრივი აგრესია არის ლინგვისტური ქმედება, რითაც ადრესანტი გამოხატავს ნეგატიურ გრძნობებს ადრესატის მიმართ და ამცირებს მას ამასთანავე. იგი გამოხატავს ნეგატიურ-ემოციურ შეფასებით დამოკიდებულებას ადრესატის მიმართ და აგრესიული ქმედება მოიცავს ყველაფრის უარყოფითად შეფასებას,რაც ადრესართანაა დაკავშირებული. ვერბალური აგრესია გამოიხატება შემდეგ სამეტყველო აქტებში, როგორიცაა: საჯაროდ შეურაცხყოფის მიყენება, მასხრად აგდება, დაცინვა, უპატივისცემლობა, ლანძღვა. კომუნიკაციაში მათი გამოყენების მიზანია ადამიანის დამცირება, დეგრადირება ,რომელიც მტრულ განწყობას იწვევს.ყველაზე ხშირად გამოყენებული სტილისტური მახასიათებლებია : ირონია,სარკაზმი და დაცინვა, გამასხარავება. აგრესიის ხმოვანი ფორმაა მკვეთრი, აწეული ხმა,ხშირად კივილში გადასული. ენობრივი აგრესიის ყველა გამოხატულება შეიძლება გაერთიანდეს ერთი სიტყვის ”ინვექტივის”ქვეშ.

თავად ტერმინი „ინვექტივა“ ლექსიკონში განმარტებულია როგორც მკვეთრი, შეურაცხყოფელი სიტყვა ვინმეს ან რამეს წინააღმდეგ, შეურაცხყოფელი სიტყვები, თავდასხმა (ლათინური ინვექტივა - «შეურაცხყოფელი სიტყვა»). ინვექტივა შეურაცხყოფელი ლექსიკაა და გარკვეული სახის მიზნობრივი სტრატეგიები აქვს. არსებობს ინვექტიური სტრატეგიის ორი კომპონენტი: უარყოფითი შეფასება და ადრესატის სოციალური სტატუსის დაკნინების სურვილი. (ჟელვისი). აღსანიშნავია, რომ დღემდე ინვექტივას გარკვეული ტაბუ ედო, როგორც ჩვენს საზოგადოებაში, ასევე ენათმეცნიერთა წრეებშიც. ამიტომ ჩვენში ის სრულიად უკვლევი პრობლემაა. უცხოეთშიც მხოლოდ უკანასკნელ წლებში გამოჩნდა მეცნიერული კვლევები და დაინტერესება.

დესტრუქციული კომუნიკაციის მთავარი ინტენცია ზიანის მოტანაა. ამით ჩნდება საფუძველი იმისა, რომ დესტრუქციულმა ურთიერთობამ დაიკავოს უფრო მეტად მნიშვნელოვანი პოზიცია ადამიანთა კომუნიკაციის ყველა სფეროში გამონაკლისის გარეშე. დესტრუქციული ხასიათისაა სიჩუმეც თუ გამოყენებულია პარტნიორის დასჯის მექანიზმით. დესტრუქციულობა პოლიტიკურ დისკურსში ინტენციონალურია და მასში ჭარბობს ოპონენტების შეურაცხყოფელი რეპლიკები. დესტრუქციის მექანიზმია გამაერთიანებელი და გამანადგურებელი ტენდენციების ბრძოლა, როცა კომუნიკაციური რეჟიმში ირღვევა „ქაოსისა“ და „წესრიგის“ მექანიზმი, სპონტანურობა, არასტრუქტურულობა, ნეგატიური პროცესებისა და ტენდენციების გაძლიერება.

დასკვნა

ამრიგად, სავსებით ნათელია, რომ პოლიტკორექტულობა თავისი არსით და გაგებით წინააღმდეგობაშია დესტრუქციასთან, დესტრუქციულ ქმედებასთან. ესაა დადებითი და უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვების არსებობა და ჭიდილი, რაც პოლიტიკურ დისკურსში თვალსაჩინოა.

დესტრუქციული კომუნიკაცია დეზინფორმირებულია და ამავე ინტენციის მატარებელია, დესტრუქციული ურთიერთობის განსაზღვრისას აღსანიშნავია მთელი რიგი რთული კომუნიკაციური ფენომენები, როგორიცაა მანიპულაცია და პროვოკაცია, რაც თავის მხრივ სრულიად საკმარისია მისი ნეგატიურობის გამოვლენისთვის. ის უკავშირდება ზოგად კულტურას და ქცევის ნორმატიულ ასპექტს, სადაც დარღვეულია კულტურული კომუნიკაციის ჰარმონიზაცია. ამიტომაც დესტრუქციული ქმედება გაიგივებულია ნეგატივიზმთან, აგრესიასთან, რაც დღევანდელ ეპოქაში ჭარბადაა და მკვიდრდება ყველა სფეროში. მთავარი რამ იმაში მდგომარეობს, რომ თუ როგორ უნდა დავძლიოთ მსგავსი პრობლემები. ერთი შეხედვით პოლიტკორექტულობა ნეგატიური ენობრივი საშუალებების გამანეიტრალებელი ფუნქციის მატარებელია, თუმცადა, უნდა აღინიშნოს, რომ „შელამაზებული სიტყვების“ ფრაზების გამოყენებამ

შესაძლოა დაგვაშოროს რეალურ გაგებას და მოხდეს ობიექტურობის ასახვის დაკნინება. ოქროს შუალედის დაცვა კი რთულია, ვინაიდან, საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალა კონფლიქტურ სიტუაციებში - ემოციაა და მისი დაძლევა, მორევა პოლიტიკურ კომუნიკაციაში, კერძოდ კი პოლიტიკურ დებატებში გარდაუვალია. თუმცა, ჩემი აზრით, დესტრუქცია გაიგივებულია „კონფლიქტთან“, „პრობლემასთან“, მაშინ როცა პოლიტკორექტულობა შესაძლოა „პრობლემიდან“ გამოსვლის ეფექტურ საშუალებად მივიჩნიოთ და საბოლოოდ ის მიმართულია დადებითი, პოზიტიური განწყობისკენ და მე მიმაჩნია, რომ პოლიტკორექტულობა თავისი არსით მკვეთრად უპირისპირდება დესტრუქციულ გაგებას ნებისმიერ ასპექტში.

ლიტერატურა:

1. Волкова Яна Александровна Деструктивное Общение В Когнитивно Дискурсивном Аспекте 2014.-430с.
2. Закоян Л. М. Речевая агрессия как предмет лингвистических научных исследований. 2008
3. Лингвистический Энциклопедический Словарь. Подред 1990
4. Н. Н. Кошкарлова - Лингвистические механизмы речевой агрессии в сми. вестник челябинского государственного университета. 2009. № 10 (148). Филология. Искусствоведение. Вып.30. С. 48–52.
5. Лобанова Л. П.- Новый Стил Речи И Культура Поколения: Политическая Корректность Монография 2004 .
6. Остроух .А.В. - Политическая Корректность В США: Культурологический Аспект 1998
7. Палажченко М. Ю. - Политическая Корректность В Культурной И Языковом Традиции В. С. Третьякова - Речевая Коммуникация: Гармония И Конфликт. Екатеринбург 2009.

Political Correctness and Destructiveness in Political Discourse

Summary

Political correctness is cultural –linguistic phenomena and it is actual around the globe. Linguistically it can be a speech category. The main aim of political correctness is to eliminate old stereotypes, prevent critical situations. It can be considered as an effective communication and destructiveness as a negative category. Its aim is antiphatic communication. The tendency of political correctness and Destructiveness is establishing in our everyday society and especially in politics. Two radically different linguistic categories are discussed in this article and it is interesting what is their role in political discourse.

Key words: *Political correctness. Destructive communication verbal aggression, euphemisms, constructive and antiphatic communication, invectives.*

ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთობის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები

იულია ტყეშელაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთობის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისა და ევროკავშირის ურთიერთობების საწყისი ეტაპი, რა ინტერესები აქვს ევროკავშირს სამხრეთ კავკასიაში და რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას დღეს რეგიონი.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, სამხრეთ კავკასია, პოლიტიკური ასპექტები, იმპერიალისტური, ევროპული თანამეგობრობა.

შესავალი

მეოცე საუკუნეში ორი მსოფლიო ომისგან გადაღლილ ევროპულ საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდი გარდატეხა მოხდა – საყოველთაოდ ნათელი გახდა: რომ ევროპის დანაწევრებულობა უაზრო ანაქრონიზმია; რომ ამგვარი ომები უშედეგოა და ერთობლივი ძალისხმევით უნდა იქნას დაძლეული; რომ ერთიანი ევროპა არავის საწინააღმდეგოდ არ უნდა იყოს მიმართული და მას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე იმპერიალისტური და აგრესიული მისწრაფებები. დიდი იყო მზაობა ახალ ეპოქაში გადასასვლელად, რომელშიც ადგილი არ ექნებოდა სიძულვილსა და მტრობას და რომელშიც მშვიდობიანი თანაცხოვრება კანონის უზენაესობასა და ყველა ქვეყანას შორის თანასწორობას დაეფუძნებოდა.

შუმანის გეგმის განხორციელების შედეგად, რომლის უმთავრესი მიზანიც სწორედ ევროპაში ომების თავიდან აცილება იყო, 1951 წელს ექვსმა სახელმწიფომ შექმნა ევროპული თანამეგობრობა. ევროკავშირი დღეს 28 სრულუფლებიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან შედგება, რომელთა საერთო მიზანს კეთილდღეობისა და ეკონომიკური წინსვლის სურვილი წარმოადგენს და მასში 508 მილიონი მოქალაქე ცხოვრობს. ევროკავშირის გაფართოების პროცესი დღემდე გრძელდება.

სამხრეთ კავკასია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ინტერესებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 90-იან წლებში მოექცა და რეგიონში სტაბილურობისა და განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფა ევროკავშირის მხრიდან სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იკრევს. 2003 წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს მიერ მიღებული ევროპული უშიშროების

სტრატეგია მკაფიოდ ასახელებს სამხრეთ კავკასიას ერთ-ერთ იმ რეგიონად, რომელთან დაკავშირებითაც ევროკავშირმა „უფრო ძლიერი და აქტიური ინტერესი“ უნდა გამოხატოს.

თუკი კავკასიის ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც მთლიანად კავკასიის მიმართ ინტერესს განსაზღვრავდა მხოლოდ გეოპოლიტიკური ფაქტორი, ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, დღესდღეობით ორი ფაქტორი (გეოპოლიტიკური და ენერგეტიკული) ერწყმის ერთმანეთს და ქმნიან ერთ მთლიანს – გეოეკონომიკურს [1. 697].

სწორედ ამიტომ დღეისათვის სამხრეთ კავკასია მსოფლიოს არაერთი წამყვანი სახელმწიფოს ინტერესების სფეროში ხვდება. ამ უნიკალურ და მეტად რთულ რეგიონს, სადაც ერთმანეთთან გადაჯაჭვულია სხვადასხვა ხალხი, ეთნოსი, რელიგია თუ კულტურა, ახალი მსოფლიო წესრიგის გლობალურ გეოპოლიტიკურ სქემებში მნიშვნელოვანი როლი და ადგილი უკავია.

დასავლეთის დემოკრატიული სამყაროსათვის კავკასია საინტერესოა არა როგორც სხვადასხვა პროდუქციისათვის გასაღების ბაზარი, არამედ კასპიის რეგიონის, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რესურსებით მდიდარი ბაზრებისაკენ გამავალი მარშრუტების სტაბილური ალტერნატივა [2. 68].

ევროკავშირის მიერ გაცხადებული მიზნები – მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფა თავისი მოქალაქისთვის, უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში – თავის მხრივ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტერესს იწვევს. ცხადია, სწორედ გამოხატული პარტნიორული ურთიერთობის სურვილი გახდა რუსული პოლიტიკის და რუსული ძალის გამოვლენის, უფრო ზუსტად, რეგიონში დესტაბილიზაციის ერთ-ერთი საფუძველი.

პოლიტიკური არასტაბილურობა ის ფაქტორია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ერთმა სახელმწიფომ მეორე სახელმწიფოს მიმართ, რათა მოკავშირეებმა დაკარგონ ინტერესი ამ უკანასკნელის მიმართ. თუ გეოპოლიტიკური ცენტრის მიერ რაციონალურად არ მოხდა მისი გეოპოლიტიკური პოტენციალის გამოყენება, მაშინ მოსალოდნელია გეოპოლიტიკური ფუნქციის დიდი ხნით დევალვაცია და შესაძლოა დაკარგვაც კი [3. 698]

2003 წლის 7 ივლისს, ევროკავშირის საბჭოს მიერ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნითა და ერთი წლის თავზე, 2004 წლის 14 ივნისს, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ნათელი გახდა ევროკავშირის მხრიდან არსებული მზაობა თანაბარი შესაძლებლობა მიეცა თითოეული ამ ქვეყნისათვის განევიტარებინათ ევროკავშირთან თავისი ურთიერთობა ამ სისტემის ფარგლებში. უფრო მეტიც, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ორი მსხვილი მოთამაშის რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ტოლფასი

პოზიცია შესძინა ევროკავშირს. ევროკავშირმა საქართველოსა და რუსეთს შორის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების თაობაზე შუამდგომლობით და თავისი სადამკვირვებლო მისიის გამოგზავნით, ფაქტობრივად, გაზარდა ვალდებულება რეგიონში, რაც დადებითად იქნა აღქმული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან.

2008 წლის 3 დეკემბერს, გამოქვეყნდა ევროკომისიის კომუნიკე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ. „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) ურთიერთთანამშრომლობისთვის ობიექტურად ახალ მექანიზმს წარმოადგენს. 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ შექმნილმა ახალმა რეალობამ დღის წესრიგში დააყენა მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობა, როგორც თვით სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მათ მიმართ გასატარებელ პოლიტიკაში, ხოლო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამას შეუძლია განამტკიცოს ამ სამი ქვეყნის მომავალი გაფართოებულ ევროპულ სტრუქტურებში.

პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, აიძულოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, დაინახონ გამაერთიანებელი ფაქტორები. თუმცა, სამხრეთ კავკასიის ერთიან რეგიონად ჩამოყალიბება ისეთი სახით, როგორც ეს მოხდა ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში თითქმის შეუძლებელია. შესაბამისად, იდენტურობის განსხვავებულობიდან გამომდინარე, რეგიონში ინტეგრაციის მაღალი დონის მიღწევა წარმოუდგენელად გვეჩვენება. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ასევე მკვეთრად განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია აქვთ აღებული, რაც თუ არ გამოირიცხავს, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის პოლიტიკური გაერთიანების შექმნას.

რომ გავანალიზოთ ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის საწყისი ეტაპი, ვნახავთ, რომ თითოეული ქვეყნის მიმართ ევროკავშირს გააჩნია თანასწორი მიდგომა და ამ ურთიერთობათა განვითარების თანაბარი საშუალებები. ევროკავშირი აძლევს თანაბარ შესაძლებლობებს სამივე ქვეყანას და აკვირდება ვინ როგორ მოახერხებს ამ შესაძლებლობის გამოყენებას.

სომხეთსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება 1999 წლიდან მოქმედებს. 2013 წლის ივლისში სომხეთმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები დაასრულა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეთანხმება უნდა გაფორმებულიყო, თუმცა ეს არ მოხდა რუსეთის ფაქტორის გამო. ამის საწინააღმდეგოდ, მაშინ როდესაც გამოწვევის გარეშე, სომხეთის მოსახლეობა და პოლიტიკური ელიტა მიიჩნევდა, რომ სომხეთი ევროინტეგრაციის გზაზეა და ყველანაირად ცდილობდნენ ევროპული კულტურული და სოციალური სტანდარტების

გადმოღებას, 2015 წელს იგი ევრაზიულ სივრცეში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, სომხეთი აქტიურად ემუშავდა საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზებს და, ეს პროცესი განსაკუთრებით რთულდება იმ პირობებში, როდესაც ქვეყანა, ფაქტობრივად, მთლიანად რუსეთთანაა ინტეგრირებული. მიუხედავად ამისა, ერევანმა მაინც მოახერხა ევროპის კავშირთან დაწყებული მოლაპარაკებების ბოლომდე მიყვანა.

2017 წლის 24 ნოემბერს ბრიუსელში, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტზე სომხეთმა და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ყოვლისმომცველი და გაფართოებული თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული ფაქტი უკვე შეფასდა განსაკუთრებულ ისტორიულ მოვლენად [4].

ასევე, 1999 წელს მოეწერა ხელი აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. თუმცა, აზერბაიჯანისა და ევროკავშირის ურთიერთობები იდეალური არასოდეს ყოფილა, რაც გამოწვეული იყო აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებითა და პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნებით რუსეთსა და დასავლეთს შორის.

2017 წლის თებერვალში აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის დაიწყო ჩარჩო-ხელშეკრულების თაობაზე ორმხრივი მოლაპარაკებები, რომელიც მოლდოვის, უკრაინისა და საქართველოს მსგავსად, სხვა შესაძლებლობების გარდა, აზერბაიჯანს ევროპის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის მიღების საშუალებას მისცემდა. ამავე წლის ივნისში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების დღის წესრიგი მოიცავს პოლიტიკურ დიალოგს, ეკონომიკურ თანამშრომლობას და მხარეებს შორის ურთიერთობას სტრატეგიული ხასიათი აქვს.

თუმცა, დოკუმენტში გაწერილი პირობების წინააღმდეგობრივმა ხასიათმა დაყარაბალისსაკითხში ევროკავშირის ნეიტრალურმა პოზიციამ, კვლავ შეაფერხა ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერა. ოფიციალურმა აზერბაიჯანმა უკმაყოფილება გამოთქვა ევროპის ქვეყნების დამოკიდებულებაზე სირიელი და ერაყელი ლტოლვილების მიმართ და დაგმო ევროპული ღირებულებები, რომლებშიც ჩანს მხოლოდ დაპირისპირება რელიგიურ და ნაციონალურ ნიადაგზე, დისკრიმინაცია, ქსენოფობია, ისლამოფობია, ფაშიზმი და რასიზმი.

ისევე როგორც სომხეთმა და აზერბაიჯანმა, 1999 წელს საქართველომაც მოაწერა ხელი ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. თუმცა, იგი სამხრეთ კავკასიელ მეზობლებთან შედარებით აშკარა ლიდერია ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ 2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში, ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DC FTA) კომპონენტს [5].

2015 წლის დეკემბერში, დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების

მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი, ხოლო 2016 წლის 1 ივლისს, საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში. 2017 წლის 28 მარტიდან ძალაში შევიდა ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა, ხოლო 2017 წლის მაისში, საქართველო გახდა „ენერგეტიკული გაერთიანების“ სრულუფლებიანი წევრი. საქართველომ უკვე აიღო ვალდებულებები და დაიწყო შეთანხმების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

შეიძლება ითქვას, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ, ევროინტეგრაციის კონცეფციამ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გააჩინა ახალი იმპულსი. სამხრეთ კავკასიურ საზოგადოებაში სულ უფრო აქტიური გახდა დისკუსია არსებით პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე ევროკავშირთან მჭიდრო ინტეგრაციის მიზნით. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ გარე ძალები გავლენას ახდენენ სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციებსა და უსაფრთხოების აღქმაზე. ევროკავშირთან ურთიერთობების მნიშვნელობა არსებითად განსხვავდება თითოეულ სახელმწიფოში, რაც ევროკავშირის მხრიდან იწვევს ინტეგრაციის განსხვავებული სტრატეგიის არსებობას [6. 2]

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის სტრატეგია მისი ძირითადი პოლიტიკისაგან მკვეთრ გამოიჯენას არ გულისხმობს. ევროკავშირის მიზანი ისევ ამ სამი ქვეყნის კანონმდებლობისა და პოლიტიკის, მის კანონმდებლობასა და პოლიტიკასთან მაქსიმალური დაახლოება იქნება. ევროკავშირი აღიარებს, რომ სამხრეთ კავკასია, რეგიონში სტაბილურობის, ენერგეტიკის და ვაჭრობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ღიაობა, დიფერენციაცია და პირობების შესრულება სამხრეთ კავკასიის მიმართ ევროკავშირის მომავალი პოლიტიკის საფუძველი იქნება. თანამშრომლობით დაინტერესებულ თითოეულ ქვეყანას შანსი უნდა მიეცეს, ვერც ერთი სხვას ვერ შეაფერხებს და თანამშრომლობაში პროგრესი მხოლოდ მიღწეული შედეგებით განისაზღვრება [7].

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოები – საფრანგეთი, გერმანია და იტალია არიან ჩართულნი კავკასიის საკითხებში, არცერთ მათგანს დამოუკიდებლად არსებითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია რეგიონზე, თუმცაღა, ფაქტია, რომ ამ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მოქმედებს ევროკავშირის საგარეო მოქმედებებზე და ევროპულ სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედების შემთხვევაში ევროკავშირი გახდება ყველაზე მსხვილი მოთამაშე სამხრეთ კავკასიის რეგიონში როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ამასთანავე, ევროპული ძალების არასაკმარისი სურვილი შექმნან ერთიანი პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ, წარმოადგენს იმ ხელშემშლელ ფაქტორს, რაც აფერხებს ევროკავშირის თავისი პოტენციალის სრულად გამოვლენაში.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასია წარმოადგენს ისტორიულ აბრეშუმის გზას, სატრანსპორტო დერეფანს, ევროკავშირისათვის ალტერნატიულ ენერგოდერეფანს, რის გამოც რეგიონი არაერთი ძლიერი, მეზობელი თუ არამეზობელი, სახელმწიფოს ინტერესს იწვევს. აშშ-სა და ევროკავშირის მიერ შექმნილი პროექტი – „ახალი აბრეშუმის გზა“ მიზნად ისახავს ცენტრალური აზიის ენერგო რესურსებზე კონტროლს რუსეთის გვერდის ავლით. აღნიშნულის საპირწონედ რუსეთი ქმნის „ევრაზიულ კავშირს“, რითაც ცდილობს გეოპოლიტიკური კონტროლის შენარჩუნებას რეგიონზე. სამხრეთ კავკასიის ორი სახელმწიფო: სომხეთი და აზერბაიჯანი, მიუხედავად ევროკავშირთან დაახლოების მცდელობისა, მაინც რჩება რუსეთის მოკავშირედ. რაც შეეხება საქართველოს, ის ევროკავშირთან ურთიერთობის მხრივ ყველაზე წარმატებული სახელმწიფოა სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც მოახერხა ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. საქართველოს მიერ მიღწეული წარმატება და საქართველოს შეუქცევადი სურვილი ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისა, არ აძლევს ევროკავშირს სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტაბილური სიტუაციის გარანტიას.

შესაბამისად, ევროკავშირი რეგიონში სტაბილური გარემოს შექმნით არის დაინტერესებული. ამიტომ იგი ძალისხმევას არიშურობს, რათა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებმა კიდევ უფრო განამტკიცონ ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა. ამავდროულად ცხადია, რომ ევროკავშირის პოლიტიკის წარმატება დიდწილადაა დამოკიდებული რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაზე აშშ-ისა და ევროპის მხრიდან, რაც ასევე რეგიონში არსებული კონფლიქტების დარეგულირების ერთ-ერთი საფუძველიცაა. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის სახელმწიფოების მხრიდან ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციისაკენ სწრაფვა და ამ გზაზე წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება ქმედითი რეფორმების განხორციელების გარეშე.

ფაქტია, ევროკავშირი მზად იყო და არის დახმარების დამატებითი ინსტრუმენტების საშუალებით ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ საიმედო და სტაბილური რეფორმების გატარებისკენ მიმართულ მცდელობებს. მას სურს დაინახოს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებობს გაძლიერებული, საიმედო და სტაბილური ვალდებულება დემოკრატიის, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემისადმი, აგრეთვე, წარმატება საბაზრო ეკონომიკის განვითარების საქმეში. შეიძლება ითქვას, სწორედ ამ ერთობლივი ფასეულობების გაზიარება უდევს საფუძვლად სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოსა და ეუთო-ში.

ამიტომაც, აუცილებელია მეტი ძალისხმევა რეგიონში კონფლიქტების მოგვარებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამკვიდრების მიმარ-

თულებით. თითოეულმა ამ სამი ქვეყნიდან უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ მათი შეთანხმებების შესრულების შემდგომი წინსვლის მხრივ, კერძოდ, მათ ხელი უნდა შეუწყონ კანონის უზენაესობის დამკვიდრებას და კონფლიქტების მოგვარებას.

თავის მხრივ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირის მონაწილეობას ამ მიზნების მიღწევაში [8].

ლიტერატურა:

1. ალ. წურწუშია. საქართველო და გლობალური ინტერესები // სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 2008, №5, გვ. 697
2. ნ. ჩიტაძე. ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში // საქართველოს ევროპული გზა, 2015, №4, გვ. 68.
3. ალ. წურწუშია. საქართველო და გლობალური ინტერესები // სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 2008, №5, გვ. 698
4. <https://jam-news.net/?p=72425&lang=ka>
5. <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement>
6. Elkhan Nuriyev. „EU Policy in the South Caucasus a view from Azerbaijan”, 2007; page2
7. <http://bspn.gfsis.org/ge/resources/articles/display/257>
8. <http://www.nplg.gov.ge/gsd1/cgi-bin/library.exe>

*Iulia Tkeshelashvili, Doctoral student
Georgian Technical University*

Historical and political aspects of EU and South Caucasus

Summary

Present article is dedicated to the historical and political aspects of the South Caucasus States and EU relations. The initial stage of the South Caucasus States and EU relations, EU interests to the South Caucasus States and the complexities and challenges facing by the region today.

Key words: *European Union, South Caucasus, Political Aspects, Imperialist, European Community.*

ჰიბრიდული ომი რუსეთ-უკრაინის (ყირიმის) ომის მაგალითზე

მარიამ ჩივამძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია ჰიბრიდულ ომზე რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითზე, განხილულია რუსეთის გენშტაბის უფროსის, ვალერი გერასიმოვის 2013 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ახალი თაობის ომის წარმოების მეთოდები“, რომელშიც ჩამოთვლილია „ახალი თაობის ომის“, ანუ ჰიბრიდულ ომის მახასიათებლები. ასევე, განხილულია რუსეთის მიერ ჰიბრიდული ომის წარმოების მეთოდები.

ანალიზის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ ლეგალურ ზეწოლასა და არალეგალურ აგრესიას შორის ზღვარი წაშლილია, ბუნდოვანია სიტუაცია იმის შესახებ, არის თუ არა სახელმწიფო ომის მდგომარეობაში და დაარღვია მან თუ არა საერთაშორისო სამართალი... ამიტომ საჭიროა „ჰიბრიდული ომისათვის“ თანმდევი საფრთხეების შეკავების და დაძლევისათვის უკრაინამ და მისმა პარტნიორებმა კარგად კოორდინირებული და ერთიანი სტრატეგიული მიდგომა შეიმუშაონ მრავალი მიმართულებით, მათ შორის ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი, მომავლის ომი, მეხუთე თაობის საინფორმაციო ომი, არაბული გაზაფხული, გერასიმოვის ტოქტრინა, ომის წარმოების მეთოდები, საინფორმაციო საშუალებები, პროპაგანდა, დივერსია.

შესავალი

თანამედროვე დროში რუსული პროპაგანდა დღითიდღე უფრო და უფრო აქტუალური ხდება და მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გამოწვევას წარმოადგენს. ტექნოლოგიების დაქვეყნის ეპოქაში მეცნიერები უკვე ეძებენ ახალ ტერმინებს და ჩვეულებრივი „ჰიბრიდული ომიდან“ გამომდინარე, მივიდნენ დასკვნამდე - კაცობრიობა გადადის ე.წ. „მეხუთე თაობის“ საინფორმაციო ომზე.

რუსეთის სამხედრო თეორეტიკოსების მიერ შექმნილ „მომავლის ომის“ მოდელს განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა უკრაინის კრიზისმა, რადგან კრემლმა სწორედ აღნიშნული მოდელის გამოყენებით მოახდინა უკრაინის ტერიტორიის ნაწილის ანექსია და შექმნა დესტაბილიზაციის კერები.¹

¹ http://eugeorgia.info/ka/article/637/hybriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/?fbclid=IwAR1vcC6O2HS0GdjZeFQB_mDrtdCsQM-5YNUr_p6FB0ToLskC6Jv9TGXvY სტატია „ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში“

ჰიბრიდულ ომს უწოდებენ სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებებისა და კონვენციური, არარეგულარული (პარტიზანული და ასიმეტრიული), ტერორიზმის, კრიმინალური და კიბერ ბრძოლის მეთოდების ერთობლივ, კოორდინირებულ, ღია და ფარულ გამოყენებას.¹

ძირითადი ნაწილი

ჰიბრიდული ომის თეორიულ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსმა სამხედრო თეორიტიკოსებმა, მათ შორის, აღსანიშნავია რუსეთის გენშტაბის უფროსის, ვალერი გერასიმოვის 2013 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი «ახალი თაობის ომის წარმოების მეთოდები», რომელშიც განხილულია „არაბული გაზაფხულის“² მოვლენები და აღნიშნულზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ „ახალი თაობის ომში“ სამხედრო ძალა გამოყენებული იქნება ფარულად, ოფიციალური დეკლარირების გარეშე, აღნიშნულ დოქტრინაში აღწერილია «ახალი თაობის ომის» ისეთი მახასიათებლები, რომელიც შემდგომში, რუსეთმა გამოიყენა უკრაინაში ყირიმის ანექსიის დროს.

დოქტრინის თანახმად, «ახალი თაობის ომი» გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით:

ა) სამხედრო მოქმედებები იწყება მშვიდობიან პერიოდში, ანუ ოფიციალურად ომი გამოცხადებული არ არის; ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების ნაცვლად, კონფლიქტი ხასიათდება მცირე მასშტაბის, ლოკალური შეტაკებებით;

ბ) ადგილი აქვს საბრძოლო მოქმედებებში სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების და შეიარაღებული სამოქალაქოების გამოყენებას;

გ) ბრძოლა მიმდინარეობს არა სამ, არამედ ოთხ სივრცეში: ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაში და საინფორმაციო ველზე.

2013 წლის იანვრის ბოლოს, მოსკოვში გაიმართა რუსეთის სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის კრება. კრებაზე ყველაზე ნიშანდობლივი მოხსენება წაიკითხა სწორედ ვალერი გერასიმოვმა, კრებიდან ერთი თვის შემდეგ გენშტაბის უფროსის მოხსენების მოკლე ვარიანტი დაიბეჭდა რუსულ ჟურნალ ВПК-ში (Военно-Промышленный Курьер). აი, რამდენიმე ფრაზა ამ მოხსენებიდან: „21-ე საუკუნეში, ჩვენ მოწმენი ვართ ტენდენციისა, როცა

¹ http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/?fbclid=IwAR1vcC6O2HS0GdjZeFQB_mDr4tDCsQM-5YNUR_p6FB0ToLskC6Jv9TGXvY სტატია „ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში“

² არაბული გაზაფხული და მისი გამომწვევი მიზეზები, სოციალური ტრანსფორმაცია თუ ისლამისტი ძალების გამარჯვება, <https://mariotiashvili.wordpress.com/2013/12/10/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1/>

მკვეთრი საზღვარი ომისა და მშვიდობის მდგომარეობებს შორის იშლება. ომების გამოცხადება აღარ ხდება და როცა კონფლიქტი იწყება, იგი არ მიჰყვება მის ჩვეულ მოდელს. (...) თავად «ომის წესები» მნიშვნელოვნად შეიცვალა. ძალზე გაიზარდა არასამხედრო მეთოდების როლი პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, რაც საკუთარი ეფექტიანობით ზოგჯერ იარაღის ძალასაც კი ბევრად აღემატება. დაპირისპირებისას, აქცენტი სამხედრო მეთოდებიდან გადადის ისეთ არასამხედრო მეთოდების ფართოდ გამოყენებაზე, როგორებიცაა პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციული, ჰუმანიტარული და სხვა არასამხედრო საშუალებები. ყოველივე ამას დაემატა ფარული ბუნების სამხედრო ზომები, მათ შორის (...) სპეციალური ძალების ფარული ოპერაციები“.

„გერასიმოვის დოქტრინაში“ ნოვატორულია რამდენიმე ასპექტი: პირველ რიგში, ე.წ. ჰიბრიდული ომის მთავარ სამიზნედ არა მეორე მხარის შეიარაღებული ძალები, არამედ მისი მშვიდობიანი მოსახლეობა ხდება. ამ დოქტრინის მიხედვით, მომავალ ომებში აღარ იქნება არც ფრონტის ხაზი, არც ზურგი, საომარი თეატრი კი თვით საზოგადოება იქნება. გერასიმოვის დოქტრინის მიხედვით, აგრესორი ქვეყნის მიზანი იქნება მტერი ქვეყნის ერის ერთიანობის დარღვევა, რათა მოახდინოს მოსახლეობის აქტიური ნაწილის ნების გატეხვა. ასე რომ, თუ წარსულში მნიშვნელოვანი იყო მტერი ქვეყნის ტერიტორიის ხელში ჩაგდება და შენარჩუნება, მომავლის კონფლიქტში მთავარი ხდება მტერი ქვეყნის მოსახლეობის „ტვინის რეცხვა“ და მისი ნების დამორჩილება.

ამ მიზნის მისაღწევად აქცენტი კეთდება ისეთ არასამხედრო არსენალზე, რომელიც საერთაშორისო კანონის „რადარის“ მიღმა რჩება: ვინაიდან ლეგალურ ზეწოლასა და არალეგალურ აგრესიას შორის ზღვარი წაშლილია, ბუნდოვანია სიტუაცია იმის შესახებ, არის თუ არა სახელმწიფო ომის მდგომარეობაში, დაარღვია მან თუ არა საერთაშორისო სამართალი... ამ სიტუაციაში, აგრესიის მსხვერპლი ქვეყანა სტრატეგიის გარეშე რჩება; იგი ვერ ხვდება, რომ ომი მიმდინარეობს და მშვიდობიან სტრატეგიას დროულად არ ცვლის ომის სტრატეგიით.

„ჰიბრიდული ომის“ წარმოებისას სამიზნე ქვეყნის გრავიტაციის ცენტრს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია. შესაბამისად, თავდამსხმელმა ქვეყანამ აუცილებლად უნდა მოიპოვოს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. სხვა შემთხვევაში, „ჰიბრიდული ომის“ წარმოება ფაქტობრივად შეუძლებელია. პროპაგანდისა და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების გამოყენებით, ხდება სამიზნე ქვეყნის ეთნიკურ ჯგუფებში, პოლიტიკურ ელიტასა და სამოქალაქო საზოგადოებაში დაპირისპირების გაღვივება.

პარალელურად, ხორციელდება საინფორმაციო სივრცის მომზადება

შიდა და საერთაშორისო აუდიტორიისთვის: მაგალითად, 2013 წლის ბოლოს, კიევში დაწყებული საპროტესტო აქციების პარალელურად, რუსულმა მედიასაშუალებებმა გაააქტიურეს კამპანია უკრაინის ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ. რუსული პროპაგანდა მათ წარმოაჩენდა ულტრა-რადიკალურად/ფაშისტურად/რუსოფობურად, რომელთა ხელისუფლებაში მოსვლით საფრთხე იქნებოდა უკრაინაში მცხოვრები რუსებისთვის. ამით რუსულმა პროპაგანდამ ანტი-უკრაინულად განაწყო საკუთარი მოსახლეობა და, რაც მთავარია, გააღვივა ახალი ხელისუფლების მიმართ წინააღმდეგობა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონების მოსახლეობაში.

რუსეთის არმიის გადაიარაღებისა და სამხედრო პოტენციალის გაზრდის პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს ახალი თაობის ომის წარმოების მეთოდების ათვისება, რისი გამოცდისა და სრულყოფის ოპტიმალურ სივრცე-დაც იქცა უკრაინა. ამგვარად, შესაძლებელია რუსეთის “ჰიბრიდული ომის” წარმოების შემდეგი მეთოდების გამოკვეთა:

- კონფლიქტში ჩართულობის ე.წ. დამაჯერებელი უარყოფის სტრატეგია (#Ихтамнет), სამხედრო მოსამსახურეების სამოქალაქოების საფარით გამოყენება;
- არასამხედრო ასიმეტრიული მეთოდების გამოყენება (საინფორმაციო, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და იდეოლოგიური საშუალებების გამოყენება სასურველი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გარემოს შესაქმნელად);
- მოწინააღმდეგის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცდო-მაში შეყვანა სპეციალური ოპერაციების გამოყენებით (დიპლომატიური არხებით, მედია საშუალებებით, პოლიტიკური და სამხედრო უწყებების სპეციალურად შედგენილი მონაცემების, ბრძანებების, მითითებებისა და ინსტრუქციების გამიზნული გაჟონვით);
- მოწინააღმდეგის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის შანტაჟი, მოტყუება და მოსყიდვა, რათა იძულებულები გახდნენ, უარი თქვან სამსახურობრივი ვალდებულებების შესრულებაზე;
- აქტიური პროპაგანდა მოსახლეობის დემორალიზების მიზნით, რომლის პარალელურადაც იწყება მცირე დივერსიული ჯგუფების შეღწევა;
- არასაფრენი ზონის შემოღება სამიზნე ქვეყნის საჰაერო სივრცეში, მისი ტერიტორიული ბლოკადა და კერძო სამხედრო კომპანიების აქტიური გამოყენება, ადგილობრივი ოპოზიციისა და სეპარატისტულ, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად;
- აქტიური/მასშტაბური სადაზვერვო-დივერსიული აქტივობები და სამხედრო მოქმედებების დაწყება - ყველა ფორმის, მეთოდისა და ძალის გამოყენებით;

- საინფორმაციო ოპერაციების, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების, ზეზუსტი შეიარაღებისა და სხვა თანამედროვე საშუალებების გამოყენება;
- სამიზნე ქვეყნის შეიარაღებული ძალების დარჩენილი წინააღმდეგობის კერების/შენაერთების განადგურება სპეცდანიშნულების ძალების გამოყენებით.

წინაპირობების შექმნა კონვენციური სამხედრო მოქმედებებისთვის – რუსეთის “ჰიბრიდული ომის” კიდევ ერთი ელემენტია. ყირიმის ანექსიამ გამოიწვია საფრთხე, რომ რუსეთმა, შესაძლოა, შექმნას სამხედრო მოქმედებების წინაპირობა ნებისმიერ ქვეყანაში, მაგალითად, ბალტიისპირეთში, ან გააღვივოს კონფრონტაცია რუსულენოვან ეთნიკურ უმცირესობებსა და საზოგადოებას შორის, სხვადასხვა ქვეყანაში.

დასკვნა

ამ საფრთხეების შეკავების და დაძლევისთვის უკრაინამ და მისმა პარტნიორებმა კარგად კოორდინირებული და ერთიანი სტრატეგიული მიდგომა უნდა შეიმუშაონ მრავალი მიმართულებით, მათ შორის ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით.

ლიტერატურა:

1. ელექტრონული ვერსია. ჰიბრიდული ომი და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაპის ცვლილება - „პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები“, ანალიტიკური დოკუმენტი N1, https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/Hybrid%20warfare%20report%20GEO_WEB.pdf (ბოლო ნახვა 31.01.2019);
2. ელექტრონული ვერსია. რუსული პროპაგანდა - მიზნები, ნარატივები და აქტორები - „ექსპერტის აზრი“, ავტორი - გრიგოლ ჭულუხიძე; <https://gfsis.org/files/library/opinion-papers/104-expert-opinion-geo.pdf> (ბოლო ნახვა 31.01.2019);
3. ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ, Erope for Georgia, სტატია - ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში. http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/?fbclid=IwAR1vcC6O2HS0GdjZeFQB_mDrtetDCsQM-5YNUr_p6FB0ToLskC6Jv9TGXvY (ბოლო ნახვა 31.01.2019);
4. სტატია - კონფლიქტის ახალი ფორმა - ჰიბრიდული ომი, http://yata.ge/?p=691&fbclid=IwAR2cgvP4exuRzLi7jZmWwDoN8fgEI9V-83wfpul4D_vSvanJJ9Ieb5e71K4 (ბოლო ნახვა 31.01.2019);
5. სტატია - ჰიბრიდული ომი და მისი გავლენა ნატოს წევრ და პარტნიორ

ქვეყნებზე. <https://mod.gov.ge/ge/news/read/4266/hibriduli-omi-da-misi-gavlennatos-cevr-da-partnior-qveknebze> (ბოლო ნახვა 31.01.2019);

6. არაბული გაზაფხლი და მისი გამომწვევი მიზეზები, სოციალური ტრანფორმაცია თუ ისლამისტი ძალების გამარჯვება, <https://mariotiashvili.wordpress.com/2013/12/10/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1/> (ბოლო ნახვა 31.01.2019).

*Mariam Chivadze, Doctoral student
Georgian Technical University*

The hybrid war on the example of the Russian-Ukraine (Crimea) war Summary

The article deals with the example of the Russian-Ukrainian war on the hybrid war, reviewed by the Russian General Staff Valery Gerasimov's 2013 "New Generation War Methods", which includes the "New Generation War", or hybrid war features. Also, the methods of producing a hybrid war by Russia are discussed.

As a result of the analysis we conclude that the margin between legitimate pressure and illegal aggression is unclear whether the state is in a state of war and has violated international law. Therefore, it is necessary for Ukraine to prevent and overcome threats to the "hybrid war" Partners are well coordinated and a common strategic approach to develop in many directions, including the country's defense and security.

Keywords: *Hybrid War, Future War, Fifth Generation Information War, Arab Spring, Gerasimov's Doctrine, War Methods, News Outlets, Propaganda, Diversion.*

საერთაშორისო ურთიერთობები

INTERNATIONAL RELATIONS

მშვიდობიანი ეკონომიკური პოლიტიკა უკეთესი მომავლისათვის

*ჯემალ გახუკიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*სოფო მიდელაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ნონა ლომიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ჩვენი რეალობიდან გამომდინარე ექვგარეშეა, რომ საჭიროა კონფლიქტების მოწესრიგების ახალი გზების ძიება, რომლებიც მხოლოდ რეალპოლიტიკას დაემყარება. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების ჩიხიდან გამოსაყვანად განსხვავებული სტრატეგია სჭირდება, როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას. კვლევისას იმაშიც დავრწმუნდით, რომ გაყინული კონფლიქტების გაყინული გაურკვევლობა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კომერციული ურთიერთობა, თუნდაც ყოფით დონეზე, აუცილებლად ამოქმედდება. სწორედ ამ დროისათვის უნდა ვიყოთ მზად სამოქმედო პროგრამით, რომლის პოლიტიკა და სტრატეგია მეორე მხარესთან (მხარეებთან მიმართებით) არ უნდა იყოს არც შეტევითი და არც დაცვითი, არამედ კონსტრუქციული და კომპრომისული, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი უნდა იყოს ურთიერთშორისი ნდობის აღდგენა, შერიგება და თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ სიტუაციის ორივე მხარისათვის მისაღებად და სასარგებლოდ განვითარება, რამაც კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებამდე უნდა მიგვიყვანოს.

საკვანძო სიტყვები: მშვიდობიანი ეკონომიკა, პოლიტიკა, კონფლიქტები.

შესავალი

სულ ახლახან საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოამზადა და წარმოდგინა სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“, რაც მხოლოდ კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას ემსახურება. ინიციატივა დაკავშირებულია ვაჭრობის წახალისებასთან გამყოფი ხაზების გასწვრივ, კერძოდ აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან სოფ. რუხში და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ერგნეთში.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ხელისუფლების მიერ სულ ახლახან გაქდერებული ინიციატივა პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობისათვის უმთავრესი პრიორიტეტი არის მშვიდობა. ამ მიდგომის საყრდენია შერიგების და ჩართულობის პოლიტიკა. ავტორები დარწმუნებულნი არიან და ჩვენც ვეთანხმებით, რომ წარმოდგენილი ინიციატივის მიზანია ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთათვის რაც, უდავოდ, ხელს შეუწყობს გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის კავშირებს და ურთიერთობებს, მიმოსვლას, საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობას და სამშვიდობო პროცესის გააქტიურებას. მთელი რიგი საკითხების გადაჭრა შესაძლებელია პოლიტიზირების გარეშე, ჰუმანიტარული პრინციპების გათვალისწინებით და ზოგიერთ შემთხვევაში დეპოლიტიზირებული/სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტებისა და ფორმატების გამოყენებით.

წარმოდგენილი ინიციატივის ავტორები სწორად ასკვნიან, რომ ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ – ეფუძნება მოქნილ და პრაგმატულ ხედვას, ქმნის სივრცეს ყველა დაინტერესებული მხარის კონსტრუქციული მონაწილეობისათვის და ხორციელდება საერთაშორისო საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი ჩართულობისა და შერიგების პოლიტიკის ფარგლებში.

წარმოდგენილ ინიციატივასთან გვაქვს გარკვეული შენიშვნებიც:

ასეთი ფორმით კომერციული ურთიერთობების დამყარების დროს ცდუნება ნარკოტიკებთან და იარაღთან მიმართებაში ძალიან დიდია, ამის არაერთი პრეცედენტია ცნობილი და სწორედ აქედან გამომდინარე ვხედავთ მაღალი ხარისხის საფრთხეს. თუმცა სამართალდამცავი უწყებების ეფექტური და მოუსყიდავი მუშაობის შედეგად ამ საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელია.

პირველი – ჩვენი აზრით, სახელწოდება „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ გარკვეულად ამცირებს ინიციატივის მნიშვნელობას და შინარსს, რომელიც მასში იკითხება, უკეთესი იქნებოდა ინიციატივის სახელწოდება წარმოგვედ-

გინა, როგორც „მშვიდობიანი ეკონომიკა უკეთესი მომავლისათვის“. დღეს კონფლიქტის დარეგულირებისათვის სწორედ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთი სწორედ მშვიდობიანი ეკონომიკის რბილად დაშვების პოლიტიკას ტაივანში, ასეთივე დამოკიდებულებაა ორად გაყოფილ კვიპროსში, მშვიდობიანი გზით ეკონომიკის ინტეგრაციის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თავისთავად მშვიდობიანი ეკონომიკა ფართო შინაარსის მქონე მცნებაა. საერთაშორისო თანამეგობრობის და საერთოდ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების და ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციისათვის მშვიდობიანი ეკონომიკა აღიქმება, როგორც კონფლიქტური მხარეებისათვის მაქსიმალურად უმტკივნეულო ფორმა.

მეორე – აღნიშნული სამშვიდობო ინიციატივა მრავალმიმართულებიანია და შეიცავს:

1. ავტონაწილების და ავტომობილების ბაზრობას;
2. საქონლის მიწოდებას აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/ ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე;
3. ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთათვის;
4. შედავითიან პირობებს, თავისუფალ გადაადგილებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
5. ფინანსურ ინსტრუმენტებს და შესაბამის საკანონმდებლო ბაზას.

ასეთ ვითარებაში უფრო პრაგმატული და რეალური იქნება თუ ამ პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებების თანამიმდევრობა და განხორციელების მექანიზმები დროისა და ადგილის მიხედვით ეტაპებად იქნება წარმოდგენილი.

მომავალი ასე გვესახება: დარწმუნებული ვართ, რომ კომერციული ურთიერთობა შეთავაზებული საქართველოს ხელისუფლების ინიციატივებით მყისიერად არა, მაგრამ თანდათანობით აუცილებლად ამოქმედდება (სხვათაშორის ყოფით დონეზე ეპიზოდურად კომერციული და არაოფიციალური ფორმით ბიზნესურთიერთობები 2008 წლის ომის შემდეგ მაინც დაიწყო და დღესაც გრძელდება). სწორედ ამ დროისათვის უნდა ვიყოთ მზად სამოქმედო პროგრამით, რომლის პოლიტიკა და სტრატეგია მეორე მხარესთან (მხარეებთან: აფხაზეთთან და ოსებთან მიმართებით) არ უნდა იყოს არც შეტევითი და არც დაცვითი, არამედ კონსტრუქციული და კომპრომისული, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი უნდა იყოს ურთიერთშორისი ნდობის აღდგენა, შერიგება და თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ სიტუაციის ორივე მხარისათვის მისაღებად და სასარგებლოდ განვითარება, რამაც კონფლიქტის მოწესრიგებას უნდა შეუწყოს ხელი.

არაფერი გასაკვირი და შეუძლებელი არ მოხდება ვინაიდან უკეთესი ცხოვრებისაკენ სწრაფვა იყო, არის და იქნება მცირე და დიდი ერების,

შესაბამისად, ქვეყნების მუდმივი საზრუნავი, აქედან გამომდინარე, ეროვნული ინტერესების მთავარი შემადგენელიც. იგი პირდაპირ დაკავშირებულია არა მარტო თვითგადარჩენასთან, არამედ მათი განვითარების მთავარი ფაქტორია. თუ არ არის ასეთი მუდმივი მისწრაფება, მაშინ მცირე და დიდნიც თვითლიკვიდაცის უცხადებენ საკუთარ თავს.

აღსანიშნავია, რომ დეილ კარნეგის მოსკოვის ინსტიტუტის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სწორედ ეკონომიკური ურთიერთობები და ბიზნეს ინტერესები იქნება ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომლითაც ჩინეთი მშვიდობიანად მოახდენს ინტეგრაციას ტაივანთან და აღადგენს სახელმწიფო სუვერენიტეტს. ისე, რომ აქ პრაქტიკულად დაწყებულია ჩინეთის მხრიდან ტაივანში რბილად დაშვების ეკონომიკური პოლიტიკა. იგივე კარნეგის ინსტიტუტის მონაცემებით ორ მილიონზე მეტი ტაივანელი ჩინეთის პროვინციებში დაკავებულია სხვადასხვა ბიზნესსაქმიანობით ადგილობრივ ჩინელებთან ერთდ. ასეთ ვითარებაში, უნდა ვირწმუნოთ კარნეგელების გათვლები, რომ დაახლოებით 30 წლის განმავლობაში იმდენად გადაჯაჭვულია დიდი ჩინეთის და ტაივანის ბიზნესინტერესები და ეკონომიკური ურთიერთობები, რომ კონფლიქტი დარეგულირებისაკენ აუცილებლად დაიწყებს სვლას. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ დროის დადგომისათვის ჩინეთის ხელისუფლებაში მუშავდება გეგმა — „ერთი სახელმწიფო, სამი სისტემა“, რომლის მიხედვით ტაივანმა უნდა მიიღოს უფრო ფართო უფლებამოსილება, ვიდრე ჰონკონგის სპეციალურმა ადმინისტრაციულმა რეგიონმა. ჩინეთის ხელმძღვანელ წრეებში სამი სისტემის არსის შესახებ აღნიშნავენ მხოლოდ იმას, რომ ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლება პრაქტიკულად არ ჩაერევა მათ შიდა საქმეებში და ტაივანს უფლება ექნება საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიყენოს სახელწოდება „ჩინეთი“. ჩინეთის კომუნისტური პარტია არ ეწინააღმდეგება ტაივანისათვის უფრო ფართო ავტონომიის მინიჭებას, თუმცა განსხვავებას ხედავენ სახელწოდებაში „ჩინეთი“ და „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა“. ამჟამად ისინი გამოსავლის ძიებაში არიან. ჩვენი აზრით სხვა პრობლემაც არის, მხედველობაში გვაქვს ტაივანში აშშ-ის ფლოტის ყოფნა. აქ უდავოდ მუშაობს აშშ-ის ფაქტორი და, როგორც ჩანს, ჩინეთის ხელისუფლებას, უნდა თუ არ უნდა, მოუწევს აშშ-სთან მოლაპარაკებების დაწყება. რისი კარგი გამოცდილებაც მიიღეს ჩინელებმა თავის დროზე ჰონკონგის პრობლემის გადაწყვეტისას.

მესამე – წარმოდგენილ ინიციატივას უნდა ახლდეს კონფიდენციალური წესით წარმოდგენილი ის საფრთხეები, რომელიც შეიძლება ახლდეს ამ პროექტის განხორციელებას. არადა ასეთ საფრთხეებს ვხედავთ, დავასახელებთ თუნდაც ერთს ავტომობილების ვაჭრობის საკითხს, რომელსაც ზემოაღნიშნული სამშვიდობო ინიციატივა ითვალისწინებს. ამ მიმართულებას ჭირდება განსაკუთრებული რეგულაციები და კონტროლი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება

წავაქეზოთ ავტომობილების ქურდობა მისი შემდგომი უკანონო რეალიზაციის მიზნით აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში. ასეთი მწარე გამოცდილება ჩვენ უკვე გავიარეთ 90-იანი წლების ბოლოს და იგი ე.წ. სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და პანკისში თითქმის აქილევსის ქუსლად იქცა. გარკვეულ საფრთხეს ვხედავთ ე.წ. სამრეწველო კონტრაბანდის თვალსაზრისით. განსაკუთრებით კონტროლს უნდა დაექვემდებაროს ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა.

მიმოვიხილეთ რასაქართველოს ხელისუფლების აწყობა დროის სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ და გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება, არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ დავუბრუნდეთ ამ ინიციატივას წარსულ დროში. მხედველობაში გვაქვს 90-იანი წლების ერგნეთის ბაზრობა და ენგურის ხიდიდან გაჩაღებული ქაოტურად დაწყებული ვაჭრობა, რომელმაც სულ ერთ წელიწადში მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია.

გაყინული კონფლიქტების დროს სტიქიურად დაწყებული ერგნეთის ბაზრობა, გარკვეულწილად, წარმოადგენდა მშვიდობიანობის ანკლავს. პრაგმატული, რეალპოლიტიკაც უთუოდ მოითხოვდა ამ ანკლავის გაფართოებისათვის ხელშეწყობას, ყოველ შემთხვევაში მისი თვითდინების შეუფერხებლობას. შესაძლოა გადაჭარბებაში ჩაგვეთვალოს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ცხინვალსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემის გადაჭრის სხვა მშვიდობიან საშუალებათაგან მაშინაც, ახლაც და მომავალშიც „ერგნეთი“ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, არის და იქნება ისე, როგორც დაახლოებით პარალელურ რეჟიმში გალსა და ზუგდიდს შორის შექმნილი კომერციული ურთიერთობა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერგნეთის ბაზრობა, მისი ნეგატიური მხარეების მიუხედავად, მაინც ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობების დათბობის ბუნებრივ ზონადაც ჩამოყალიბდა. ამკარად შეიმჩნეოდა, რომ არა ფორმალურ სავაჭრო-ეკონომიკურ ზონას სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ფუნქციის დატვირთვაც ჰქონდა. ჩვენი შეხედულებით, ერგნეთის ბაზრობაზე არსებული ქაოსი საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს დაქვემდებარებულ მართვად პროცესად უნდა გადაქცეულიყო.

თითქოს ყველა პირობა შეიქმნა ოსეთის კონფლიქტის თანდათანობით და ეტაპობრივად მოგვარებისათვის. არსებობდა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნებაც. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ასეთივე ნება ოსებსაც ჰქონდათ. საგულისხმოა, რომ არაფორმალურ და მჭიდრო ურთიერთობებს მიესაღმებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. მართალია, კონფლიქტი ფორმალურად მაინც კონფლიქტად რჩებოდა, მაგრამ უკვე სახეშეცვლილი იყო, არა აგრესიული.

რატომ არ დადგა შედეგი?

ის, რომ ვერ მოხერხდა აღნიშნული ფაქტორის გამოყენებით სამხრეთ ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრირება, მრავალი საშინაო მიზეზით აიხსნება. მათ შორის ყველაზე მეტად ხელი შეგვიშალა კონტრაბანდამ, რომელმაც 1999–2001 წლებში წაღეკა საქართველოს ეკონომიკა. კორუფცია, ბიუჯეტის დეფიციტი, ქვეყნის შიგნით პოლიტიკური დამაბულობის ხარისხი სულ უფრო ზღუდავდა ჩვენს შესაძლებლობას. ერთობლივ ეკონომიკურ პროგრამებს კი მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა არ ჰყოფნიდა.

მაგრამ ძირითადი წინააღმდეგობა მაინც ჩრდილოეთიდან მოდიოდა. რუსეთის პრეზიდენტი ბ. ელცინი, პოლიტიკური ისტებლიშმენტის სხვა წარმომადგენლები სიტყვით მიესალმებოდნენ ამ დაახლოების პროცესს, მაგრამ საქმით ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ. ეს თვალნათლივ გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველო ომის დროს. საქმე ის არის, რომ დაახლოებით 10 წელიწადია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი და მთავარი სამხედრო დაზვერვის სამსახური უმტკიცებდა რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომ სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების თვალსაზრისით, ოსეთი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე აფხაზეთი.

„ვარდების ხელისუფლებამ“ კი ერგნეთის ბაზრობასთან და საერთოდ კონფლიქტების მოგვარებასთან მიმართებაში აირჩია რადიკალიზმი და როგორი კრაზით დამთავრდა ყველაფერი ეს კარგადაა ცნობილი. მოკლედ მინდა შევუხსნა სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის განვითარებულ იმ დროის მოვლენებს. აქაც ერგნეთის ანალოგიურად კომერციული ურთიერთობები ქაოტურად დაიწყო და თანდათან, როგორც უკვე აღვნიშნეთ მასშტაბური სახე მიიღო თხილის, მანდარინის, ჯართის და სხვა ბიზნესის სახით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობები ორივე მხარეში მცხოვრებ ბევრი ადამიანისათვის შემოსავლისა და ოჯახის გადარჩენის საშუალებად იქცა. თუმცა, მაშინ ვერც ეს გარემოებები ვერ გამოვიყენეთ კონფლიქტის მოგვარების ინსტრუმენტად.

დასკვნა.

ჩავთვალოთ, რომ ეს იყო წარსული, რომელმაც მრავალ მიზეზთა გამო შედეგი ვერ მოგვითქანა, მაგრამ ბევრი რამ რეალურად დაგვანახა და სათანადო დასკვნების გასაკეთებლად ახალი გზებისაკენ მოგვცა მიმართულება. მაშინ თუ ამ პრობლემებთან გასამკლავებლად პრაქტიკულად მარტონი დავრჩით, დღეს საქართველოს მეგობარი ქვეყნები, ევროსტრუქტურები, საერთაშორისო თანამეგობრობა სრულ მხარდაჭერას გვიცხადებს, მათ შორის ფინანსურადაც. კიდევ ერთი დამაიმედებელი ფაქტორი: 90-იანი წლების საქართველოს მდგო-

მარეობა, რომელიც ბიუჯეტის ქრონიკულ დეფიციტის პირობებში ცხოვრობდა რადიკალურად განსხვავდება დღევანდელი საქართველოსგან და ის გაცილებით იმედის მომცემია, მათ შორის ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ ინიციატივის სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ - საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივა, ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ;
2. ჯ. გახოკიძე, ა. დემეტრაშვილი, ს. მიდელაშვილი, ქ. ჭინჭარაძე, გ. გორაძე. ძიებანი საქართველოს განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წელი.
3. ჯ. გახოკიძე. ბროშურა - „გზა, რომელმაც არ მიგვიყვანა სამართლებრივ სახელმწიფომდე“. გამომცემელი „ქიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის სადოქტორო სკოლა“, თბილისი, 2016 წელი.

*Jemal Gakhokidze, professor
Georgian Technical University*

*Sopo Midelashvili, Associate professor
Georgian Technical University*

*Nona Lomidze, Associate professor
Georgian Technical University*

Peaceful economic policy for a better future

Summary

Based on our reality, there is no doubt that it is necessary to search for new ways of resolving the conflicts which will be based solely on real politics. Therefore, both Georgian government and international community need different strategy for taking conflicts out from the deadlock. The research has also shown us that the ambiguity of frozen conflicts in relation to Abkhazia and so called South Ossetia cannot continue for long. After all, time will come when commercial relations, at least at domestic level will resume. Right at that moment we need to be ready with the action program, the policy and strategy of which in relation to the other side (sides) should not be neither aggressive nor defensive, but constructive and based on compromise; which means that the main goal must be confidence building, reconciliation and gradual development of the situation in favor of and acceptable for both sides, which must eventually result in the full-scale resolution of the conflict.

Keywords: *peaceful economy, politics, conflicts*

ირანული სამოხელეო ელემენტების გავლენა ქართულზე მინბაში (مشابیه)

ინგა გრიგალაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

რეზიუმე

თბილისის მოხელეთა შორის დოკუმენტებსა და საბუთებში დასახელებული არის „მინბაში“, (ციხისთავი). მისი მოვალეობაა თბილისის გალავნის, კარების, ციხის დაცვა, მოვლა და შეკეთება. თბილისში არსებობდა სპეციალური „სამინბაშო ბაჟი“, რომელიც მინბაშის სასარგებლოდ იკრიფებოდა, რაც ზემოთ ნათქვამის შესასრულებლად უნდა დაეხარჯათ, მაგრამ ხშირად თავად ითვისებდნენ, ბაჟის რაოდენობას ზრდიდნენ, რაც მოსული ვაჭრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.

მინბაში (مشابیه) თათრული სიტყვაა და ათასის თავს ნიშნავს. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, როსტომმა „ყიზლბაშურ რიგზე“ ასისტავსა „უზბაში“ უწოდა. მას აღწერა სამეფოსა საქართველოსაში მინბაში არ ჰყავს მოხსენებული, რაც ალბათ იმიტომ იყო გამოწვეული, რომ ვახუშტი ბატონიშვილის დროს მინბაში თბილისის ციხის სპარსული გარნიზონის უფროსად და ამავედროულად ირანის მოხელედ ითვლებოდა.

მინბაშის სახელო თავისი შინაარსით ციხის უფროსს, ციხის თავს ნიშნავს. სახელწოდება „მინბაში“ XVII საუკუნეში ჩნდება როდესაც როსტომ მეფის მეფობის დროს ირანმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ საქართველოში.

თბილისის მინბაში სამეფო ხელისუფლებისაგან ჯამაგირსა და ულუფას იღებდა. მას თვეში 30 მანეთი, ვერცხლით ეძლეოდა. ამის გარდა მას ჰქონდა ულუფაც-დღეში ორი ლიტრა პური, ერთი შაურის სანთელი, ყოველ კვირაში სამი ლიტრა ცხვრის ხორცი, ერთი ლიტრა მარილი, სამი თუნგი ღვინო, თევზი, ხიზილალა და სხვა. ყველაფერი ეს წელიწადში, თბილისის XVIII საუკუნის მიწურულის ციხისთავის განცხადებით, წლიურად 600 მანეთზე მეტს შეადგენდა.

ციხისთავი „საქვეყნოდ გამრიგე“, ე.ი. ადგილობრივი მოხელე იყო, რადგან XVII საუკუნეში ირანი აქტიურად ჩანს საქართველოში და მათი ჯარის გარნიზონები ციხე სიმაგრეებში იყო განლაგებული „ციხისთავს“ სპარსული დასახელებით „მინბაშით“ მოიხსენიებენ.

საკვანძო სიტყვები: მინბაში, სამინბაშო ბაჟი, უზბაში, თბილისის მინბაში, გორის მინბაში, ციხისთავი.

შესავალი

მინბაშის სახელო თავისი შინაარსით ციხის უფროსს, ციხის თავს ნიშნავს. სახელწოდება „მინბაში“ XVII საუკუნში ჩნდება, როდესაც როსტომ მეფის მეფობის დროს ირანმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ საქართველოში. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს სწორედ „როსტომ მეფის ბრძანება თბილისის ციხის კარზე ბაჟის აღების წესის შესახებ“. რომელიც 1639 წლით თარიღდება

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ XVII საუკუნისა და 1736 წლის სამინბაშო ბაჟთა ურთიერთშედარებით ზოგ საქონელზე (მაგ. მარილზე, თაფლზე, ზეთზე და სხვა) სამინბაშო ბაჟი ორჯერ გაზრდილა. ასევე, სამინბაშო ბაჟი დაწესებულა ხილსა და ბოსტნეულზე, რაც XVII საუკუნის განაწესით არ ყოფილა.

„სამინბაშო ბაჟი“ ციხისა და ციხის კარის მოვლასა და გამშვენებას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ, ცხადია, ის უფრო თვით ციხის მოხელეებს მიჰქონდათ. [1:276-277]. მინბაშის მოვალეობას შეადგენდა „სამინბაშო ბაჟის აღება“ და ამავდროულად იგი იყო საოკუპაციო ჯარის უფროსიც.

მინბაშის თანამდებობა თავისი შინაარსით ციხის უფროსს ნიშნავს. მათ ექვემდებარებოდნენ „ციხოვანნი“. მაგალითად, ცნობილია ქ. „მცხეთის ციხის თავი“, ქ. „ატენის ციხის თავი“. საბუთებიდან ჩანს, რომ, როგორც ერისთავის სასარგებლოდ საერისთავო სარგო იყო დაწესებული, ისევე ციხისთავთათვისაც საგანგებო „საციხისთაო“, გადასახადი არსებობდა“. [2: 201-207]

ძირითადი ნაწილი

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან მინბაშის თანამდებობა მნიშვნელოვანი იყო, რასაც ადასტურებს როსტომ მეფის ბრძანება, რომელიც 1639 წლით თარიღდება. დოკუმენტში კვითხულობთ: „ქ.ნებიტა ღ[უ]თისათა ჩუენ, მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმან როსტომ, ესე ყანუნლამა და ციხის კარის ფული[ს] საქმე ასრე გავარიგეთ და გავაჩინეთ ბედნიერის ყაენის რაყმის საქმითა. ვითაც შაჰ-მირ მინბაშის დროს ცუდი-მადი კაცი ვინც მოხუდებოდა ყაფი[ს] ფულზედ, უდიერს საქმეს იქმოდეს და ნიადაგ მოქალაქე და უცხო მგზავრი კაცი ირჯებოდა. აწი ამისი კელმწიფის ბრძანებით ასე გავარიგეთ: უნდა აიღებოდეს ყაფის ფულად აბრეშუმის საპალნეზედა შაური ერთი. ფართლის საპალნეზედ ნახევარი შაური, ბამბის საპალნეზედ ბისტი ერთი, საყათის საპალნეზედ ფული ორი, თუთუნის საპალნეზედ ნახევარი შაური, მარილის საპალნეზედ ფული ერთი, ბრინჯის საპალნეზედ ფული ერთი, ერბოსა და თაფლის საპალნეზედ ორ-ორი ფული, ნალ-ლუსმრისა და რკინის საპალნეზედ ორი ფული, მატყლის საპალნეზედ ერთი ფული, თევზის საპალნეზედ ერთი ბისტი. ვინც გასასყიდლად ცხუარი გამოატაროს, ასზედ შაური ორი. თუ დიდმა პირმა ცხუარმან გაი[ა]როს სამოვარზედა, ერთი ცხუარი აიყუანონ და თუ ცოტამ პირმან გაიაროს, ერთი ბატკანი აიყუანონ და ყუელის საპალნეზედ აიღონ

ფული ერთი. ეს ასრე გარიგდა და რაც მინბაში ან დღეს იჯდეს ჯდეს ციხეშია ან ამასუკან სხუა მოვდოდეს, ამ საქმეს ნურავინ გარდავა და ნურც მოშლიან“. დოკუმენტს როსტომ მეფს ხელმოწერა ახლავს. [3 ფონ. Hd, საბ. 1559].

საბუთის მეორე გვერდზე სპარსული ტექსტია დაწერილი, სპარსული ტექსტის ბოლოში დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭდი. ასევე აქვს მინაწერები, 1. „როსტომ მეფის ყანუნლამა [ც] იხის მინბაშისა ვინც დაჯდება მინბაში“. 2. „სამინბაშო ბაჟის აღებისა“. 3. „თბილისის კარის რუსუმის დასტურლამალი მუსლიმანურად და ქართულად. [4:150-151]

მინბაში გორის სამოხელეო წყობაში დიდი მოხელე ყოფილა და სამხედრო საქმის გარდა მისი უპირველესი ამოცანა იყო-ციხისათვის ზრუნვა, მცველებით, იარაღით, პროდუქტებით მომარაგება. იგი მეფის შემდეგ ციხის ერთადერთი ბატონ-პატრონი იყო.

მიგვაჩნია, რომ მინბაშის სახელოს შინაარსის გასარკვევად მნიშვნელოვანია ერეკლე მეორის წერილი გორის მინბაშისადმი: „ჩვენი ბრძანება არის დიასამიძე მინბაში დიმიტრი! მერე გორის ციხის მინბაში შენა ხარ, იმისი ყოველი საქმე შენ გაძევს თავსა და შენ გეკითხება, კაცსაც შენ უნდა დააყენებდე და სხვას იმ ციხის საქმესაც შენ უნდა არიგებდე“. [5:34-35].

ციხისთავი „საქვეყნოდ გამრიგე“, ე.ი. ადგილობრივი მოხელე იყო, რადგან XVII საუკუნეში ირანი აქტიურად ჩანს საქართველოში და მათი ჯარის გარნიზონები ციხე სიმაგრეებში იყო განლაგებული „ციხისთავს“ სპარსული დასახელებით „მინბაშით“ მოიხსენიებენ.

XVIII საუკუნეში, ერეკლე მეორის დროს, როდესაც საქართველოს ციხე-ქალაქებში ირანის ჯარის ნაწილები აღარ იდგნენ ციხისთავებს კვლავ მინბაშის სახელით მოიხსენიებდნენ. ერეკლე მეორეს მინბაში ჰყავდა გორში. პაატა ციციშვილი სწერს დ. ციციანოვს: „მეფის ირაკლისაგან მქონდა სახელოდ ბოძებული გორის მინბაშობა“. [6: 60]

დასკვნა

ამგვარად, უნდა აღინიშნოს, რომ მინბაში საპატიო წოდება იყო, რომელიც როსტომ მეფის დროიდან ჩნდება, როდესაც ირანმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ საქართველოში. აღნიშნულ პერიოდში იგი თბილისის ციხის ირანული გარნიზონის უფროსად და ირანის მოხელედ ითვლებოდა, ხოლო მომდევნო პერიოდში, როგორც მოხელეებს იმდენად გაუფართოვდათ უფლება-მოვალეობა, რომ ერეკლე მეორის დროს გარდა ციხის უფროსობისა, ჯარის გაწვრთნასაც ხელმძღვანელობდნენ.

ლიტერატურა:

1. სურგულაძე ა., შ. მესხია , დ. გვრიტიშვილი , მ. დუმბაძე, 1958: თბილისის ისტორია, თბილისი 1958.
2. ჯავახიშვილი 1928: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წ. II, თბილისი, 1928.
3. სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფონდი Hd, საბ 1559. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, შეადგინეს: თ. ენუქიძე, რ. პატარიძე, ნ. შოშიაშვილი, გ. ჯანდიერი. საბ. 14590. თბილისი, 1964.
4. ფუთურიძე 1955: ფუთურიძე ვლ., ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთი, V, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბილისი, 1955.
5. გვრიტიშვილი 1947: გვრიტიშვილი დ., გორის ისტორიიდან, თბილისი, 1947.
6. მესხია 1948: მესხია შ., მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1948.

*Inga Grigalashvili, Doctoral student
St. Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia*

**Influence of Iranian Bureaucratic Elements on Georgian
Battalion Commander (Minbash) (یشابدىم)**

Summary

In the documents and papers among Tbilisi bureaucrats one nominates “Battalion Commander” (fortress commander). His duty is to protect, take care and repair of Tbilisi ancient fence, gate and castle. There was a special “Duty of battalion commander”, which was gathered in favor of the battalion commander (Minbash), which must be spent for implementing the above-said, but they often peculated it, increased the duty amount, causing dissatisfaction of merchants and local population.

Battalion Commander (Minbash) Tatarian word and means head of the thousand. As Vakhushti Batonishvili says, Rostom named the head of the thousand “Uzbashi” (captain) “in Kizilbash rule”. He has not mentioned Minbash in “Description of Georgian King-

dom”, what, perhaps, was caused by the fact, that at VakhushtiBatonishvili’s times, battalion commander (Minbash) was considered as head of Persian Garrison and at the same time as Iranian bureaucrat.

With its content Battalion Commander (Minbash) means head of castle. Name Battalion Commander (Minbash) appeared in XVII century, when at Rostom King’s reign Iran firmly settled in Eastern Georgia.

Tbilisi Battalion Commander (Minbash) accepted wage and ration from the royal government. He was given 30 rubles and silver per monthly. Besides he had daily ration – two breads, candle of one tuppence, three liter lamb meat in every week, one liter salt, three jugs of wine, fish, caviar and et cetera. As the Tbilisi fortress commanderstates, at the end of XVIII century annually everything this consisted of more than 600 rubles. Fortress commander was the “conciliator all over the country” i.e. local bureaucrat, because in XVII century Iran actively appeared in Georgia and their army garrisons were located in the fortress. “Fortress commander” was mentioned under the Persian name “Battalion Commander” (Minbash).

Keywords: *Minbash, Duty of battalion commander, Uzbash, Tbilisi Battalion Commander, Gori Battalion Commander, fortress commander.*

საერთაშორისო ურთიერთობები მუნიციპალური აქტორების მონაწილეობით: ისტორია და თანამედროვე ფორმები

ოლღა დოროხინა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ საერთაშორისო პოლიტიკაში მუნიციპალური აქტორების ჩართულობის შესწავლისადმი მიდგომებს. საერთაშორისო თანამშრომლობის ისტორია, რომელიც ხორციელდება ქალაქების და სხვა მუნიციპალური აქტორების ინიციატივით და მონაწილეობით, მრავალი საუკუნეა არსებობს. საერთაშორისო ურთიერთობების აღნიშნული ტიპი ინტენსიური განვითარება დაიწყო XX საუკუნის 40-იან წლებში. დღესდღეობით მუნიციპალური აქტორების საერთაშორისო პოლიტიკის მიზეზების, მიზნების და აქტივობების განსასაზღვრად არსებობს მრავალი სხვადასხვა ფორმატები და მიდგომები.

გარე სამყაროსთან ურთიერთქმედების გარეშე ადგილობრივ ხელისუფლებებს უკვე აღარ შეუძლიათ საკუთარი კონსტიტუციური ვალდებულებების განხორციელება განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკური განვითარების, ტრანსპორტის, გარემოსდაცვითი და სხვა სფეროებში.

სუბნაციონალური აქტორების საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობის ფენომენის შესწავლის პროცესში არსებობს გარკვეული ხარვეზები: სათანადოდ არ არის შემუშავებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ საერთაშორისო ურთიერთობებში მუნიციპალური აქტორების მონაწილეობის შედარებითი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ურთიერთობები, ისტორია, თანამედროვე ფორმები, საერთაშორისო პოლიტიკა, სუბნაციონალური აქტორები, ჯანდაცვა, ეკონომიკა, განათლება.

შესავალი

ისტორიული მიმოხილვა. ქალაქების მონაწილეობით საერთაშორისო ურთიერთობები წარმოიშვა ჯერ კიდევ ქალაქის ტიპის დასახლებების ფორმირების მომენტიდან. ავტორთა ნაწილი მიუთითებს ისტორიულ წყაროებზე დაწყებული XV-XIV საუკუნეებიდან დღემდე, სადაც უკვე წარმოდგენილი იყო ცნობები დიპლომატიაში ქალაქების როლის შესახებ. ასევე ნახსენებია უძველესი საბერძნეთი (არქაული და კლასიკური პერიოდის (VIII-IV ჩვენს წელთაღრიცხვამდე), სადაც დაიწყო სუვერენული ქალაქ-სახელმწიფოების ფორმირების და პოლიტიკური გაძლიერების პროცესი [1].

ამ პერიოდთანაა დაკავშირებული საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ფორმა ძველ ბერძნულ პოლისებს შორის, რომელსაც „პროქსენია“ დაერქვა. „პროქსენიას“, ან „პროქსენს“ ორი მნიშვნელობა ჰქონდა: „საჯარო სტუმართმოყვარეობის უფლება კერძო პირსა და სხვა სახელმწიფოს შორის“ და „პრივილეგია“, „საპატიო ტიტული“ [2. 129-141].

კონკრეტული ქალაქის პროქსენებს ბევრად უფრო მეტი უფლება და შეღავათი ჰქონდათ, ვიდრე პოლისში მცხოვრებ სხვა უცხოელებს. მკვლევარები მიუთითებენ, რომ „პროქსენია“ წარმოიშვა „ქსენიისგან“, ანუ სტუმართმოყვარეობის უძველესი ტრადიციისგან – ეს იყო არისტოკრატიის თავისებური რიტუალური მეგობრობა, რომელსაც კერძო ხასიათი ჰქონდა და იკურთხებოდა რელიგიით. „პროქსენიას“ ჰქონდა უფრო ფართო ხასიათი და გულისხმობდა სახელმწიფოს ურთიერთობების ჩამოყალიბებას კონკრეტულ პიროვნებასთან, რომლებიც მტკიცდებოდა სახალხო კრების დადგენილებებით.

ძირითადი ნაწილი

ქალაქები და მათ შორის არსებული ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ შემდგომ ისტორიულ პერიოდებში, ბიზანტიის და რომის იმპერიებშიც. განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ შუა საუკუნეების ევროპის ქალაქები, რომლებსაც ფართო სავაჭრო კავშირები ჰქონდათ მსოფლიოს მასშტაბით.

შუა საუკუნეებში საერთაშორისო ხასიათის ეკონომიკური კავშირების განვითარებაში ქალაქების როლის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქალაქების ჰანზის კავშირი (XIII-XVII ს.ს.), რომელმაც დიდი როლი ითამაშა „ვაჭრობის, დიპლომატიის და კულტურათაშორის დიალოგის განვითარებაში საერთო ევროპულ არეალში“ [3].

ჰანზა იმთავითვე წარმოადგენდა გერმანული თავისუფალი ქალაქების კავშირს, რომლებიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აკონტროლებდნენ სავაჭრო გზებს ბალტიის და ჩრდილოეთ ზღვაზე. ფაქტიურად ეს თავისებური ეკონომიკური დიპლომატიის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იყო, რადგან სწორედ ჰანზის საქმიანობის შედეგად „მოხდა მასშტაბური შუამდგომლობითი ვაჭრობის ორგანიზება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის და დარეგულირდა პირდაპირი სახელმწიფოთაშორისი დიალოგი პარტნიორ ქალაქებს შორის, მოხდა იმ დროისათვის რევოლუციური, საერთო ევროპული ინტეგრაციის პრინციპების რეალიზება“ [4. 195]

მხოლოდ ვესტფალის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ (1648 წ.), რომელიც დაფუძნებული იყო სუვერენული ეროვნული სახელმწიფოების კონცეფციაზე, ქალაქებმა დაკარგეს საკუთარი როლი და უფლება „ოფიციალური“ საერთაშორისო პოლიტიკის განხორციელების კუთხით. ხოლო ვენის კონვენციის

ხელმოწერამ (1815 წ.) დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ სრულად დაუმკვიდრა საგარეო პოლიტიკური პროცესების მართვის კომპეტენცია სახელმწიფოებს და შესაბამის სტრუქტურებს [1].

შემდეგ ისტორიულ ეტაპად, როდესაც ქალაქებმა კვლავ დაიწყეს საერთაშორისო პოლიტიკაში მნიშვნელობის შეძენა, გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, როდესაც აუცილებელი გახდა ყოფილ მოწინააღმდეგეებს შორის ნდობის აღდგენა. ევროპულმა ქვეყნებმა დაიწყეს ქალაქების დამშობილების ხელშეწყობა ისეთი კომბინაციებით, როგორიცაა მაგალითად დიდი ბრიტანეთი-გერმანია, საფრანგეთი-იტალია.¹ ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ პირველი კონტაქტები ძალიან ფრთხილი იყო და იწყებოდა ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტებით; შემდგომ მონაწილეთა წრე ეტაპობრივად ფართოვდებოდა და მასში ერთვებოდნენ კულტურის, ხელოვნების და სპორტის მუშაკები. ეს იყო ქალაქის საერთაშორისო პოლიტიკა პოსტკონფლიქტური სიტუაციის პირობებში, რომელიც ხელს უწყობდა ინტეგრაციულ პროცესებს და ადგილობრივი ხელისუფლებების და მოქალაქეების მიერ საერთაშორისო პოლიტიკაში პირდაპირი მონაწილეობის აუცილებლობის გააზრებას [5. 328].

ევროპის ამ გამოცდილებამ ამერიკის პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის ყურადღება მიიპყრო. თეთრი სახლის ინიციატივით, 1956 წელს სამოქალაქო დიპლომატიისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე დაფუძნდა ორგანიზაცია – Sister Cities International, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ომის შემდგომი გლობალური ურთიერთობების განახლებაში [6].

1989 წელს რკინის ფარდის დამხობა და ბერლინის გაერთიანება აღნიშნავს ქალაქებს შორის კავშირების ახალ ეტაპს, რომელიც ამ შემთხვევაში მიმართული იყო პოსტკომუნისტური საზოგადოებების ევროპულ საზოგადოებასთან ინტეგრაციის დაჩქარებისკენ.

დროთა განმავლობაში მოხდა ქალაქთაშორისი და რეგიონთაშორისი კავშირები ეტაპობრივი ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირის ფარგლებში. იქმნება ქალაქების გაერთიანებები, როგორიცაა მაგალითად – Eurocities. 1994 წელს შეიქმნა რეგიონების ევროპული კომიტეტი (The European Committee of the Regions), რომელიც დღესდღეობით ქალაქების და რეგიონების ხმაა ევროკავშირში [7].

ქალაქების დიპლომატიის განვითარებაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების კონგრესი (The Congress of Local and Regional Authorities (CLRA) [1; 8]

¹ ქალაქების დამშობილებას ადგილი ჰქონდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომაც, თუმცა ქალაქებს საერთაშორისო თანამშრომლობის ეს ფორმა ინტენსიურად განვითარდა და მხარდაჭერა მოიპოვა მეოცე საუკუნის ორმოციანი წლების ბოლოს.

დეფინიციების და ფორმატების მრავალფეროვნება. მუნიციპალური აქტორების მონაწილეობით საერთაშორისო ურთიერთობების ფენომენს მრავალი დეფინიცია და ტერმინი გააჩნია, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს შემდეგი ძირითადი ფაქტორების მიხედვით:

- პროცესის მონაწილეები (თუ ვინ არის პროცესის ორგანიზებაზე და წარმართვაზე პასუხისმგებელი/ინიციატორი მთავარი მხარე);
- ტერიტორიულობა (პროცესში მონაწილე ტერიტორიული ერთეულების მოცულობაზე მითითება – ქალაქი, სოფლის მდებარეობა, რეგიონები და ა.შ.);
- თანამშრომლობის კომპეტენციების და/ან მიმართულებების მოცულობა (ურთიერთქმედების სფეროზე მითითება).

სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის ლიტერატურაში, მუნიციპალური აქტორების მონაწილეობით საერთაშორისო თანამშრომლობის აღწერისას ვხვდებით სიტუაციას სადაც ერთსა და იმავე პროცესს სხვადასხვა განსაზღვრებები გააჩნია, ან პირიქით, როდესაც ერთი ტერმინით აღინიშნება სხვადასხვა შინაარსის პროცესები. ამგვარი სიტუაცია ქმნის გარკვეულ პრობლემებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჭიროა შედარების გაკეთება. ხშირად აუცილებელი ხდება დამატებითი კვლევის განხორციელება, რათა გავიგოთ თუ რა იგულისხმება ამ კონკრეტულ დოკუმენტში და როგორ კორელირებს ის სხვა განსაზღვრებებთან.

ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი დეფინიციები – საქალაქო დიპლომატია (city diplomacy), ქალაქების თანამშრომლობა (city-to-city diplomacy), მუნიციპალური დიპლომატია (municipal diplomacy), მუნიციპალიტეტთაშორისი დიპლომატია (intermunicipal diplomacy), ქალაქის დიპლომატია (diplomacity), პარადიპლომატია (paradiplomacy), ქვესახელმწიფოებრივი დიპლომატია, საერთაშორისო მუნიციპალური თანამშრომლობა (international municipal cooperation), დეცენტრალიზებული თანამშრომლობა (decentralized cooperation), ფედერაციული დიპლომატია და ა.შ. ტერმინების ეს ჩამონათვალიც კი (შესაძლოა არასრულიც, მაგრამ შექმნილი ცენტრალური დოკუმენტების ბაზაზე) გვაფიქრებს იმაზე, არის თუ არა ყველა ეს ტერმინი ურთიერთშემცვლელი, არის თუ არა მათ შორის რაიმე იერარქია და ა.შ.. [9; 10]

ვეცდებით წარმოვადგინოთ ზემოთ ჩამოთვლილთაგან რამდენიმე დეფინიცია და დავადგინოთ თუ რამდენად იდენტურია ისინი და რა სიტუაციებში ხდება მათი გამოყენება.

დავიწყოთ ტერმინით საქალაქო დიპლომატია (city diplomacy). ჰოლანდიელი მკვლევარი როჯერ ვან დერ პლუიმი (Rogier van der Pluijm) – „... საქალაქო დიპლომატია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ის ინსტიტუტები და პროცესები, რომელთა საშუალებითაც ქალაქები შედიან ურთიერთობებში

სხვა სუბიექტებთან საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე იმ მიზნით, რომ ერთმანეთს წარუდგინონ საკუთარი თავი და ინტერესები“ [11; 9. 10; 12].

ამგვარ განსაზღვრებაში საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად სუბიექტად გვევლინება ქალაქი. ამგვარ შეზღუდვას არ ეთანხმება ვიინენი (Wijnen) – „საქალაქო დიპლომატია ეს არის ყველა ის ღონისძიება, რომელთაც ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები საკუთარი კოლეგებისთვის მსოფლიოს სხვა რეგიონებში და რომლებიც მიმართულია მშვიდობის შექმნასა და განვითარებისკენ“ [9].

2006 წელს, პერუჯაში (იტალია) საქალაქო დიპლომატიის საკითხებზე ჩატარებული კონფერენციის ფარგლებში დაფიქსირდა მისი უფრო ვიწრო განსაზღვრება – „ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების და მათი ასოციაციების ინსტრუმენტი, რათა დახმარება გაუწიონ ადგილობრივ ხელისუფლებას კონფლიქტის და ომის დროს ქალაქებს შორის კონკრეტული და პრაქტიკული თანამშრომლობის მეშვეობით...“ [13. 6].

საქალაქო დიპლომატიისადმი მიძღვნილ პირველ კონფერენციაზე (2008), რომელიც ორგანიზებული იყო გაერთიანებული ქალაქების და ადგილობრივი ხელისუფლებების გლობალური ქსელის (UCLG) მიერ, საქალაქო დიპლომატიას შემდეგი განსაზღვრება მიუსადაგეს: „ეს არის ადგილობრივი ხელისუფლებების და მათი ასოციაციების ინსტრუმენტი იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ სოციალურ ერთიანობას, კონფლიქტების პრევენციას და მოაგვარებს დაპოსტ-კონფლიქტურ პერიოდში აღდგენას, რათა შეიქმნას მდგრადი გარემო, სადაც მოქალაქეები შეძლებენ ერთად იცხოვრონ მშვიდობიანად, დემოკრატიულად და კარგად.“ ეს განსაზღვრება დაამტკიცა ევროსაბჭოს ლოკალური და რეგიონალური ხელისუფლებების კონგრესმა [8; 14. 10].

არსებობს უფრო ვიწრო დეფინიციებიც. ტერუსო (Terruso) განაზოგადებს „საქალაქო დიპლომატიის“ ცნებას და ამბობს, რომ ეს არის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს რეგიონების და ქალაქების პირდაპირ ურთიერთქმედებას, ერთმანეთთან, ან სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობაში, რათა დახმარება გაუწიონ პარტნიორ რეგიონებს და ქალაქებს გამოცდილების გაზიარების და კონსულტაციის მეშვეობით.“ [5]

„ქალაქებს შორის თანამშრომლობის“ კონცეფცია (city-to-city diplomacy ან C2C) განსაზღვრულია ევროსაბჭოს მიერ, როგორც ტერიტორიული თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა. ევროსაბჭოს დეფინიციის შესაბამისად: C2C – ეს არის საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართული საქალაქო დაწესებულებების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროცესების სრული სპექტრი [10].

ევროსაბჭოს მიდგომის თანახმად, ქალაქებს შორის თანამშრომლობა დეცენტრალიზებული თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმაა, რადგანაც სხვა-

დასხვა არასახელმწიფოებრივი აქტორები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში, იყენებენ ისეთ მეთოდებს და ინსტრუმენტებს, რომლებიც განსხვავდება სახელმწიფო დონეზე გამოყენებული მეთოდებისა და ინსტრუმენტებისგან [10. 8].

პარა-დიპლომატია – ეს ნეოლოგიზმი ფართოდ გამოიყენება არა მარტო ქალაქების, არამედ შტატების/მიწების/პროვინციების საერთაშორისო აქტივობების აღსანიშნავად.

სამეცნიერო ნაშრომებში მითითებულია სხვადასხვა ცნობები თუ როდის (ვინ და როგორ) არის ნახსენები პირველად ეს ტერმინი. აარონ ფიშბონი (Aaron Fishbone) წერს, რომ თავდაპირველად ტერმინი გამოიყენებოდა „სახელმწიფოს გარეშე ხალხის“ მცდელობების აღსაწერად შეენარჩუნებინათ საკუთარი რეგიონის დამოუკიდებლობა (კატალონია, შოტლანდია) [9].

სხვა ავტორები მიუთითებენ, რომ ეს ტერმინი შემოტანილი იქნა კანადელი მეცნიერებების მიერ კვებეკის პროვინციის საგარეო კავშირების აღსაწერად, ეგრეთ წოდებული „ჩუმი რევოლუციის“ პერიოდში. ბრაზილია და კანადა წარმოადგენენ ფედერაციული სახელმწიფოების იმგვარი მოდელის მაგალითებს, სადაც პროვინციებს ფორმალურად ჰქონდათ უფლებამოსილება განეხორციელებინათ საკუთარი „პარა-დიპლომატია“. აშშ-ს შტატებს ასევე გააჩნიათ ამგვარი პრეროგატივა. პარადიპლომატია გულისხმობს იმ სუბნაციონალური და არასახელმწიფოებრივი აქტორების საერთაშორისო აქტივობებს, რომლებსაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები რესურსების და სამართლებრივი უფლებების თვალსაზრისით საგარეო პოლიტიკის სფეროში“ [9].

ტერმინი „პარადიპლომატია“ 1980-იანი წლების ბოლოს გაჩნდა, ძირითადად ჩრდილოამერიკელი მეცნიერების ფედერალიზმის შედარებითი ანალიზის ნაშრომებში და შემდგომ გადაინაცვლა დიპლომატიის პოსტმოდერნისტულ კრიტიკაში. კუზნეცოვის აზრით, ცნება „პარადიპლომატიის“ პოლიტიკური მეცნიერების ანალიტიკური კონცეფციის სახით გამოყენების პიონერები იყვნენ მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორი პანაიოტი სოლდატოსი (Soldatos) და ნიუ იორკის პროფესორი ივო დუხაჩეკი (Duchacek). კუზნეცოვი აკრიტიკებს ავსტრალიელი მეცნიერის დერ დერიანის (Der Derian) პოზიციას, რომლის მიხედვითაც პარადიპლომატიის ძირითადი აქტორები არიან არა მარტო სუბნაციონალური არაცენტრალური ხელისუფლებები, არამედ ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციები, მასმედია და ა.შ. [15; 16; 17, გვ.13; 18] მას მიაჩნია, რომ ცნების ამგვარი განზოგადება იწვევს პარადიპლომატიის ფენომენის ჩარჩოების გაბუნდოვნებას, რადგან დერ დერიანი „პარადიპლომატიის“ ცნებას მიაკუთვნებს ნებისმიერ საერთაშორისო აქტივობას, რომელიც არ ხორციელდება სახელმწიფოს მიერ“.

ჰოკინგი (Hocking) ამბობს, რომ პარადიპლომატიის კონცეფცია შეიძლება შეცვალოს მრავალდონიანი დიპლომატიის უფრო ფართო კონცეფციამ. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ნაციონალურ/ფედერალურ დონესა და სუბნაციონალურ დონეს შორის მკაცრი განცალკევება [17.14].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტორების ნაწილი, ხაზს უსვამს საერთაშორისო პროცესებში მონაწილე აქტორების დივერსიფიკაციის ფაქტს და საუბრობს „საერთაშორისო საზოგადოების დეცენტრალიზაციის“ შესახებ. მაგალითად, როჯერ ვან დერ პლუიმი (Rogier van der Pluijm) (2007) განსაზღვრავს საქალაქო დიპლომატიის როლს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯმენტის დეცენტრალიზაციის ფორმას [5. 328].

მოცემულ კონტექსტში ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ზოგ სამეცნიერო ნაშრომში და საერთაშორისო სტრუქტურების დოკუმენტებში საერთაშორისო თანამშრომლობა ლოკალური არასახელმწიფოებრივი აქტორების ჩართულობით მოიხსენიება როგორც „დეცენტრალიზებული თანამშრომლობა“.

ევროკომისია განიხილავს დეცენტრალიზებულ თანამშრომლობას, როგორც განვითარების პოლიტიკის ნაწილს. თანამშრომლობის აქტორები შეიძლება იყონ არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლება და ასოციაციები (მაგალითად, სასოფლო, საქალაქო, პროფესიონალური და ა.შ.), კოოპერატივები, კომპანიები და „სამოქალაქო საზოგადოების“ შემადგენელი სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც ძალუბთ წვლილი შეიტანონ განვითარებადი ქვეყნების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. დეცენტრალიზებული თანამშრომლობა წარმოადგენს ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩართვის ინსტრუმენტს განვითარების მიზნით. ის ევროპული ინტეგრაციის ბუნებრივი ელემენტია, რომელიც ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებებს მნიშვნელოვან როლს ანიჭებს განვითარების სფეროში და აქტუალურია არა მარტო ევროკავშირის, არამედ ყველა მისი პარტნიორისთვისაც.

ანტონელა ვალმორბიდა (Antonella Valmorbida), ლოკალური განვითარების ევროპული ასოციაციის გენერალური მდივანი (ALDA), მიუთითებს, რომ დეცენტრალიზებული თანამშრომლობა შეიძლება სასარგებლო იყოს ევროპის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში განვითარების, დემოკრატიის და სტაბილიზაციის ხელშეწყობის კუთხით [19].

თუმცა ეს შესაძლებელი გარკვეული პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უნდა დაიხვეწოს, მაგალითად, დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების როლის გაზრდა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მხარდაჭერა.

მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის მიმართებით გამოყენებული კიდევ ერთი ტერმინია მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობა (intermunicipal cooperation – IMC).

ევროსაბჭოს განსაზღვრებით მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობას წარმოადგენს „ურთიერთობები ორ ან მეტ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს შორის (ანუ ტერიტორიული ადმინისტრაციის პირველი დონის სუბიექტებს შორის), რომლებსაც გააჩნიათ იურიდიული სტატუსი, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის შესაბამისობაში მყოფი უფლებამოსილებებით და რესურსებით“ [20; 21].

მუნიციპალური აქტორების საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო მომენტები. ენდრიუ პეტერი (Andrew Petter), პრაქტიკოსი პარადიპლომატიის სფეროში, აზუსტებს, რომ საერთაშორისო დონეზე პოლიტიკის რეალიზაცია „ეკონომიკურად განპირობებულია, რადგან აუცილებელია პროვინციის ეკონომიკური მდგომარეობის დაცვა და განვითარება სულ უფრო მეტად კონკურენციულ გლობალურ ეკონომიკაში, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო მონაწილეობის ყველაზე დიდ პოლიტიკურ იმპულსს“ [9. 30].

იმისათვის, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა არასახელმწიფოებრივი აქტორების მონაწილეობით წარმატებული იყოს აუცილებელია რამდენიმე ფაქტორის არსებობა:

- რესურსები – რესურსების არსებობა გადამწყვეტი მნიშვნელობისა საერთაშორისო პოლიტიკის რეალიზაციის საქმეში; რესურსებში იგულისხმება, როგორც გაზომვადი (ფინანსები, ინფრასტრუქტურა), ასევე არაგაზომვადი (პოლიტიკური კულტურა, პროფესიონალური კადრები) რესურსები;
- საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოები – ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით ლოკალური ხელისუფლებებისთვის დელეგირებული ძალაუფლება და კომპეტენციები განსაზღვრავს არასახელმწიფოებრივი აქტორების მიერ საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობის შესაძლებლობებს და დონეს;
- მონაწილეობა და წარმომადგენლობა – ლოკალურ ხელისუფლებებს და ცენტრალურ მთავრობას შორის ურთიერთობებიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საკითხს;
- არასახელმწიფო აქტორების, განსაკუთრებით ლოკალური ხელისუფლებების მონაწილეობის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, თუ როგორ მიმართებაშია ადგილობრივ დონეზე რეალიზებული საერთაშორისო პოლიტიკა ცენტრალურ პოლიტიკასთან;
- ბელინი და ბრამანტი (Bellini, Bramanti) იმ სამ ეტაპს განსაზღვრავენ, რომლებსაც არასახელმწიფო აქტორები გადიან საერთაშორისო მონაწილეობის პროცესში ინტეგრაციისას. ეს ეტაპებია:
- ✦ შესწავლის/ზონდირების ფაზა – ამ ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობები ეფუძნება პირად ურთიერთობებს, შემთხვევით შეხვედრებს,

რომლებიც არ იღებს ფორმალურ, ან სტრატეგიულ მიმართულებას და როგორც წესი არ არის წარმოდგენილი საშტატო თანამშრომლები, რომლებიც მიზანმიმართულად ამ საკითხებზე მუშაობენ;

- ✦ კონსოლიდაციის ფაზა – როდესაც საერთაშორისო ურთიერთობების მართვა ხორციელდება პროფესიონალურ დონეზე, სპეციალისტების ჩართულობით. საერთაშორისო ურთიერთობების ოფისებს პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭებათ და მათი მოქმედების პროგრამა მუდმივად ახლდება/იგეგმება;
- ✦ ინტეგრაციის ფაზა – ამ ფაზაზე „ლოკალური/ადგილობრივი“ და „საერთაშორისო“ ურთიერთობები ერთიანდება და აღიქმება როგორც ურთიერთშემავსებელი მიმართულებები [9. 14].

საერთაშორისო თანამშრომლობის მოდელებს შორისაა: მუნიციპალიტეტის მხრიდან სრული კონტროლი, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან სრული კონტროლი და შერეული მოდელი [1].

ადგილობრივ დონეზე განხორციელებული საერთაშორისო პოლიტიკა საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. სახელმწიფო დონეზე ასევე უნდა არსებობდეს იმის გააზრება, რომ ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურები (საგარეო საქმეთა სამინისტრო და ა.შ.) მხარს უნდა უჭერდნენ და იცოდნენ თუ როგორ მონაწილეობენ ლოკალური აქტორები (ქალაქები, რეგიონები და ა.შ.) საერთაშორისო პოლიტიკაში. ცენტრსა და პერიფერიას შორის ხელსაყრელმა ურთიერთობებმა, ასევე შეიძლება ხელი შეუწყონ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან საერთაშორისო თანამშრომლობაში ლოკალური ხელისუფლებების მონაწილეობას. სახელმწიფო აქტორებს, ასევე შეუძლიათ გამოიყენონ ლოკალური ხელისუფლებების პარტნიორული ურთიერთობები მაგალითად გეოპოლიტიკური სახელმწიფოთაშორისი მიზნების მისაღწევად [9. 18].

ითვლება, რომ რაც უფრო მეტადაა ქალაქების ინტერესები წარმოდგენილი ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, მით უფრო ნაკლებად სავარაუდოა ადგილობრივი ხელისუფლებების მონაწილეობა საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში.

დასკვნა

სულ უფრო მეტი საერთაშორისო ინიციატივა მომდინარეობს ქალაქების და ადგილობრივი მმართველობებისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მოქალაქეების რეალურ წარმომადგენლებს და ინტერესების გამტარებლებს წარმოადგენენ და შესაბამისად შეუძლიათ და უნდა იყვნენ კიდევაც წარმოდგენილი საერთაშორისო არენაზე. ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპს ესაჭიროება ინოვაციური ინსტრუმენტები, რომლებიც შეავსებს კლასი-

კურ დოპლომატიას, რაც ასევე, გულისხმობს ადგილებზე მოქმედებას. მუნიციპალური აქტორების ჩართულობით საერთაშორისო ურთიერთობების განსაკუთრებული ფორმების თეორიული ბაზა განვითარების პროცესშია. დღესდღეობით არსებობს ფორმატების და მიდგომების მრავალფეროვნება, რომლებიც საჭიროებს სისტემატიზაციას.

ლიტერატურა:

1. Саямов Юрий, Дипломатия городов, Международная жизнь, №8-2008
2. Шарнина А.Б. Проксения в межполисных отношениях Эллады, Мнемон. Исследования и публикации по истории античного мира: Сб. статей / Под ред. проф. Э. Д. Фролова. Вып. 14. – СПб., 2014. – 516 с. ISSN 1813-193X стр.129-141
3. Ганзейские города: восстановление исторических связей для современного управления в сфере культуры, 2010/244-196, Итоговый информационный бюллетень проекта
4. Лебедева Марина, Сергеев Виктор, Мегалолис как актор мировой политики, Теория международной политики, Космополис № 4(10) зима 2004/2005 стр.193-200
5. Terruso Filippo, Complementing traditional diplomacy: regional and local authorities going international, 7 November 2016, © The Author(s) 2016. This article is published with open access at Springerlink.com
6. Ямалеева Алина, Межмуниципальное сотрудничество: содержание, понятия и принципы реализации, Марийский юридический вестник № 2(17) /2016, стр.31-33
7. Sister Cities International, Mission and History, <http://www.sistercities.org/mission-and-history> (last seen 15.01.2017)
8. United Cities and Local Governments (UCLG), United Cities and Local Governments (UCLG) (last seen 08.01.2017)
9. Fishbone Aaron, Municipal Foreign Affairs A Study of the Offices of International Affairs in Europe and the USA, Robert Bosch Foundation, September 2015
10. City to City Diplomacy Toolkit, Council of Europe, – 2015
11. Бутова Т.В., Смирнова А.А., Миловидова Н. А., Межмуниципальное сотрудничество как основа обеспечения устойчивости региона, Государственное и муниципальное управление № 3/2014, стр. 5-12

12. Van der Pluijm, Rogier with Jan Melissen. City Diplomacy: The Expanding Role of Cities in International Politics. Clingendael, the Netherlands Institute of International Relations: April 2007. P11. http://www.uclg.org/sites/default/files/20070400_cdsp_paper_pluijm.pdf
13. Thonon Cécile Barbeito City Diplomacy practices. The Peacebuilding Tools and Initiatives of European Cities, This publication is one of the outcomes of the project Peacebuilding cities (<http://www.escolapau.org/peacecities/index.htm>), that aims at inviting cities to commit to peacebuilding and city diplomacy.
14. City Diplomacy, June 2008, © VNG International, The Hague, ISBN/EAN: 978-90-804757-4-8
15. Кузнецов А.С., Дискурс парадипломатии, Дискурс-Пи. Екатеринбург, 2006
16. Кузнецов А.С. Парадипломатия: трактовки и теоретические модели// Дискурс-Пи. Вып.6.2006. Екатеринбург, 2006
17. Bursens Peter, Deforche Jana, Going beyond Paradiplomacy? Policy Research Centre - Governmental organization in Flanders D/2008/10106/014
18. Der Derian “On Diplomacy: a Genealogy of western Estrangement”. Oxford 1987
19. Valmorbida Antonella, Decentralised cooperation: an added value for Eastern Partnership Countries, The series of the European Association for Local Democracy, 2016
20. Барабаш Е.С., Формы межмуниципального взаимодействия и его роль в координации действий местных органов власти, Известия ИГЭА. 2011. № 5 (79) стр. 104-107
21. The actors of decentralized cooperation Local authorities and CSOs working together, ALDA

International Relations with Municipal Actions: History and Modern Forms

Summary

The given paper is discussing historical background and main existing formats of international cooperation with participation of municipal actors. History of international cooperation, implemented on the initiative and with participation of cities/towns and other municipal actors is counting several centuries. This type of international cooperation has started intensive development since the end of 40-ies of the XX century and today there is a great variety of combinations, formats, approaches towards reasons, objectives and activities of international policy of municipal actors.

On the current historical stage, local authorities are not able anymore to carry out their constitutional responsibilities in fields of economic development, education, healthcare etc., without close interaction with other international actors.

It can be stated, that certain gaps exist in the process of research of participation of sub-national actors in international relations. The theoretical and methodological base is insufficient to allow a comparative analysis of involvement/participation of municipal actors in international relations.

Keywords: *international relations, history, modern forms, international policy, subnational actors, health care, economics, education.*

იძულებითი გადაადგილების ბუნება, მისი გამომწვევი მიზეზები და ეროვნული რეაგირების ჩარჩო

მერი კოჭლამაზაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დღეს საკუთარ ქვეყნებში გადაადგილებულ პირთა რაოდენობა ისე დიდია, როგორც არასდროს. შეიარაღებული კონფლიქტების, საყოველთაო ძალადობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების შედეგად მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) რაოდენობა 2,4 მლნ-ით გაიზარდა და დაახლოებით 28,8 მილიონს მიაღწია. ამას თუ დავუმატებთ 32,4 მლნ ადამიანს, რომლებსაც 82 ქვეყანაში იძულებითი გადაადგილება მოუხდათ ბუნებრივი კატაკლიზმების გამო, სრულიად ნათელი გახდება ის გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს მსოფლიო დგას ამ მიმართებით [1]. სწორედ ამიტომ ჩვენს საკვლევ თემად თანამედროვეობისთვის მეტად აქტუალური საკითხი - იძულებითი გადაადგილების ბუნება, მისი გამომწვევი მიზეზები და ეროვნული რეაგირების ჩარჩო, შევარჩიეთ. კვლევის მეთოდად კი ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე ანალიზის მეთოდი.

საკვანძო სიტყვები: იძულებით გადაადგილებული, ეროვნული რეაგირების ჩარჩო, შეიარაღებული კონფლიქტები, ძალადობა, ადამიანის უფლებათა დარღვევა.

შესავალი

მიმდინარე ეტაპზე წინაგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა აღიარება იმისა, რომ იძულებითი გადაადგილება არის არა მხოლოდ ჰუმანიტარული პრობლემა, არამედ გლობალური და საერთაშორისო გამოწვევა. ეს არის საკითხი, რომელიც პირდაპირ ზიანს აყენებს ადამიანის უფლებებს, მშვიდობის დამყარებასა და სახელმწიფოს სტაბილურობას. ასეთი ურთიერთდაკავშირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტკონფლიქტური ან გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისთვის, რომლებიც დემოკრატიული და მშვიდობიანი მომავლისკენ ისწრაფვიან. მათი საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური განვითარება სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

მუდმივი დევნილობა, როგორც წესი ისეთ ქვეყნებშია, სადაც განვითარების მაჩვენებლები დაბალია, ხოლო ძალადობის დონე - ძალიან მაღალი. ზოგ ქვეყანაში ძალადობას აღვივებს და ამკვიდრებს მოუგვარებელი ეთნოსთაშორისი, რელიგიური ან პოლიტიკური დაძაბულობა. იძულებითი გადაადგილება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევებისთვის,

წამების, მკვლელობების და საკუთრების დაკარგვა-განადგურებისთვის. ასეთი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და მოქალაქეთა დაცვის პასუხისმგებლობას ხშირად თავს არიდებენ სახელმწიფოები [2]. უმრავლეს შემთხვევაში თვით ამ სახელმწიფოებში პოლიტიკური მდგომარეობა მყიფეა, სახელმწიფო ინსტიტუტები არასაკმარისია, ხოლო არსებული ინსტიტუტების შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. ისინი დგანან ისეთი საკითხების წინაშე, რომლებიც აუცილებელია გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად, როგორიცაა: კანონის უზენაესობა, გარდამავალი მართლმსაჯულება, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, გენდერული თანასწორობა, ცხოვრების პირობების აღდგენა, ეკოლოგიური მდგრადობა და საცხოვრებლის, მიწისა და ქონების ფლობა.

ძირითადი ნაწილი

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ პოლიტიკურ ჭრილში გაწეული დახმარება. ეროვნულ კანონებში და სტრატეგიებში თანდათანობით იკიდებს ფეხს საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის, სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ [1]. იძულებითი გადაადგილების სფეროში განსაკუთრებულ პოლიტიკურ პროგრესს მიაღწიეს აფრიკის კონტინენტის ქვეყნებმა, სადაც მსოფლიოს დევნილთა ერთი მესამედი ცხოვრობს. „დიდი ტბების“ ოქმის სახელწოდებით ცნობილი დოკუმენტი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს განახორციელონ სახელმძღვანელო პრინციპები და აფრიკის კავშირის კონვენცია იგპ-ის დაცვისა და დახმარების შესახებ (კამპალას კონვენცია) [4], რომელიც იგპ-თა დაცვასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ვალდებულებებს აყალიბებს. ამ ვალდებულებათა შორისაა ეროვნული კანონმდებლობის მიღება და მათი აღსრულება. დღეისათვის კამპალას კონვენცია 19 აფრიკული ქვეყნის მიერაა რატიფიცირებული.

ამჟამად იძულებითი გადაადგილების შესახებ კანონები ან სტრატეგიები 25-ზე მეტ ქვეყანას აქვს შემუშავებული, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. იძულებითი გადაადგილება მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი ჰუმანიტარული პრობლემაა. რომლის დაძლევა, ძალიან მნიშვნელოვანია ვინაიდან იგი სერიოზულად აფერხებს კაცობრიობის განვითარებას. მსოფლიოში მილიონობით იძულებით გადაადგილებული პირი უმძიმეს პირობებში ცხოვრობს და ხშირად ადგილმონაცვლეობა მრავალი წელი ჭიანჭურდება. უფრო ხშირად ისინი არც დაცვით არიან უზრუნველყოფილი და არც საკუთარი უფლებების განხორციელება შეუძლიათ. ეროვნული კანონმდებლობა ხშირად არ ანიჭებს საკმარის დაცვას კონკრეტულ სიტუაციაში მყოფ გადაადგილებულ პირებს [2].

როდესაც ადამიანები იძულებული არიან თავიანთი სახლ-კარი დატოვონ

კონფლიქტის, ადამიანის უფლებათა დარღვევების ან კატასტროფების გამო, მათი ცხოვრება, მრავალი თვალსაზრისით, რადიკალურად იცვლება, მაშინაც კი, როდესაც ისინი საკუთარი ქვეყნის შიგნით გადაადგილდებიან. მათ უხდებათ ჩვეული ყოფა-ცხოვრების, საკუთრების მიტოვება - ხშირად, ფესვებისგან მოწყვეტა. მრავალ შემთხვევაში მათ უწევთ თავიანთი ოჯახისაგან და თემისგან განცალკევება. გამოცდილება უჩვენებს, რომ არსებული კანონები - რომლებიც ჩვეულებრივ არ არის შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისული სიტუაციებისთვის - ხშირად ვერ ახდენს ადეკვატურ რეაგირებას იძულებითი გადაადგილებით წარმოშობილ გამოწვევებზე.

იძულებითი გადაადგილების გამო, ქვეყნის მოქალაქეები და მუდმივი მცხოვრებლები - იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) - განსაკუთრებით მოწყვლად სიტუაციაში ექცევიან. ისინი გაურბიან კონფლიქტს, კატასტროფებს და ძალადობას და მათი უსაფრთხოების დამკვიდრების პროცესში განსაკუთრებით დაუცველნი არიან. ქალები ხშირად ხდებიან ძალადობისა და სქესობრივი ექსპლუატაციის მსხვერპლნი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მარტო გადაადგილდებიან. შეიძლება მოხდეს ბავშვების გატაცება, ტრეფიკინგში ჩართვა, ან არა ნებაყოფლობით ჯარში გაწვევა. ბავშვებმა, როდესაც ისინი უფროსების ზედამხედველობის გარეშე არიან, შეიძლება ვერ მოახერხონ საარსებო საშუალების მოპოვება და თავის გადარჩენა.

ადგილწაგვალი პირები, დასამკვიდრებელი ადგილის შერჩევის შემდეგ, ხშირად აწყდებიან მათი მოთხოვნების უგულვებელყოფას. თავშესაფარში შეიძლება არ იყოს საცხოვრებელი, წყალი და საჭირო საკვები. იქაც კი, სადაც ეს პირობები დაკმაყოფილებულია, უკვე დასახლებულ ტერიტორიაზე იგპ-თა ტალღის შეჭრამ შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაცია და შემდგომი ძალადობა. იგპ-ს ხშირად არა აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ან დაკარგული აქვს, ან - დარჩენილი), რაც ხელს უშლის სახელმწიფო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობაში. ზოგჯერ შეუძლებელია სამედიცინო მომსახურება მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ან ხანდაზმულმა ადამიანებმა, ფეხმძიმე ქალებმა. განათლება, თუკი დევნილები პროპორციულად მეტია ადგილობრივ მოსახლეობაზე, შეიძლება ასევე მიუწვდომელი იქნეს მათთვის. ხშირად სამუშაოს პოვნა და ფინანსურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა რთულია თვით მასპინძელი საზოგადოების წევრებისთვისაც, იგპ-ზე რომ არაფერი ვთქვათ. ასეთი პირობებით გამოწვეული ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება მძიმე დაღს ასვამს ადამიანებს. ძალზე ინდივიდუალური განცდის მიუხედავად, იძულებითი გადაადგილება მასიურ ხასიათს ატარებს. შეიარაღებულმა კონფლიქტმა და ძალადობამ გარკვეული ხარისხის იძულებითი გადაადგილება 50-ზე მეტ ქვეყანაში გამოიწვია. წყალდიდობების, ქარიშხლების, მიწისძვრებისა და სხვა ბუნებრივი

კატაკლიზმების შედეგად ათობით მლნ იგპ-ს სჭირდება სახელმწიფოს დაცვა და დახმარება. ამრიგად, იძულებითი გადაადგილების ზემოქმედება შეიძლება ანალოგიურად მძიმე აღმოჩნდეს სახელმწიფოებისთვისაც, რომლებსაც არა აქვთ სათანადო შესაძლებლობები და ინსტიტუციური სტრუქტურები, რომლებიც საჭიროა დასაცავად და დასახმარებლად მოსახლეობისა, რომელიც მანამდე დამოუკიდებელი იყო. მოსალოდნელია, რომ იგპ-თა ჩასახლების ადგილები არ იყოს სათანადოდ მომზადებული და განიცდიდეს რესურსების ნაკლებობას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მოცემულ ადამიანთა ნაკადის მოულოდნელი ზრდის დროს. ფართომასშტაბიანმა ადგილმონაცვლეობამ შეიძლება მთელი რეგიონების დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, მწვავე საფრთხე შეუქმნას უსაფრთხოებას და ჰუმანიტარული პრობლემები წარმოშვას.

ამ გამოწვევათა დაძლევის მიზნით სახელმწიფოების მთავრობებმა კანონით უნდა განსაზღვრონ ის ჯგუფები, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დაცვა და დახმარება [2]. იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების ანოტაციებში იძულებითი გადაადგილება განმარტებულია როგორც „პირთა ან პირთა ჯგუფების არა ნებაყოფლობით ან იძულებით გადაადგილება, ევაკუაცია ან გადაადგილება სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“. ასეთი აღწერის შესაბამისად იძულებითი გადაადგილების პროცესი სამი ფაზისაგან შედგება: გადაადგილების წინა პერიოდი, როდესაც სახელმწიფოს ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს იმ მიზეზთა აღმოფხვრაზე, რომლებმაც შეიძლება გადაადგილება გამოიწვიოს; გადაადგილების პერიოდი, როდესაც ფოკუსირება უნდა მოხდეს იგპ-თა და დაზარალებულ თემთა დაცვაზე და დახმარებაზე, ასევე იძულებითი გადაადგილების გამომწვევი გარემოებების დარეგულირების ღონისძიებებზე; გადაადგილების შემდგომი პერიოდი, როდესაც, ასეთ გარემოებათა მოგვარების შემდეგ ყურადღების ცენტრი გადადის დაზარალებულ იგპ-თა მდგომარეობის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ძიებაზე, განვითარების შესაძლებლობებსა და ჰუმანიტარულ დახმარებაზე, და ცხოვრების მდგრადი პირობების შექმნაზე. ეს ფაზები განყენებული ღონისძიებები არ არის; ისინი იძლევა სასარგებლო, მაგრამ მოქნილ ჩარჩოს, რომელიც პრიორიტეტების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ზოგ შემთხვევაში ეს ფაზები ერთმანეთს ემთხვევა: მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი შეიძლება ადგილმონაცვლე იყოს გარკვეული დროით, ხოლო სხვები უკვე დასაბრუნებლად ემზადებოდნენ (ან სხვაგან იყვნენ განსახლებული, ან სულაც ინტეგრირებული ადგილობრივ საზოგადოებაში). იძულებით გადაადგილებული არიან პირები, რომლებსაც სიტუაცია აიძულებს შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი. მრავალ ხელშეკრულებაში და ეროვნულ კანონში იძულებით გადაადგილებული პირები ორი სახითაა აღწერილი: იძულებით გადაადგილებულ პირებად მიიჩნევიან ის პირები, რომლებიც

გამომევებულ იქნენ ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; მათ არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი (ანუ, ისინი იმყოფებიან საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე).

იძულებით გადაადგილებაზე რეაგირების ეროვნული ჩარჩოს შემუშავება რთული პროცესია და მისი ყველა კომპონენტი სამართალთან არ არის დაკავშირებული. გამოცდილება უჩვენებს, რომ საუკეთესო შიდასახელმწიფო ჩარჩო არის სხვადასხვა ტიპის მექანიზმების სინთეზი: კანონების, პოლიტიკის, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების. ამიტომ, პარლამენტის წევრებმა უნდა იცოდნენ, როგორ შეიძლება იგპ-თა კონტექსტში კანონმდებლობის საუკეთესო გზით გამოყენება.

ქვეყნებში, სადაც იძულებითი გადაადგილება ხდება, მნიშვნელოვანია მოხდეს შექმნილი პრობლემისა და რეაგირებაზე ქვეყნის პასუხისმგებლობის ოფიციალურად აღიარება, საკანონმდებლო პროცესის მეშვეობით. ამგვარი აღიარება შეიძლება გახდეს იგპ-თა შესახებ კანონის წინამორბედი ან მისი განუყოფელი ნაწილი. აღიარების სხვადასხვა ფორმა არსებობს, მაგრამ ყველაზე ეფექტური იქნება პარლამენტის მიერ გაკეთებული დეკლარაცია ან განცხადება. თუ კონსტიტუციური წყობა ამის საშუალებას იძლევა, ასეთი განცხადების გაკეთება შეუძლიათ მინისტრებს ან პარლამენტის წევრებს, რომელთა ელექტორატიც განსაკუთრებით დაზარალებულია შექმნილი სიტუაციის შედეგად. განცხადება უნდა იყოს მკაფიო და იგი იძულებით გადაადგილებას არ უნდა ასახავდეს პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე [4].

პოლიტიკის შემუშავება ეფუძნება კვლევებს, ანალიზსა და კონსულტაციებს და იგი საბოლოოდ კანონმდებლობაში აისახება, რასაც წინ უსწრებს მომზადების პროცესი.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR) ის ძირითადი ინსტიტუტია, რომელიც სახელმწიფოებს დახმარებას უწევს იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული სისტემების შემუშავებაში. ოფისი მსოფლიოს ყველა კუთხეში მრავალ ოპერაციას ახორციელებს იგპ-თან მიმართებაში. მას უნარი შესწევს კონსულტაცია გაუწიოს სახელმწიფოებს იგპ კანონმდებლობის საკითხებზე და დაეხმაროს მათ ამ პროცესის წარმართვაში, ასევე შესთავაზოს მათ სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითები. გარდა ამისა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი, რომელიც წამყვან როლს ასრულებს დახმარების მიმწოდებელთა ჯგუფში, თავის გამოცდილებას უზიარებს მათ და სხვა ჯგუფებსაც, რომლებიც იგპ-თა შესახებ კანონმდებლობის შექმნაზე მუშაობენ. იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული სისტემის შექმნაში აგრეთვე მონაწილეობს იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების სპეციალური მომხსენებლის ოფისი, რომელსაც ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი.

იგპ-თა საჭიროებები და მათი მოწყვლადობა არ წყდება იძულებითი გადაადგილების გამოწვევი მიზეზების შეწყვეტის შემდეგ. ამიტომ, კანონმდებლობა უნდა ქმნიდეს ჩარჩოს მათთვის მიმდინარე დაცვისა და დახმარების უზრუნველსაყოფად.

როდესაც იძულებით გადაადგილებას და იძულებით გადაადგილებულ პირებს ვეხებით, აუცილებელია აღვნიშნოთ გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, რომელიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს. იძულებით გადაადგილებული პირების დაცვისა და დახმარების პირველადი პასუხისმგებლობამათ მთავრობებს ეკისრება. ეს არის იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების ფუნდამენტური თემა, რომელიც მას თავიდან ბოლომდე გასდევს. დოკუმენტი აყალიბებს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებსა და სახელმწიფოთა ვალდებულებებს მათ მიმართ დაა შექმნილია თვითონ სახელმწიფოთა მოთხოვნით, რაც გამოხატულია გაეროს გენერალური ასამბლეისა და ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუციებში. იგი შეიცავს 30 პრინციპს, რომლებიც უზრუნველყოფს ნორმატიულ ჩარჩოს ეროვნული პასუხისმგებლობის შინაარსის უკეთ აღსაქმელად. სახელმძღვანელო პრინციპები მსოფლიოს მრავალსახელმწიფოს მიერ არის აღიარებული, როგორც მნიშვნელოვანი მექანიზმი და სტანდარტი იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული სიტუაციებისთვის, და ისინი ფართოდაა გავრცელებული და გამოყენებული სახელმწიფოთა მიერ [1].

იძულებითი გადაადგილება განსაკუთრებით მძიმე ზემოქმედებას ახდენს ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებზე, მკვიდრ მოსახლეობაზე და სოფლის მოსახლეობის ღარიბ ფენებზე. დევნილობის შედეგად, ეს ისედაც მარგინალიზებული ჯგუფები, დისკრიმინაციას განიცდიან დაცვაზე და დახმარებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც ეთნიკური, რასობრივი ან იდეოლოგიური სტიგმითაა გამოწვეული; ეს კი კიდევ უფრო ამძაფრებს მათ მოწყვლადობას. იძულებით გადაადგილებაზე ეროვნული რეაგირება უნდა ეფუძნებოდეს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს. რა თქმა უნდა, ეროვნული რეაგირების საშუალებით უნდა აღმოიფხვრას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დანაწევრება, რაც იწვევს გარკვეული ჯგუფების გარიყვას ერის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებიდან, უსამართლობას და სოციალურ დაყოფას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩას და იძულებით გადაადგილებას [6].

ეროვნული რეაგირებისთვის საჭიროა, და მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია, ინტეგრირებულ მიდგომებზე, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს როგორც დაცვის, ისე დახმარების ასპექტებს [7]. ეს ეხება ისეთი სტიქიური უბედურებების შემთხვევებსაც, როდესაც აშკარაა მატერიალური დახმარების

საჭიროება, მაგრამ დაცვის სერიოზული საკითხები მაინც წარმოიშობა. უფრო მეტიც, დაცვაში იგულისხმება პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების მთელი წყება, ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები.

დასკვნა

ეროვნული პასუხისმგებლობა მოიცავს იძულებითი გადაადგილების ყველა ფაზას. იგი ითვალისწინებს თვითნებური იძულებითი გადაადგილების პრევენციას, იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას და მათი დუხჭირი მდგომარეობიდან გამოსვლის საიმედო პირობების შექმნას. ეს შეიძლება განხორციელდეს ნებაყოფლობითი და უსაფრთხო დაბრუნებით ან განსახლებით და რე ინტეგრაციით. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ „როდის დგება იძულებითი გადაადგილების დასასრული“ [5] მიღებული უნდა იქნეს ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.

საწყისი წერტილი ნათელია: იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა და დახმარება უპირველეს ყოვლისა მათი სახელმწიფოების მოვალეობაა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ამ პირების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს მათი უფლებების ჯეროვანი დაცვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, <https://www.ohchr.org/Documents/Issues/IDPersons/GPGeorgian.pdf>
2. რეაგირება იძულებით გადაადგილებაზე: ეროვნული პასუხისმგებლობის ჩარჩო, ბრუკლინის უნივერსიტეტი. 2005;
3. უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის ჩარჩო იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ, 2010.
4. უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის ოპერატიული ინსტრუქციები ბუნებრივი კატასტროფების სიტუაციებში მყოფ პირთა დაცვის შესახებ, 2011.
5. United Nations General Assembly, Resolution 58/177 of 2004, para. 7; and United Nations Commission on Human Rights, Resolution 2004/55 of 2004, para. 6;
6. Walter Kälin, Guiding Principles on Internal Displacement. Annotations, Studies in Transnational Legal Policy, No. 32 (American Society of International Law and the Brookings Institution Project on Internal Displacement, 2000); Handbook for Applying the Guiding Principles on Internal Displacement (Brookings

Institution and United Nations Office for the Coordination of Humanitarian Affairs, 1999);

7. ECOSOC Resolution 2004/5 of 23 July 2004, para. 39.

*Meri Kochlamazashvili, Doctoral student
Georgian Technical University*

The nature and causes of internal displacement and framework for national responsibility

Summary

Because internally displaced persons (IDPs) reside within the borders of their own countries and are under the jurisdiction of their governments, primary responsibility for meeting their protection and assistance needs rests with their national authorities. The Guiding Principles on Internal Displacement underscore this point, setting forth the rights of IDPs and the obligations of governments toward these populations. They provide a framework for better understanding what national responsibility should entail. The Principles should serve as a guide in designing an effective national response and developing the steps needed to address problems of internal displacement. Each benchmark marks a step that governments should consider taking to assume their obligations toward their internally displaced populations. While governments will need to tailor the steps to fit their own national conditions, a number of the initiatives should prove common to all countries beset by internal displacement. In particular, governments should consider measures to: prevent or mitigate displacement; raise national awareness of the problem; collect data on the numbers and conditions of IDPs; support training on internal displacement and the Guiding Principles; create a national legal framework for upholding the rights of IDPs; develop a national policy on internal displacement; designate an institutional focal point on IDPs; encourage national human rights institutions to integrate internal displacement into their work; allocate adequate resources to the problem; ensure the participation of IDPs in decision-making; and support lasting solutions for the displaced. In addition, cooperation with the international community, when national capacity is insufficient to address the needs of the displaced, should be a key element in national policy. This national responsibility framework is intended to help governments address the problem of internal displacement in their countries in all its aspects.

Key words: *Internally Displaced, National Response Framework, Armed Conflicts, Violence, Human Rights Violation*

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორები

ზურაბ მახარაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაცია დიდი ხნის მანძილზე სახელმწიფოს მთავარ იდეოლოგიურ ბაზისს, მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ზურაბ ჟვანიას ცნობილი სიტყვები, მე ვარ ქართველი და მამასადამე მე ვარ ევროპელი, იმ მთავარი იდეის ფორმულირებაა რის გარშემოც საქართველოს ნათელი მომავლის მოდელი იგებოდა, მაგრამ რამდენად რეალურია ეს მოდელი? ევროკავშირი მაშინ, როდესაც ჟვანია ამ სიტყვებს წარმოსთქვამდა და ევროკავშირი ახლა, ორი სხვადასხვა მოცემულობაა და მათ ერთმანეთისგან, ევროზონის ეკონომიკური კრიზისი, მიგრანტების კრიზისი და ბრექსითი ყოფს. თუკი თავის დროზე ევროკავშირი ფუკუიამას ისტორიის ლიბერალური დასასრულის მატერიალიზებულ მოდელს წარმოადგენდა, ახლა იგი შიდა წინააღმდეგობებით გახლეჩილი სტრუქტურაა. მას ვერ გადაუწყვეტია, კონფედერაციიდან სრულფასოვან ფედერალურ სახელმწიფოდ გადაიქცეს, თუ პირიქით, ცენტრალიზების ხარისხი შეზღუდოს და მხოლოდ სავაჭრო და სასაზღვრო კავშირის ფორმატს დაუბრუნდეს. მთავარი კითხვაა, დაგვხვდება კი ვინმე ჩვენს ევროპულ სახლში, თუკი ოდესმე მასში შესვლას შევძლებთ?

საკვანძო სიტყვები: ბრექსითი, ევროკავშირი, ინტეგრაცია, ევროკომისია.

შესავალი

საქართველოს ევროკავშირის სტრუქტურებში ინტეგრაციის თემა განსხვავდება ნატო-ში გაწევრიანების თემატიკისგან იმ ნიშნით, რომ ჩვენი ევროკავშირში წევრობის საკითხის ხელშემშლელი ფაქტორები უფრო მეტად არა მესამე მტრული ძალის მიერ შექმნილი საფრთხის ბუნებას ატარებს, არამედ არის თავად ევროკავშირის შიგნით არსებული პრობლემებისა და წინააღმდეგობების კომპლექსი. ევროსკეპტიკოსების მოძრაობა (რა სახელითაც მოიხსენიებენ ბოლო დროს ევროპის მასშტაბით გაჩენილ ანტი ინტეგრაციულ პოლიტიკურ ხაზს) რამდენიმე ფუნდამენტური პრობლემითაა გამოწვეული. პირველი, რაც ერთიანი ევროპისთვის საგანგაშო ნიშანი გახდა, არის ევროზონის კრიზისი. შემდგომ ამას დაემატა მიგრანტების ტალღები და კულმინაციად „ბრექსითი“, ანუ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი ევროკავშირის დატოვების შესახებ.

ძირითადი ნაწილი

ბრექსიტი. თუკი ევროსკეპტიკოსების განცხადებები და პოლიტიკური დღის წესრიგი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ მარგინალების უსაფუძვლო აქტივობად აღიქმებოდა, რომლის სერიოზულად განხილვაც კი უხერხული იყო, ბრიტანეთში 2016 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შემდგომ ყველაფერი შეიცვალა. თავისი მასშტაბებით აღნიშნული მოვლენა შეიძლება, მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევით გამოწვეულ საყოველთაო შოკს შევადაროთ. უცაბედად აღმოჩნდა, რომ ის დღის წესრიგი და თეზისები რომლებიც გუშინ შეურყეველი ჩანდა, ახლა ექვექვემ დადგა. ერთიანმა ევროპამ, რომელიც აქამდე საყოველთაოდ აღიარებული ეტალონი იყო და უამრავი ქვეყანა, მათ შორის, საქართველო, მასში ინტეგრაციაზე ოცნებობდა და მიისწრაფოდა, გამოუსწორებელი დარტყმა მიიღო. რა გახდა ამის მიზეზი? „ბრექსიტის“ გარშემო არსებულ დებატებში უამრავი არგუმენტი და კონტრარგუმენტი დასახელდა, მაგრამ ჯამში შეგვიძლია, ისინი ორ ძირითად თემამდე დავიყვანოთ. პირველი, ეს იყო მიგრანტებისთვის ღია კარის პოლიტიკის გამოცხადება, რომლის შემოქმედიც გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელია და რამაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უზარმაზარი პრობლემები შეუქმნა როგორც სოციალური და ფინანსური, ისე უსაფრთხოების კუთხით;

დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ნაიჯელ ფარაჯმა და „ბრექსიტის“ მთავარმა იდეოლოგმა რეფერენდუმამდე 2 თვით ადრე მომხრეებს მოუწოდა „მტრის მიზნებზე თავდასხმა დაეწყოთ“ იმით, რომ იმიგრაციის თემა მთავარ საკითხად დაეყენებინათ რეფერენდუმის დღის წესრიგში.

„ის, რაც მტრებს აბსოლუტურად სუსტ მდგომარეობაში აყენებს, არის ღია კარის მიგრაციის საკითხი, გავლენა რომელიც მას ბოლო ათწლეულია რიგითი ბრიტანელების ცხოვრებაზე აქვს და საფრთხე, რომელსაც ის ქმნის, ახალი ტერორისტული და თავდაცვითი საფრთხეების სახით და რომლის წინაშეც ჩვენ დასავლეთში ახლა ვდგავართ“ – განაცხადა ნაიჯელ ფარაჯმა [1].

და მეორე, ზოგადი უკმაყოფილება ევროსტრუქტურების მიმართ (მუდმივად ხდებოდა აპელირება იმაზე, რომ ბრუსელის ბიუროკრატია არ ზრუნავს ევროკავშირის წევრების ინტერესებზე და გადაიქცა მოუქნელ და არაეფექტიან აპარატად, რომელსაც თავისი რეგულაციებითა და პოლიტიკით ზიანი უფრო მოაქვს, ვიდრე სარგებელი). ჩვენ აქ არ დავიწყებთ იმის განხილვას, რამდენად მართებულია აღნიშნული არგუმენტები. ფაქტია, რომ მათ მოახერხეს ამომრჩევლის დარწმუნება იმაში, რომ ბრიტანეთისთვის ევროგაერთიანებისგან დამოუკიდებლად სჯობდა არსებობა. ძნელი სათქმელია, იყო რეფერენდუმში ბრიტანეთის ინტერესებში, რომელიც ხედავდა, რომ ევროკავშირის შიგნით

გადაწყვეტილებების მიღებაზე უმთავრესი გავლენა გერმანულ-ფრანგულ ალიანსს ჰქონდა და აღარ ისურვა მეორეხარისხოვან როლს დასჯერებოდა, თუ შედეგები მართლაც სრული შოკი აღმოჩნდა ბრიტანეთის პოლიტიკური ელიტისთვის და უკვე დამდგარ შედეგზე მოუწიათ რეაგირება. საკითხავი ახლა ის არის, ბრიტანეთი ერთადერთი და უნიკალური შემთხვევა იქნება, თუ იგი პირველი სიგნალია ევროგაერთიანების ნაწილობრივი რღვევის დაწყების შესახებ.

ევროკავშირის ძირითადი პრობლემები. ფუნდამენტურ დონეზე ევროკავშირის კრიზისის გამომწვევი მიზეზი სისტემურია და გამომდინარეობს ამ კავშირის სპეციფიური ორგანიზაციული ბუნებიდან. ევროკავშირი არის სახელმწიფოების გაერთიანება, რომელიც უკვე დიდი ხანია გასცდა ჩვეულებრივი ეკონომიკური კავშირის ფარგლებს, მაგრამ ჯერ არ ჩამოყალიბებულა სრულფასოვან ფედერაციულ სახელმწიფოდ; სახეზეა პოლიტიკური მმართველობის ცენტრალიზებული ორგანოები ევროპარლამენტისა და ევროკომისიების სახით, მაგრამ არ არსებობს ცენტრალიზებული ძალოვანი სტრუქტურები. ასევე არ არსებობს ცენტრალიზებული ორგანო, რომელიც ფინანსთა სამინისტროს ფუნქციებს შეითავსებდა და მთელი ევროკავშირის მასშტაბით საერთო საგადასახადო პოლიტიკას დააწესებდა. სწორედ ეს შუალედური მდგომარეობა არის იმ პრობლემების გამომწვევი, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. როდესაც წევრ სახელმწიფოებს აქვთ საშუალება, დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთარი ფინანსური და საგადასახადო პოლიტიკა, ჩარევა მხოლოდ ირიბი მეთოდებითაა ხდება შესაძლებელი და ისიც – იმდროს, როდესაც მდგომარეობა უკვე კატასტროფულია (რაც საბერძნეთის მაგალითზე ნათლად გამოჩნდა). როდესაც ყოველი კონკრეტული ქვეყანა თავად წყვეტს, რამდენად ზუსტად უნდა დაიცვას არალეგალურ მიგრანტებთან დაკავშირებული საერთო კანონმდებლობა და შეთანხმებები, ვიღებთ სიტუაციას, რომ ცალკეულ წევრებზე უფრო დიდი წნეხი მოდის როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე უსაფრთხოების სფეროში. როდესაც მიმდინარეობს დისკუსია მთავარ, საკვანძო საკითხებზე, ნათლად ჩანს, რომ არსებული მდგომარეობა არცერთი მხარისთვის არა არის მისაღები. როდესაც გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი, მიგრანტების კრიზისზე საუბრობს, იგი სწორედ ევროპის, როგორც ერთიანი სტრუქტურის, ლოგიკაში ხედავს პრობლემასაც და მისი გადაჭრის გზებსაც. „ევროპას საშინაო დავალება არ შეუსრულებია. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ლტოლვილების განაწილების სამართლიანი სისტემა. ჩვენ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი“, – განაცხადა ანგელა მერკელმა [2].

ურსულა ფონ დერ ლაიენი, გერმანიის თავდაცვის მინისტრი: „დროა წინ გადავდგათ ნაბიჯი ევროპის თავდაცვითი კავშირისთვის, რომელიც

ძირითადად წარმოადგენს „შენგენის თავდაცვას“ [3].

მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პროტესტი ეფუძნება საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ნაციონალური ინტერესების ლოგიკას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მთავარია, რა არის კარგი და სასარგებლო, მაგალითად, პოლონეთისთვის და არა ევროკავშირისთვის, რადგან ევროკავშირი მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი. იაროსლავ კაჩინსკი, პოლონეთის მმართველი პარტიის ლიდერი: „ჩვენ არ გაგვიხსნია ევროპა ლტოლვილებისთვის, ეს ქალბატონმა მერკელმა გააკეთა. და ქალბატონმა მერკელმა და გერმანიამ უნდა იწვნიონ შედეგები, არა - პოლონეთმა“ [4].

ამდენად, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ევროკავშირი არსებული სახით აღარ არის ეფექტიანი და საჭიროა მისი რეფორმირება. თუმცა პრობლემა იმაშია, რომ ამ რეფორმირების ვექტორები სხვადასხვა ძალებისთვის აბსოლუტურად საპირისპიროა. ევროკავშირის შიგნით არსებულ დამაბულობებზე მიმანიშნებელი მნიშვნელოვანი სიგნალი გახდა გერმანიაში ჩატარებული ბოლო არჩევნები, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, პირველად, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შესული პარტიებიდან მესამე ადგილი ულტრა მემარჯვენე პარტიამ დაიკავა. მთავარი, რითიც ეს პარტია თავისი კონკურენტებისგან განსხვავდებოდა, მიგრანტების თემა იყო. „ალტერნატივა გერმანიისთვის“ არ ერიდებოდა პოზიციის მკაფიოდ და ღიად დაფიქსირებას იმის თაობაზე, რომ მათ არ მოსწონდათ გერმანიის ტერიტორიაზე სირიიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან მოზღვავებული მიგრანტების ტალღის მიმართ ქვეყნის ამჟამინდელი ლიდერის, კანცლერ ანგელა მერკელის პოზიციები. თუკი სხვა პარტიები მიგრანტების კრიზისს სუფთა საორგანიზაციო და ფინანსური კუთხით უყურებენ, აღნიშნული პარტია უკონტროლო მიგრაციაში ქვეყნისა და მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის პირდაპირ საფრთხეს ხედავს. პარალელურად, ევროპის მასშტაბით ძლიერდება სეპარატისტული განწყობები. კატალონიის რეფერენდუმმა, რომელიც მადრიდმა უკანონოდ გამოაცხადა, ევროპა, „ბრექსიტის“ შემდგომ, ყველაზე ძლიერი პოლიტიკური კრიზისის პირას დააყენა. სრულიად გაურკვეველია, რა პოზიცია უნდა დაიჭიროს ბრუსელმა. ერთის მხრივ, ევროპულმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს კოსოვოს დამოუკიდებლობას, რითაც ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, ქვეყნის სუვერენიტეტზე მაღლა დააყენეს. მეორე მხრივ კი, მსგავსი ტენდენციების გავრცელება მთელ კონტინენტს დესტაბილიზაციის საფრთხეს უქმნის. ამასთან, თუკი კატალონიის რეფერენდუმს ლეგიტიმაცია მიეცემა, ასევე ლეგიტიმაცია მიეცემა რუსეთის მიერ ყირიმში ჩატარებულ რეფერენდუმსაც. ფაქტია, რომ საერთაშორისო სამართლის სისტემა ორმაგი სტანდარტების გამო, ღრმა კრიზისშია შესული და ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა პოზიციაც არ უნდა დაიჭიროს ევროკავშირმა, შედეგები მაინც არასახარბიელო იქნება. ამჟამად ძალიან

მნელია პროგნოზის გაკეთება, რომელი ტენდენცია გახდება დომინანტი. თუ ცენტრალიზებული ევროპის იდეა გაიმარჯვებს, სავარაუდოა, რომ ბრიტანეთის მიერ ევროგაერთიანების დატოვების გადაწყვეტილება ერთადერთი არ იქნება და კიდევ გამოჩნდებიან ქვეყნები, რომლებიც საკუთარი სუვერენიტეტის ამგვარ შეკვეცას წინ აღუდგებიან. მეორე მხრივ, თუ ვერ მოინახება სათანადო მექანიზმები, მიგრანტების და ეკონომიკური კრიზისის ახალი ტალღები კვლავ გამოიწვევს ევროპის შიდაპოლიტიკური გარემოს დესტაბილიზაციას, რადგან, როგორც განვლილმა რამდენიმე წელმა აჩვენა, არსებული სახით, ევროკავშირს არ აქვს უნარი აღნიშნული პრობლემები ფუნდამენტურ დონეზე გადაჭრას, არამედ ის მხოლოდ შედეგების ლიკვიდაციით შემოიფარგლება. საქართველოსთვის უმთავრესი საკითხია – შეუქმნის თუ არა ზემოაღნიშნული ფაქტორები პრობლემებს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს. საკითხი საკმაოდ რთულია და მასზე ცალსახა პასუხის გაცემა ჭირს. ცხადია, რომ უკვე სახეზეა საქართველოს უდავო წარმატება ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე, საქართველოსთვის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისა და უვიზო მიმოსვლის მინიჭების სახით. ამ კუთხით ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი მნიშვნელოვნად უსწრებს წინ ნატო-ში ინტეგრაციას, რადგან აქ კონკრეტული შედეგია დამდგარი. რა თქმა უნდა, ამის საპირისპიროდ ისიც შეიძლება ითქვას, რომ ნატო-ში ინტეგრაციის პროცესშიც არის წინსვლა და ჩვენი მონაწილეობა საერთაშორისო მისიებსა და საერთო წვრთნებში, აგრეთვე „ნატოელთა“ განცხადება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი, ამის ნათელი მტკიცებულებაა. თუმცა მე ვერ გავიზიარებ ამგვარ ერთუზი-აზმს. ევროკავშირთან მიღწეული წარმატების ტოლფასი წარმატება ნატო-ს შემთხვევაში იქნებოდა წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP-ის) დამტკიცება – მკაფიო და ნათელი შედეგი ალიანსის წევრობისკენ მიმავალ გზაზე. ასე, რომ ცალსახად აღსანიშნავია – ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი ბევრად უფრო წარმატებულია. ამავდროულად, თუ გამოვიყენებთ შეფასების იმ კრიტერიუმს, რომელიც დასაწყისში ვახსენეთ, კერძოდ, ცხოვრების დონისა და ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ზრდას, ამასთან დაკავშირებით სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ევროინტეგრაციაში არსებული პროგრესი რიგით ქართველებზე ჯერჯერობით სუსტად აისახა. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო და ხელშესახები არის უვიზო მიმოსვლა ევროპის ქვეყნებთან, ხოლო რაც შეეხება ქართული პროდუქციის ევროპის ბაზარზე აქტიურ შეტანას ან ევროპული კერძო კომპანიების მიერ საქართველოს ეკონომიკაში მსხვილი ინვესტიციების განხორციელებას, ამ თვალსაზრისით შედეგები სასურველისგან საკმაოდ შორს არის. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს: 2016 წელს ევროკავშირში ექსპორტი 571 მლნ აშშ დოლარი იყო (წინა წელთან შედარებით 12 პროცენტით ნაკლები). შედარებისთვის დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტი 739 მლნ. აშშ დოლარი (წინა

წელთან შედარებით ასევე 12 პროცენტით ნაკლები), ხოლო 2017 წლის იანვარი-ივლისის მონაცემებით,

ევროკავშირში ექსპორტი 339,1 მლნ აშშ დოლარი იყო (33,6 პროცენტით მეტი წინა წლის იგივე მონაცემებთან შედარებით), დსთ ქვეყნებში კი ექსპორტი 570.3 მლნ აშშ დოლარი (59.4 პროცენტით მეტი წინა წლის იგივე მონაცემებთან შედარებით) [5]. როგორც ჩანს, ჩვენი პროდუქციის საზღვარგარეთ რეალიზაციაზე სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები გაცილებით დიდ გავლენას ახდენენ, ვიდრე ჩვენს მიერ მოპოვებული ასოცირებული წევრის სტატუსი და ალტერნატიულ ბაზართან მიმართებაში მოყვანილი შედარება გვაჩვენებს, რომ ევროკავშირის მიმართულებით, რაიმე თვისობრივად მნიშვნელოვანი გარღვევა არ მომხდარა. ეს არ ნიშნავს, რომ დადებითი ეფექტი არ არის. ცალსახად პოზიტიურია რეგულაციები მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, რომლებიც პროდუქციის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით იქნა მიღებული. მართალია, ისინი ქართველი მწარმოებლისთვის გარკვეულწილად დამატებითი ბარიერია, მაგრამ სამაგიეროდ მოსახლეობის უსაფრთხოების თვალსაზრისით ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია. საქართველოს კურსი ნატო-სა და ევროკავშირის სივრცეში გაწევრიანებისკენ უკვე ათწლეულებია ქვეყნის მთავარი საგარეო პოლიტიკური ხაზია. ზურაბ ჟვანიას ცნობილი ფრაზა „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“ იქცა ქვეყნის მთავარ იდეოლოგიურ ფორმულად. შესაძლოა, ჩვენი პრობლემები ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, იმითაც იყოს გამოწვეული თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული მმართველი ელიტა გაწევრიანების პროცესს. ნატო და ევროკავშირი აღიქმება დიად და საბოლოო მიზნად, რომლის მიღწევის შემდეგაც ჩვენი პრობლემები წარსულს ჩაბარდება და ისე შევძლებთ ცხოვრებას როგორც მოგვესურება.

ინტეგრაციის პრობლემები. საქართველოს ამბიცია, იყოს ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი, შეეჯახა მთელ რიგ სირთულეებს. გზა დასავლური ცივილიზაციის სრულფასოვანი წევრობისკენ, როგორც იგი წარმოედგინათ ქართველ და უცხოელ პოლიტიკოსებს ათწლეულების წინ, სრულიად განსხვავებული და ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა. როდესაც საქართველომ, ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის, სამოქალაქო ომისა და კატასტროფული ეკონომიკური სიტუაციის პირობებში მიიღო გადაწყვეტილება, გეზი აეღო დასავლეთისკენ, აბსოლუტურად ყველა, როგორც ქართველი, ისე ევროპელი პოლიტიკოსები მთავარ პრობლემას ქვეყნის შიდა მდგომარეობაში ხედავდნენ. მართლაც, როგორ უნდა ქვეყნის საბჭოთა ეკონომიკის ნამსხვრევების, ტოტალური კორუფციისა და კრიმინალის ქვეყანა ევროპული სახელმწიფოდ. ახლა, როდესაც იგივე ამოცანის განხილვას ვიწყებთ, მთავარ წინაღობად არა ჩვენი უუნარობა, არამედ საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია, რუსეთის ფაქტორის უზარმაზარი

როლი და დასავლელი პარტნიორების ნების არარსებობა გვესახება. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომ, ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა ერთადერთ სუპერ სახელმწიფოს. მისი მოკავშირე ქვეყნები ევროპაში, ახორციელებდნენ ახალი ძალის ცენტრის ფორმირებას ევროკავშირის სახით, რომელიც გლობალიზაციის იდეების პრაქტიკული განხორციელება უნდა ყოფილიყო.

როგორც ზბიგნევ ბჟეზინსკი წერს [6], ევროპა განიხილებოდა როგორც ტრამპლინი, საიდანაც ევრაზიის ტერიტორიაზე დემოკრატია უნდა გავრცელებულიყო. ამასთან ცხადია, რომ იგი დემოკრატიაში, არა უბრალოდ მმართველობის ფორმას, არამედ ამერიკის, როგორც ერთადერთი გლობალური ჰეგემონის გავლენების გაფართოებასაც გულისხმობდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც საუბარი ისტორიის დასასრულზე მიდიოდა და სერიოზულად განიხილებოდა თეორია, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა იმპერიის ნგრევით, ლიბერალური დემოკრატიის უპირობა გამარჯვება გაფორმდა და სწორედ ეს მოძღვრება, მმართველობის ფორმა და გლობალური პროექტი გახდებოდა მომავლის განმსაზღვრელი. ახლა, როდესაც ამ ყველაფერს ვიხსენებთ, ეს ამბიციები შეიძლება საკმაოდ კომიკურადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ამ ყველაფრის წინაპირობა: დამარცხდა მტერი, რომელთან მოსალოდნელ ომსა და გლობალურ თერმობირთვულ კონფლიქტში ურთიერთგანადგურება დასავლეთს მეოცე საუკუნეში ემუქრებოდა. რა გასაკვირია, რომ ეიფორია, რომელიც მაშინ გამარჯვებული მხარის რიგებში სუფევდა, ადეკვატურად შეფასებას უშლიდა ხელს საკუთარი ძალებისა და იმ გამოწვევებისა, რომელსაც მომავალი უმზადებდა. 17 წელი ადამიანისთვის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია, მაგრამ ისტორიულ კონტექსტში დრო, რომელიც გავიდა გერმანიის გაერთიანებიდან ვლადიმერ პუტინის 2007 წლის მიუნხენის სიტყვამდე, საკმაოდ მცირე ფანჯარაა, რომელშიც დასავლეთმა აქტიური გაფართოვება შეძლო აღმოსავლეთის მიმართულებით. თუკი ობიექტურად შევხედავთ, ჩვენ ამ ფანჯრის გამოყენება ვერ შევძელით, ან ვერ მოვახერხეთ. შეიძლება ზოგმა თქვას, რომ არ გავვიმართლა, რომ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ექსპანსიის ტალღამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. როგორც არ უნდა იყოს, ამჟამად უკვე ნათელია, რომ ნატო-ს და ევროსტრუქტურების გაფართოების პროცესი, თუ არ შეჩერდა, როგორც მინიმუმ, მნიშვნელოვან წილად შენელდა. წინააღმდეგობა, რომელიც ამ პროცესს შეხვდა, როგორც ჩანს, იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გარკვეული პერიოდი თავად ამ წინააღმდეგობის ფაქტის აღიარებაც კი პრობლემას წარმოადგენდა. საკმარისია გავიხსენოთ 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ პრეზიდენტ ობამას გადატვირთვის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში. მხოლოდ უკრაინისა და სირიის მოვლენებში რუსეთის აქტიურმა ჩარევამ დაანახა დასავლეთს, რომ მტერი, რომელიც მათ დიდი

ხნის წინ განადგურებული ეგონათ, ცოცხალი აღმოჩნდა და საბჭოთა კავშირთან შედარებით მნიშვნელოვანწილად შეკვეცილი რესურსებისა და ძალის მიუხედავად, კვლავ ცდილობს, გლობალურ პოლიტიკაში ერთ-ერთი წამყვანი როლი ითამაშოს და ღიად აცხადებს პრეტენზიას ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებასთან მიმართებაში.

როგორც ცნობილია, პრობლემების არსი, პირველ რიგში, საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში სახეზეა მდგომარეობა, როდესაც გარეშე ფაქტორებს თვისობრივად მეტი მნიშვნელობა აქვთ და ჩვენ მათზე გავლენის მოხდენა არ შეგვიძლია. ქართული აქტუალური პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა სწორედ ის არის, რომ იგი ისევ ძველი მოცემულობის და იდეების სფეროში არსებობს და ჯიუტად აგრძელებს კარგად დაზეპირებული ტექსტების ტრანსლირებას იმის თაობაზე, რომ ნატო-ს კარი ღიაა და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა. ჩვენი ელიტები ხედავენ შეცვლილ სამყაროს, მაგრამ უჭირთ მისი ადეკვატური აღქმა, რადგან მათი წარმოდგენა ლიბერალური დემოკრატიის უპირობო გამარჯვებასა და დასავლეთის ერთპიროვნულ დომინანციაზე, კონფლიქტში მოდის შეცვლილ სიტუაციასთან. მთავარი პრობლემა არის არა მიმართულება, რომლისკენაც მათი პოლიტიკური კომპასია მიმართული (აქ რაიმე მისაღები ალტერნატივა ნამდვილად არ ჩანს), არამედ მთავარი პრობლემაა პრიორიტეტებისა და ღირებულებების სისტემას, რომელიც მათ გონებაში არსებობს. უფრო მარტივად რომ ავხსნათ, საშუალო სტატისტიკური ქართველი პოლიტიკოსის გონებაში არსებობს ფორმულა: „საქართველო უნდა განვითარდეს, რათა ევროკავშირის წევრი გახდეს“. არადა ყველაფერი პირიქით უნდა იყოს. ევროკავშირში ინტეგრაცია არის არა თვითმიზანი, არამედ ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც მთავარი მიზანი – ქვეყნის განვითარება უნდა განხორციელდეს. ერთი შეხედვით რა განსხვავებაა, შესაკრებთა გადანაცვლებით ხომ ჯამი არ იცვლება, მაგრამ განსხვავება პრინციპულია და პრაქტიკაში საკმაოდ დიდ ეფექტს ახდენს ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე. თუკი ყურადღებით დავაკვირდებით დასავლეთს, რომლის ნაწილად გახდომისკენაც ასე მივისწრაფვით, აღმოვაჩენთ, რომ სახელმწიფოს ორგანიზების, მართვის, ეკონომიკური მოდელის, სოციალური დაცვისა და განათლების, თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით, მასში ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავებული ქვეყნები შედიან. ეს გარემოება საშუალებას იძლევა, რომ ქართულ პოლიტიკაში, რაიმე თემის ირგვლივ დისკუსიისას, თითქმის ნებისმიერი მიდგომა გამართლდეს ე.წ. „დასავლური გამოცდილების“ არგუმენტით. არადა არც ისე რთული გასაგებია, რომ ესა თუ ის გადაწყვეტილება მუშაობს გარკვეული სისტემის ფარგლებში და სხვა სისტემის პირობებში ნაკლებ ეფექტური იქნება. ამდენად, დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად გვევლინება

სპეციფიკურად ქართული, ევროპული სახელმწიფოს მკაფიო საპროექტო მოდელის არარსებობა და თითქმის ფანატიკური რწმენა იმისა, რომ კონკრეტულ საერთაშორისო სტრუქტურაში გაწევრიანება ავტომატურად მოაგვარებს ჩვენს პრობლემებს. ჩვენ გვაკლია ამბიცია, აქ და ახლა ვაშენოთ ჩვენი სისტემა, როგორც თვითმიზანი, რომელთან მიმართებაშიც საერთაშორისო მოლაპარაკებები და შეთანხმებები მხოლოდ საშუალებაა. დროა გარდაქმნის ობიექტიდან, საერთაშორისო პოლიტიკის რეალურ სუბიექტად გადავიქცეთ. იგივე შეიძლება ითქვას ქვეყნის თავდაცვასთან მიმართებაშიც. ქვეყნის შეიარაღებული ძალების რეფორმა მიმდინარეობს პრინციპით: დავაკმაყოფილოთ ნატო-ს სტანდარტები და როდესაც წევრი გავხდებით, ისინი დაგვიცავენ. არა და პრინციპი უნდა იყოს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა არსებული რესურსებით ისე, რომ პოტენციურ მოწინააღმდეგეს არ უღირდეს ჩვენთან საბრძოლო მოქმედებების წარმოება, რადგან ეს მიუღებლად დიდ დანაკარგებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ეს უნდა იყოს თვითმიზანი ხოლო ნატო-ს სტანდარტების დაკმაყოფილება და ალიანსის წევრობა, მხოლოდ აღნიშნული ამოცანის გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებად უნდა განიხილებოდეს.

როგორც უკვე აღინიშნა, ისტორიული ფანჯარა, რომლის ფარგლებშიც დასავლეთმა სწრაფი გაფართოება განიცადა, იხურება, მაგრამ ცვალებად გარემოში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სრულიად არ არის გამორიცხული გარკვეული პერიოდის შემდეგ, მსგავსი ან განსხვავებული შესაძლებლობები გაჩნდეს, რომელთა პროგნოზირებაც დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ის, რაც ჩვენ რეალურად შეგვიძლია, ეს არის ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა და მათზე დაყრდნობით საუბარი იმაზე, თუ მოვლენების როგორი განვითარება არის უფრო მეტად სავარაუდო, რა უფრო მოსალოდნელია და როგორი უნდა იყოს ჩვენ ოპტიმალური ნაბიჯები. თუკი ზემოაღნიშნულ დათქმას მხედველობაში მივიღებთ, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ შემდეგი:

დასკვნა

საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში არ შეჩერებულა, თუმცა არ ხორციელდება იმ ტემპებით, რომლებიც ჩვენთვის სასურველი იქნებოდა. ევრო ინტეგრაციის პროცესში, უმთავრეს საფრთხედ რჩება, თავად ევროკავშირის შიგნით მიმდინარე პროცესები, რომლებიც აუცილებლად გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს. არსებობს საფრთხე, რომ იმ მომენტისთვის, როდესაც საქართველოს სრულუფლებიანი წევრობის საკითხი დადგება, ევროკავშირი თვისობრივად სხვა ორგანიზაცია იქნება, იმასთან შედარებით, რაც იგი იყო იმ პერიოდში, როდესაც საქართველომ ინტეგრაციის გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო.

ლიტერატურა:

1. ვესტმინსტერში სიტყვით გამოსვლა. <http://www.bbc.com/news/uk-politics-eu-referendum-36167329> - აპრილი, 2016 წელი.
2. ზაფხულის ყოველწლიური პრესკონფერენცია <http://www.dw.com/en/angela-merkel-on-migrants-eu-needs-to-do-its-homework/a-40280274> - აგვისტო 2017.
3. <http://uk.reuters.com/article/uk-europe-defence-germany-lithuania/german-minister-in-lithuania-backs-european-defence-union-idUKKCN11E1H0> - აგვისტო 2016, ლიტვა.
4. ინტერვიუ საზოგადოებრივ მაუწყებელ „TVP Info“-სთან. <https://www.reuters.com/article/us-europe-migrants-poland/polands-kaczynski-blames-merkel-for-eus-migration-issues-idUSKCN18G0RC> - მაისი 2017.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo
6. ზბიგნევ ბჟეზინსკი „დიდი საჭადრაკო დაფა“. 1997.

*Zurab Makhatadze, Doctoral student
Georgian Technical University*

The main obstacles to joining the EU are Georgia

Summary

Georgia's integration into the European Union has long been a major ideological basis and task of the state. The famous words of former Prime Minister Zurab Zhvania: "I am Georgian and therefore I am European", is the shape of the main idea which around was building the model of bright future of Georgia, but how real this model is? The European Union, while Zhvania called these words, and the EU now, are two different points and the eurozone's economic crisis, the crisis of migrants and the Brexit separates them from each other. If in its time, the EU was a materialized model of the liberal end of the history of Fukuyama, now it is a fractured structure with internal contradictions. It still has not decided to turn into full-fledged federal state from the confederate, or, on the contrary, restrict the quality of centralization and return to the format of just trade and border union. The main question is: will we meet someone in our European home if we ever can enter into it?

Keywords: *breccia, EU, integration, euro commission.*

ექსტრადიცია და საერთაშორისო პოლიტიკა

გიორგი ნიქაბაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ექსტრადიციის ინსტიტუტის საქმიანობა თანამედროვე მსოფლიოში მეტად აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

ექსტრადიციის მექანიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, ასევე ადგილობრივ დონეზე კრიმინალთან შეუწყნარებელი მოქმედების უზრუნველსაყოფად. სწორედ ექსტრადიციის ფორმატში, სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობა გააჩნიათ იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა მათ ქვეყნებს ერთმანეთთან დიპლომატიური კავშირები.

ექსტრადიცია, რომ დღევანდელობაში მიმართულების ფლაგმანს წარმოადგენს, ეს უდავოა. მას არ აქვს ანალოგი და ამიტომაც მსოფლიოს ყურადღება მიმართული უნდა იყოს ამ ინსტიტუტის გაძლიერებისაკენ, იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო დანაშაულობების რიცხვი დღითიდღე იზრდება.

საკვანძო სიტყვები: ექსტრადიცია, იმპერატიული ნორმები, იმპერატიული საფუძვლები, ფაკულტატურული საფუძვლები.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში უდიდესი როლი ენიჭება სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას საერთაშორისო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს სფერო საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შესწავლის საგანს წარმოადგენს და თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო სამართლის ეს მიმართულება ჯერ კიდევ არაა იმ კონდიციამდე, რომ სრულყოფილად დააკმაყოფილოს დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური და სამართლებრივი გამოწვევები. შესაბამისად, იგი ყოველდღიურად ჩამოყალიბებისა და დახვეწის პროცესშია.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოების აქტიურად ურთიერთთანამშრომლობის მიზანია, რომ არც ერთი დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ექსტრადიციას, რომელიც დღეს სულ უფრო მეტად იძენს თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ექსტრადიციის ინსტიტუტი ფაქტობრივად იცავს როგორც სახელმწიფოთა ინტერესებს საერთაშორისო ურთიერთობებში, ასევე ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსტრადიციის

განხორციელება ხდება მხოლოდ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების ერთობლივი გამოყენების გზით, ისეთი სახელმწიფოთა შორისაც, რომელთაც ჯერ კიდევ არ აქვთ დამყარებული ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები.

ძირითადი ტექსტი

მეცნიერებსა და მკვლევარებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ექსტრადიციის პროცედურულ საკითხებზე. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელებისას წარმოიშობა მთელი რიგი ისეთი საკითხებისა, რომელიც არ არის რეგულირებული არც ევროპული კონვენციებით და არც საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

ექსტრადიციის არსი

ტერმინი ექსტრადიცია¹ ადრეულ პერიოდში განსხვავებული დანიშნულებით გამოიყენებოდა. იურისტთა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ექსტრადიცია მოიაზრება, როგორც „დამნაშავის გადაცემა“, მეორე ნაწილი კი ამ უკანასკნელის ქვეშ გულისხმობს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის გადაცემას [1. 94].

საერთაშორისო ხელშეკრულებებში პირველად ექსტრადიციას ვხვდებით 1804 წელს პრუსიასა და რუსეთს შორის სადამსჯელო კონვენციაში, რომლის თანხმდაც ერთმანეთისათვის უნდა გადაეცათ არა მარტო დაბალი რიგის სამხედრო მოსამსახურეები, არამედ ნებისმიერი მდგომარეობის ადამიანი.

ექსტრადიცია ფორმალური პროცესია, რომლის დროსაც ხდება პიროვნების ერთი სახელმწიფოს მიერ („მიმღები ქვეყანა“) მეორე სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის („მოთხოვნელი ქვეყანა“) გადაცემა სისხლის სამართლის საქმეზე დევნის ან განაჩენის სისრულეში მოყვანის მიზნით. იგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც სახელმწიფოებს დანაშაულებების ჩამდენთა დასჯის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ექსტრადიცია სახელმწიფოების მიერ ტერიტორიზმთან და სხვა საერთაშორისო დანაშაულებებთან ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია [3].

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ექსტრადიცია არის „ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისათვის ბრალდებული ან უკვე გასამართლებული პირის გადაცემის მოთხოვნა იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც მას ჩადენილი აქვს არა მისი ქვეყნის ტერიტორიაზე, არამედ სხვა ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ, რომელიც უფლებამოსილია მის დასჯაზე“ [4].

პოსტსაბჭოთა და ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის კანონმდებლობაში ხშირად ვხვდებოდით მუხლებს „დამნაშავის გადაცემის“ სახელწოდებით. ამ

¹ ექსტრადიცია (extradicio) ლათინური წარმოშობის სიტყვაა, ექს (ex) თავსართი აღნიშნავს მოძრაობას შიგნიდან გარეთ, ტრადიცია (tradicio) კი გადაცემას ნიშნავს [2.162]. ამდენად ექსტრადიციის ქვეშ იგულისხმება პირის გადაცემა ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოსათვის.

მხრივ, გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა [1]. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი იწოდებოდა „დანაშაულის გადაცემად“ [5. 11]. ამასთან, აღნიშნული ტერმინი, რა თქმა უნდა, არ იყო ლეგიტიმური უდანაშაულობის პრეზუმციის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

თანამედროვე ეტაპზე უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში ფართო გაგებით ექსტრადიცია გულისხმობს არა „დანაშაულის გადაცემას“, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად ბრალდებულის და მსჯავრდებულის გადაცემას [6].

ექსტრადიციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, როგორც წესების კრებული, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა, ვინაიდან გაჩნდა დანაშაულის ახალი ტიპები, მათ შორის ტერორიზმი, ტრეფიკინგი და სხვა. 1945 წლის შემდეგ მომხდარმა ცვლილებებმა დიდი ზეგავლენა იქონია საერთაშორისო კანონმდებლობაში ექსტრადიციის იურიდიულ მხარეებზე.

დანაშაულები, რომლებიც ექვემდებარებიან ექსტრადიციას

ტრადიციულად სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის საკითხები ორ-მხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების და ასევე ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე იმართებოდა. თუმცა, მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც სხვა დანარჩენ ქვეყნებთან დადებული აქვს შეთანხმებები ან ხელშეკრულებები ექსტრადიციის შესახებ.

„ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის თანახმად, ექსტრადიციას ექვემდებარებიან ის პირები, რომლებსაც თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის გამოტანილი განაჩენით მისჯილი აქვს სულ მცირე ოთხი თვით თავისუფლების აღკვეთა ან დაკავების ორდერის შესაბამისად ერთი წლით ან უფრო მკაცრი სასჯელით დასჯადი დანაშაულის ჩადენისათვის [7].

ფაქტობრივად, კონვენცია განსხვავებას აკეთებს იმასთან დაკავშირებით, რომ პირი, რომლის ექსტრადიციასაც ითხოვენ ბრალდებულია თუ მის მიმართ უკვე გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. პირველ შემთხვევაში, პირს ბრალად უნდა ედებოდეს ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სულ მცირე 1 წლის ვადით, ხოლო თუ პირი უკვე მსჯავრდებულია, მისი ექსტრადიციისათვის საკმარისია არსებობდეს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს მინიმუმ 4 თვით თავისუფლების აღკვეთას.

„ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას გააკეთონ დათქმები და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გადასცენ იმ დანაშაულთა სია, რომელთა ჩადენის შემთხვევაში დასაშვებია ექსტრადიცია ან იმ დანაშაულთა სია, რომელთა ჩადენისთვისაც გამოირიცხება ექსტრადიცია. ასევე, მიუთითონ ის სამართლებრივი დებულებ-

ბები, რომლებიც ნებას რთავენ ან კრძალავენ ექსტრადიციას. ნებისმიერ მხარეს, რომელიც ისარგებლებს ამ უფლებით, ყოველთვის შეუძლია გამოიყენოს კონვენცია იმ დანაშაულების მიმართ, რომელთა მიმართაც მისი გამოყენება მანამდე გამოირიცხებოდა.

რაც შეეხება 1993 წლის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ ევროპულ კონვენციას, 56-ე მუხლში აღნიშნულია, რომ გადაცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად წარმოებს ისეთი ქმედებებისათვის, რომელთა ჩადენისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით არანაკლებ ერთი წლისა ან უფრო მძიმე სასჯელი, ხოლო მსჯავრდებული პირის შემთხვევაში, დასახელებული კონვენციის თანახმად, იმისათვის, რათა განხორციელდეს მისი ექსტრადიცია, მისჯილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა ან უფრო მძიმე სასჯელი [8].

რაც შეეხება საქართველოდან ბრალდებული ან მსჯავრდებული პირის ექსტრადიცია, ქართული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაც ანალოგიურია, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ინდივიუალური შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები

კონვენციებში, ორმხრივ ხელშეკრულებებსა და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში მოცემულ ნორმებში ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძვლების ორი სახე არსებობს:

- იმპერატიული საფუძვლები, რომლებშიც კატეგორიულად არის მოცემული უარი ექსტრადიციაზე.
- ფაკულტატურული საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც ექსტრადიციაზე შეიძლება ითქვას უარი [9].

ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიული საფუძვლები

ინტეგრაციული პროცესების განვითარებასთან ერთად სახელმწიფოები დადგნენ იმის აუცილებლობის წინაშე, რომ მკაცრად დაიცვან ექსტრადიციისათვის დადგენილი წესები, მათ შორის ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიული საფუძვლები. აღნიშნულ პრობლემას ადრეულ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება არ ეთმობოდა, მაგრამ ამ საკითხის წამოწევა წინა პლანზე აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციები დაინტერესდნენ ადამიანის უფლებების დაცვით ექსტრადიციის განხორციელების პროცესში¹.

საერთაშორისო სამართალში იმპერატიული ნორმების ინსტიტუტის დამკვიდრების მიმართ მეცნიერები თავიდან გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდნენ,

¹ ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიული საფუძვლები გამომდინარეობს იმპერატიული სამართლის ნორმებიდან, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული იურიდიული ძალა.

რადგან მას შეეძლო მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეტანა საერთაშორისო ურთიერთობებში. იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მრავალი მოსაზრების გათვალისწინებით, გარკვეულ ინტერესს იწვევდა საერთაშორისო სასამართლოს პოზიცია, რომელმაც აღიარა იმპერატიული ნორმების¹ გამოყენების აუცილებლობა [9. 88].

„ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“, 1993 წლის მინსკის კონვენციის და საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიულ საფუძვლებს მიეკუთვნება:

- პოლიტიკური დანაშაულები;
- „ლტოლვილის სტატუსი“;
- ხანდაზმულობის ვადის გასვლა;
- „ნონ ბის ინ იდემ“ პრინციპი².

ექსტრადიციაზე უარის თქმის ფაკულტატური საფუძვლები

ექსტრადიციაზე უარის თქმის ფაკულტატურ საფუძვლებში იგულისხმება, რომ მათი არსებობის შემთხვევაში თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას კონკრეტული პირის ექსტრადიციაზე ან განახორციელოს იგი. ყოველივე აღნიშნული დამოკიდებულია თითოეული სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოთა კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს საპროცესო ნორმებს, რომელიც არეგულირებს ბრალდებულის და მსჯავრდებულის გადაცემის აქტუალურ პრობლემებს [1. 94].

„ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის, 1993 წლის „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის, ასევე საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ექსტრადიციაზე უარის თქმის ფაკულტატური საფუძვლებია:

1. სიკვდილით დასჯა, როგორც ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი;
2. ექსტრადიციაზე უარის თქმა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის და ღირსების შემლახავი სასჯელის არსებობის შემთხვევაში;
3. მოქალაქის მიერ ექსტრადიციაზე უარის თქმა;

¹ იმპერატიული ნორმებიდან გადახრა არც ორმხრივი და არც მრავალმხრივი ხელშეკრულებებით არ შეიძლება, რაც ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება იმპერატიულ ნორმებს, თავიდანვე ძალადაკარგულად ითვლება.

² „ნონ ბის ინ იდემ“ - ორჯერ ერთსა და იმავეზე არ შეიძლება, რომ მოეკითხოს (ლათინური გამოთქმა) [2,585].

4. ექსტრადიციზე უარის თქმა დანაშაულის ჩადენის ადგილის და ფისკალური დანაშაულების გამო.

ექსტრადიცია და მისი განმხორციელებელი ორგანოები (ევროპული კონვენციების მიხედვით)

მიმღები ქვეყნის მიერ ექსტრადიციის მოთხოვნის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული პირისთვის, რომლის ექსტრადირებასაც ითხოვს ესა თუ ის ქვეყანა. პოტენციური შედეგების გათვალისწინებით საჭიროა არსებობდეს საპროცედურო გარანტიები, რათა ექსტრადირების პროცესში ძეზნილთან დაკავშირებული ყველა გარემოება და მისი მოთხოვნელ ქვეყანაში ძეზნილთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკი იქნას გათვალისწინებული [3].

ექსტრადიციის შესახებ დადებულ ხელშეკრულებებში ჩვეულებრივ არ შედის დებულებები ექსტრადიციის მოთხოვნის შემოწმების პროცედურების შესახებ. როგორც წესი, ეს პროცედურა მიმღები ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში განისაზღვრება, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გაარკვიონ შეესაბამება თუ არა ექსტრადიციის შესახებ წამოყენებული მოთხოვნა ფორმალურ და არსებულ სტანდარტებს და/ან გადაწყვიტონ დააკმაყოფილონ თუ არა ეს მოთხოვნა.

ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ჩამოყალიბებული პროცედურები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმისდა მიხედვით თუ რა იურიდიული სისტემა მოქმედებს ამა თუ იმ ქვეყანაში. თუმცა, ბევრ სახელმწიფოში ექსტრადიციის პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს და ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს. მათ შორის:

- საწყისი ადმინისტრაციული ფაზა, რომელიც ჩვეულებრივ შედგება ტექნიკური მოთხოვნების შემოწმებისგან. ზოგჯერ ამ ეტაპზე ასევე ხდება ექსტრადირების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობის წინასწარი შეფასება.
- სასამართლოს მიერ იმის დადგენა თუ რამდენად შეესაბამება ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაში და/ან ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებაში არსებულ პირობებს.
- ექსტრადიციის მოთხოვნის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

ქვეყნების უმეტესობაში კომპეტენტური სასამართლო ორგანოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ექსტრადიციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საჭირო იურიდიული მოთხოვნები არ არის შესრულებული, სავალდებულოა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის და შესაბამისად, ექსტრადიცია არ ხდება. მაშინ, როდესაც სასამართლო ექსტრადიციის ნებართვას იძლევა, შესაბამის მინისტრს აქვს უფლება გადასცეს ძეზნილი მოთხოვნელ ქვეყანას (შესა-

ძლებელია გარკვეული პირობებით) ან უარი განაცხადოს ექსტრადიციაზე.¹

შეზღუდვები ექსტრადირებულ პირთან დაკავშირებით - შეზღუდვები 1957 წლის „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მიხედვით

„ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენცია აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს ექსტრადირებულ პირთან დაკავშირებით. აღნიშნული კონვენციის თანახმად, „იმ პირის წინააღმდეგ, რომლის გადაცემაც მოხდა, არ აღიმდრება სამართალწარმოება, არ მიესჯება პატიმრობა ან დაკავდება მის მიერ მის გადაცემამდე ჩადენილი რაიმე სხვა დანაშაულის გამო, გარდა იმისა, რომლის ჩადენისთვისაც იგი იქნა გადაცემული, ასევე არ შეიძლება შეიზღუდოს მისი პიროვნული თავისუფლება რაიმე სხვა მიზეზების გამო“, შემდეგი შემთხვევების გარდა:

- როდესაც მსჯავრდებული პირის გადამცემი მხარე ამაზე თანახმაა².
- როდესაც პირი, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა დაეტოვებინა იმ მხარის ტერიტორია, რომელსაც იგი გადასცემს, მაგრამ არ დატოვა იგი მისი საბოლოო გათავისუფლებიდან 45 დღის განმავლობაში, ან დაბრუნდა ამ ტერიტორიაზე მისი დატოვების შემდეგ [7].

აღნიშნულთან დაკავშირებით, თხოვნის გამგზავნ მხარეს შეუძლია მიიღოს აუცილებელი ზომები შესაბამისი პირის მისი ტერიტორიიდან გასაყვანად ან ნებისმიერი სხვა ზომა სამართალწარმოების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი კანონმდებლობის შესაბამისად ხანდაზმულობის ვადის შედეგების თავიდან ასაცილებლად. ხოლო, თუ დანაშაულის აღწერა შეიცვალა მიმდინარე სამართალწარმოების დროს, დასაშვებია გადაცემული პირის წინააღმდეგ სამართალწარმოება ან განაჩენის გამოტანა დანაშაულის ახალი აღწერისა და მისი შემადგენელი ელემენტების გათვალისწინებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა წარმოადგენს ისეთ დანაშაულს, რომელიც ექვემდებარება ექსტრადიციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუშვებელია გადაცემული პირის მიმართ დაიწყოს სამართალწარმოება.

კიდევ ერთი შეზღუდვა, რაც გათვალისწინებულია დასახელებული კონვენციით გადაცემულ პირთან დაკავშირებით არის ის, რომ თხოვნის გამგზავნი მხარე თხოვნის მიმღები მხარის თანხმობის გარეშე ვერ გადასცემს სხვა მხარეს ან მესამე სახელმწიფოს მისთვის გადაცემულ პირს, რომელიც

¹ სხვა ქვეყნებში ეროვნული კანონმდებლობა ორ ეტაპიან პროცესს გულისხმობს. ზოგ ქვეყანაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ სასამართლოები, ხოლო ზოგ ქვეყანაში კი სასამართლო ორგანოები არასავალდებულო დადგენილებებს იღებენ. ექსტრადიციის შესახებ ზოგიერთი ხელშეკრულება უფრო მარტივ პროცედურებს ითვალისწინებს, რომელთა მიზანია ამ პროცესის დაჩქარება და ხარჯების შემცირება. ევროკავშირში 2004 წელს ე.წ ორმხრივ შეთანხმებაზე დაფუძნებული დაპატიმრების ორდერების სისტემა იქნა შემოღებული, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირის ქვეყნებს შორის ექსტრადიციის პროცედურები იქნა ჩანაცვლებული.

² თანხმობა გაიცემა, თუ დანაშაული, რომლისთვისაც მოითხოვება გადაცემა, ექვემდებარება ექსტრადიციას განსახილველი კონვენციის დებულებების შესაბამისად.

იმეზნებოდა ხსენებული სხვა მხარის ან მესამე სახელმწიფოს მიერ ამ პირის მიერ მის გადაცემამდე ჩადენილი დანაშაულების გამო. ასეთ შემთხვევაში, თხოვნის მიმღებ მხარეს აღნიშნული თანხმობის გასაცემად შეუძლია მოითხოვოს ის მინიმალური დოკუმენტები, რაც აუცილებელია ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

„ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენცია არეგულირებს ასევე ისეთ შემთხვევებს, როცა პირის გადაცემა მოითხოვება ერთზე მეტი სახელმწიფოს მიერ ერთსა და იმავე ან სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის. თხოვნის მიმღებმა მხარემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ყველა გარემოების და განსაკუთრებით დანაშაულის სერიოზულობის, ჩადენის ადგილის, შესული თხოვნების შესაბამისი თარიღების, მსჯავრდებული პირის მოქალაქეობის და შემდგომში სხვა სახელმწიფოსათვის მისი გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციით გადაცემული პირის მიმართ დაწესებული შეზღუდვებით საკმაოდ დაცულია ამ პირის ინტერესები.

შეზღუდვები 1993 წლის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციის თანახმად

მინსკის 1993 წლის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ და „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენცია აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს ექსტრადირებულ პირთან დაკავშირებით. დასახელებული კონვენციის თანახმად თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის თანხმობის გარეშე გადაცემული პირი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში ან დაისაჯოს მის გადაცემამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, რომლის გამოც იგი არ გადაუციათ. ცხადია, ეს აკრძალვა არ არის იმპერატიული ხასიათის, რადგან როგორც კონვენციიდან ირკვევა, თუ არსებობს გადამცემი სახელმწიფოს თანხმობა, იგი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში ან დაისაჯოს მის გადაცემამდე ჩადენილი დანაშაულისათვის.

თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის თანხმობა აუცილებელი არ არის, თუკი გადაცემული პირი სისხლის სამართლის წარმოების დასრულებიდან ერთი თვის შემდგომ, ხოლო გასამართლების შემთხვევაში სასჯელის მოხდიდან ან მისგან გათავისუფლებიდან ერთი თვის შემდეგ არ დატოვებს თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიას ანდა თუ იგი ნებაყოფლობით დაბრუნდება იქ. ამ ვადაში არ ჩაითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც, გადაცემულ პირს არ შეეძლო დაეტოვებინა თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხა-

რის ტერიტორია მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

კიდევ ერთი შეზღუდვა, რაც გათვალისწინებულია დასახელებული კონვენციით გადაცემულ პირთან დაკავშირებით არის ის, რომ თხოვნის გამგზავნი მხარე თხოვნის მიმღები მხარის თანხმობის გარეშე, ვერ გადასცემს სხვა მხარეს ან მესამე სახელმწიფოს მისთვის გადაცემულ იმ პირს, რომელიც იძებნებოდა ხსენებული სხვა მხარის ან მესამე სახელმწიფოს მიერ ამ პირის მიერ მის გადაცემამდე ჩადენილი დანაშაულების გამო.

მინსკის 1993 წლის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების“ კონვენცია არეგულირებს ასევე ისეთ შემთხვევებს, როცა პირის გადაცემა მოითხოვება ერთზე მეტი სახელმწიფოს მიერ ერთი და იმავე ან სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის, ასეთ შემთხვევაში თხოვნის მიმღები მხარე თავად წყვეტს, რომელი მათგანი უნდა დაკმაყოფილდეს. თუმცა, განსხვავებით „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციისგან, განსახილველი კონვენცია არ ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რომლის მხედველობაში მიღებითაც უნდა მიიღოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება.

დასკვნა

ექსტრადიცია თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შესწავლის საგანს წარმოადგენს და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს. იგი საკმაოდ რთული და მრავალმხრივი ფენომენია და პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოთა შორის ორმხრივ თანამშრომლობასთან.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოები მაქსიმალურად ორიენტირებულები იყვნენ შიდასახელმწიფოებრივი კანონდებლობის დახვეწასა და ექსტრადიციასთან დაკავშირებული დებულებების თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სახელმწიფოთა შორის ურთიერთთანამშრომლობის გამარტივებას და ექსტრადირებულ პირთა უფლებების ეფექტურად დაცვას.

ლიტერატურა:

1. მ. გვარამია, ექსტრადიციის ტერმინის საკითხთათვის, ჟურნალი „სამართალი“, თბ., 2002 წ.
2. მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, „განათლება“. თბ., 1989 წ.
3. სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილების საერთაშორისო დაცვის შესახებ, ჟენევა, 2008.
4. McCormack A., The United States, China and Extradition: ready for the next step?, Legislation and Public Policy, Vol. 12; 445. 2009.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 წ.
6. მ. გვარამია, ექსტრადიციის ცნების საკითხთათვის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, თბ., 2008.
7. 1957 წლის ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ.
8. 1993 წლის ევროპულ კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ.
9. მ. გვარამია, ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიული საფუძვლები, თბ. 2005.
10. 1993 წლის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ მინსკის კონვენცია.
11. Cameron-Waller, S. Interpol: a global service provider. In S.D. Brown, (Ed.) Combating international crime: the longer arm of the law. London & New York: Routledge-Cavendish. 2008.
12. Anderson M. Counterterrorism as an Objective of European police cooperatio. In F. Reinares, editor. European Democracies against Terrorism: Governmental Policies and Intergovernmental Cooperation. Aldershot: Ashgate. 2000.
13. Albanese J., Organized crime in America. Cincinnati. OH. 1989.
14. Truong T. D., Organized crime and human trafficking. ISS Working Paper Series/General Series. Vol. 339. 2003.
15. Williams P., Transnational criminal networks. The future of terror, crime, and militancy. 2001.

Extradition and international policy

Summary

The activities of the Extradition Institute are more relevant and important issue in the modern world.

The extradition mechanism plays an important role in the fight against international crime, as well as to ensure intolerable action against criminals at the local level. In the format of extradition, law enforcement agencies of different countries have the opportunity to cooperate whether their countries have diplomatic relations.

This is indisputable, that nowadays extradition is a flagship direction. It has no analogy, and that's why the world's attention should be to strengthen this institution, in the light of the number of international crimes increasing day by day.

Keywords: *Extradition, imperative norms, imperative basics, optional basics.*

„ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდა

ციცინო ჯაბველაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გლობალური ტერორიზმის ისტორიაში, შეიძლება ითქვას, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ ანტიდასავლური პროპაგანდით, სოციალური მედიის, მობილური აპლიკაციების გამოყენებითა და ბავშვებისა და მოზარდების ინდოქტრინაციით ყველაზე ეფექტური პროპაგანდის მექანიზმი შექმნა, რომლის მეშვეობითაც არამხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში 30 000-ზე მეტი მუსლიმი მებრძოლის გაერთიანება შეძლო საკუთარი დროშის ქვეშ.

საკვანძო სიტყვები: „ისლამური სახელმწიფო“, პროპაგანდა, სოციალური ქსელები, „დაბიკი“, ინდოქტრინაცია, მუჯაჰიდი.

შესავალი

ძირითადი გლობალური ტერორიზმის ისტორიაში, შეიძლება ითქვას, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ ყველაზე ეფექტური პროპაგანდის მექანიზმი შექმნა, რომლის მეშვეობითაც არამხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში დაახლოებით 30 000 მუსლიმი მებრძოლის გაერთიანება შეძლო საკუთარი დროშის ქვეშ.

აღნიშნული სტატიის ფარგლებში, „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის ძირითად საშუალებებს, მათ შორის, სოციალურ მედიაში არსებულ ფართომასშტაბიან კამპანიას, ცხელ წერტილებსა და მუსლიმი ბავშვების ინდოქტრინაციას მიმოვიხილავთ, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს, უმთავრესად, ახალგაზრდა მუსლიმებზე, როგორც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ასევე, დანარჩენ მსოფლიოში.

ძირითადი ნაწილი

„ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდას ყველაზე მასშტაბურად, „ალ-ჰაიათ მედია ცენტრი“ ახდენდა, რომელიც არაბულ ორიგინალთან ერთად სხვადასხვა ენაზე ნათარგმნ მასალას ავრცელებდა. „ალ-ჰაიათ მედია ცენტრის“ მიერ გავრცელებულ არაბულ და ინგლისურენოვან მაღალხარისხიან ვიდეო რგოლებში, „ისლამური სახელმწიფოს“ უცხოელი მებრძოლები მუსლიმებს მსოფლიო მასშტაბით მოუწოდებდნენ რომ განეხორციელებინათ ჰიჯრა¹ და ეწარმოებინათ ჯიჰადი² „ურწმუნოების“ წინააღმდეგ. ისინი მოუწოდებდნენ სხვადასხვა ქვეყნის მუსლიმებს, რომ თუკი მათ არ შეეძლოთ ჰიჯრის განხორ-

¹ რელიგიური ემიგრაცია ისლამურ მიწაზე

² ისლამის ე.წ. მეექვსე ბურჯი - „საღვთო ომი“

ციელება, მაშინ “ურწმუნოთა” ქვეყნებში, სადაც თავად იმყოფებოდნენ დაესაჯათ “ურწმუნოები” მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების გამო. [3]

2013 წლის იანვრის თვეში, ალ-ჰაიათ მედია ცენტრმა ონლაინ ფორმატში გამოუშვა, ახალი ინგლისურენოვანი ჟურნალის - „დაბიკის“ პირველი გამოცემა, რომელიც შემდეგში სხვა ენებზეც ითარგმნა. „ისლამური სახელმწიფოს“ მრავალენოვანი ონლაინ ჟურნალი „დაბიკი“ პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საშუალება იყო, რომელიც პერიოდულ გამოცემას წარმოადგენდა, რომლის თემატიკაც მიზნობრივად და ეფექტურად იყო შერჩეული და ილუსტრირებული. პრაქტიკულად, „დაბიკი“ რეკრუტირების ეფექტური იარაღი იყო, რომლის მიზანსაც დასავლეთის ქვეყნებში პოტენციური მებრძოლების რეკრუტირება წარმოადგენდა.

„დაბიკის“ ნომრებში უხვად არის პასაჟები ყურანიდან. სურებისა და აიების ციტირება „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების გასამყარებლად და საკუთარი იდეოლოგიის ინტერპრეტაციისთვის ხდება. მოყვანილია ისტორიული პასაჟები, განსაკუთრებით ის ფრაგმენტები, რომლებიც ეხება არაბთა დაპყრობებს, ზეობასა და დიდებას. ასევე, დაგმოხილია დასავლური ფილოსოფია (მაგ: ნიცშე, დიურკემი, ვებერი, ფროიდი და ა.შ.), რომელმაც მათი მტკიცებით გამოიწვია ფიტრას¹ ასპექტების განადგურება „ქრისტიანულ-წარმართ“ მიწაზე. [1]

„დაბიკში“ დიდი ადგილი ეთმობა დასავლური მსოფლმხედველობისა და ფასეულობების, მათ შორის, ლიბერალიზმისა და დემოკრატიის დაკნინებას. ისეთმა ცნებებმა, როგორიც არის ფემინიზმი, მოდერნიზმი, გენდერული თანასწორობა, სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე პირთა თანაბარუფლებიანობა, მარიხუანისა და პორნოგრაფიის პროპაგანდა და სხვა „ემმაკეულმა“ დასავლეთის ამორალურ საზოგადოებად გარდაქმნა მოახდინა. ყოველივე ამის ფონზე კი, ისლამის უპირატესობის წარმოჩენა ხდებოდა, რაც „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის აპრობირებული ნაწილი იყო.

აღსანიშნავია, რომ „დაბიკში“, ასევე, უარყოფილია ის იმამები, რომლებიც ისლამს „არასწორად“ (ე.ი. „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ) ქადაგებენ. გარდა ამისა, ხშირად ისლამზე მოქცეული მებრძოლების აგიტაციური ინტერვიუები და ბიოგრაფიებია მოყვანილი, სადაც ევროპის მოქალაქეები განმარტავენ მათ ისლამზე მოქცევის მიზეზებს და ისლამის უპირატესობას უსვამენ ხაზს, ასევე, სხვებსაც მოუწოდებენ მიბადონ მათ მაგალითს და გაერთიანდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში.

„დაბიკის“ თითქმის ყველა ნომერში ადგილი ეთმობა „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ განხორციელებული ტერაქტების ქრონიკას, რომლებიც

¹ არაბ. „თავდაპირველი ადამიანური საწყისი“

შეფასებულია როგორც სამხედრო, უსაფრთხოებისა და „ისთიმჰადის“¹ ოპერაციებად და არა ტერორისტულ აქტებად, აღნიშნული ქმედებების წარმოჩენა კი ხდება „ისლამური სახელმწიფოს“ სიძლიერის, გავლენისა და უპირატესობის ფაქტორად.

„ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის ნაწილია, სავარაუდოდ ისიც, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ტყვეობაში მყოფი უცხოელი სიკვდილმისჯილები, ბოლო სიტყვაში იძულებითა და დაშინებით ან ფსიქოლოგიური ზეგავლენის შედეგად, თავიანთი მშობლიური ქვეყნის ხელისუფლებას ადანაშაულებენ ყოველივეში. რისი ნათელი მაგალითიც არის ამერიკელი ჟურნალისტის, ჯეიმს ფოლისა და სტივენ სოტლოფის სიკვდილით დასჯის წინ გაკეთებული მიმართვა, რომელშიც ორივე მათგანი აშშ-ის ხელისუფლებას ადანაშაულებს მომხდარში. [4] [2.47-48]

„ისლამური სახელმწიფო,“ ასევე, ეფექტურად და წარმატებით იყენებდა სოციალურ ქსელებს საკუთარი გზავნილების გასავრცელებლად და მხარდამჭერთა გასაერთიანებლად. სოციალურ ქსელებს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვთ თანამედროვე სამყაროში, რადგან ისინი გვთავაზობენ რეალური დროის ფორმის კომუნიკაციას, რაც ეფექტურია მაგალითად ახლახან მომხდარი მოვლენების ინტერპრეტაციაში. აღნიშნული კი სოციალურ ქსელებს უპირატესობას ანიჭებს ტრადიციულ მედია საშუალებებთან შედარებით, რომელიც მოითხოვს სარედაქციო პროცესს. სოციალური ქსელები საშუალებას აძლევს დაჯგუფებას ეფექტურად ჰქონდეს კომუნიკაცია მის ძირითად უცხოელ აუდიტორიასთან. გარდა ამისა, მეზრმოელები სოციალურ მედიაში, თავიანთი ჯიჰადური თავგადასავლების ქრონიკის წარმოებასაც ახდენენ.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, გასათვალისწინებელია, ასევე, თუ როგორი ფორმულირებით ავითარებს დაჯგუფება შეტყობინებებს სოციალურ მედიაში, კონკრეტული ორგანიზაციული კრიზისის ან კონკრეტული მსოფლიო მოვლენების დროს. აღნიშნული მნიშვნელოვანია მაგალითად იმის დასადგენად თუ რა გზავნილების გადაცემა შედის დაჯგუფების ინტერესში, ანუ: რა სურს დაჯგუფებას რომ მათმა მხარდამჭერებმა იცოდნენ და ფიქრობდნენ.

მუჯაჰიდები, ხშირ შემთხვევაში, მობილური აპლიკაციით Ask.fm-ით სარგებლობდნენ, რომლის გამოყენებაც გლობალური ჯიჰადური მოძრაობის მიერ, პრაქტიკულად, ყველაფრისთვის იყო შესაძლებელი: დაწყებული პერსონალური ყოფითი ჰიგიენური პრობლემებით, სირიის ბრძოლის ველზე მიგრაციისთვის ჩასაბარებელი სიით დამთავრებული. გარდა ამისა, სირიაში გამგზავრების იდეის პოპულარიზაციასთან ერთად, ისინი იყენებდნენ Ask.fm საიტს ლოჯისტიკასთან დაკავშირებული შეკითხვებისთვის, კერძოდ: თუ რა მარაგი უნდა წაეღოთ თან, შეეძლოთ თუ არა მეუღლის წაყვანა,

¹ არაბ. „მოწამეობრივი სიკვდილი“

სირიაში ცხოვრების ღირებულების, WiFi წვდომისა და მსგავს თემატიკასთან დაკავშირებული შეკითხვების თვალსაზრისით. [6]

Ask.fm-ზე დასმული კითხვები ერთი შეხედვით, შეიძლება ყოფილიყო და ბანალურად ჩანდეს, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ კომუნიკაციის საერთო პროცესი ამა თუ იმ მხრივ უცხოელ მებრძოლებთან, მეგობრულ ურთიერთობის შეგრძნებას ქმნის და ემოციურ დამოკიდებულებას იწვევს, ეხმარება შეამციროს ნებისმიერი ფსიქოლოგიური ბარიერი, რაც შეიძლება თან ახლდეს სირიაში გამგზავრების პროცესს.

Ask.fm საშუალებას აძლევდა ინდივიდებს, რომ მიეღოთ პასუხები თავიანთ კითხვებზე. მისი მეშვეობით, დაინტერესებული პირები იგებდნენ უფრო მეტ ინფორმაციას, ვიდრე სხვა ჯიჰადთან დაკავშირებული დისკუსიებიდან. მათ, ასევე, თავიანთ სოციალურ წრეში, უჩნდებოდათ ავტორიტეტულობისა და საიმედოობის განცდა რადგან მიმოწერა ჰქონდათ უშუალოდ „რეალურ მუჯაჰიდებთან“.

ამდენად, „ისლამური სახელმწიფოს“ ქვეშ მებრძოლი მუჯაჰიდები იყენებდნენ მობილურ აპლიკაციებს მხარდამჭერების გასაერთიანებლად მთელ მსოფლიოში, აქამდე არსებული კონფლიქტებისგან განსხვავებით, სადაც მებრძოლებს მიმოწერის შესაძლებლობა ლიმიტირებული ჰქონდათ. მობილური ტელეფონების გამოჩენა ბრძოლის ველზე ნიშნავდა იმას, რომ ინდივიდუალური მებრძოლი შესაძლოა გამხდარიყო პროპაგანდის ნაწილი. მათ თავიანთი თანამებრძოლების გადაღება შეეძლოთ სამხედრო მოქმედებისას. იყენებდნენ ფოტოშოპს პროპაგანდული ფოტოების შექმნის მიზნით და ავრცელებდნენ მათ ინსტაგრამის, იუთუბის, თვითერის, ფეისბუქისა და თამბლრის მეშვეობით.

მით უმეტეს, რომ მობილურ აპლიკაციებს და სოციალურ მედია არხებს თანამედროვე სამყაროში შესაძლებლობა აქვთ ოპტიმიზირებული, მაღალ ვიზუალური შემცველობა მიაწოდონ მომხმარებელს, რომელიც ყოველწამიერად განახლებადი და პერსონალიზირებულია. რაც პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ ინდივიდები მარტივი მხარდაჭერიდან გადადიან პირდაპირ საქმეზე. უფრო მასშტაბური კომუნიკაციური ოფციების, უსაფრთხოებისა და მათი მიმოწერის ექსკლუზიურობის უმაღლესი ხარისხით, ისინი იყენებენ განსხვავებულ სოციალური მედიის ინსტრუმენტებს. შესაბამისად, სოციალური მედია ქმნის უსაფრთხო სივრცეს, რომელშიც მხარდამჭერებს შეუძლიათ უშუალო დიალოგის წარმოება მებრძოლებთან ბრძოლის ველზე, რაც სრულიად ახალი ფენომენია, რომელიც ახდენს გლობალური ჯიჰადის კონცეფციის გაგების ტრანსფორმირებას.

აღსანიშნავია, რომ მუჯაჰიდების პროპაგანდა, ასევე, ეყრდნობა ისეთ ცხელ წერტილებს, როგორიც არის მაგალითად საბჭოთა ინტერვენცია ავღანეთში, თანამედროვე რეალობაში კი - სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომი, რა

დროსაც ისინი ასეთ მოვლენებს ძირითად ნარატივებად და მუსლიმების მორალურ ვალდებულებად იყენებდნენ, რომ დაიცვან ისლამი და თანამომქმე მუსლიმები საფრთხისგან. რეალურადაც, მუჯაჰიდი იდეოლოგიები ხშირად ფოკუსირებულნი არიან ინდივიდუალური ჯიჰადის ვალდებულებაზე, როდესაც მუსლიმური საზოგადოება საფრთხის ქვეშაა.

ზოგადად, ტერორისტული ორგანიზაციების თანამედროვე პროპაგანდისტული გზავნილები შემდეგში მდგომარეობს: „თუ ჩვენთან ხარ და გინდა რომ წვლილი შეიტანო ჩვენი მიზნების განხორციელებაში, იმოქმედე ლოკალურად და გამოიყენე ის საშუალებები რაც შენს განკარგულებაშია.“

მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ აგიტაცია მიმართული იყო მუსლიმ ბავშვებზეც, რომლებსაც ადრეული ასაკიდან არწმუნებდნენ, რომ დასავლეთი მათი მტერია და ყველა არამუსლიმი კი „ურწმუნო“, რომელიც მოკლულ უნდა იქნას.

რთული წარმოსადგენი არ არის რა სახის ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ბავშვებზე იმგარემოებამ, როდესაც სასწავლებლებში („ისლამურ სახელმწიფოში“ 5-6 წლის ასაკის ბავშვებისთვის გათვლილი იყო ინგლისურენოვანი წიგნები, სადაც ილუსტრირება ხდებოდა იარაღებით, მექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობებით და ა.შ.), რელიგიურ დაწესებულებებსა (სადაც ყურანის ინტერპრეტირებული სწავლება ხდება) თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მუდმივად ხდებოდა ანტიდასავლური პროპაგანდა, რომლის მიხედვითაც დასავლეთი და შესაბამისად „ურწმუნოები“ ომს ისლამისა და თითოეული მუსლიმის წინააღმდეგ აწარმოებენ. სწორედ ამიტომ იყო ბავშვებისა და მოზარდების ინდოქტრინაცია მიზანმიმართული და ეფექტური კამპანია „ისლამურ სახელმწიფოში“, რადგან შაჰიდური ტერაქტები, ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ბავშვებისა და მოზარდების მიერ ხორციელდებოდა.

გაეროს 2018 წლის ანგარიშის თანახმად, სირიაში ბავშვების ინდოქტრინაცია მიმდინარეობდა როგორც „გრძელვადიანი ლოიალობის უზრუნველყოფის საშუალება“, ისინი ქმნიდნენ „მებრძოლ კადრებს, რომლებიც ძალადობას როგორც ცხოვრების გზას ისე აღიქვამენ მომავალში.“ [5]

2014 წლის 21 სექტემბერს „ისლამური სახელმწიფოს“ პრესსპიკერმა, აბუ მუჰამად ალ-ადნანიმ მხარდამჭერებს მთელი მსოფლიოდან მოუწოდა დასავლეთის კოალიციური ძალების იერიშის საპასუხოდ თავდასხმების განხორციელება ნებისმიერი სამოქალაქო პირის წინააღმდეგ, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მოქმედ კოალიციას მიეკუთვნებოდა:

„სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ, არ აუქციოთ გვერდი ამ ბრძოლას. თქვენ უნდა შეებრძოლოთ ჯარისკაცებს, მფარველებს და ურწმუნო ჯარებს. თავს დაესხათ პოლიციის, უსაფრთხოებისა და დაზვერვის თანამშრომლებს, ისევე

როგორც, მათ მოღალატე აგენტებს. გაანადგურეთ მათი საწოლები. გაუმწარეთ ცხოვრება. თუ შეძლებთ მოკალით ურწმუნო ამერიკელი ან ევროპელი - განსაკუთრებით ბოროტი და საზიზღარი ფრანგი ან ავსტრალიელი ან კანადელი ან ნებისმიერი სხვა ურწმუნო, ურწმუნოების წარმოებული ომიდან; მათ შორის იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც არიან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ არსებულ კოალიციაში. შემდეგ ალაჰს მიენდეთ და მოკალით ის ნებისმიერი ხელსაყრელი საშუალებით. არ ჰკითხოთ ვინმეს რჩევა და არ ეძიოთ ვინმეს განაჩენი. მოკალი ურწმუნო სამოქალაქო იქნება თუ სამხედრო, რადგან მათ ჰყავთ ერთი და იგივე მმართველობა. ორივე მათგანი არის ურწმუნო...

თუ არ შეგიძლია იპოვო თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ან ტყვია, გამოყავი ურწმუნო ამერიკელი, ფრანგი ან ნებისმიერი სხვა მათი მოკავშირე. მიანარცხე კლდეს ან მოკალი დანით ან გადაუარე მანქანით ან გადმოაგდე სიმაღლიდან ან დაახრჩე ან მოწამლე ... თუ არ შეგიძლია ამის გაკეთება მაშინ დაუწვი სახლი, მანქანა ან ბიზნესი. ან გაანადგურე მისი მოსავალი თუ არ შეგიძლია ამის გაკეთება მაშინ სახეში შეაფურთხე.“ [8]

ადნანის მოწოდებას დღემდე ასრულებენ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად სულ ბოლოს: 2017 წლის 31 ოქტომბერს, აშშ-ში მანჰეტენზე მომხდარი ტერაქტის დროს, როდესაც სატვირთო მანქანით „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერი ქვეითებს დაეჯახა, რვა ადამიანი დაიღუპა და სულ მცირე 11 პირი დაშავდა. [7]

დასკვნა. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები ცდილობდნენ შეექმნათ, რაც შეიძლება მკვეთრი ვიზუალური ეფექტი, იმდენად რამდენადაც, ტერაქტები გათვლილია მედიაზე, რომელიც მაქსიმალურად მოახდენს აღნიშნულის გასაჯაროებას, რაც თავის მხრივ, საზოგადოებაზე ზეგავლენის ეფექტური საშუალებაა, სახელისუფლებო წრეებსა თუ, რიგ შემთხვევაში, სამხედრო ძალებზეც შიშის გავრცელების თვალსაზრისით. ცივ და ცეცხლსასროლ იარაღთან ან საწამლავეთან შედარებით, ყველაზე შთამბეჭდავ ვიზუალურ ეფექტს მასშტაბური და სასტიკი აქტები განაპირობებს. მაგალითად, აფეთქება თავისი არსით უკვე შთამბეჭდავია, აფეთქების შედეგად არსებული ნანგრევები, კი დიდი ხნის განმავლობაში ახსენებს საზოგადოებას მომხდარი ტერაქტისა და მისი ტრაგიკული შედეგების შესახებ. ისევე როგორც, სისასტიკით განხორციელებული ტერაქტები (მაგალითად: თავშეყრის ადგილებში, რომელსაც უამრავი უდანაშაულო მოქალაქის, მათ შორის ბავშვებისა და მოზარდების სიცოცხლე ეწირება), განსაკუთრებულ შიშსა და დაუცველობის განცდას იწვევს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობაში. გარდა ამისა, მსგავსი სისასტიკითა და მასშტაბურობით განხორციელებული აქტები უფრო მეტად აბოროტებს მტერს, რაც აძლიერებს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას. დასავლეთის

კონტრქმედებები, კერძოდ: საჰაერო თავდასხმები, რომლებსაც სირიასა და ერაყში სამოქალაქო პირების სიცოცხლე ეწირება, მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებში „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდაჭერას განაპირობებს საერთო მტრის წინააღმდეგ. რაც შეიძლება ითქვას, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ინტერესებშიც შედის, მაგალითად: სირიაში მიმდინარე ომის დროს, როდესაც აშშ-ის კოალიციური ძალებიც ახორციელებდნენ თავდასხმებს, მსოფლიოს მასშტაბით „ისლამურმა სახელმწიფომ“ მრავალი მხარდამჭერის რეკრუტირება შეძლო. რაც, გარკვეულწილად, გლობალური ტერორიზმის ისტორიაში აპრობირებული მეთოდია, მაგალითად: ალ-კა'იდამ ბინ ლადენის მეთაურობით 9/11 ტერაქტის მეშვეობით აშშ-სა და ნატო-ს ძალების ავღანეთში შეჭრის პროვოცირება მოახდინა, რასაც ავღანეთში მუჯაჰიდების გაერთიანება და ორგანიზება მოჰყვა. აღნიშნულმა კი თავის მრივ ხელი შეუწყო მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ალ-კა'იდას პოზიციების გაძლიერებასა და „თანამომხმე“ მუსლიმების სოლიდარობას.

ლიტერატურა:

1. DABIQ.1435, DHUL-HIJJAH, RAMADAN, 1436 DHUL-QA'DAM, 1437 SHA-WAL , 1, 4, 11, 15 ISSUE
2. A MESSAGE FROM SOTLOFF .DABIQ.1435, DHUL-HIJJAH. 4 ISSUE.. pg. 47-48;
3. <https://jihadology.net/category/al-%E1%B8%A5ayat-media-center/page/2/>
4. <https://www.youtube.com/watch?v=0zRK6vVdEow&feature=share>
5. <https://news.un.org/en/story/2018/03/1004802>
6. <http://www.start.umd.edu/>
7. <http://edition.cnn.com/2017/11/01/us/new-york-attack/index.html>
8. <https://www.youtube.com/watch?v=TnPpz9MfbJ8>

*Tsitsino Jakhveladze, Doctoral student
Georgian Technical University*

‘Islamic State’s Propaganda Machine

Summary

We may say that in the history of the global terrorism, ‘Islamic State’ has used online propaganda like no other terrorist organization.

By using anti-Western propaganda, social media, mobile applications, indoctrination of children and youth, ‘Islamic State’ recruited more than 30 000 fighters in the Middle East as well as in the rest of the world.

Key Words: “Islamic State”, propaganda, social media, “dabiq”, indoctrination, jihadist.

სამაგთმცოდნეობა

L A W

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის გამომწვევი ფსიქოლოგიური ფაქტორები

*ოთარ ხინიკაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეძღვნება არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის გამომწვევ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს და გარდამავალ პერიოდს ბავშვობასა და სიმწიფეს შორის - მოზარდობას, რომელიც ხასიათდება ისეთი უსწრაფესი ბიოლოგიური ცვლილებებით და განვითარების ტემპებით, რომ ამ მხრივ ემბრიონულ და ჩვილობის პერიოდს უახლოვდება. სტატიაში წარმოჩენილია ის პროცესი, როდესაც მოზარდები განიცდიან ფრუსტრაციას და სწორედ ამ პერიოდში აწყდებიან უამრავ სირთულეს და შესაძლებელია შედეგად მივიღოთ სტრესი, დეპრესია და სხვა ნერვიული თუ ფსიქიკური დარღვევები.

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, თუ რაოდენ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს მშობლების სწორი მიდგომა აღზრდის პროცესში მოზარდებისადმი, რომელიც მათ ეხმარება ასაკობრივი პერიოდის სიმწიფეების გადალახვაში.

სტატია, ასევე, ყურადღებას ამახვილებს მოზარდის როლზე, რომელიც გულისხმობს პასუხისმგებლობას სხვა ადამიანებზე (მაგალითად, გუნდის წევრებზე ან უმცროს და-ძმაზე). ეს როლი შეიძლება დაეხმაროს მოზარდს პრიორიტეტების განსაზღვრაში, რათა ისწავლოს უფრო მოქნილი რეაგირება პრობლემებსა და კრიზისებზე.

სტატიის მიზანს წარმოადგენს დეპრესიის არსებობის გამოვლენა მოზარდებში, რომელიც სხვადასხვა სიმპტომებშია გამოხატული და საჭიროა

ამ სიმპტომების კარგი ცოდნა, რომ მოხდეს მოზარდებში დროული დახმარება საჭიროების შემთხვევაში. იმისთვის, რომ მათ ეფექტურად და წარმატებით გადალახონ ეს კრიზისი, აუცილებელია მოზარდების მხრიდან გულისხმიერი და ყურადღებიანი მოპყრობა.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანი, ფსიქოლოგიური ფაქტორი, ფრუსტრაცია, სტრესი, დეპრესია, ნერვული და ფსიქიკური დარღვევები, სიმპტომები, კრიზისი.

შესავალი

გარდამავალი პერიოდი ბავშვობასა და სიმწიფეს შორის- მოზარდობა ხასიათდება ისეთი უსწრაფესი ბიოლოგიური ცვლილებებით და განვითარების ტემპებით, რომ ამ მხრივ ემბრიონალურ და ჩვილობის პერიოდს უახლოვდება. ზრდისა და განვითარების პროცესებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოზარდები განიცდიან მწუხარებასაც და სიხარულსაც. ისინი გამუდმებით აფასებენ საკუთარ თავს, სხვებს და თავიანთ „მე“-ს ხატს ამოწმებენ.

ისევე, როგორც განვითარების ყველა ეტაპს, მოზარდობასაც აქვს თავისი სიმძნელები, რომლებიც საჭიროებენ ახალ უნარებს და აქვს თავისი ამოცანა - „მიზანი“, რომელსაც იგი ემსახურება. აქ უნდა გამოვყოთ ორი ასეთი მიზანი: 1. მშობლებისგან გამოყოფა, დამოუკიდებლობის და ავტონომიის მიღწევა და 2. იდენტურობის ჩამოყალიბება, რაც ნიშნავს შემოქმედ და დამოუკიდებელ „მე“-ს, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული მოცემული პიროვნების სხვადასხვა ელემენტები. სანამ ეს ამოცანები საბოლოოდ განხორციელდება, მოზარდები ბევრჯერ განიცდიან ფრუსტრაციას „სამყაროში თავიანთი ადგილის ძებნისას“ (კრაიგი, 2004). ასეა თუ ისე, ეს პერიოდი არის შეზღუდული უფლებების, შესაძლებლობების ხანა და ამავდროულად არის ბილიკი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ. [2] ერიკსონის მიხედვით, ეს არის ეტაპი, რომელიც პიროვნებას აძლევს სხვადასხვა როლების შესწავლის და ექსპერიმენტირების საშუალებას. ეს მახასიათებლები მოზარდობის ასაკს ხდის წინააღმდეგობრივს. ამიტომ, რომ მათი ქცევაც წინააღმდეგობრივია - ესაა გასაოცარი შერწყმა სიმწიფისა და ბავშვობისა.

ძირითადი ნაწილი

მოზარდები თავიანთ თავს ადარებენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ მათ სქესთან დაკავშირებულ ნორმებს. ფაქტურად სწრაფვა - შეარიგო განსვლა რეალურსა და იდეალურს შორის, არის მოზარდობის ძირითადი პრობლემა. ამ შერიგების პროცესში მოზარდები გადაწყდებიან უამრავ სირთულეს, და შესაძლებელია შედეგად მივიღოთ სტრესი, დეპრესია და სხვა ნერვული თუ ფსიქიკური დარღვევა. ხშირად ხდება მოზარდების ფსიქოლოგიური ტრამვების

გადაფასება, რასაც თან ახლავს ორი პრობლემა: 1. ყველა მოზარდს აკრავენ ერთსა და იმავე „ფსიქოლოგიური ტანჯვის ქვეშ მყოფის“. იარლიყს. [10] 2. ზოგჯერ სერიოზულად არ უყურებენ იმ მოზარდების პრობლემებს, რომელთაც მართლა სჭირდებათ დახმარება, ფიქრობენ რა, რომ ეს პრობლემები არის განვითარების ნორმალური გამოვლენა. [2].

მიმდინარეობს უსასრულო დებატები თემაზე, თუ რა იწვევს ბავშვთა კრიმინალურ საქციელს და ვანდალიზმს. [5] ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ბავშვის თავის ტვინის ანატომიური დარღვევების შედეგია, ფსიქოლოგები და სოციოლოგები თვლიან, რომ ყველა პრობლემა მანკიერი სოციალური განათლების, არაადეკვატური საცხოვრებელი პირობების, არასწორი აღზრდის, სოციალური უნარ-ჩვევების ნაკლებობის, თანატოლების გავლენის და ოჯახის წევრებს შორის არასწორი ურთიერთობის შედეგია.

ბანდურას სოციალური დასწავლის მოდელის თანახმად, ანტისოციალური ქცევისას მოზარდები მაგალითს იღებენ საზოგადოების ანტისოციალური გმირებისგან, რომლებიც ერთგვარი პოპულარობით სარგებლობენ, მაგ. „კანონიერი ქურდები“. ასევე, შეიძლება ვისაუბროთ „ჰეროსტრატეს კომპლექსზე“ (ჰეროსტრატემ არტემიდას ტაძარი გადაწვა, საკუთარი სახელის ისტორიაში ჩასაწერად, მიზანს მიაღწია, დღეს იხსენებენ ცუდ კონტექსტში, მაგრამ მთავარია, იციან მისი არსებობის შესახებ, მისი მოტივიც ეს იყო), მოზარდები საზოგადოებაში მოდურობის მიზეზით სჩადიან ანტისოციალურ ქმედებებს, მთავარი მოტივია ამ შემთხვევაში: ალაპარაკოს საზოგადოება მასზე, მისი სახელი იცოდეს ყველამ. [6].

ასევე, შეიძლება მოზარდების ანტისოციალური საქციელის მიზეზი გახდეს მათზე მიწერილი როლები. შესაძლოა მოზარდმა სიტუაციის შესატყვისად განახორციელა აგრესიული ქცევა, განიცადა ფრუსტრაცია, იყო გაღიზიანებული, მიაყენეს შეურაცხყოფა, ხოლო თვითმხილველებმა მისი ერთჯერადი ქცევა განაზოგადეს მის პიროვნულ მახასიათებელზე, ჩათვალეს ასოციალურ პიროვნებად. მიწებებული როლი აიძულებს მოზარდს გაამართლოს ეს როლი. ასევე შესაძლოა ანტისოციალური ქცევის მიზეზი ავტორიტეტისადმი დაქვემდებარება გახდეს. მოზარდი, რომელსაც სოციალური ურთიერთობების მოთხოვნილება აქვს, ხშირად ხვდება ანტისოციალურ ჯგუფში, სადაც გაბატონებულია ნორმები და წესები, რომელთა გათავისება მისი ჯგუფის წევრად მიღებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ნორმები გადაეცემა ჯგუფის წევრების ერთი თაობიდან მეორეს და ადამიანების ქცევაზე გავლენას ახდენენ მაშინაც კი, როდესაც უკვე აღარ არსებობს ჯგუფი, რომელმაც ისინი შეიმუშავა. [8].

სხვადასხვა მიზეზების გამო, მოზარდები უფრო მოწყვლადნი არიან სტრესისადმი, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. სტრესი არის სხვადასხვაექსტრემალური ზეგავლენის (სტრესორი) საპასუხო დადმოცენებული

რეაქციების, მდგომარეობების ფართო წრე. მოზარდობაში სტრესის წყარო ხდება სხეულის ფიზიკური ცვლილებები, ინდივიდუალურობის ძებნის დაწყება, გამოცდები, მშობლების მაღალი მოთხოვნები სასწავლო მოსწრებისადმი, პრობლემები გოგონების და ბიჭების ურთიერთობებში, არათავდაჯერებულობა, აუცილებლობა იზრუნო უმცროს და-ძმაზე, აკრძალულისკენ სწრაფვა, არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის. [7]

თუ ვერ მოხერხდება სტრესის დამლევა, სტრესორების ზემოქმედების გადალახვა, შესაძლოა მოზარდს განუვითარდეს დეპრესიული მდგომარეობა.

მოზარდობის პერიოდის ფსიქიკური აშლილობების კვლევებში გამოვლინდა დეპრესიის საკმაოდ დაბალი სიხშირე ზომიერიდან მძიმე ხარისხამდე, რომლის დროსაც სიმპტომები შეიძლება წარმოადგენდნენ სასიცოცხლო საფრთხეს. ერთ-ერთ კვლევაში, რომლის შედეგებიც მიუთითებენ მოზარდობის ასაკში დეპრესიის ზრდაზე, აღმოჩნდა, რომ ამგვარი დარღვევების მქონეთა რიცხვი სტაბილურად დაბალია და იზრდება, პიკს აღწევს 16- დან 19 წლამდე. [3].

შინაგანი და გარეგანი სტრესების საპასუხოდ აღმოცენებულ დეპრესიას მოზარდობის პერიოდში ხშირად თან ახლავს სხვა ფსიქიკური აშლილობებიც. დეპრესიული და შფოთვისითი აშლილობები ხშირად ერთდროულად და ერთად გვხვდება, ისევე, როგორც დეპრესიული და ქცევითი აშლილობები. მაგ.: დამანგრეველი, დესტრუქციული ქცევა, კვებითი დარღვევები: ანორექსია და ბულემია. დეპრესია - ეს არის მწუხარების, ნაღველის, სევდის, დათრგუნული გუნება-განწყობილების და ცუდი ფიზიკური თვითგანცდის მდგომარეობა. დეპრესიას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ნერვულ- ფსიქიკური დაავადებების დროს. დეპრესიული ავადმყოფების დიდი ნაწილი მიდრეკილია თვითმკვლელობისკენ მათი „მოუწონებელი“ არსებობის გამო.

კლინიკურ ფსიქიატრიაში დეპრესიები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ენდოგენური, შიგნიდან მომდინარე, შინაგანი სამყაროდან წარმოქმნილი და რეაქტიული ან ეგზოგენური-გარედან მომდინარე, როგორც რეაქცია ფსიქოლოგიურად მატრამვირებელ მოვლენებზე. იმის გამო, რომ მოზარდი ხშირად არის მოღუშული, ძნელია გავიგოთ, როდის იმყოფება ის ნამდვილად დეპრესიის მდგომარეობაში. მაგალითისთვის მოვიყვან ერთი მოზარდის სიტყვებს, თუ როგორ აღწერს ის თავის განცდებს დეპრესიის დროს: “ყველა ჩემი აზრი ნეგატიური იყო, თუ ჩემს თავზე ვფიქრობდი, მძულდა საკუთარი თავი, თუ ვფიქრობდი სხვა ადამიანებზე, მძულდა ისინი. არაფრის კეთება არ მინდოდა, რადგანაც ყველაფერი უაზრობად და არასაჭიროდ მეჩვენებოდა. მე არ შემეძლო ადამიანების საზოგადოების ატანა და არ შემეძლო ჩემს თავთან მარტოდ დარჩენა. გამუდმებით ვფიქრობდი ერთსა და იმაზე. ვიცოდი, რომ ადამიანები ცდილობდნენ ჩემს დახმარებას, მაგრამ მე ისინი მხოლოდ მაღიზიანებდნენ. ვიცოდი, რომ არაგონივრულად ვიქცეოდი, მაგრამ არ შემეძლო შეჩერება”. [8]

იმისთვის, რომ გავაკონტროლოთ და განვსაზღვროთ სტრესული მდგომარეობა, უნდა ვიცოდეთ რაში ვლინდება ის და დროულად უნდა შევამჩნიოთ სიმპტომები. მოზარდის სტრესის ნიშნები: ჭამის და კვების პრობლემები, ნერვული ჩვევები, გადამეტებული დღის ძილი ან უძილობა, აწეული გაღიზიანებადობა, ფიზიკური გამოფიტვა, უყურადღებობა საკუთარი გარეგნობაზე ზრუნვისადმი, საუბრები თვითმკვლელობაზე. ბევრი თინეიჯერი რეაგირებს სტრესზე ჩაკეტილობით, განმარტოებით, ან იწყებს ამბოხებას.

პუბერტატში მიმდინარე ბიოლოგიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებს სჭირდებათ გარკვეული ფსიქიკური ადაპტაცია. აქ ჩვენ განვიხილავთ დაცვით ფაქტორებს და კოპინგ - ქცევას.

დაცვითი ფაქტორები: არსებობს სამი ფაქტორი, რომელიც მოზარდებს ეხმარება ამ ასაკობრივი პერიოდის სიმძნელების გადალახვაში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი ძალზე დაბალია ან საერთოდ არ არის დაწესებული, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება აზრს კარგავს. ამიტომ, “პეკინური წესები”, საჭიროდ მიიჩნევა, რომ საერთაშორისო მასშტაბით დაწესდეს მისაღები ქვედა ასაკობრივი ზღვარი. [4]. ხოლო სიმძნელების გადალახვის პერიოდში პირველი არის კარგი ურთიერთობა მშობლებთან, რომელიც ერთგვარი ფარის როლს ასრულებს სტრესების შემთხვევაში. მხარდამჭერი და დამცველი ურთიერთობები უდიდეს როლს ასრულებს დისტრესების თავიდან აცილებაში. მეორე ფაქტორი არის უნარების ან გამოცდილების განსაკუთრებული სფერო მაგ. სპორტი, მუსიკა ან სასკოლო საგანი, რომელიც თინეიჯერს აძლევს თავდაჯერებულობის რეალურ საფუძველს. მესამე ფაქტორი კი არის როლი, რომელიც გულისხმობს პასუხისმგებლობას სხვა ადამიანებზე (მაგ. გუნდის წევრებზე ან უმცროს და-ძმაზე). ეს როლი შეიძლება დაეხმაროს მოზარდს პრიორიტეტების განსაზღვრაში და ასწავლოს უფრო მოქნილი რეაგირება პრობლემებსა და კრიზისებზე.

სტრესის დამლევის სტრატეგიები: მოზარდები იყენებენ ქცევის სხვადასხვა ფორმებს თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. პოზიტიური სტრატეგიები, როგორიცაა ზედმიწევნითი დაგეგმვა და ორგანიზება, პრიორიტეტების დადგენა ან ახლო მეგობრის მოძებნა მხარდამჭერისთვის, შეიძლება დაეხმაროს მოზარდს ზომიერი სტრესისგან გათავისუფლებაში. თუ მოზარდი განიცდის ძლიერ სტრესს, იზრდება ნეგატიური დაცვითი სტრატეგიების გამოყენების ალბათობა. კვლევებიდან ჩანს, რომ ფსიქიკური დამოკიდებულების გამომწვევი ნივთიერებების გამოყენება, მემამოხეობა და “გამოთიშვა”- ყურადღების გადატანა არის ძირითადი ხერხები, რომელსაც მოზარდები იყენებენ აღმოცენებულ დამაბულობასთან გამკლავებისას. მოზარდები სიგარეტის და ალკოჰოლის მოხმარების მიზეზად ასახელებენ სტრესის ინტენსივობის

შემცირებას. მთლიანობაში, ძლიერ სტრესთან შეჯახებისას მოზარდები იშვიათად იყენებენ სტრესის აქტიური დაძლევის სტრატეგიებს. პირდაპირი და აქტიური ბრძოლისთვის მათ ხშირად არ ყოფნით პიროვნული რესურსები. [1]

თუმცა, საინტერესოა დევიაციური ქცევის მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური თავისებურებები. განვიხილოთ ქცევის დარღვევები და მისი დამახასიათებელი შედეგები. პირველ რიგში გავნმარტოთ რა არის ქცევის დარღვევა?

ქცევითი დარღვევა ტერმინია ბავშვებისა და მოზარდების ისეთი ანტისოციალური ქმედებების აღსანიშნავად, რომლებიც ზიანს აყენებს სხვა ადამიანს, სხვის და საკუთარ ქონებას და ქრონიკული ხასიათი აქვს.

ქცევითი დარღვევისათვის დამახასიათებელია შემდეგი:

- ნაკლებად ემორჩილება მკურნალობას;
- ქცევის პრობლემების მქონე ბავშვთა 60%-ს ცუდი პროგნოზი აქვს - კრიმინალური ქცევა, ასოციალური პიროვნული აშლილობა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმის მიდრეკილება (რისკ ჯგუფია);
- ქცევითი აშლილობის მქონე პიროვნების მიერ აღზრდილ ბავშვს ქცევის პრობლემების აღმოცენების დიდი ალბათობა აქვს;

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოპოზიციურ-დევიანტური ქცევითი დარღვევის კრიტერიუმები DSM_IV -ის მიხედვით.

ა) ნეგატიური, მტრული და დაუმორჩილებელი ქცევის ხასიათი, რომლებიც მინიმუმ 6 თვე გრძელდება და შემდეგი ნიშნებიდან 4 მათგანი მაინცაა სახეზე:

- ხშირად გამოდის წყობიდან;
- ხშირად ეპასუხება უფროსებს;
- ხშირად არ ემორჩილება უფროსების მოთხოვნებს და წესებს;
- ხშირად გამიზნულად აბეზრებს თავს სხვებს;
- ხშირად სხვებს აბრალეbs საკუთარ შეცდომებს და უწესო ქცევას;
- ხშირად სწყინს და ღიზიანდება;
- ხშირად იპყრობს აღშფოთება და სიბრაზე;
- ხშირადაა ღვარძლიანი, ავი და შურისმაძიებელი.

ბ) ქცევის დარღვევა იწვევს კლინიკურად მნიშვნელოვან დარღვევას სოციალურ, აკადემიურ ან შრომით საქმიანობაში.

გ) ეს ქცევები არ აღმოცენდება მხოლოდ ფსიქიკური მდგომარეობის ან გუნება-განწყობის დარღვევის დროს.

დ) ეს კრიტერიუმები გამორიცხავს ქცევით აშლილობას, ან თუ პიროვნება 18 წელზე უფროსია – ანტისოციალურ პიროვნულ აშლილობას.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, მოზარდობის ასაკისთვის დამახასიათებელ პრობლემებზე საუბარი არ შეიძლება ცალსახად, სტერეოტიპებზე დაყრდნობით. მოზარდები

არ არიან უბრალოდ მეამბოხეები ან აგრესიულები, უბრალოდ მოწყენილები, სევდიანები, განმარტოვებულები ან ჩაკეტილები. ეს არის განვითარების ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელსაც თან ახლავს ფსიქოლოგიური, სოციალური და ქცევითი სირთულეები, რომლებიც კომპლექსურ ურთიერთკავშირშია. ამდროს მოზარდები შესაძლოა განიცდიდნენ სტრესებს და დეპრესიებს. მოზარდების ფსიქოლოგიურ პრობლემებს შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს და ეს მიზეზები ინდივიდუალურია, იცვლება სქესთან დამოკიდებულებაში, ისევე, როგორც დეპრესიის სიმპტომები. დეპრესიის არსებობა სხვადასხვა სიმპტომებში ვლინდება და საჭიროა ამ სიმპტომების კარგი ცოდნა, რომ მოხდეს მოზარდების დროული დახმარება საჭიროების შემთხვევაში. იმისთვის, რომ მათ ეფექტურად და წარმატებით გადალახონ ეს კრიზისი, აუცილებელია მოზარდების მხრიდან გულისხმიერი და ყურადღებიანი მოპყრობა.

ლიტერატურა:

1. Mates, D., & Allison, K. R. (1992). Sources of stress and coping responses of high school students. *Adolescence*;
2. ღლონტი გ. და ავტორთა კოლექტივი. 2003. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა: აშშ & საქართველო. თბილისი, პოლიგრაფი;
3. ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011წ. ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (“იუნისეფი”) www.unicef.ge 03.04.2018 წ.
4. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინის წესები“) მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/33 რეზოლუციით. <http://www.mcla.gov.ge/> 17.06.2018 წ.
5. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ II. თ., 2007.
6. არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია (unicef)
7. „ბავშვის უფლება მოუსმინონ“, პრ. 32-39.
8. ა.გაბიანი, ლ. ღვენეფაძე, „არამართლზომიერი ქცევა ქუჩის მოზარდებში“-., აღმანახი 1998 № 4“
9. ი. გოძიაშვილი „არასრულწლოვანთა დანაშაულობის ფორმირებისა და მასზე კონტროლის მექანიზმის დაწესების შესახებ“ „უწყებანი 1997“
10. ლ. ფაფიაშვილი; არასრულწლოვნები; ჟურნალი “საქართველოს პარლამენტი”; 2007

Psychological Factors Causing Delinquency Among Juveniles

Summary

The present article is dedicated to psychological factor causing delinquency among juveniles and the transitional period of juveniles. This is the period between childhood and maturity-adolescent, which is characterized by such rapid biological changes and the pace of development that approaches to the embryonic and infant period. Also, the process is shown when adolescents suffer from frustration and in this very period of their development they face many difficulties. Consequently, it is possible to get stress, depression and other nervous and mental disorders.

The results of research of the present article show how important issue can be parents right attitude towards their children during the process of upbringing. The right attitude of parents help them to overcome the obstacles arisen during the age of adolescent.

The article also draws attention to the role of a teenager/adolescent, who implies responsibility for other people (such as team members or younger siblings). This role can help the adolescent to determine the priorities and learn more flexible response to problems and crises.

The aim of the article is to identify the existence of depression in teenagers, which are expressed in different symptoms and the good knowledge of these symptoms is necessary, in order to take an adequate care of adolescents in case of necessity. In order to overcome existing crises effectively and successfully, thoughtful and tactful attitude towards adults is must.

Key words: *adolescent, psychological factor, frustration, stress, depression, nervous and psychological disorders, symptoms, crisis.*

ფსიქოლოგია

PSYCHOLOGY

ემოცია და აგრესიის მართვის ტექნიკა

*ლია მეტრეველი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

„ვნებები (ემოციები), ის ქარებია, რომელიც
აგუბებს ადამიანის მღელვარე ფიქრებს და
შუა ზღვაში მოუხმობენ, შეიძლება წარმატე-
ბითაც დამთავრდეს ეს მოგზაურობა, მაგრამ
შეიძლება ჩაიძირონ კიდეც.“

ვოლტერი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია, ემოციისა და აგრესიის მართვის ტექნიკა. ადამიანი როგორც ბიოსოციალური არსება, რამდენიმე არსებითი კომპონენტისგან შედგება. მათ შორის არის ემოციები.

ვფიქრობ, ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია ემოციების გარეშე. მათ გარეშე ცხოვრება ძალიან მოსაწყენი იქნებოდა, რადგანაც ისინი ჩვენს ყოფას ბევრად უფრო საინტერესოს და შინაარსიანს ხდიან. თუმცა, ამავდროულად ემოციებს შეუძლიათ გაანადგურონ კიდეც ჩვენი ფსიქიკა, ჯანმრთელობა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩვენ ემოციური აფეთქების ზღვართან მივალთ და მისი მართვის სადავეებს ხელიდან გავუშვებთ. ალბათ, ძნელია მოიძებნოს ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ მდგარა აღნიშნული საფრთხის წინაშე.

შესაძლებელია თუ არა ემოციების და აგრესიის კონტროლი, მათი მართვა და ემოციური აფეთქების საფრთხის თავიდან აცილება, თუ უნდა შევევუთ

იმას, რომ ემოციები ჩვენზე ძლიერია, დომინირებს ჩვენს ქცევაზე და არაფრის გაკეთება შეგვიძლია. მიუხედავად იმისა, რომ ემოციების მართვა ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის ტიპოლოგიურ თავისებურებებზე, მაინც თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს უნარი გამომუშავებადი და აღზრდადია.

საკვანძო სიტყვები: ემოცია, აგრესია, ბრაზი, გაღიზიანება, ფსიქოლოგიური პრობლემები.

შესავალი

ბრაზი ემოციის ერთ-ერთი სახეა. წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ შეგვეძლოს მხოლოდ ფიქრი და არა გრძნობების ქონა. ყველა ემოციას თავისი გამოხატულება გააჩნია. აგრესიაც სწორედ ემოციის გამოხატვის ფორმაა. ბრაზის გამოხატვა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, ზოგი მათგანი კონსტრუქციული და საზოგადოებისთვის მისაღებია, ზოგი კი დესტრუქციული. გამოხატვაზე კონტროლის დაკარგვამ შესაძლოა გამოიწვიოს დესტრუქციული ქცევა, რაც აზიანებს სამსახურებრივ, პიროვნებათშორის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

გაღიზიანების მიზეზი შეიძლება იყოს ძირითადი საბაზისო მოთხოვნილებები. მაგ: საკვების ნაკლებობა, თავშესაფრის არქონა, არასაკმარისი ძილი, პარტნიორთან დისჰარმონიული ურთიერთობა, ეკონომიური პრობლემები, მარცხი/იმედგაცრუება, გადაღლილობა, სტრესი, უსამართლობა და სხვა.

ძირითადი ნაწილი

გაბრაზებამ, ისევე როგორც სხვა ემოციებმა, შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური ცვლილებები: გაზრდილი გულისცემა, წნევის ცვალებადობა, ჰორმონების დისბალანსი, იმუნური სისტემის დარღვევა, ძილის პრობლემები და ა.შ. თუ ეს ფიზიკური ცვლილებები დიდხანს გაგრძელდა, ჯანმრთელობისთვის შეიძლება საზიანო და დამანგრეველი აღმოჩნდეს.

სიბრაზე, რომელიც ადამიანში რჩება თავის მხრივ შეიძლება ფსიქოლოგიური პრობლემების მიზეზი გახდეს. ესენია: დეპრესია, დაბალი თვითშეფასება, თვითდაზიანება, ნივთიერებაზე დამოკიდებულება, კვებითი დარღვევები და ა.შ.

ემოციის ფუნქციები. ემოციები ხშირად იძლევიან იმპულსს მოქმედებისთვის. ემოციებს აქვს მოტივაციის ფუნქცია, იწვევს ადამიანში მოქმედების განხორციელების სწრაფვას, რეალურად განცდილი მოვლენების საპასუხოდ. ემოციები წარმართავენ ქცევას გარკვეული მიზნებისთვის.

არსებობს ემოციები, რომელსაც ჩვენზე გაბატონება და გაკონტროლება ხელეწიფება. ძალიან სუსტმა ან ძლიერმა ემოციამ შეიძლება დააქვეითოს მოქმედების შესრულების ხარისხი. ზედმეტად სუსტი ფიზიოლოგიური სტიმულაციის შემთხვევაში, შესაძლოა ვერ მოახერხოთ თქვენი ქცევის ეფექტურად

ორგანიზება. ზედმეტად ძლიერი სტიმულაციის დროს, შესაძლოა ემოციამ გადაფაროს კოგნიცია (სწორად გადაწყვეტილების უნარი). აგრესიაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას:

➤ გუნება განწყობილება

როდესაც ადამიანებს თავს კარგად აგრძნობინებენ, მაშინ უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი ნაკლებად აგრესიულები იყვნენ. კვლევით დადასტურდა, რომ ის ცდისპირები, რომლებიც ცუდ გუნება-განწყობილებაზე იყვნენ, აგრესიის დონე უფრო მაღალი ჰქონდათ. ამდენად, უარყოფით ემოციას შესაძლებელია უარყოფითი რეაქცია ჰქონდეს.

➤ ძალადობრივი ფილმების ყურება

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მედიის საშუალებით ძალადობის ხშირი ჩვენება წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებაში აგრესიულობის მაღალ დონეს. დღეისათვის სოციალურ ფსიქოლოგიაში არის ასეთი მოსაზრება, რომ სუბიექტები, რომლებიც უყურებენ ე.წ. ძალადობის ფილმებს, ძალადობის უფრო მაღალ დონეს ამჟღავნებენ, ვიდრე ისინი, რომლებიც არ უყურებდნენ ასეთ ფილმებს.

➤ ჰორმონალური განსხვავება

ჰორმონალური განსხვავებები შესაძლოა ქმნიდნენ აგრესიული ქცევისადმი გარკვეულ ზეგავლენას. ტვინის გარკვეული სტრუქტურები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ემოციების გამოხატვასა და რეგულირებაში. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სეროტონონის (ბედნიერების ჰორმონი) არასათანადო დონემ, შესაძლოა გააუარესოს ტვინის შესაძლო ბლომები ნეგატიური ემოციების გამოხატვასა და იმპულსური ქცევის რეგულირებაში. განსხვავებული პიროვნული პროფილის მქონე ადამიანები განსხვავებული სახის აგრესიას ავლენენ.

➤ ტემპერატურა

არსებობს თუ არა კავშირი ტემპერატურასა და აგრესიას შორის? ამაზე ნათლად მეტყველებს კვლევა, რომელიც ჩატარდა მინეაპოლისში, (მინესოტის შტატი) რომელშიც გამოკვლეული იყო ტემპერატურის გავლენა ბოლო ორი წლის განმავლობაში მომხდარ თავდასხმებზე. ყოველივე ამას, 36617 აღრიცხული თავდასხმის ანალიზი უდევს საფუძვლად. როგორც ვხედავთ ტემპერატურასა და აგრესიას შორის კავშირი არსებობს.

აგრესიის მართვა - სიბრაზის კონტროლი. განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული ემოციისა და შესაბამისად აგრესიის მართვა.

პირველ ეტაპზე საჭიროა პრევენციული მეთოდების გამოყენება. პრევენციული მიდგომა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს 3 დონეზე.

1. საჭიროა შემცირდეს იმ მოვლენების რიცხვი, რომელიც ახდენს აგრესიის დასწავლას. ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც პირდაპირი მოდელირების შეზღუდვა (მაგალითად მშობლების მიერ ერთმანეთის მიმართ აგრესიის

გამოვლენა, რომელსაც ხედავს ბავშვი), ასევე ირიბი მოდელირების შეზღუდვა (ძალადობრივი მედიის შეზღუდვა)

2. საჭიროა შემცირდეს იმ მოვლენების რიცხვი რომელშიც მოზარდი კითხულობს შემდეგ შეტყობინებას - აგრესიის გამო შესაძლოა მიიღო ჯილდო.

3. საჭიროა შემცირდეს ისეთი მოვლენები, რომელიც ადამიანს ასწავლის მტრულ აღქმას.

ძილი - უმნიშვნელოვანესი პროცესია. ის დაგვეხმარება ბევრ ფიზიკურ, გონებრივ და ემოციურ პრობლემებთან ბრძოლაში, მათ შორის აგრესიის გამოვლენის შემცირებაში. როდესაც ჩვენ გვძინავს, სხეული და გონება აღადგენს დაზიანებულ უჯრედებს, ხელს უწყებს ნერვული სისტემის სწორ ფუნქციონირებას. ჩვენ ყოველი კარგად გამოძინების შემდეგ თავს უკეთ ვგრძნობთ ხოლმე. ხარისხიანი ძილის ოპტიმალური დრო დაახლოებით 7-8 საათია, თუმცა ინდივიდუალურია და შეიძლება მეტ-ნაკლებად იცვლებოდეს.

„რთული“ საუბრების დაგეგმვა - იმ საუბრისათვის, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს აგრესია, შეეცადეთ წინასწარ გააკეთოთ შენიშვნები. ჩამოწერეთ კითხვები, თუ რა გინდათ, მშვიდად და მტკიცედ აკონტროლეთ სიტუაცია. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ არ შეგვიძლია სხვების გრძნობების მართვა. შეეცადეთ იყოთ რეალისტები, თქვენ ვერ შეცვლით სხვა ადამიანების შეხედულებებს, მაგრამ შეგიძლიათ შეცვალოთ მათთან ურთიერთობა დადებითი კუთხით.

კათარზისი - ადამიანმა შეიძლება მოახდინოს საკუთარი გრძნობის ტრანსფორმაცია, ანუ გადატანა შედარებით კონსტრუქციული ქცევაში. შეუძლია ჩაიძიროს თავის სამუშაოში, ან გააკეთოს რამე, რაც სოციალურად მისაღებია და მოითხოვს დიდ ენერგიას. ასეთი ქცევა ამცირებს გაბრაზების გრძნობას და ახდენს აგრესიის შემცირებას, რომელსაც ვუწოდებთ კათარზისს.

კოგნიტური რესტრუქტურირება - კონგიტური რესტრუქტურირება მარტივად ნიშნავს ფიქრის მეთოდის შეცვლას. ადამიანი არის არსება, რომელსაც აზროვნებითვე შეუძლია საკუთარი აზროვნების პროცესის შეცვლა. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც უსაზღვრო შესაძლებლობებს გვაძლევს. როდესაც გაბრაზებულები ვართ, ჩვენ შეიძლება ფიქრისას გავაზვიადოთ და მოვახდინოთ ფაქტის დრამატიზირება. სცადე შეცვალო შენი აზრები რაციონალური აზროვნების მიმართულებით. ნაცვლად იმისა, რომ უთხრა საკუთარ თავს “ეს საშინელებაა, საზარელია, ყველაფერი დანგრეულია,” თქვი - “ეს ხელის შემშლელია და გაუგებარია, რომ მე გაბრაზებული ვარ ამის გამო, მაგრამ ეს არ არის სამყაროს დასასრული”.

შენი გარემოს ცვლილება - ზოგჯერ ჩვენი მოულოდნელი გარემომცველი ვითარება გაღიზიანების და გაბრაზების მიზეზს გვაძლევს. პრობლემებმა და პასუხისმგებლობამ შეიძლება დაგვამძიმოს და გვაგრძნობინოს, რომ “ხაფანგში”

ვართ. მიეცი თავს შესვენების საშუალება. დარწმუნდი, რომ შენ გაქვს გარკვეული “პიროვნული დრო”, აღნიშნული მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, ისეთი დღის დაგეგმვისას, რომელიც განსაკუთრებულად სტრესულია. მძიმე სამუშაო დღის შემდეგ საჭიროა 15 წუთი შესვენება და ყველასაგან იზოლაცია, სიმშვიდე, რაც მნიშვნელოვან შეღავათს წარმოადგენს თქვენთვის. ამგვარი მცირე შესვენების შემდეგ პიროვნება გამოიყურება უკეთესად მიიღოს ახალი კონტაქტები და ინფორმაცია.

დახმარებები და ტექნიკები აგრესიის კონტროლისათვის. უპირველეს ყოვლისა საჭიროა გაცნობიერდეს თუ რა შედეგი მსურს მივიღო.

1. “აიღე შესვენება” - დაითვალე 10_მდესანამრეალურქცევასგანახორციელებ, რა შემთხვევაშიც შეიძლება დაიცალოს, შემცირდეს დაძაბულობა და თქვენი რეაქცია მეტად იყოს სიტუაციის შესაფერისი.

2. “გამოყავი გარკვეული სივრცე” - დაშორდი იმ ადამიანისაგან, რომელიც იწვევს შენში სიბრაზეს, სანამ ფრუსტრაცია ოდნავ მაინც არ დაიკლებს.

3. „შეასრულე ფიზიკური სავარჯიშოები” - ფიზიკური აქტივობები უზრუნველყოფს ემოციების გამოსვლას, განტვირთვას და ხელს უწყობს რელაქსაციას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუდმივად სტრესული ფონია. საჭიროა გამამხნეველები სეირნობა ან სირბილი, ცურვა, ან სიმძიმის აწევა.

4. “მას შემდეგ რაც წყნარად ხარ, გამოხატე შენი აგრესია” - ჯამრთელობისთვის სასარგებლოა აგრესიის გამოხატვა კონტროლირებადი გზით.

5. “კარგად დაფიქრდი სანამ რამეს იტყვი” - სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენთვის ხელსაყრელია ვთქვათ რამე, რაც ჩვენ მწუხარებას და ბრაზს გამოხატავს. სასარგებლოა მოხდეს წინასწარ იმის ჩაწერა ან გააზრება, თუ რისი თქმა გვინდა. გაღიზიანებულ განწყობაზე შესაძლოა თავიც ვერ მოაბათ სათქმელს, ან აზრი არასწორად გამოხატოთ.

6. “გააიგივე სიტუაციების გადაჭრისათვის საჭირო გზები” - იმის ნაცვლად, რომ ფოკუსირება მოახდინო იმაზე თუ რამ ან ვინ გამოიწვია მწვავე გაბრაზება, იმუშავე იმ ადამიანთან ერთად, ვინც გაგაბრაზა, რათა გადაჭრა სადავო საკითხი.

7. გამოიყენე “მე” მტკიცებითი ფორმით, როდესაც აღწერ პრობლემას - ეს დაგეხმარება თავიდან აირიდო კრიტიკა და ბრალდება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სხვა პიროვნების გაბრაზება ან განაწყენება. იმის ნაცვლად, რომ თქვა: “შენ არ უნდა დაგერღვია წესები, რის გამოც მთელი ჯგუფი დავისაჯეთ”. სასურველია თქვა “მე გაღიზიანებული და ნაწყენი ვარ რადგან წესების დარღვევის გამო სერჟანტმა მთელი ჯგუფი დაგვსაჯა”:

8. “არ დაიტოვო უკმაყოფილება” - შენ შიგიძლია მიაწოდო და დაუფიქსირო სხვა ადამიანს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისმა საქცილმა გაგაბრაზათ, ან გული დაგწყვიტათ, ეს დაგეხმარებათ ორივეს. ნაკლებად რეალურია სხვისგან ელოდო ისეთ ქცევას, მაგალითად როგორიც შენ გინდა.

9. “გამოიყენე იუმორი, რათა განიტვირთო დამაბულობისაგან” - არ გამოიყენო სარკაზმი, იფიქრე - ამან შეიძლება დააზიანოს გრძნობა და საკითხი გაუარესდეს.

10. “პრაქტიკული რელაქსაციის უნარები” - ისწვალე და შეიძინე დასვენების უნარი. პრაქტიკულია ღრმად სუნთქვის სავარჯიშო, ვიზუალური დასვენების სცენა ან დამამშვიდებელი სიტყვების გამეორება ან ფრაზის საკუთარ თავში, მაგალითად: “მიიღე მარტივად”. აგრესიისაგან თავის დაღწევის სხვა საშუალებები მცირე გაბრაზებისას მოიცავს მუსიკის მოსმენას, ჟურნალების კითხვას და იოგის ვარჯიშებს.

11. იფიქრე რა შედეგი გასურს რომ მიიღო და შენი რა რეაქცია დაგეხმარება ამ შედეგის მიღებაში.

დასაკვნა

აგრესიის მართვისთვის საჭიროა გარკვეული უნარების განვითარება რაც ეხმარება ადამიანს უკეთ გააკონტროლოს საკუთარი თავი. პირველ რიგში საჭიროა გაცნობიერდეს გამომწვევი მიზეზები, მაგალითად სტრესი. გაცნობიერების შემდეგ უკვე იარსებებს მისი შემცირების შესაძლებლობა და შესაბამისად შემცირდება აგრესიის გამოვლენის ალბათობაც.

მოვლენის ობიექტივაცია - აგრესიის მართვისთვის მნიშვნელოვანია ემპათიის უნარის განვითარება. ემპათია შეიძლება ვთარგმნოთ როგორც თანაგანცდა. თანაგანცდის დროს ერთ პიროვნებას შეუძლია იგრძნოს ზუსტად ის შეგრძნებები რაც აქვს მეორეს. „სხვის ტყავში შესვლა“ არის საშუალება დაინახო საკითხი მეორე ადამიანის თვალით, რამაც შესაძლოა სრულიად განსხვავებული კუთხით დაგვანახოს არსებული სიტუაცია და შესაბამისად შემცირდეს აგრესია

საკუთარ თავთან საუბარი - გულწრფელობა საკუთარ თავთან იძლევა გამოსავლის ძიების ახალ შესაძლებლობებს. საჭიროა გაუმხილო შენს თავს თუ რამდენად ძლიერად გრძნობ აგრესიას, რამდენ ხანს გრძნობს აგრესიას და როგორ შეიძლება მისი გამოხატვა. ასევე გვეხმარება პოზიტიური განწყობის ქონა რაც გვეხმარება დავინახოთ ის ნათელი წერტილები რაც აქვს არსებულ სიტუაციას და ამ საშუალებით მცირედით გავანეიტრალოთ ბრაზის ემოცია.

პატიება - ალბათ ყველაზე რთული ტექნიკაა, ვინაიდან გვიწევს უარის თქმა ისეთ ემოციაზე როგორიცაა განაწყენება. გვიქვს მსხვერპლის მდგომარეობიდან გამოსვლარაც არც თუ კომფორტულია. ჯობია იყოს მსხვერპლი და სხვა ადამიანებს ეცოდებოდე, ზრუნავდნენ შენზე ვიდრე დაკარგო ეს მეორადი სარგებელი. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ პატიება არ ნიშნავს დავიწყებას. პატიება ნიშნავს მოვლენასთან დაკავშირებული ემოციის არ ქონას. მოვლენა თავისთავად რჩება მოვლენად რომელთანაც არანაირი შინაგანი დამოკიდებულება აღარ გვაქვს.

ლიტერატურა:

1. ზიმბარდო ფ., გერიგი რ. ფსიქოლოგია ჩვენს ცხოვრებაში. თბ. თსუ-ს გამომცემლობა. 2009;
2. სოლომონ თეზელაშვილი, ფსიქოლოგიის ლექსიკონი. თბილისი, 2007;
3. ელიოტ არონსონი - „სოციალური ცხოველი“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014;
4. ავტორთა კოლექტივი, ფსიქოლოგიის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, სტუ, 201;
5. Лоренц К. 1994. Агрессия. Москва Издательская группа “ПРОГРЕСС”
6. ქეთევან ოსიაშვილი, ინტერნეტგაზეთი, როგორ ვმართოთ ემოციები, 19 მარტი, 2018;

*Lia Metreveli, Associated Professor
Technical University of Georgia*

Emotion and Aggression Management Techniques

Summary

The article deals with emotions and aggressions management techniques. The human being as a biosocial creature consists of several essential components. And emotions are not exception among them.

I think, we cannot imagine our life without emotions. The life would be very dull without them, as they make our life more interesting and give it sense. However, at the same time emotions can destroy our health. It would happen in such cases if we approach to the emotional blast and loss the management of its control. Perhaps, it is impossible to find a person who has never been in certain danger.

It is interesting whether it is possible to control emotions and aggression, managing them and avoid emotional explosions, or we have to put up with the fact that emotions are stronger than us, they dominate our behavior and unfortunately we can do nothing. Despite the fact that emotional management depends on human typological peculiarities, we can claim that this skill can be developed and up brought.

Key words: *emotion, aggression, anger, irritability, psychological problems.*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

SCIENCE

მაგნიტური ანიზოტროპიის ექსპერიმენტული შესწავლის შედეგები

ზურაბ ჩაჩხიანი, ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლალიტა დარჩიაშვილი, ფიზიკის აკად. დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია RCO_5 სისტემის ნაერთების მაგნიტური ანიზო-ტროპიის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები. კერძოდ, განხილულია კუბური სიმეტრიის კრისტალებში მაგნიტური იონის ძირითადი მდგომარეობის ფორმირების მიზეზები. აღნიშნულია, რომ კვადრილეტს შეუძლია მცირე სიდიდის კუბური ანიზოტროპიის წარმოქმნა ძირითადი მდგომარეობის ტალღური ფუნქციების ურთიერთგადაფარვის გზით.

დაწვრილებით არის აღწერილი ძლიერი მაგნიტური ანიზოტროპიის კუბური კრისტალების ლალის (Al_2O_3) ტიპის ნაერთები. ნაჩვენებია მაგნიტური ანიზოტროპიის პარამეტრების მკვეთრი ცვლილებები თხევადი ჰელიუმის ტემპერატურის მახლობლობაში. შეფასებულია D_2 სიმეტრიის C პოზიციებში განთავსებული f იონების წვლილი ძლიერი მაგნიტური ანიზოტროპიის ფორ-მირებაში.

საკვანძო სიტყვები: ტალღური ფუნქცია, მულტიპლეტის გახლეჩვა, მაგნიტური მომენტი, ორბიტული სინგლეტი.

შესავალი

ერთდერძა მაგნიტური ანიზოტროპიის ნაერთებისგან გამოირჩევა სუფთა ლითონები და იშვიათმიწა ელემენტების ნაერთები. სუფთა თერბიუმს

აქვს ჰექსაგონური მჭიდრო წყობის (ჰმწ) მესერი გამოყოფილი c ღერძით. თუ მაგნიტურ ველს მოვდებთ ამ ღერძის მართობულად, მაშინ მაგნიტური მომენტის გაჯერებულობა საკმაოდ მალე მიიღწევა; ამავე დროს, c ღერძის გასწვრივ მოქმედი ველის შემთხვევაში 400 კე ველის დროსაც კი, დამაგნიტება ნაჯერი დამაგნიტების მხოლოდ 80%-ს აღწევს [1]. სხვა სიტყვებით, c ღერძის მართობულისიბრტყე, დამაგნიტების ადვილსიბრტყეს წარმოადგენს. ერთღერძა ანიზოტროპიის კონსტანტის გაზომვები გვაძლევს შედეგს $K_4 = 6 \times 10^8$ ერგ/სმ³. ანალოგიური სურათი დაიმზირება ჰმნ სტრუქტურის მქონე სხვა იშვიათმიწა ლითონებისთვისაც.

ძლიერი მაგნიტური ანიზოტროპია ახასიათებს იშვიათმიწა ელემენტების იმ ნაერთებსაც, რომელთა ლითონის იონს დაბალი სიმეტრიის პოზიცია უკავია. ამის მაგალითს წარმოადგენს იშვიათმიწა ელემენტთა (იმე) ნიტრატები და ქლორიდები, გიგანტური ანიზოტროპია ახასიათებს იმე-ს Co-თან ნაერთებს RCO_5 . ამ ნაერთებსაც (ჰმწ) სტრუქტურა აქვს. მათი ზოგიერთი მაგნიტური თვისებები მოყვანილია 1 ცხრილში [2].

კუბურ კრისტალთა მაგნიტური ანიზოტროპია გაცილებით მცირეა ერთღერძაზე (გამონაკლისს “შეადგენს ურანის მონოჰალკიდების კუბური კრისტალები, რომელთა თვისებებიც ქვემოთ იქნება განხილული).


ცხრილი 1

RCO_5 შენაერთის მაგნიტური ანიზოტროპია

შენადგენლობა	Ku_1 , OK-ზე, 10^6 ერგ/სმ	Ku_2 , OK-ზე, 10^6 ერგ/სმ
YCo_5	65	0
$CeCo_5$	55	0
$PrCo_5$	-70	180
$NdCo_5$	-400	150
$SmCo_5$	105	0

ეს გამოწვეულია იმით, რომ კუბური სიმეტრიის კრისტალში მაგნიტური იონის ძირითადი მაგნიტური მდგომარეობა “შეიძლება იყოს ან ტრიპლეთი იზოტროპიულ გ-ფაქტორით, ან კუადრილეტი [3]. ბოლო შემთხვევაში “შესაძლოა კუბური ანიზოტროპიის წარმოქმნა, მაგრამ მისი სიდიდე საკმაოდ მცირეა და განსაზღვრულია არა ძირითადი მულტიპლეტის გახლეჩით, როგორც ერთღერძა შემთხვევაში, არამედ ძირითადი მდგომარეობების ტალღური ფუნქციების კონკრეტული სახეებით. ამიტომ, კუბურ კრისტალებში უფრო მეტად თავს იჩენს დამაგნიტების იზოტროპიული ხასიათი ან სპინ-ორბიტული ურთიერთქმედებით განპირობებული კუბური ანიზოტროპია.

რკინის 3d-ჯგუფის ლითონებთან შენადნობებს მარტივი მოცულობით ცენტრირებული კუბური (მცკ) სტრუქტურა აქვს. Fe-Al შენადნობში არამაგნიტური Al-ის დამატებით, მისი K_1 -ის მნიშვნელობა მცირდება $5 \cdot 10^5$ ერგ/სმ³-დან სუფთა რკინისთვის $\approx -0,2 \cdot 10^5$ ერგ/სმ³-მდე, რომელიც შეესაბამება შენადნობში Al-ის 30%-იან შემცველობას [4]. ამავე ნაშრომში მოცემულია Fe-Co შენადნობის კელევის შედეგები. Co-ის 70%-იანი შემცველობის დროს $K_1 = 4,5 \cdot 10^5$ ერგ/სმ³, ანალოგიური სიტუაციაა Fe-Si შენადნობში. განსხვავებულ სურათს იძლევა Fe-Ti-ის მონაცემები (ნახ.1) [5,6].



ნახ.1. Fe-X (X=Ni, Ti) შენადნობებში K_1 კონსტანტას დამოკიდებულება X-ის პროცენტულ შემცველობაზე


ძლიერი მაგნიტური ანიზოტროპიის კუბური კრისტალების კიდევ ერთ კლასს წარმოადგენს ლალის (Al_2O_3) ტიპის სტრუქტურის იმე-ს ნაერთები. მათი მოლეკულური ფორმულაა ხოლო კრისტალის სივრცობრივი ჯგუფი O_h^{10} . ელემენტარული უჯრედი შეიცავს 8 სტრუქტურულ ერთეულს. ელემენტარული უჯრედის 40 Fe^{3+} იონისგან 16-ს აქვს a -პოზიცია, ხოლო 24-ს კი d პოზიცია. იმე-ს 24 იონი მოთავსებულია c პოზიციაში. ეს პოზიციები, მიუხედავად კრისტალოგრაფიული ეკვივალენტობისა, განსხვავდებიან ლოკალური ღერძების ორიენტაციით [5]. ამას კი მივყავართ ფერიტ-მოწის რთულ მაგნიტურ თვისებებამდე. მათი მაგნიტური ანიზოტროპიის პარამეტრები მოცემულია 2 ცხრილში [6]. როგორც ცხრილიდან ჩანს, K_1 და K_2 ტემპერატურაზე ძლიერაა დამოკიდებული და მაქსიმალურ მნიშვნელობებს აღწევს ჰელიუმის ტემპერატურაზე.

მაგნიტური ანიზოტროპიის სხვადასხვა კრისტალების კოეფიციენტები


	T,K	$K_1, 10^5 \text{ ერგ/სმ}^3$	$K_2, 10^5 \text{ ერგ/სმ}^3$
Y	4,2	-0,25	-0,023
	77	-0,22	-0.021
	295	-0,06	-0.0005
Sm	4,2	-400	21
	77	-14,3	
	295	-0,17	
Eu	4,2	-4,0	-1,56
	293	-0,38	
Cd	4,2	-2,41	-0,037
	80	-0,44	-0,035
	320	-0,041	-0,01
Tb	80	-7,6	-76
	300	-0,082	
Dy	80	-9,7	2,14
	300	<-0,05	
Ho	4,2	-120	-2,7
	78	-8	
	300	<-0,05	
Er	4,2	-0	500
	77	0,36	
	295	-0,06	
Tm	77	-0,3	
	293	-0,06	
Yb	4,2	-67	80
	80	-0,39	0,06
	300	-0,06	

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ძლიერი მაგნიტური მომენტისა, ამ Fe^{3+} მემთსვევაში არ არის ძლიერ მაგნიტური ანიზოტროპიის გამომწვევი მიზეზი. ამ აზრის დასამტკიცებლად შეიძლება მოშველიებულ იქნეს $Y_3Fe_5O_{12}$ -ის მაგნიტურ თვისებათა მახასიათებლები (Y^{3+} - არამაგნიტური იონია). ამის მიზეზი ისაა, რომ კრისტალში Y^{3+} -ის ძირითად მდგომარეობას წარმოადგენს ორბიტული

სინგლეტი, რომელიც გაცილებით მცირე ანიზოტროპიას გვაძლევს, ვიდრე D_2 სიმეტრიისას c პოზიციებში მოთავსებული იონები. $K_1(T)$ დამოკიდებულება $Sm_3Fe_5O_{12}$ და $Y_3Fe_5O_{12}$ კრისტალებისთვის წარმოდგენილია 2 ნახ-ზე, ხოლო $Y_3Fe_5O_{12}$ -თვის $K_1(T)$ და $K_2(T)$ დამოკიდებულებები კი 3 ნახ-ზე.



ნახ. 2 K_1 კონსტანტას დამოკიდებულება ტემპერატურაზე სხვადასხვა ფერიტ-მოწზე



ნახ. 3. K_1 K_2 კონსტანტების ტემპერატურული დამოკიდებულება $Y_3Fe_5O_{12}$ -ზე ლიტერატურა:

1. Chikazumi S., Tanuma S., Oguro I, Ono F., Tajima K. IEEE Trans. Magn, MAG-5, 1969, p.265.
2. Tatsumoto E., Okamoto T., Fujii H., Unoue C. Proc.Int.Conf.Magn, Grenoble, 1970, Cl, p.155.
3. Абрагам А., Блини Б. Электронный парамагнитный резонанс переходных ионов. М.: Мир, 1973.
4. Hall R.C. J. Appl Phys. 1959, V.30, p.816.
5. Звездин А.К., Матвеев В.М., Мухин А.А., Попов А.И. Редкоземельные ионы в магнитоупорядоченных кристаллах. М.:Наука, 1985.
6. Белов К.П. Редкоземельные магнетики и их применение. М.:Наука, 1980.

Zurab Chachkhiani, Doctor of Phys. Math. Sciences

Lalita Darchaishvili, PhD in Physics

Results of experimental study of magnetic anisotropy

Summary

The results of experimental research of the RCO_5 system compounds magnetic anisotropy were analyzed. In particular, the reasons for the formation of main state of the magnetic ion have been discussed. It is noted that the quadrilet can form a cubic anisotropy of small size through the interaction of the wave functions of the main state.

Compounds of strong magnetic anisotropic cubic crystals of ruby (Al_2O_3) type are described in details. The sharp changes in magnetic anisotropic parameters are shown in the near liquid helium temperature. Contribution of f-ions, existing in C positions of symmetry, in formation of strong magnetic anisotropy are estimated.

Keywords: *wave function, multiplet splitting, magnetic moment, orbital singlet*

ელექტრონული ხელისუფლების ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგიული მართვის კოგნიტიური მოდელი

ვანო ალფაიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სამწუხაროდ, თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში თაღლითობას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით აქვს საყოველთაო ხასიათი. კომუნიკაციის ქსელები და საშუალებები, ინფორმაციული სისტემები იქცნენ ადამიანის მუდმივ თანამგზავრებად, რომლებსაც ის ანდობს თავის პერსონალურ მონაცემებს, ფინანსურ ოპერაციებს, ბიზნესს. პიროვნება “მავთულის მეორე ბოლოში” უკვე აღარ წარმოადგენს ცალსახად სანდო მხარეს, როგორც ეს შეიძლება ყოფილიყო უშუალო პირისპირ ურთიერთმოქმედებისას, რომ შეიძლება “წარდგე” როგორც მხარე, რომელიც იმსახურებს ნდობას, ადვილად იპოვა მიმდევრები თანამედროვე ინფორმაციულ სამყაროში.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ხელისუფლება, ინფორმაციული სამყარო, კიბერგარემო, კიბერუსაფრთხოება

შესავალი: სახელმწიფო მართვის პროცესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო დანერგვის შედეგად ხდება ფუნდამენტალური ცვლილებები სახელმწიფოს ბუნებაში. მოქალაქეები ფართოდ მონაწილეობენ პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზაციაში. ხდება ფორმირება სახელმწიფოს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთმოქმედებისა და თანამშრომლობის ეფექტური სისტემისა. ეს ფენომენი აღინიშნება ტერმინით „ელექტრონული ხელისუფლება“.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ტერმინი „electronic government“ (e-government) ხშირად ითარგმნება როგორც „ელექტრონული ხელისუფლება“. ასეთი თარგმანი ავიწროვებს (ზღუდავს) და საკითხი დაყავს მხოლოდ სახელმწიფოს მართვაზე, რომელიც ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ. მაგრამ ტერმინი „ელექტრონული ხელისუფლება“ გულისხმობს მხარდაჭერას ხელისუფლების სამივე შტოსი – საკანონმდებლოსი, აღმასრულებელი და სასამართლოსი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით. მეცნიერულ ნაშრომებში განიხილება სხვადასხვა მიდგომა ტერმინების „ელექტრონული ხელისუფლება“ და „ელექტრონული სახელმწიფო“ განმარტებისადმი და ხაზგასმულია, რომ უფრო სწორია გამოყენებულ იქნას ტერმინი „ელექტრონული სახელმწიფო“, ამავდროულად ბევრი წყარო უშვებს ამ ტერმინების გამოყენებას როგორც სინონიმებისა. იმის გათვალისწინებით, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში ფართოდ გამოიყენება

ტერმინი „ელექტრონული ხელისუფლება“, ჩვენც გამოვიყენებთ სწორედ ამ ტერმინს.

ყოველმხრივი გლობალიზაციის, მზარდი რისკების და საზოგადოებრივი პროცესების განუსაზღვრელობის პირობებში ინფორმაციული უსაფრთხოება (იუ) ხდება ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად ელექტრონული ხელისუფლების თვითშენარჩუნებისა. ამიტომ ძალზე აქტუალურია ელექტრონული ხელისუფლების იუ-ს უზრუნველყოფის სისტემის მართვა.

ძირითადი ნაწილი: ელ. ხელისუფლების იუ-ს მართვა წარმოადგენს სუსტად სტრუქტურირებულ ამოცანას: მართვის ობიექტი წარმოადგენს რთულ სოციოტექნიკურ სისტემას, რომელიც შედგება ავტონომიური კომპონენტებისაგან, თითოეული მათგანი მოქმედებს მიზანდასახულად. სისტემაში მიმდინარეობს – ხდება მრავალრიცხოვანი პროცესები (სოციალური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური), რომლებიც მნიშვნელოვნად ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთთან. ეს პროცესები იცვლასთან დროში, მათში მონაწილეობს სხვადასხვა სახის განუსაზღვრელობა, მაგრამ რაოდენობრივი ინფორმაცია პროცესების დინამიკის შესახებ რჩება ხელმიუწვდომელი. გარე გარემო, რომელიც გარემომცველია ელექტრონული ხელისუფლებისა წარმოადგენს პოტენციურად „მტრულ“ გარემოს. როგორც თვით ელ. ხელისუფლების ელემენტები, ასევე გარე გარემო წარმოადგენენ მრავალრიცხოვანი მუქარების წყაროებს, რომლებიც მიმართული არიან ელ. ხელისუფლების იუ-ს დარღვევაზე.

თანამედროვე პირობებში ასეთი სახის სისტემის ანალიზისა და მართვისათვის ფართოდ გამოიყენება კოგნიტიური მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა დანახულ და გააზრებულ იქნას მოვლენათა განვითარების ლოგიკა ურთიერთმოქმედი ფაქტორების დიდი რიცხვისას,


აქ შემოთავაზებულია, არამკაფიო კოგნიტიური რუკების საფუძველზე, კოგნიტიური მოდელი ელ. ხელისუფლების იუ-ს სტრატეგიული მართვისა. კოგნიტიური მოდელირების შემოთავაზებული მიდგომა პერსპექტიულია გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ინტელექტუალური სისტემების შექმნის კონტექსტში, და მისმა გამოყენებამ შეიძლება არსებითად აამაღლოს ელ. ხელისუფლების იუ-ს უზრუნველყოფის სფეროში სტრატეგიული მართვის ეფექტურობა და მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი

კოგნიტიური რუკები (კრ) პირველად წარმოდგენილი იქნა ამერიკელი ფსიქოლოგის ე. ტოლმენის (E. Tolman) მიერ თავგებში ელემენტალური კოგნიტიური პროცესების შესწავლისას. ე. ტოლმენი თავგების სხვადასხვა ტიპის ლაბირინთებში სწავლებისას მივიდა დასკვნამდე, რომ გარემომცველ გარემოსთან ურთიერთმოქმედების პროცესში ცხოველში ფორმირდება რაღაც „კოგნიტიური რუკა“, ან „აზრობრივი გეგმა“, ლაბირინთის ყველა მახასიათებლებისა, რომლის სრულყოფაც ხდება ყოველი შემდგომი ურთიერთმოქმედებებისას გარემოსთან.

კოგნიტიური რუკები წარმოადგენენ რობასტიულ სისტემებს, რომლებსაც შეუძლიათ დაამოძღვრონ ძალიან რთული საქციელები (ყოფაქცევები). თავის ნაშრომში რ. აქსელროდმა გამოიყენა კოგნიტიური რუკები პოლიტიკური ელიტების გადაწყვეტილებების სტრუქტურის შესწავლისას. მან შემოიტანა ცნებები აწონ-დაწონილი კრ და ფუნქციონალური კრ. აწონ-დაწონილ კრ-ებში ნიშანი შეცვლილია დადებითი ან უარყოფითი რიცხვით, რომელიც აჩვენებს მიმართულებას, ასევე მის მნიშვნელობას. ფუნქციონალურ კრ-ებში კავშირის ყოველ მიზეზთან ასოცირდება ფუნქცია, რომელიც უფრო ზუსტად უჩვენებს ეფექტის მიმართულებას და მნიშვნელობას. ეს ორი ტიპი კოგნიტიური რუკებისა იძლევიან უფრო მეტ მოქნილობას, რამდენადაც მათ შეუძლიათ დაამუშაონ და წარმოადგინონ უფრო დაწვრილებითი (ვრცელი) ინფორმაცია.

არამკაფიო კოგნიტიური რუკები (აკრ) წარმოადგენილი იქნა ბ. კოსკოს (B. Kosko) მიერ როგორც არამკაფიო გაფართოება კოგნიტიური რუკებისა. ფაქტიურად აკრ-ები წარმოადგენენ კოგნიტიურ რუკებს, აწონილებს არამკაფიო წონებით. ჩვეულებრივ კრ იგება ექსპერტებისაგან ინფორმაციის შეგროვებით, და ექსპერტები, უფრო მიდრეკილი არიან გამოაჩინონ საკუთარი თავი ხარისხობრივ, და არა რაოდენობრივ ტერმინებში. ამ თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია აკრ გამოყენება, რომლებშიც კონცეფციები (წარმოდგინებები) წარმოადგენილი არიან ლინგვისტურად, შესაბამისი არამკაფიო სიმრავლით.

აკრ ახდენს კომბინირებას გარკვეული ასპექტებისა არამკაფიო ლოგიკისა და ნეირონული ქსელებისა სქემაში წარმოადგენისა ევრისტიკების და არამკაფიო ლოგიკის საღიზრის წესებისა ევრისტიკით ნეირონული ქდელების სწავლებისა. ეს სტრუქტურა წარმოდგინება როგორც აწონილი ორიენტირებული გრაფი, რომელშიც წვეროები ურთიერთ ცალსახად შეესაბამებიან ფაქტორებს და რომელთა ტერმინებშიც აღიწერება საგნობრივი არე, ხოლო რკალები ასახავენ ფაქტორებს შორის (ურთიერთდამოკიდებულებას) ურთიერთგავლენას (ნახ. 1.)



ნახ.1.არამკაფიო კოგნიტიური რუკის მაგალითი

წონა რკალისა C_i და C_j ფაქტორებს შორის შეიძლება იყოს დადებითი, რომელიც აღნიშნავს, რომ C_i ფაქტორის მნიშვნელობის გაზრდა იწვევს C_j ფაქტორის მნიშვნელობის ზრდას, ამავედროულად C_i ფაქტორის მნიშვნელობის შემცირება იწვევს C_j ფაქტორის მნიშვნელობის შემცირებას. თუ C_i და C_j ფაქტორებს შორის რკალის წონა უარყოფითია, მაშინ C_i მნიშვნელობის ზრდა იწვევს C_j მნიშვნელობის შემცირებას, ხოლო C_i ფაქტორის მნიშვნელობის შემცირებას მიყვავართ C_j ფაქტორის მნიშვნელობის გაზრდამდე.

დასკვნა: ბოლო ათწლეული განმავლობაში შეინიშნება გაზრდილი ინტერესი მკვლევარებისა მრავალსფეროში არამკაფიო კოგნიტიური მოდელების აგების მიმართულებით. აკრ მეთოდოლოგია წარმატებით იქნა გამოყენებული ცოდნის წარმოდგენაში, პოლიტიკურ, სოციალურ და სოციალურ-ეკონომიკურ გამოკვლევებში, სტრატეგიულ დაგეგმვაში და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში არამკაფიო სიტუაციებში ბიზნეს-ანალიტიკაში, ეკონომიკურ პროგნოზირებაში, სადისპეტჩერო კონტროლის სისტემებში, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვაში, პროგრამული უზრუნველყოფების ხარისხის რისკების შეფასებისას, გადაწყვეტილებათა მიღების სისტემებში სამედიცინო ინფორმაციაში, ეკოლოგიაში, მონაცემების ინტელექტუალურ ანალიზში და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ არის ნაშრომი, სადაც კოგნიტიური მოდელი გამოყენებულია ორგანიზაციის იუ-ს მდგომარეობის მოდელირებისა და ანალიზისათვის.

ლიტერატურა:

1. Massif FP7 Project. Management of Security information and events in Service Infrastructures. <http://www.massif-progect.eu>.
2. Kotenko I. And Doynikova E. Security Assessment of Compiuter Networks based on Attack Graphs and Security Events // Proc. of the 2014 Asian Conf. On Availability, Reliability, and Security, LNCS, 2014. P.462-471.
3. McGuire G.T., Waltermire D., Baker J> O. Common Remediation Enumeration (DRE) Version 1.0 (Draft) // NIST Interagency Report 7831 (Draft). – National Institute of Standards and Technology, Dec. 2011. – 33p.
4. Johnson C. Enterprise Remediation Automation // Proc. Of the IT Security Automation Conf., Sept. 27-29, 2010. NIST. http://csap.nist.gov/events/2010/itsac/presentations/day1/Automation_Specifications-Eterprise_Remedation_Automation.pdf.
5. Kheir N. Response Policies and Counter-Measures: Management Of service Dependencies and Intrusion and Reaction Impacts: PhD thesis. – Ecole Nationale Superieture des Telecommunication de Bretagne, 2010. – 229p.

6. Poolsappasit N., Dewri R., Eay I. Dynamic Security Risk Management Using Bayesian Attack Graphs // IEEE Transactions on Dependable and Security Computing. 2012. Vol. 9. N1 P. 61-74.

*Vano Alfidze, Doctoral student
Georgian Technical University*

**The electronic-government information security
in strategic management of cognitive model**

Summary

Unfortunately, the modern information society fraud using information technology has a universal character. Communication networks and facilities, information systems have become a constant companion of man, which he entrusts his personal data, financial transactions, business. Personality “wire at the other end” is no longer a uniquely trusted side, as it may have been a direct face to face interaction, that can be “delivered” as a side, which is to be trusted, can be easily found followers in the modern information world.

Key words: *electronic government, information world, cybercrime, cyber security*

ერთგვაროვან ელექტრულ ველში არასფერული მინერალური ნაწილაკების ინდუქციური დამუხტვის მინიმალური მუხტების განსაზღვრა

*ალექსანდრე გორგოშიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ელექტრონულ-იონურ ტექნოლოგიაში (ეიტ) ფართოდ გამოიყენება ნაწილაკების განცალკევება მათი ელექტროგამტარობის მიხედვით (ელექტროსეპარაცია). ელექტროსეპარაციის ეფექტურობა დაკავშირებულია ინდუქციური დამუხტვის დროს ნაწილაკზე მოქმედი ძალების განსაზღვრასთან. ელექტროსეპარატორის დამუხტავ ელექტროდზე მიმდინარე პროცესების ანალიზისათვის უმჯობესია ნაწილაკების დამუხტვისა და მასზე მოქმედი ძალების ურთიერთქმედება განვიხილოთ ბრტყელი კონდენსატორის ერთგვაროვან ელექტრულ ველში და მიღებული შედეგები გამოვიყენოთ რეალური ელექტროსეპარატორებისათვის.

ერთგვაროვან ელექტრულ ველში ნაწილაკზე მოქმედებს კულონური ელექტრული ძალა, სიმძიმის ძალა და ადგეზიის ძალა. თუ ადგეზიის ძალას უგულვებელვობთ, მაშინ მივიღებთ ნაწილაკის ელექტროდიდან მოწყვეტის მინიმალური მუხტების მნიშვნელობებს, რომელთა სიდიდეები დამოკიდებულია ნაწილაკის ორიენტაციაზე ელექტროდიდან მოწყვეტის დროს.

საკვანძო სიტყვები: ელექტროსეპარაცია, ელექტრული ველი, მინიმალური მუხტი, ნაწილაკის ორიენტაცია, ადგეზიის ძალა.

შესავალი

უკანასკნელ ხანებში სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების მეთოდებს შორის დიდი გავრცელება ჰპოვა ძლიერი ელექტრული ველის გამოყენებამ ტექნოლოგიურ პროცესებში-ელექტრულმა იონურმა ტექნოლოგიამ(ეიტ).

ეიტ-ის პროცესები ფართოდ გამოიყენება ელექტროსეპარატორებში, სადაც მიმდინარეობს ნაწილაკების განცალკევება სხვადასხვა ფიზიკური თვისებების მიხედვით. მათ შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება ნაწილაკების განცალკევება გამტარობის მიხედვით მათი ინდუქციური დამუხტვის დროს [1].

ამ მეთოდით ელექტრული სეპარაციის ეფექტურობა დაკავშირებულია იმ ძალების განსაზღვრასთან, რომელიც წარმოიქმნება ნაწილაკების ინდუქციური დამუხტვის დროს.

ინდუქციური დამუხტვის დროს ელექტროსეპარატორების დამუხტავ

ელექტროდზე მიმდინარე პროცესების ანალიზისათვის უმჯობესია ნაწილაკების დამუხტვისა და მასზე მოქმედი ძალების ურთიერთქმედება განვიხილოთ ბრტყელი კონდენსატორის ერთგვაროვან ელექტრულ ველში და მიღებული შედეგები გამოვიყენოთ რეალური ელექტროსეპარატორებისათვის.

ერთგვაროვან ელექტრულ ველში ნაწილაკზე მოქმედ ძალთა ბალანსი შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად:

$$F_{ელ.} - F_g - F_{ადგ.} = 0$$

სადაც $F_{ელ.}$ - არის ელექტრული ძალა, F_g - არის ნაწილაკის სიმძიმის ძალა, ხოლო $F_{ადგ.}$ - არის ნაწილაკის ელექტროდთან ადგეზიის ძალა.

ნაწილაკზე მოქმედი ელექტრული ძალა განისაზღვრება როგორც ნაწილაკის ელექტრულ ველში პოლარიზაციის შედეგად წარმოშობილი ბმული მუხტების მოქმედებით წარმოქმნილი ძალა, რომელიც თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს დამუხტვის დაწყების მომენტში, ასევე თავისუფალი მუხტების მოქმედებით, რომლის დროსაც გათვალისწინებულია სარკისებური ძალის მოქმედებაც და მას აქვს შემდეგი სახე [2].

$$F_z = \pi b c \epsilon_0 E^2 \left[\frac{0,5(\epsilon_1 - 1)^2(1 - I)}{K^2} + \frac{d_a \epsilon_1^2 - (d_a - I)\epsilon_1 + (1 - I)}{K^2} \cdot \beta + \frac{0,5d_a^2(\epsilon_1^2 - 1) + d_a - 0,5I}{K^2} \cdot \beta^2 \right],$$

სადაც F_z - არის ვერტიკალური ღერძის მიმართ მოქმედი ძალა, b, c - არის ნაწილაკის ეკვივალენტური ელიპსოიდის ნახევარღერძები, ϵ_0 - არის დიელექტრიკული მუდმივა, E - ელექტრული ველის დამაბულობა, ϵ_1 - ნაწილაკის დიელექტრიკული შეღწევადობა, d_a - დეპოლარიზაციის კოეფიციენტი, ხოლო კოეფიციენტები K , β და I განისაზღვრებიან შემდეგნაირად

$$K = 1 + (\epsilon_1 - 1)d_a, \quad \beta = \frac{q_{თავ.}}{\pi b c \epsilon_0 E}, \quad I = \frac{1}{\pi b c} \int_{S_1} \cos \theta d_s,$$

სადაც - არის ნაწილაკის ელექტროდის მიმართ გარე ზედაპირის ფართობი ნაწილაკის სიმძიმის ძალა განისაზღვრება შემდეგნაირად.


$$F_g = mg = \frac{1}{2} \cdot \frac{4}{3} \pi \cdot \alpha_{ნაბ.ელ.} \cdot b_{ნაბ.ელ.} \cdot C_{ნაბ.ელ.} \cdot \gamma_{ნაწ.} \cdot g$$

სადაც $\gamma_{ნაწ.}$ არის ნაწილაკის სიმკვრივე, g - თავისუფალი ვარდნის აჩქარება, ხოლო $\alpha_{ნაბ.ელ.}$, $b_{ნაბ.ელ.}$, $C_{ნაბ.ელ.}$ - კინაწილაკის მოცულობის მიხედვით ეკვივალენტური ნახევარელიპსოიდის ნახევარღერძები.

იმ შემთხვევაში, თუ დაუშვებთ, რომ ადგეზიის ძალა ნულის ტოლია, მაშინ ნაწილაკი დამუხტავი ელექტროდიდან მოწყდება თავისი მინიმალური თავისუფალი მუხტის სიდიდით

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, თუ რომელი ნახევარლერძით ძეკს ნაწილაკი ელექტროდზე. საწყის ეტაპზე ნაწილაკი ელექტროდზე ძეკს თავისი ყველაზე უფრო ალბათური, მოსახერხებელი და მდგრადი მდგომარეობით- მცირე ნახევარლერძით ელექტრული ველის დაძაბულობის ვექტორის გასწვრივ ნახ. 1 ა). ასეთი ორიენტაციის დროს ნაწილაკის პარამეტრებია: $a_{\text{ნახ.ელ}} = 2C_{\text{ელ}}$, $b_{\text{ნახ.ელ}} = a_{\text{ელ}}$, $C_{\text{ნახ.ელ}} = b_{\text{ელ}}$. ამ მონაცემების მიხედვით განისაზღვრება კოეფიციენტები $\beta = b_{\text{ნახ.ელ}}/a_{\text{ნახ.ელ}}$, $\gamma = C_{\text{ნახ.ელ}}/a_{\text{ნახ.ელ}}$. ამ კოეფიციენტების საშუალებით განვსაზღვრავთ დეპოლიარიზაციის კოეფიციენტს d_a -ს.

შემდგომში, ნაწილაკის დამუხტვის მიმდინარეობის დროს, რომლის ფორმა არ არის მკაცრად სიმეტრიული, მასზე მოქმედებს მახრუნებელი მომენტი, რის გამოც ნაწილაკი იწყებს შემობრუნებას და ორიენტირდება თავისი უდიდესი ნახევარლერძით ელექტრული ველის ვექტორის გასწვრივ ნახ.1.გ). ეს მოვლენა დადასტურებულია როგორც ვიზუალურად, ასევე მოწყვეტის ალბათობის ფუნქციის განაწილების მიხედვით [3]. შესაბამისად, ნაწილაკი ელექტროდიდან შეიძლება მოწყდეს ნახ.1-ზე წარმოდგენილი ნებისმიერი მდგომარეობის დროს.



ნახ. 1. ელექტროდზე მდებარე ნაწილაკის ორიენტაცია
ელექტრულ ველში

კოეფიციენტი I -ს ანალიტიკურად განსაზღვრისათვის საჭიროა რეალური ნახევარელიპსოიდა გარდავექმნათ ბრუნვით ნახევარელიპსოიდათ ანუ სფეროიდათ, რომლისთვისაც $b_{\text{ნახ.სფ.}} = c_{\text{ნახ.სფ.}} = \sqrt{b_{\text{ელ.}} C_{\text{ელ.}}}$. ამ დროს შენარჩუნებულია ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრის, ველის გასწვრივ მიმართული მთავარი ნახევარლერძის სიდიდის მნიშვნელობა, ხოლო დანარჩენი ორი ნახევარლერძის შეცვლა მისი საშუალო გეომეტრიულით რეალური ნაწილაკისათვის გვაძლევს 3-4%-ის ცდომილებას.


ამის შემდეგ, ამოზოგადებული ბრუნვის სფეროიდისათვის შეგვიძლია განვსაზღვროთ ექსცენტრიტეტი $e = \sqrt{\frac{b_{\text{ნაწილაკი}}}{a_{\text{ნაწილაკი}}}}$ პარამეტრი I განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$I = \frac{1 - e^2}{e^2} \left(\frac{2 \ln \frac{a_{\text{ნაწილაკი}}}{b_{\text{ნაწილაკი}}}}{e^2} - 1 \right).$$

მიღებული კონკრეტული პარამეტრების მნიშვნელობების მიხედვით შეგვიძლია თეორიულად განვსაზღვროთ მინიმალური მუხტის ის მნიშვნელობა, რომლითაც ნაწილაკი წყდება დამუხტავ ელექტროდს.

პრაქტიკულად ასეთი გაზომვები ჩატარებული იქნა შემდეგნაირად: რუტილის გამტარი მინერალური ფრაქციიდან შერჩეული იქნა ორი ჯგუფისაგან შემდგარი ათ-ათი ნაწილაკი. თითოეული ნაწილაკის ეკვივალენტური სფეროს რადიუსი ტოლია $a_{\text{ნაწილაკი}} = \sqrt[3]{a_{\text{კვ.}} b_{\text{კვ.}} C_{\text{კვ.}}}$. ყოველ ჯგუფში შემავალი ნაწილაკების ზომები მათი საშუალო მნიშვნელობიდან მერყეობდა 7-8%-ის ფარგლებში. ერთ-ერთი ჯგუფის ათ ნაწილაკს ვალაგებდით ბრტელი კონდენსატორის დამუხტავი ელექტროდის ცენტრალურ ნაწილში. ექსპერიმენტი ტარდებოდა ხუთ სერიად, ე.ი. ნაწილაკების საწყისი რაოდენობა შეადგენდა 50-ს. მაღალი ძაბვის მიწოდებისას, ის ნაწილაკები, რომლებიც დამუხტვის შედეგად წყდებოდნენ ქვედა ელექტროდიდან, მიემართებოდნენ ზედა ელექტროდისაკენ. ზედა ელექტროდის ზედაპირი დაფარული იყო იზოლაციის თხელი ფენით და ამის გამო დამუხტული ნაწილაკები მიეკვრებოდნენ და რჩებოდნენ მასზე. იზოლირებული თხელი ფირფიტის საშუალებით ვხსნიდით მათ და ვუშვებდით მუხტების გამზომ ელექტრომეტრში.

სხვადასხვა ჯგუფის ნაწილაკებისათვის გაზომილი მუხტების მინიმალურ მნიშვნელობები, ელექტრული ველის დამაბულობის სხვადასხვა მნიშვნელობების დროს, მოყვანილია ნახ. 2-ზე. აქვე მოყვანილია მათი თეორიული მნიშვნელობები, ნაწილაკების ორიენტაციის ორი სხვადასხვა უკიდურესი მდგომარეობის დროს 5.1. ა) და 5.1. გ.)




რუტილი $a_{\text{ელ}}=106\text{მკმ}$, $b_{\text{ელ}}=72\text{მკმ}$, $c_{\text{ელ}}=54\text{მკმ}$, $a_{\text{გვსვ}}=74\text{მკმ}$,
 $\gamma_{\text{ნაწ}}=4,25 \cdot 10^3 \text{კგ/მ}^3$, $1-\epsilon_1=3$, $2-\epsilon_2=173$

0 - ექსპერიმენტალური წერტილები

3 - ნაწილაკი ორიენტირებულია უმცირესი ნახევარღერძით ველის გასწვრივ

4 - ნაწილაკი ორიენტირებულია უდიდესი ნახევარღერძით ველის გასწვრივ



რუტილი $a_{\text{ელ}}=138\text{მკმ}$, $b_{\text{ელ}}=102\text{მკმ}$, $c_{\text{ელ}}=66\text{მკმ}$, $a_{\text{გვსვ}}=98\text{მკმ}$,
 $\gamma_{\text{ნაწ}}=4,25 \cdot 10^3 \text{კგ/მ}^3$, $1-\epsilon_1=3$, $2-\epsilon_2=173$

0 - ექსპერიმენტალური წერტილები

3 - ნაწილაკი ორიენტირებულია უმცირესი ნახევარღერძით ველის გასწვრივ

4 - ნაწილაკი ორიენტირებულია უდიდესი ნახევარღერძით ველის გასწვრივ

ნახ. 2. ნაწილაკების მოწყვეტის მინიმალური მუხტის დამოკიდებულება ელექტრული ველის დამაბულობაზე

იმის გამო, რომ რუტილის დიელექტრიკული შეღწევადობის კონკრეტული მნიშვნელობა უცნობი იყო, ამიტომ გაანგარიშებები ჩავატარეთ იმ მნიშვნელობათა დიაპაზონში, რომელიც რუტილისათვის ცნობილია ლიტერატურიდან.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. მოწყვეტილი ნაწილაკების მინიმალური მუხტების მნიშვნელობები იზრდება ელექტრული ველის დამაბულობის ზრდის მიხედვით

2. მინიმალური მუხტების მნიშვნელობები იზრდება დიელექტრიკული შეღწევადობის ზრდასთან ერთად, რაც გამომდინარეობს თეორიიდან [2]

3. მოწყვეტილი ნაწილაკების მინიმალური მუხტების მნიშვნელობები მდებარეობენ მათი უმცირესი და უდიდესი ნახევარდერმების ორიენტაციით განპირობებულ თეორიულ მნიშვნელობებს შორის.

4. მინიმალური მუხტების ექსპერიმენტული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ნაწილაკზე მოქმედი ადგეზიის ძალა, სიმძიმის ძალასა და ელექტრულ ძალასთან შედარებით უმნიშვნელოა და შეიძლება მათი უგულვებელყოფა.

ლიტერატურა:

1. Олофинский Н.Ф. Электрические методы обогащения М.Недраб 1977
2. Верещагин И.П. Кривов С.А. Морозов В.С. Электрическая сила, действующая на частицу на электроде. Известия Академий наук СССР, Энергетика и транспорт М. 1984
3. გორგოშიძე ა. ჩაჩხიანი ზ. დამუხტული ნაწილაკების მუხტებისა და დამუხტვის დროის განაწილების ფუნქციის ანალიზი. განათლება 2018.

**Estimation of Minimum Charges of the Induction Charge of Non-Spherical
Mineral Particles in the Uniform Stress Field**

Summary

Particle separation according to its electrical conductivity (electric separation) is widely used in the electrical-ionic technology (EIT). Effectiveness of the electric separation is associated with the estimation of forces affecting the particle during inductive charge.

Coulomb electric power, power of gravity and power of adhesion affect the particle in the uniform stress field. If we ignore the power of adhesion, we will get the values of the minimum charges of particle cut-off from the electrode which depend on the particle orientation during the cut-off from the electrode.

Key words: *electric separation, electrical field, minimum charge, particle orientation, power of adhesion.*

ბამოსათხოვარი



ნანა ხაზარაძე

გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

ნანა ხაზარაძე დაიბადა 1931 წლის 4 თებერვალს თბილისში, ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთ გამორჩეულ ოჯახში.

1949 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლა. იმავე წელს, სწავლა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო, ხოლო 1952 წლიდან – მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ძველი ისტორიის კათედრაზე, რომელიც 1955 წელს წარჩინების დიპლომით დაამთავრა. აქ შეისწავლა აქადური, ურარტული, ძველბერძნული და ლათინური ენები. მისმა სადიპლომო ნაშრომმა – „ურარტუს საგარეო პოლიტიკა ძვ. წ. VIII საუკუნეში“ – უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და გამოქვეყნების რეკომენდაციაც მიიღო.

ნ. ხაზარაძემ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში დაიწყო.

1957-2006 წლებში, მან ამ ინსტიტუტში სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა საფეხური განვლო – ლაბორანტიდან ძველი მსოფლიოს ისტორიის განყოფილების გამგის თანამდებობამდე.

1990-2005 წლებში ქართველი ხალხის ეთნოგენეზის და ეთნიკური განვითარების კომპლექსური შესწავლის საპრობლემო ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

ნ. ხაზარაძემ 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“, ხოლო 1985 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები)“. ორივე სადისერტაციო ნაშრომი მონოგრაფიებად გამოიცა.

ნ. ხაზარაძის სამეცნიერო კვლევის სფეროებს წარმოადგენდა: სამხრეთ კავკასიის, ძველი ახლო აღმოსავლეთის, ძველი სამხრეთ ევროპის ქვეყნების ეთნოკულტურული და ეთნოპოლიტიკური ისტორია, ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკა, თანამედროვე ისტორიის კონფლიქტოლოგიური ასპექტები.

მის ნაშრომებში მრავალი აქტუალური სამეცნიერო საკითხი და პრობლემა შესწავლილი: ფრიგიასთან და ფრიგიელების ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები, ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში (ასურული, ურარტული, იეროგლიფურ-ლუვიური, ძველებრაულ, ძველბერძნული, ლათინური) მოხსენიებულ–მუშქებთან, მუსქებთან, მოსოხთან, მესხებთან–უძველესი ქართველური ტომების ურთიერთმიმართების პრობლემა, „მოსხიკეს“ და „მოსხური მთების“ ლოკალიზაციის საკითხი, ტიბარელებისა და მატინების ისტორია, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია, ძველადმოსავლური ეთნოკულტურული სამყარო, წმინდა ხის კულტი საქართველოში, ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები, გვიანხეთური ხანის სამეფო სამთავროები, ბიბლია და ქართველი ხალხის განსახლების ისტორია, თბალის ისტორია და სხვა საკითხები.

ნ. ხაზარაძემ იეროგლიფურ-ლუვიური ენა და დამწერლობა შეისწავლა. ამით ამ წყაროებში დაცული უმდიდრესი მონაცემების საფუძველზე ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ნ. ხაზარაძე 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორია: მათ შორის, 14 მონოგრაფია და უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი 4 სახელმძღვანელო. მაღალი შეფასება დაიმსახურა 2015 წელს მის მიერ გამოქვეყნებულმა „საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომატიამ“.

ნ. ხაზარაძის ნაშრომები დაბეჭდილია ქართულ და უცხოენოვან სამეცნიერო გამოცემებში. ნ. ხაზარაძე მრავალი სამეცნიერო ფორუმის მონაწილეა საქართველოშიც (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ცხინვალი, სიღნაღი) და ფარგლებს გარეთაც (მოსკოვი, ლენინგრადი, ერევანი, ორჯონიკიძე, დაუგავ-პილსი, ჩერნოვიცი, ლაიპციგი, პრაღა, ბუდაპეშტი, ვენა, რომი, ბოლონია, პარიზი, ლეიდენი, ლონდონი, სტამბული, ტოკიო...).

ნ. ხაზარაძე სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი იყო 1990 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის

კათედრის გამგე. 2015 წელს, მისივე ინიციატივით, ამავე უნივერსიტეტში, ფუნქციონირება დაიწყო არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტმა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ედგა სათავეში.

ნ. ხაზარაძე 2009 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი იყო, კითხულობდა ლექციებს, ამზადებდა ზაკალავრებს, მაგისტრებს, დოქტორანტებს. იყო სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელი და ოპონენტი. ნანა ხაზარაძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაცულია 17 სადისერტაციო ნაშრომი. ბოლო ხანს ხელმძღვანელობდა 4 დოქტორანტს და 2 მაგისტრანტს.

1990 წლიდან, წლების მანძილზე კითხულობდა შემდეგ სალექციო კურსებს: საქართველოს ისტორია, ქართული და უცხოური წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ, ძველი მსოფლიოს ისტორია (საბერძნეთი, რომი), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, გენდერი და კონფლიქტი, თეორიული კონფლიქტოლოგია, პოლიტიკური კონფლიქტები, კონფლიქტის ფსიქოლოგია, ძველადმოსავლური ეთნოსები, კულტურის ინტერაქცია...

ნ. ხაზარაძე წლების მანძილზე იყო ტექნიკური უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, კავკასიის ხალხთა ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო საბჭოს წევრი; ი. ჭავჭავაძის სახ. საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრი. წლების მანძილზე იყო საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აღმასრულებელი საბჭოს წევრი, პროფესიონალ ქალთა ასოციაციის გამგეობის წევრი. 2006 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – ე. თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე. 1995-1997 წლებში ნ. ხაზარაძემ დააფუძნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ფენიქსი XXI, ისტორია და თანამედროვეობა“, 1995 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საერთაშორისო ორგანიზაცია „შალომის“ წევრი, საერთაშორისო მეროისტკული საზოგადოების საპატიო წევრი.

1990-იანი წლებიდან ნ. ხაზარაძე აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიების მუშაობაში: იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალის „სვერიცხოველი“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალის „მაცნე“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) რედკოლეგიის წევრი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „ანალები“ რედკოლეგიის წევრი, საქართველოს ენციკლოპედიის მეცნიერ-კონსულტანტი...

ნ. ხაზარაძეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მრავალი ჯილდო აქვს მიღებული:

1981 – მედალი „За трудовую доблесть“;

1985 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის პრემია;

1990 – მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“;

1990 – საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი;

1996 – „ღირსების ორდენი“;

2010 – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გ. მელიქიშვილის სახელობის პრემია;

2010 – საქართველოს კულტურის ფონდის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია და ბრინჯაოს მედალიონი;

2015 – საქართველოს ქალთა საბჭოს გამგეობის საპატიო მედალი;

2016 – იუნესკოს მიერ დაწესებული მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებული საპატიო სიგელი ისტორიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;

2016 – ისტორიის, ეთნოლოგიის და რელიგიის შესწავლის და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის საპატიო სიგელი;

2016 – გაეროს მიერ დაწესებული მეცნიერ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული საპატიო სიგელი ისტორიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;

2017 – სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II საპატიო სიგელი ქართული საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

აკადემიკოს ნანა ხაზარაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართველი საზოგადოებისათვის, ქართული მეცნიერებისათვის და განათლებისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალ „განათლების“ რედაქცია